PRIME Time
N9 (259) ორშაბათი, 10 მარტი, 2014 წ.
ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

# სალომე ზურაბიშვილის ექსკლუზიური ინტერვიუ



„ხელისუფლების პრიორიტეტი არ შეიძლება არ იყოს მუხროვანის, მაგრამ არამხოლოდ მუხროვანის, ასევე, ლაფანყურის, თვით ომის დაწყების დეტალები...“

EXCLUSIVE



## მაკა ჩიჩუას ჭირადი სკანდალები მედიაში



## ამერიკელი მზვერავის მკვლელობაში ბრალდებული 20 წლის შემდეგ „პრაიმტაიმთან“ დეტალურად საუბრობს

EXCLUSIVE

## სკანდალი, რომელსაც შესაძლოა, შაშკინი შეეწიროს



რა კორუფციულ სქემაში იმხილება განათლების ყოფილი მინისტრი?

„პრაიმტაიმი“ აქვეყნებს დოკუმენტს, რომელსაც ჯერ გამოძიებაც არ გაცნობია



მამუკა არეშიძე: „ძალიან სწორი გადაწყვეტილებაა, რეცეპტის გარეშე რომ აღარ იყიდება ნარკოტიკული და ფსიქოტროპული პრეპარატები, ველოდები, რომ აკრძალვები კარგ შედეგს მოიტანს“

EXCLUSIVE

SCANDAL

# წამებით კიდევ ერთ პატიმარს კლავენ



გარდაცვლილის ძმა: „გიგას ჩაიდანი აქვს ჩარტყმული, საშინლად არის ნაწამები, თვალი აქვს ამოთხრილი“

## რატომ ვერ ახერხებს სოზარ სუბარი ვითარების გაკონტროლებას?



„მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის“ ფარგლებში მიწის დამუშავება უკვე დაიწყო

EXCLUSIVE



ბრძოლა ქართული ოქროსთვის - ვინ აფერხებს ოქროს საწარმოს მუშაობას?

EXCLUSIVE



EXCLUSIVE

„პრაიმტაიმის“ ექსკლუზიური ინტერვიუ ვიტალი კლიჩკოსთან



რა აქვს ჩაფიქრებული ირაკლი ოქრუაშვილს და როგორ აპირებს ის გორში კენჭისყრას



კიტოვანის რუსული მისია საქართველოში

„თენგიზ კიტოვანმა ჩაიდინა სერიოზული სახელმწიფო დანაშაული – სამხედრო გადატრიალების შედეგად ჩამოაგდო კანონიერი პრეზიდენტი, აფხაზეთში კი თვითნებურად დაიწყო ომი“

## გახდება თუ არა მერობის კანდიდატი ირაკლი მეძმარიაშვილი

გია კორკოტაშვილი: „ირაკლი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჩემთან არავინ არ შეთანხმებულა ამ საკითხზე“

## პირველად 7 წლის შემდეგ რომან გოცირიძე სკანდალურ საიდუმლოს ამხელს

EXCLUSIVE

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მორიგი მსხვერპლი



**my View**
**მირიან ბოქოლიშვილი**

**გასულ კვირას გეგუთის კოლონიაში მომხდარმა საზარელმა მკვლელობამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ სასჯელაღსრულების სისტემა ამ ხელისუფლებისთვისაც სერიოზულ გამოწვევად რჩება... თუ წინა წლებში პატიმრებისადმი არაადამიანურ მოპყრობაში ციხის ადმინისტრაციას ადანაშაულებდნენ, ახლა მათ ე.წ. მაყურებლები უსწორდებიან. გიგა ფარტენაძის ოჯახისთვის, ალბათ, ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვინ მოკლა 25 წლის ახალგაზრდა წამებით – ციხის ადმინისტრაციამ თუ პატიმრებმა.**

ერთ-ერთი ვერსიით, გასულ კვირას გეგუთის კოლონიაში გიგა ფარტენაძე ე.წ. თავანის არჩაბარების გამო მოკლეს, მეორე ვერსიით კი, მას მხოლოდ იმიტომ გაუსწორდნენ, რომ დადგენილ „ობშიაკში“ ფული შენატანზე უარი თქვა. სოზარ სუბარის უწყებაში მიზეზებზე არ საუბრობენ, გავრცელებულ პრესრელიზში მხოლოდ მომხდარ ფაქტს ადასტურებენ და აცხადებენ, რომ საქმე შემდგომი გამოძიების მიზნით პროკურატურას გადასცეს. აი, რას წერს სასჯელაღსრულების სამინისტრო მომხდარის შესახებ:

„2014 წლის 4 მარტს, დაახლოებით ღამის 2:30 საათზე, გეგუთის #14 დაწესებულებაში, ექვსადგილიან საკანში, სადაც ხუთი მსჯავრდადებული იმყოფებოდა, პატიმრებს შორის დაპირისპირება მოხდა, რაც ერთ-ერთი მსჯავრდადებულის გარდაცვალებით დასრულდა. პირველადი ინფორმაციით, გარდაცვლილ პატიმარს მრავლობითი დაზიანებები აქვს მიყენებული, მათ შორის თავისა და ყელის არეში. გარდაცვალების ზუსტი მიზეზი ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ გახდება ცნობილი. ფაქტზე დაწყებულია გამოძიება. ადგილზე იმყოფება საქმის ზედამხედველი პროკურორიც“.

საქმის ზედმიწევნით გამოძიებას ითხოვენ არასამთავრობო ორგანიზაციები და სახალხო დამცველიც. ომბუდსმენის სპეციალური წარმომადგენელი, რომელიც ციხეში იმყოფებოდა, აცხადებს, რომ გარდაცვლილ მსჯავრდადებულს ბლაგვი საგნით მიყენებული მრავლობითი სახის დაზიანებები აღენიშნება. გარდაცვლილის ოჯახში კი ყვებიან, რომ გიგა ფარტენაძე ღამის სამის ნახევარზე მასთან ერთად საკანში მყოფმა პატიმრებმა აწამეს და მოკლეს. გარდაცვლილი პატიმრის ძმა კობა ფარტენაძე ეჭვობს, რომ ამ ინციდენტთან დაკავშირებით ციხის ადმინისტრაცია წინასწარ იყო ინფორმირებული.:

„ჩემს ძმას სხეულზე წამების კვალი აღენიშნება. როგორც თავად ადმინისტრაცია ამბობს, თავში ბლაგვი საგნის ჩარტყმით გარდაიცვალა. თითქოს ასეთი საგნები საკნებში დაშვებულია. რეალურად, გიგას ჩაიდანი აქვს ჩარტყმული, საშინლად არის ნაწამები, თვალი აქვს ამოთხრილი, ექსპერტიზის პასუხი კი დაკრძალვიდან ერთ კვირაში იქნება ცნობილი... ეს ფაქტი ვერ მოხდებოდა ისე, ციხის ადმინისტრაცია საქმის კურსში რომ არ ყოფილიყო“, – ამბობს კობა ფერტენაძე.

გიგა ფარტენაძეს ყაჩაღობისთვის 16-წლიანი პატიმრობა ჰქონდა მისჯილი, თუმცა, როგორც ოჯახის ახლობლები ამბობენ, მას თავის დროზე ბრალი არასწორად წარუდგინეს და სინამდვილეში, თურქი ეროვნების მეზობელ მამაკაცთან მოუხდა შელაპარაკება. მკვლელობის დღეს საკანში, გიგას გარდა, კიდევ სამი პატიმარი იმყოფებოდა. როგორც გარდაცვლილის ახლობლები ყვებიან, ისინი გეგუთში 4 დღის წინ თბილისიდან გადაიყვანეს. მათივე თქმით, გიგას წამებაში უშუალოდ ორი პატიმარი მონაწილეობდა, მესამე კი, უბრალოდ, უყურებდა ამ ყველაფერს. გავრცელებული ინფორმაციით, თანამესაკნეები სასჯელს განზრახ მკვლელობის ბრალდებით იხდიდნენ.

**გარდაცვლილის ძმა: „გიგას ჩაიდანი აქვს ჩარტყმული, საშინლად არის ნაწამები, თვალი აქვს ამოთხრილი“**

**რა ხდება გეგუთის კოლონიაში და რატომ ვერ ახერხებს სოზარ სუბარის უწყება ვითარების გაკონტროლებას? „პრაიმტაიმი“ გთავაზობთ, გეგუთის ციხის ერთ-ერთი პატიმრის ინტერვიუს, რომელიც აცხადებს, რომ სასჯელაღსრულების ამ დაწესებულებას ე.წ. მაყურებლები აკონტროლებენ და „ობშიაკი“ ადმინისტრაციის თანამშრომლების ნებართვით იკრიბება:**



## კორტავას შემდეგ წამებით კიდევ ერთ პატიმარს კლავენ

– გეგუთში ზონის „მაყურებლები“ მოგვივარდნენ, ამბავი მოგვიწყვეს, მერე რამდენიმე კაცი ჩაგვყარეს და წამოგვიყვანეს აქ. სამეურნეო ნაწილში დააყენეს თავიანთი ბრიგადირი, თავიანთი არჩეული, დღესაც ისინი არიან იქ, თუ არ ვემორჩილებოდით, მათ ჭკუაზე არ დავდიოდით, გავიფიცეთ, აღარ ვმუშაობდით. წავიდა უფროსი, ჩამოგვიყვანა „მაყურებელი“ ბებია კახამ და მისმა მოადგილემ, მოგვიყვანეს სადღაც, იმათ კიდევ გვითხრეს: „აქ რა დღეში ხართ, „პალაჟენიას“ გვიფუჭებთო! რა გინდათო, უნდა წახვიდეთო!“, ამას შეხლა-შემოხლა მოჰყვა და უფროსმა გვითხრა, „უნდა წახვიდეთ, თორემ პრობლემები შეგექმნებათო“. აქ მოიყვანეს „ვალონკა“ და ძალით უნდოდათ ჩავესვით, მერე ძმაკაცმა ხელი გადაიჭრა, სამივე მოგვიყვანეს აქ, ისინი კიდევ იქ „გულაობენ“. მაგათი დაყენებული ბრიგადირია, როგორც უნდათ, ისე ათამაშებენ.

**– სად გადაგიყვანეს და ვინ?**

– გლდანში გადმოგვიყვანეს სამი კაცი. მიზეზი არ განუმარტავთ, ის არის, რომ ვერ მოვრიგდით „მაყურებლებთან“ და ის, რომ უფროსს დავუპირისპირდით, უფროსმა მოიყვანა ეს „მაყურებლები“, რატომ უპირისპირდებით უფროსსო. უფროსმა საჭმელი არ მოგვცა და იქიდან დაიწყო ეს ყველაფერი.

**– კახა ბებია დიდი ხანია მოსულია დაწესებულებაში?**

– ერთი თვეც არ არის, რაც მოვიდა.

**– მისი მოსვლის შემდეგ სიტუაცია როგორ შეიცვალა?**

– სამეურნეო ნაწილს ყველაფერი გადაუკეთა, ვითომ არ არის, „მაყურებლებთან“ არ ჩნდება, მაგრამ „ფარჩაკს“ ეძახიან, იქ ღამღამობით შედის და იქ ლაპარაკობენ, რა ხდება, როგორ, ინფორმაციებიც მივაწოდე, როგორ შემოდიოდა „დაჩკებიდან“ არაყი, წამალი, მაგრად დამცინა და აგერ გამომიშვა გლდანში. ვმუშაობდი ორ ადგილას და ახლა აგერ ვარ გლდანში ჩაკეტილი.

**– თქვენ ახლა წამალი ახსენეთ, როგორ შემოდიოდა ციხეში?**

– ჩვეულებრივად, „დაჩკებში“. „მაყურებლებს“ კარგი ურთიერთობა ჰქონდათ „დაჩკების“ უფროსთან, ფრიდონასთან. პეტრიაშვილის დროიდან მოყოლებული.

**– „ობშიაკი“ ახსენეთ, როგორ გროვდება ის?**

– ჩვეულებრივ ყველა კარტაზე იხსნებოდა დილით 60 თეთრი და შუადღისას 1 ლარი. ყოველ საღამოს გადადიოდა ჩვენიანი, თანხა რომ დაგროვდებოდა, ჩამოწერდნენ ანგარიშს და ყოველდღე ატანდნენ „მაყურებლები“ „აბსლუგის“ ხალხს, ბრიგადირებს, ვინც იყო მათი დაყენებული. ჩამოწერდნენ ანგარიშს და გარეთ ატანდნენ, ათეთრებდნენ, „გრევებს“ უკეთებდნენ ქუთაისის ციხეს, თამაშობდნენ. თითქოს შეიცვალა ყველაფერი, მაგრამ რა შეიცვალა? შეიცვალა სამეურნეო ნაწილი, იქ ყველაფერი არეულია, ყველაფერი „მაყურებლების“ ჭკუაზეა.

**– თქვენ ვინ გითხრათ, რომ კარტიდან ფული უნდა მოიჭრას?**

– „სხადნიაკი„ მოაწყვეს „მაყურებლებმა“ და ყველას უთხრეს, რომ კარტიდან – საღამოს 60 თეთრი, შუადღისას კი 1 ლარი უნდა მოიჭრას. „მაყურებლებმა“ დააწესეს ეს.

**– საერთოს სჭირდება და საერთოს მოხმარდებაო? ეს ციხის ხელმძღვანელობამ იცის?**

– იცის, მაგრამ რას აკეთებს? ვერაფერს. დღედაღამე წამლის კაიფში არიან.



ლევან კორტავა



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ი გეგუთის ციხეში



## რატომ ვერ ახერხებს სოზარ სუბარი ვითარების გაკონტროლებას?





გიგა ფარტენაძე

„მაყურებლებისა“ და ციხის ადმინისტრაციის ურთიერთთანამშრომლობა დადასტურდა კორტავას გახმაურებულ საქმეშიც. ახალგაზრდა პატიმარს ლევან კორტავასაც, არცთუ დიდი ხნის წინ, გეგუთის კოლონიაში გაუსწორდნენ სასტიკად და მოკლეს. პროკურატურამ ეს საქმე გახსნილად გამოაცხადა. აი, რა დასკვნამდე მივიდა მაშინ საგამოძიებო ორგანო.

ლევან კორტავასა და უსაფრთხოების განყოფილების ინსპექტორ ილია შანშაშვილს შორის, ფსიქოტროპული პრეპარატების გაცემასთან დაკავშირებით მოხდა შელაპარაკება. ილია შანშაშვილმა ლევან კორტავასთან კონფლიქტური სიტუაციის გარკვევა დაავალა მსჯავრდადებულ შოთა სინაურიძეს, მეტსახელად „ბულდოგას“. ლევან კორტავასა და შოთა სინაურიძეს შორის დაწყებული საუბარი კონფლიქტსა და ფიზიკურ შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა, რომლის მიმდინარეობისას ლევან კორტავამ, ძალადობის საპასუხოდ, ხელი დაარტყა შოთა სინაურიძეს. მომხდარის თაობაზე ცნობილი გახდა უსაფრთხოების ინსპექტორ ილია შანშაშვილისთვის, რომელმაც უგულებელყო მასზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობა – უზრუნველეყო მსჯავრდადებულთა უსაფრთხოება, გამოევლინა და აღეკვეთა დანაშაული.

ილია შანშაშვილის ამგვარი დამოკიდებულებით წახალისებულმა შოთა სინაურიძემ და ამავე დაწესებულებაში მცხოვრებმა, ასევე, მსჯავრდადებულმა გიორგი შემაზაშვილმა (მეტსახელად „გორსკი“) ლევან კორტავა ძალის გამოყენებით წაიყვანეს მეექვსე კორპუსის მესამე სართულზე მდებარე 338-ე საკანში, სადაც სხვა მსჯავრდადებულებთან – სოლომონ დაშნიანთან, გელა უშხვანთან (მეტსახელად „გალსკი“) და თეიმურაზ გურეშიძესთან (მეტსახელად „რუბენიჩი“) ერთად ლევან კორტავას მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. მსჯავრდადებულთა მიერ ფიზიკური ანგარიშსწორების მიზნით ლევან კორტავას საკანში შეყვანის შესახებ იმთავითვე იყო ცნობილი ილია შანშაშვილისთვის, რომელსაც სამსახურებრივად ევალებოდა მსჯავრდადებულის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, დანაშაულის აღკვეთა და მზადების სტადიაში მისი აცილება, თუმცა ამის მიუხედავად, არაფერი იღონა კონფლიქტის აღსაკვეთად და მისი უმოქმედობით მოძალადე პირებს საშუალება მისცა, გასწორებოდნენ ლევან კორტავას. #338 საკანში ძალადობის შედეგად ლევან კორტავას ცხვირიდან სისხლი წამოუვიდა. ცემის დასრულების შემდეგ კი მას მიეცა საკნის დატოვების საშუალება.

რამდენიმე წუთში ნაცემ ლევან კორტავასთან, რომელიც სხვა პატიმრებთან ერთად მეექვსე კორპუსის მეოთხე სართულზე იმყოფებოდა, მივიდნენ ზემოხსენებული დაწესებულების პატიმრები – ლაშა კვანტალიანი, შოთა სინაურიძე, გიორგი შემაზაშვილი, სოლომონ დაშნიანი, გელა უშხვანი, თეიმურაზ გურეშიძე და ნუგზარ ბუჩუაძე (მეტსახელად „რიჟა“), რომლებმაც სასაუბროდ გაიხმეს ლევან კორტავა #336 საკანში, სადაც იგივე მიზეზით – მსჯავრდადებულ შოთა სინაურიძის ფიზიკური შეურაცხყოფის გამო, ხელებითა და ფეხებით, ასევე ელექტროჩაიდნისა და ვენტილატორის მყარი დეტალის გამოყენებით, დაახლოებით 10 წუთის განმავლობაში, ჯგუფურად, გონების დაკარგვამდე, განსაკუთრებული სისასტიკით სცემეს უმწეო მდგომარეობაში მყოფი ლევან კორტავა.

განხორციელებული ძალადობის შედეგად ლევან კორტავამ მიიღო მძიმე ხარისხის სიცოცხლისთვის სახიფათო დაზიანებები, კერძოდ, მრავლობითი ნაჭდევები და სისხლნაჟღენთები შუბლის, ორივე თვალბუდის, მარჯვენა საფეთქლისა და ცხვირის მიდამოში, სისხლჩაქცევებით ქალას რბილი საფარის ქსოვილში, რბილ გარსებსა და თავის ტვინის ნივთიერებაში, ასევე ცხვირის ძვლის ხაზოვანი მოტეხილობა.

ამ ყველაფრის შემდეგ სასჯელის თავიდან აცილების მიზნით ილია შანშაშვილმა დაწესებულების რამდენიმე თანამშრომელთან შეთანხმებით მოახდინა მტკიცებულების ფალსიფიკაცია. კერძოდ, 2013 წლის 13 მაისს, დაახლოებით 01:30 საათისთვის, მსჯავრდადებულის დაშავების ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, შემთხვევის ადგილის დათვალიერების მიზნით მისულ გამომძიებელს განზრახ არასწორად მიუთითა ლევან კორტავას სხეულის დაზიანების ადგილი და განუცხადა, რომ ლევან კორტავამ დაზიანებები მიიღო მეორე სართულის კიბიდან დაგორების შედეგად, რაც რეალობას არ შეესაბამებოდა. ამგვარად, საგამოძიებო მოქმედების – შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმზე ხელმოწერით ილია შანშაშვილმა მტკიცებულების ფალსიფიკაციის გზით მცდარ კვალზე დააყენა გამოძიება.

„2013 წლის 2 აგვისტოს სამსახურებრივი გულგრილობის სასიკვდილო შედეგით დასრულებული, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, განსაკუთრებული სისასტიკით, ჯგუფურად, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებაში დახმარებისთვის და სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების ფალსიფიკაციის ჩადენისთვის დაკავებულ იქნა სად-ის #14 დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების ინსპექტორი ილია შანშაშვილი. საქართველოს სსკ-ის 342-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის – სამსახურებრივი გულგრილობის – ჩადენისთვის ბრალდება წარედგინებათ სად-ის #14 დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების ინსპექტორ გიგა კოხოძესა და სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების ინსპექტორ (კონტროლიორ) ალექსანდრე ბაბუნაშვილს, ხოლო სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების ფალსიფიკაციის ჩადენისთვის სად-ის #14 დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების ინსპექტორ თენგიზ ნასარეიას“, – განაცხადეს პროკურატურაში კორტავას საქმეზე.

გამოძიებამ, ასევე, დააკავა ზემოაღნიშნული ძალადობრივი დანაშაულის ჩამდენი ერთ-ერთი პირი, ადრე განზრახი დანაშაულისთვის ნასამართლევი გიორგი შემაზაშვილი, რომელიც ზემოაღწერილი დანაშაულის ჩადენის შემდეგ, 2013 წლის 7 ივნისს სასჯელის მოხდის გამო განთავისუფლებული იყო საპატიმრო დაწესებულებიდან. იგივე ბრალდება წარედგინათ დანაშაულის ჩამდენ დანარჩენ პირებსაც – ლაშა კვანტალიანს, შოთა სინაურიძეს, სოლომონ დაშნიანს, გელა უშხვანს, თეიმურაზ გურეშიძესა და ნუგზარ ბუჩუაძეს, რომლებიც ამჟამადაც საპატიმრო დაწესებულებაში არიან.

პროკურატურის მიერ ამ საქმის გამოძიების მიუხედავად, გეგუთში სულ რამდენიმე თვეში კიდევ ერთ პატიმარს კლავენ. ვნახოთ, რამდენად ეფექტური იქნება საგამოძიებო ორგანო 25 წლის გიგა ფარტენაძის გარდაცვალების საქმის გამოძიებისას.

**პატიმარი: „სხადნიაკი“ მოაწყვეს „მაყურებლებმა“ და ყველას უთხრეს, რომ კარტიდან საღამოს – 60 თეთრი, შუადღისას კი 1 ლარი უნდა მოიჭრას. „მაყურებლებმა“ დააწესეს ეს“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სკანდალი, რომელსაც შეს…

მარიამ ნადირაძე

**საგამომცემლო ბიზნესში დიდი აურზაური რომ იყო, ამის შესახებ გვსმენია და წიგნების ფასებიც გვაგრძნობინებს ამას, მაგრამ, როგორც ამ თემაზე მუშაობამ მიგვანიშნა, სულ სხვა ხიბლი ჰქონია სახელმძღვანელოების ბიზნესს, რომელმაც, როგორც გვიყვებიან, განათლების მინისტრობის დროს დიმა შაშკინიც მონუსხა. ეს არის საქმე, რომელზეც ის პროკურატურაშიც დაიკითხა, თუმცა გამოძიება დასკვნებს ჯერაც არ ჩქარობს. იქნებ იმიტომ, რომ სწორედ შაშკინს უმადლის ამჟამინდელი ხელისუფლება ირაკლი ალასანიას სიცოცხლის გადარჩენას 2012 წლის არჩევნებამდე? ან იქნებ იმიტომ, რომ მას ამერიკელი პატრონები ჰყავს? ან იქნებ იმიტომ, რომ მას დღეს ხელისუფლებაში მფარველობენ? ან იქნებ, სულაც მართლაც იმიტომ, რომ ის მართალია?**

ამის შესახებ ჩვენი მკითხველი დასკვნებს თავად გამოიტანს, ვინაიდან ამჯერად სტატიას სულ სხვა ფორმატში შემოგთავაზებთ:

ეს არ არის დაპირისპირება პროკურატურაში და არც ტელედებატები. „პრაიმტაიმი“ დაპირისპირებულ მხარეებს საგაზეთო ფორმატში წარმოგიდგენთ და გარწმუნებთ, რომ ეს ექსპერიმენტი უფრო თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს მათ არგუმენტაციას. ხოლო მათ დამაჯერებლობაზე მკითხველი სტატიის გაცნობის შემდეგ იფიქრებს.

**მაშ ასე:**

2010 წელს, შაშკინის გამინისტრებამდე ერთი წლით ადრე სკოლებში სახელმძღვანელოების შემოტანაზე გრიფირება გამოცხადდა. გამარჯვებულ კომპანიებს 2015 წლამდე არაფერი ემუქრებოდათ, თუ, რა თქმა უნდა, ისინი ნაკისრ ვალდებულებებს შეასრულებდნენ და ეროვნული სასწავლო გეგმა არ შეიცვლებოდა. მხოლოდ ეს ორი მიზეზი შეიძლებოდა გამხდარიყო 2010 წლის გრიფირების გაუქმებისა და ახლის გამოცხადების საფუძველი.

## კორუფციული ჩანაფიქრი, თუ ბავშვების განათლებაზე ზრუნვა?

**ირაკლი კერესელიძე, კავკასიის აკადემიური ცენტრის (CAC) ადვოკატი:**

– ჩვენს კომპანიას საქართველოში 2005 წლიდან შემოჰქონდა ძალიან მაღალი ხარისხის ინგლისური ენის სახელმძღვანელოები – ეს იყო ოქსფორდის, ფერსონის, კემბრიჯის, მაკმილანის გამომცემლობის სახელმძღვანელოები. ამის გარდა, მოვიგეთ გრიფირება განათლების სამინისტროში, რაც გულისხმობდა იმას, რომ ჩვენ ვაწვდიდით ამ სახელმძღვანელოებს საჯარო სკოლებს. ეს საკმაოდ წარმატებული ბიზნესი იყო და ამავდროულად უნიკალური, რადგან ჩვენ კონკურენტები არ გვყავდა, ვისაც ამ გამომცემლებთან ხელი მიუწვდებოდა... როცა განათლების მინისტრად შაშკინი დაინიშნა, სიტუაციას გადახედა და ფულის შოვნა გადაწყვიტა.

**დავით ცეცხლაძე, კავკასიის აკადემიური ცენტრის (CAC) დამფუძნებელი:**

– შაშკინს მოუნდა სასკოლო სახელმძღვანელოების სრული მონოპოლიზება. მანამდე ის ჩვეულებრივი „ნადზირატელი“ იყო და არ ჰქონდა ბიზნესსქემების აწყობის გამოცდილება. ბუნებრივია, ის დაეკითხებოდა თავის მასწავლებელს, ზურა ადეიშვილს, როგორ მიეთვისებინა ეს ბაზარი და სქემაც შედგა: ქართულ გამომცემლობებს ძალიან მარტივად გაუმკლავდნენ. შექმნა კანონი, რომლის საფუძველზეც აიძულა ქართული გამომცემლობები, სამინისტროსთვის მიეცათ საავტორო უფლება. ანუ, შემდგომ სამინისტრო თვითონ დაბეჭდავდა ამ წიგნებს. მაშინ მის წინააღმდეგ ხმა არავინ ამოიღო და ყველა შეეცადა, შაშკინთან სიტუაცია „დაელაგებინა“. ყველაფერი იმით დასრულდა, რომ უხარისხო სახელმძღვანელოები არაადეკვატურ ფასად იყიდებოდა. მისი მარჟა რამდენიმე ასეული პროცენტი იყო. თუმცა, ჩვენი თემა განსხვავებული აღმოჩნდა, რადგან პირდაპირი ურთიერთობა გვქონდა ბრიტანულ გამომცემლობებთან, ისინი კი საავტორო უფლებას არავის გადასცემდნენ, ამიტომაც შაშკინმა სხვა გზა მოძებნა. ჩანაფიქრის განხორციელებამდე მოსამზადებელი სამუშაოები ჩაატარა: მან და თავისმა ცოლმა გამოიყენეს კომპანია, „ინგლისური წიგნი საქართველოში“, რომლის დამფუძნებლები პირობითი სუბიექტები არიან, თუმცა შაშკინისა და მისი მეუღლის პირდაპირი კავშირი ამ კომპანიასთან მარტივად დგინდება. შემდეგ ის გაემგზავრა ბრიტანეთში გამომცემლობებთან შესახვედრად. ამ შეხვედრის დროს მას ახლდა კომპანია „ინგლისური წიგნი საქართველოში“-ს მაშინდელი დამფუძნებელი, ლიზა ბრაუნი, რომელიც მერე თვითონ შაშკინმა მოიშორა. მოგვიანებით მას ჩვენთან ჰქონდა კომუნიკაცია – მეც მომატყუეს და მეც გადამაგდესო. მაგრამ იმ მომენტში ლიზა ბრაუნი წარმოადგენდა იმ კომპანიას და ახლდა შაშკინს. ჩვენ გვაქვს კონკრეტული მონაცემები, თუმცა ეს გამოძიების სფეროა, რომ ლიზა ბრაუნი აფინანსებდა ინგლისში შაშკინის ცხოვრებას და სხვა ხარჯებს... მოვლენებს გავუსწრებ და აქვე ვიტყვი, რომ მოგვიანებით სწორედ ამ კომპანიამ დაიწყო მაკმილანის სახელმძღვანელოების მიწოდება სკოლებისთვის.

**– როგორც ვხვდები, შეთანხმება მაკმილანის გამომცემლობასთან შედგა...**

– დიახ, ვინაიდან შაშკინს მხოლოდ ფინანსური მიზნები ამოძრავებდა. სხვა სოლიდური გამომცემლობები მასთან კორუფციულ გარიგებაში არ შევიდოდნენ. მაკმილანს კი ამის გამოცდილება უკვე ჰქონდა: სომხეთში მან მონოპოლიის პიკს მიაღწია, როდესაც სომხური ენისა და ლიტერის სახელმღვანელოების ბეჭდვაც კი დაიწყო, სანამ ამ ქვეყანაში მიხვდნენ, რომ ეს სფერო, ფაქტობრივად, კვდებოდა და დაახლოებით 5 წელია, რაც გააგდეს მისი ბაზრიდან. სუდანში კორუფციული გარიგებით მოიგეს ტენდერი, სადაც საუბარი იყო რამდენიმე სკოლის სახელმძღვანელოების მიწოდებისა და ბიბლიოთეკების მოწყობის თაობაზე და ამ ფაქტის გამო ის 18 მილიონი დოლარით დააჯარიმეს. ამ კომპანიასთან შაშკინმა გააფორმა მემორანდუმი, რომელიც დღემდე გასაიდუმლოებულია. მან მაკმილანს მთელი ბაზარი შესთავაზა, რომელიც 600 ათას მოსწავლეს წარმოადგენდა და დაჰპირდა, რომ ის იქნებოდა სახელმძღვანელოს ექსკლუზიური მიმწოდებელი. შაშკინისა და მაკმილანის გარიგების შედეგად შეირჩა სახელმძღვანელო, რომელიც რუსეთის ბაზრისთვის იყო განკუთვნილი. პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით მოსწავლეები სწავლობენ სახელმძღვანელოდან, რომელზეც 22 რუსი ავტორი მუშაობდა. ამ წიგნის სახელწოდებაა „ინგლიშ ვორლდ“. არადა, ამ წიგნის სტრუქტურა რომ აიღოთ, ნახავთ, რომ ის ჰიპოთეტურად კი არ არის რუსეთის ბაზრისთვის განკუთვნილი, არამედ რეალურად ტექსტებშიც აისახება რუსული ტენდენციები. შაშკინმა მხოლოდ და მხოლოდ ფინანსური ინტერესების გამო, იმიტომ, რომ წიგნის თვითღირებულება იქნებოდა ძალიან დაბალი, შემოიტანა რუსული ბაზრისთვის განკუთვნილი წიგნები და ამის მთავარი მოტივაცია იყო ის, რომ მიეღო დიდი მარჟა. მიიღო კიდეც. ძალიან უხეშად რომ ვთქვათ, ასეთი წიგნის თვითღირებულება იქნება სამი ლარი ადგილზე ჩამოტანით, ადგილზე კი იყიდებოდა 25-30 ლარად. ეს შეგიძლიათ მოსწავლეების რაოდენობაზე გადაამრავლოთ. 2011 წლიდან ისინი ამ თანხას მოსწავლეებისგან და მათი მშობლებისგან იღებდნენ. 2013 წლიდან კი, რაც უფასოდ დარიგდა სახელმძღვანელოები, თანხა ბიუჯეტმა გადაუხადა შაშკინის კომპანიას. რამდენიმე მილიონზეა საუბარი, თუ ათეულზე არა... გამგზავრებამდე კი გააუქმა გრიფირება, ისე, რომ ამის კანონისმიერი საფუძველი არ ჰქონდა. სანამ ახალი გრიფირება გამოცხადდებოდა, შაშკინმა მანამდე გააფორმა მემორანდუმი მაკმილანთან და განაცხადა, რომ მომავალი წლიდან მოსწავლეები ამ სახელმძღვანელოთი ისწავლიან. იმ დროს, როდესაც კონკურსი სახელმძღვანელოებზე გამოცხადებულიც კი არ იყო. არადა სწორედ კონკურსის დროს უნდა შეირჩეს კომპანია, წიგნი, ფასი, სპეციფიკა... მაგრამ შაშკინმა ამ ყველაფერს წინ გაასწრო და ერთპიროვნულად გადაწყვიტა გამარჯვებული... ამის მიუხედავად, როცა გრიფირება გამოცხადდა, ჩვენმა კომპანიამ მაინც შეიტანა განაცხადი...



„შაშკინს მოუნდა სასკოლო სახელმძღვანელოების სრული მონოპოლიზება. მანამდე ის ჩვეულებრივი „ნადზირატელი“ იყო და არ ჰქონდა ბიზნესსქემების აწყობის გამოცდილება. ბუნებრივია, ის დაეკითხებოდა თავის მასწავლებელს, ზურა ადეიშვილს, როგორ მიეთვისებინა ეს ბაზარი და სქემაც შედგა“

# რა კორუფციულ სქემაში იმხილება განათლების ყოფილი მინისტრი?



ირაკლი კერესელიძე

**დიმიტრი შაშკინი:**

– თავშივე ტყუილია ეს ყველაფერი. 2011 წელს ძალაში შევიდა ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელიც იყო დაგეგმილი ჩემს მინისტრობამდე. ეს ბოლონიის პროცესის თანახმად მოხდა. ამიტომ გრიფირება იყო გამოცხადებული ყველა სახელმძღვანელოზე.

**– რამ განაპირობა, რომ მაკმილანთან შესახვედრად მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირი პირადად ჩახვედით და მემორანდუმი გააფორმეთ?**

– თუ გახსოვთ, იყო პროგრამა, როცა საქართველოში ჩამოგვყავდა ამერიკელი და ინგლისელი მასწავლებლები, რაც ახალმა ხელისუფლებამ შეწყვიტა. მე თვეში ერთხელ ვხვდებოდი მათ. სწორედ მათი პოზიცია იყო, რომ მაშინ არსებული სახელმძღვანელოები იყო ნაგავი.

**– ოქსფორდის, კემბრიჯისა და ფერსონის სახელმძღვანელოებზეა საუბარი?**

– ასეთი იყო ამ მასწავლებლების კომენტარი იმ სახელმძღვანელოებზე, რომლითაც ვასწავლიდით ბავშვებს და მეთოდიკაც მეოცე საუკუნის 80-იანი წლების იყო. ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ საქართველოში სასწრაფოდ ჩამოგვეყვანა გიგანტები. ამ მიზნით ჩავედი ინგლისში, შევხვდი განათლების მინისტრს, ოქსფორდისა და მაკმილანის გამომცემლობებს. ჩემი ერთადერთი თხოვნა იყო, რომ ისინი ბაზარზე შემოსულიყვნენ. მათთვის საქართველო 600 ათასი მოსწავლით ბიზნესის კუთხით საინტერესო არ იყო. მაგრამ ამის შემდეგ ჩავრთეთ მძიმე არტილერია, დიპლომატები და საბოლოოდ ამან შედეგი გამოიღო. მემორანდუმს მოეწერა ხელი, რომელშიც ეწერა, რომ, თუ ისინი შემოვიდოდნენ ჩვენს საგამომცემლო სივრცეში, ჩვენ ამას მივესალმებოდით.

**– რატომ არის ეს მემორანდუმი გასაიდუმლოებული?**

– სულაც არ არის გასაიდუმლოებული. ასეთი მემორანდუმი გაფორმ-



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# აძლოა, შაშკინი შეეწიროს

# EXCLUSIVE

## „პრაიმტაიმი“ აქვეყნებს დოკუმენტს, რომელსაც ჯერ გამოძიებაც არ გაცნობია

**From:** Poole, Andrew
**To:** cacbooks@cac.ge
**Sent:** Wednesday, February 16, 2011 4:04 PM
**Subject:** Memorandum

Dear Tamuna,

Thank you for your email.

Firstly, I'd like to apologise for not informing you about this earlier. Since Cathy's recent departure from Macmillan I've taken control of this project, although it was well under way before she left.

Yes, a delegation from the Ministry visited Oxford this week to sign a Memorandum of Cooperation with Macmillan. In our discussions with the Ministry one of their requests was always that the importation of approved books should be controlled and only through one local partner so that there is the maximum amount of accountability if problems arise. This was agreed to be The English Book in Georgia . Therefore I'm sorry to say that we will be making approved titles exclusively available to The English Book in Georgia . I am awaiting final confirmation of which titles and levels but until then I will be market restricting English World, Inspiration and Laser with immediate effect.

I can assure you that in such circumstances we prefer to supply to multiple distributors as this reduces the risk to Macmillan. However, as I said, one of the conditions here was that this would be supplied on an exclusive basis and, having investigated this potential business thoroughly, we are keen to proceed.

I'm sorry that I'm unable to send you more positive news.

With best wishes

Andy

Andy Poole
Regional Manager
Central and Eastern Europe
Macmillan Education

ებული მაქვს ჩოგბურთისა და რაგბის ფედერაციებთან, რომ ისინი სკოლებში კურსებს გახსნიდნენ, თეატრების ასოციაციებთან, ჩინეთის საელჩოსთან, „სონი ქორფორეიშენთან“, გარი კასპაროვთან.

**– როდესაც თქვენ მაკმილანთან მემორანდუმი გააფორმეთ, გრიფირება გამოცხადებულიც არ იყო და თქვენ უკვე საჯარო განცხადებით გვაცნობეთ, რომ მომავალი წლიდან ქართველი მოსწავლეები მიიღებენ მაკმილანის სახელმძღვანელოებს.**

– მე იურისტი ვარ და ასეთ შეცდომებს არ ვუშვებ. მე ვთქვი, რომ ამ მემორანდუმის შემდეგ საქართველოს ბავშვებს ექნებათ შესაძლებლობა, ისწავლონ მსოფლიოში საუკეთესო სახელმძღვანელოებით. ეს იურიდიულად გამართული განცხადებაა და ამაში ვერავინ ვერასდროს დაინახავს ზეწოლას.

**– მსოფლიოში საუკეთესო სახელმძღვანელოა რუსული ბაზრისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელო? მათ ყდაზე 22 რუსი ავტორია დაფიქსირებული...**

– ეს არ იყო რუსული ბაზრისთვის განკუთვნილი. ერთ-ერთ სახელმძღვანელოში მართლაც მონაწილეობდნენ რუსი კონსულტანტები, სადაც საუბარია რუს კოსმონავტებზე. ყველაფერი შეუძლიათ, დამაბრალონ, მაგრამ პრორუსულობას ვერ დამაბრალებენ. მაგრამ ის, რომ გაგარინი პირველი კოსმონავტი იყო, ტერეშკოვა კი – პირველი კოსმონავტი ქალი, ამას ვერავინ უარყოფს. კიდევ ერთხელ მინდა, ხაზი გავუსვა, რომ მაკმილანი, მსოფლიოში #1 გამომცემლობაა ინგლისური ენის სახელმძღვანელოსი.

**– თუმცა, როგორც ამბობენ, ის კორუფციაში იყო შემჩნეული სუდანსა და სომხეთში...**

– თუ ვინმეს ამაზე პრეტენზია აქვს, მას შეუძლია მიმართოს ინტერპოლს, დიდი ბრიტანეთის სამართალდამცავ ორგანოებს და დარწმუნებული ვარ, რომ იქ არავინ არასდროს შეარჩენს რამეს კრიმინალს. მე რამდენადაც ვიცი, მიმართა დიდი ბრიტანეთის საელჩოს და გააკეთა თავისი განმარტებები. პირადად მე კი ვამაყობ, რომ ეს პროგრამა დავიწყეთ და თუ ვინმეს ეჭვი აქვს იმაში, რომ მე ვინმესთან კორუფციულ გარიგებაში შევედი, ნებისმიერ შეკითხვას ვუპასუხებ.

**– ეს ეჭვი რომ არსებობს, თქვენ იცით და პროკურატურაც იძიებს ამ საქმეს...**

– ვისი განცხადებითაც დაიწყო ეს გამოძიება, ვერ მოინელა, რომ პროკურატურამ ნახა, როგორ ჩადო მაკმილანმა 3 მილიონი მასწავლებლების გადამზადებაში, ვერ მოინელა ის, რომ ეს სამი მილიონი არავის ჯიბეში არ წასულა.

**– ძვირია მაკმილანის სახელმძღვანელოები?**

– ჩემი მთავარი პირობა იყო, რომ ის არ უნდა ყოფილიყო 10 ლარზე მეტი. როცა 2010 წელს გრიფირების გარეშე შემოსული ეს სახელმძღვანელოები ღირდა 36 ლარი.

**– ეტყობა, არ გაითვალისწინეს თქვენი თხოვნა? 30 ლარამდე ღირს...**

– გაითვალისწინეს. თქვენ გატყუებენ... ამ მემორანდუმის საფუძველზე არავითარი ვალდებულება არ აუღია სახელმწიფოს. მე რომ მაკმილანისთვის ექსკლუზიური უფლება მიმენიჭებინა, აქამდე ცხრაჯერ დამიჭერდნენ...

**– ბატონო დიმა, რომელ კომპანიას უნდა შემოეტანა სახელმძღვანელოები ინგლისიდან?**

– თუ არ ვცდები, ასე ჰქვია – „ვორლდ ლერნინგი“, რომელიც მაკმილანის ოფიციალური პარტნიორია.

**– მაშინ როგორ მიიღო გრიფირება კომპანიამ „ინგლისური წიგნი საქართველოში“?**

– მაშინ არ გამოვრიცხავ, რომ მე უბრალოდ, კომპანიის დასახელება მეშლება.



„შაშკინმა მხოლოდ და მხოლოდ ფინანსური ინტერესების გამო, იმიტომ, რომ წიგნის თვითღირებულება იქნებოდა ძალიან დაბალი, შემოიტანა რუსული ბაზრისთვის განკუთვნილი წიგნები და ამის მთავარი მოტივაცია იყო ის, რომ მიეღო დიდი მარჟა. მიიღო კიდეც. ძალიან უხეშად რომ ვთქვათ, ასეთი წიგნის თვითღირებულება იქნება სამი ლარი ადგილზე ჩამოტანით, ადგილზე კი იყიდებოდა 25-30 ლარად. ეს შეგიძლიათ მოსწავლეების რაოდენობაზე გადაამრავლოთ“

**– თქვენ და თქვენს მეუღლეს ამ კომპანიასთან არავითარი კავშირი არ გაქვთ?**

– ხო, მართლა, ამის შესახებ ამერიკაში ყოფნის დროს გავიგე, როცა ამაზე გამოძიება დაიწყო. კომპანიის დამფუძნებელი, რომელსაც ეს წიგნები შემოჰქონდა, იყო ინგლისის მოქალაქე, ევა ბრაუნი...

**– ლიზა ბრაუნს გულისხმობთ?**

– მაპატიეთ, დიახ... იყო საუბარი, რომ თითქოს სინამდვილეში ლიზა ბრაუნი არ არსებობდა და რეალურად ის შაშკინი იყო.

**– მაგრამ იმ კომპანიის წარმომადგენელი, რომელმაც გრიფირება მოიგო, გრიფირების გამოცხადებამდე გახლდათ თქვენ მაკმილანთან შეხვედრის დროს, ლონდონში.**

– ვადასტურებ, რომ ის იქ დამხვდა...

### სკანდალური დოკუმენტი

„პრაიმტაიმი“ მკითხველს წარმოუდგენს დოკუმენტს, რომლის არსებობის შესახებ ჯერ გამოძიებაც არ არის ინფორმირებული. ამ დოკუმენტით ირკვევა, რომ დიმა შაშკინი მემორანდუმის წინ მაკმილანთან ითხოვდა, რომ მისი წიგნების შემოტანის ექსკლუზიური უფლება კომპანიას „ინგლისური წიგნი საქართველოში“ მინიჭებოდა. გთავაზობთ ამონაწერს წერილიდან, რომელიც CAC-ს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში მაკმილანის რეგიონულმა მენეჯერმა გაუგზავნა:

„...დიახ (განათლებისა და მეცნიერების) სამინისტროს დელეგაცია ოქსფორდს ეწვია ამ კვირას იმისთვის, რომ მაკმილანთან თანამშრომლობის მემორანდუმზე მოეწერა ხელი. მინისტრის ერთ-ერთი მოთხოვნა თავიდანვე იყო, რომ გრიფირებული სახელმძღვანელოების იმპორტი კონტროლქვეშ უნდა იყოს და უნდა განხორციელდეს მხოლოდ ერთი ადგილობრივი პარტნიორის მეშვეობით. სამინისტროს განცხადებით, ეს შესაძლებლობას მისცემს მათ, მაქსიმალური პასუხისმგებლობა დააკისრონ კომპანიას პრობლემების შექმნის შემთხვევაში. ჩვენ შევთანხმდით, რომ აღნიშნული კომპანია „ინგლისური წიგნი საქართველოში“ იქნებოდა...

მინდა დაგარწმუნოთ, რომ მსგავს შემთხვევებში ჩვენ ვამჯობინებთ რამდენიმე დისტრიბუტორს მივაწოდოთ სახელმძღვანელოები, ვინაიდან ეს მაკმილანისთვის ნაკლები რისკის მატარებელია. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, სამინისტროს ერთ-ერთი პირობა იყო, რომ სახელმძღვანელოები ექსკლუზიურად ერთ კომპანიას უნდა მიეწოდოს. ჩვენ დეტალურად შევისწავლეთ აღნიშნული კომპანია და სურვილი გვაქვს, მონაწილეობა მივიღოთ ამ პროექტში“.

თუ ამ წერილის ავტორს ვენდობით, მოგვიწევს, ეჭვი შევიტანოთ შაშკინის განცხადებაში იმის თაობაზე, რომ კომპანია, რომლის სახელწოდებაც, როგორც წინამორბედ თავში გაეცანით, მას „არ ახსოვდა, უცხო იყო მაკმილანისთვისაც (?! – მ.ნ.)

### განადგურებული ბიზნესი, წართმეული ავტორიზაცია და გზა ციხეში

**დავით ცეცხლაძე:**

– როცა შაშკინი ამ ბიზნესით დაინტერესდა, შეისწავლეს ჩვენი ძლიერი მხარეები და აღმოაჩინეს ჩვენი მყარი კონტაქტები პრესტიჟულ ბრიტანულ გამომცემლობებთან, რომლის ასე მარტივად წალება გაუჭირდებოდათ. იმის ფონზე, როცა არსებობდა ოქსფორდის, კემბრიჯის, ფერსონის გამომცემლობები და მათი წიგნები, შაშკინის უხარისხო, რუსული ბაზრისთვის განკუთვნილი წიგნი მათ კონკურენციას ვერ გაუწევდა, ამიტომაც გადაწყდა ჩვენი კომპანიის განადგურება. სქემა იყო მარტივი: მე დამიკავშირდა შაშკინის მოადგილე, კოკა სეფერთელაძე და მთხოვა, რომ უნდოდა გასაუბრება. მითხრა, ეს პროექტი მე მაბარია და იმისთვის, რომ გრიფირება მიიღოს თქვენმა კომპანიამ, გვჭირდება კონკრეტული თანხა და წილიო. იქვე დამიკონკრეტა, რომ მათთვის უნდა მიგვეცა მესამედი. რაზეც პირდაპირ უარი მიიღო... მივხვდით, რომ ეს დიალოგი პროვოკაციაზე იყო გათვლილი. ჩვენი გათვლა ლოგიკური აღმოჩნდა, რადგან საბოლოოდ მე ქრთამის შეთავაზების ბრალდებით დამაპატიმრეს.

**– და ეს საჯაროდ გამოქვეყნებული ვიდეომასალითაც დაადასტურეს...**

– ეს ყველაფერი ასე მოხდა: კოკა სეფერთელაძემ გადამამისამართა, ვინმე ფელიქს უბირიასთან, რომელიც მაშინ შაშკინის თანაშემწე იყო. მე იძულებული გავხდი, გამეკეთებინა ფარული ჩანაწერი, რომელიც ადასტურებს, როგორ მძალავდა ფულს და პირდაპირ მევაჭრებოდა ფელიქს უბირია. 50 ათასს მთხოვდა მინისტრის სახელით. თურმე ეს თანხა საჭირო ყოფილა გრიფის ექსპერტთა ჯგუფისთვის.

**– გამოდის, რომ ამ შეხვედრებს თქვენც იწერდით და ისინიც...**

– მაგრამ მათ თავისი ჩანაწერი თავის სასარგებლოდ დაამონტაჟეს.

**– როცა დაგიჭირეს, მაშინ რატომ არ წარადგინეთ თქვენს ხელთ არსებული ჩანაწერი?**

– იმ დროს ამას აზრი არ ექნებოდა. როგორც კი პოლიტიკური ვითარება შეიცვალა და ფიზიკური განადგურების საფრთხე აღარ იყო, მაშინ გამოვაჩინეთ ჩანაწერი... როდესაც ციხეში მოვხვდი, კომპანიამ გრიფირების კომისიიდან უარი მიიღო ჩვენგან შეთავაზებულ სახელმძღვანელოებზე. ამას გარდა, ჩვენს კომპანიას უმაღლეს საგანმანათლებლო საქმიანობაზე ავტორიზაცია ჩამოერთვა. კომპანიის წინააღმდეგ მრავალმხრივი შეტევა განხორციელდა. არ იკმარეს, რომ ბიზნესი წაგვართვეს, ვინაიდან ჩვენ მყარი კავშირები გვქონდა ინგლისელ პარტნიორებთან, დღის წესრიგში დადგა კომპანიის იმიჯის შელახვა და სწორედ ამიტომ ძალა არ დაიშურეს, რათა ციხეში მოვხვედრილიყავი და უმაღლეს სასწავლებელს ავტორიზაცია ჩამორთმეოდა.

**დიმა შაშკინი:**

– ეს ადამიანი იყო ჩვეულებრივი კრიმინალი, რომელიც დაკავებული იყო მინისტრისთვის ქრთამის შემოთავაზების გამო. მან შეიძლება დამაბრალოს, რომ მე ვარ მარსის სპეცსამსახურების აგენტი. მან ვერ მოინელა, რომ ჩვენი ხელისუფლების პირობებში ფულს არ ვიღებდით, ამისთვის დაისაჯა და ახლა რაღაც სისულელეებს ლაპარაკობს...

**– თუმცა ეს არის ადამიანი, რომელსაც თქვენი წინამორბედის პირობებში ჰქონდა მიღებული გრიფირება...**

– ჩვენ ხომ არ ვიყავით უცოდველი მთავრობა? ჩვენც ვუშვებდით შეცდომებს.... რაღაც შეცდომა მე დავუშვი, რაღაც – ჩემმა წინამორბედებმა... ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ისინი მივიდნენ მამაჩემთან და შესთავაზეს ქრთამი იმისთვის, რომ მას ჩემზე მოეხდინა ზეგავლენა და ამ ორგანიზაციას მიეღო გრიფირება. ამის შესახებ ღიად არასდროს მითქვამს. პირველად ახლა თქვენთან ვსაუბრობ. აღშფოთებულმა მამაჩემმა გააგდო ეს ხალხი და მე შემატყობინა. მე საქმის კურსში ჩავაყენე ზურაბ ადეიშვილი და ვანო მერაბიშვილი. ვანო მერაბიშვილმა კუდ-ს მისცა დავალება და ამ დეპარტამენტის თანამშრომლები ჩაერთვნენ საქმეში. რამდენიმე განათლების სამინისტროში იყო მოვლინებული, თითქოს ისინი თანამშრომლები იყვნენ, ვინაიდან ცეცხლაძეს შეიძლებოდა სხვებისთვისაც შეეთავაზებინა ქრთამი. კუდ-მა დაგეგმა ოპერაცია და ჩაატარა კიდეც. ცეცხლაძე ქრთამის გადაცემის მომენტში დააკავეს...

**– გინდათ თქვათ, რომ ფელიქს უბირია კუდ-ის ოფიცერი იყო?**

– მე არ ვიცი სახელი და გვარი, მაგრამ ისინი დღესაც მუშაობენ სისტემაში და მათი დაკითხვა თავისუფლად შეუძლიათ. ბოლოს და ბოლოს კამერამ გადაიღო, ფული როგორ მიიტანა... ამ კაცს ქრთამი რომ არ შემოეთავაზებინა, გრიფირებას მიიღებდა, მიუხედავად იმისა, რომ მისი შემოტანილი სახელმძღვანელოები ერთი თაობით ჩამორჩებოდა მაკმილანისას. მაგრამ ქრთამის შემოთავაზების შემდეგ ყველანაირ გრიფირებაზე საუბარი ზედმეტია...

### შაშკინის მფარველები და დაუსრულებელი გამოძიება

დღეს ორივე მხარე ჩივის, რომ გამოძიება ჭიანურდება და აქაც სხვადასხვა მიზეზები სახელდება.

**დიმა შაშკინი:** „ყველაზე ადვილია სიმართლის დამტკიცება, როდესაც მართალი ხარ. არაფერია ამდენი გამოსაძიებელი. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, თუ ვინმეს აქვს რაიმე სამართლებრივი პრეტენზია ჩემთან, მე მზად ვარ, ჩვენებაც მივცე, დებატებშიც მივიღო მონაწილეობა, თუ გნებავთ სიცრუის დეტექტორზეც გავიარო შემოწმება, ყველანაირად მზად ვარ. გამოძიება კი ნიურნბერგის პროცესივით იწელება...“

ირაკლი კერესელიძე: „გასული წლის მაისში დაიწყო გამოძიება. პროკურატურისთვის კორუფციული სქემა თვალსაჩინო იყო. ფაქტობრივად, საქმე მზად იყო იმისთვის, რომ საპროცესო გადაწყვეტილება მიღებულიყო, თუმცა დღემდე ჩვენთვის დაზარალებულის სტატუსი არ მოუციათ. როდესაც კანონმდებლობა გვეუბნება, რომ გამოძიება უნდა ჩატარდეს ეფექტურად და გონივრულ ვადაში, ჩნდება კითხვა – რამდენად გონივრულია, როდესაც შენ სრული სურათი გაქვს კრიმინალური ქმედებების, გაქვს მტკიცებულებები, გყავს დე ფაქტო დაზარალებული და შენ ამას არ აძლევ სვლას და თაროზე გაქვს შემოდებული? „ინგლისური წიგნი საქართველოში“ დღესაც, ფაქტობრივად, შაშკინისგან იმართება. სამწუხაროდ, ვერ დავასახელებთ წყაროს, მაგრამ ზუსტი ინფორმაცია გვაქვს, რომ ამ კომპანიის კურატორობას ფიზიკურად წევს შაშკინის მეუღლე. როდესაც მაკმილანის წარმომადგენლობა ჩამოდის საქართველოში, ან „ინგლისური წიგნი საქართველოში“-ს წარმომადგენლები ჩადიან იქ, ამ ყველაფრის გიდობას თაობს შაშკინის მეუღლე. მეტიც, როგორც კი რაღაც კითხვები ისმის ამ კომპანიის ფორმალური წარმომადგენლების მისამართით, მაშინვე ერთვებიან შაშკინი და მისი მეუღლე. ანუ, გადაფარვა ძალიან ხილულია. სამართალდამცველებისთვის ეს კავშირი აბსოლუტურად ნათელია.

**დავით ცეცხლაძე:** მინდა მივმართო პროკურატურას, რომ დააჩქაროს გამოძიება, საჭიროა, დასახელდნენ კონკრეტული დამნაშავეები. თავად გამომძიებელმა აღნიშნა, რამდენიმე სისხლის სამართლის დანაშაული იკვეთებაო. ჩვენ ველოდებით, რომ მიეცეს პასუხისგებაში ყველა, ვინც ამ ბიზნესის წართმევასთან არის დაკავშირებული, ვინაიდან ყველანაირი გონივრული ვადა უკვე ამოწურულია. თუ ასე არ მოხდება, ბუნებრივია, დავასახელებ იმ ადამიანებს, ვინც მფარველობს შაშკინის ბიზნესს და მერე საზოგადოებამ განსაჯოს, რატომ მფარველობენ და რა ინტერესები აქვთ.



დავით ცეცხლაძე

თემურ დოლიძე, გენერალური პროკურატურის პრესსამსახურის უფროსი: „საქმეზე მომუშავე პროკურორის თქმით, მიმდინარეობს ინტენსიური გამოძიება. სხვას ვერაფერს დავამატებთ“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ჩემი სიცოცხლე „ცეე

მარიამ ნადირაძე

**ეს მკვლელობა უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ორჯერ გახდა საერთაშორისო სკანდალის მიზეზი. პირველად მაშინ, როდესაც 1993 წლის 8 აგვისტოს ნატახტარის გზაზე ედუარდ შევარდნაძის პირადი დაცვის უფროსის, ელდარ გოგოლაძის მანქანაში ამერიკელი დიპლომატი, ფრედი ვუდროფი მოკლეს, რომელიც სინამდვილეში აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს გამოცდილი თანამშრომელი აღმოჩნდა. მეორედ კი მაშინ, როდესაც გასულ წელს ამერიკაში ვიზიტად მყოფმა იუსტიციის მინისტრმა, თეა წულუკიანმა განაცხადა, რომ სისხლის სამართლის ეს საქმე გადაიხედება, ვინაიდან არსებობს ბევრი დეტალი, რომელიც ამ საქმეზე დამნაშავედ გამოცხადებული ანზორ შარმაიძის უდანაშაულობაზე მიუთითებს.**

ამ განცხადების ერთადერთი შედეგი მხოლოდ მომხდარიდან 20 წლის შემდეგ მსოფლიო პრესის ისევ ახმაურება იყო, თორემ შარმაიძე დღესაც ნასამართლევად ითვლება და მისი საქმე შევარდნაძის ხელისუფლების შემდეგ არც ერთ მემკვიდრეს არ გადაუხედავს, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ხელისუფლებისთვის შარმაიძის გასამართლებლად ამერიკელებთან გაკეთებული განცხადება საუკეთესო საშუალება იყო მათი კეთილგანწყობის მოსაპოვებლად.

იმისთვის, რომ მკითხველი შარმაიძესთან ექსკლუზიური ინტერვიუსთვის შევამზადოთ, საქმის ზოგიერთ საეჭვო დეტალს გავიხსენებთ:

შემთხვევა ნატახტარის გზაზე მოხდა, მაშინ, როდესაც ქვეყანა რუსული და ამერიკული სპეცსამსახურების ღია ბრძოლის პოლიგონად იყო გადაქცეული. არსებობს ეჭვი, რომ ვუდროფმა საქართველოში ყოფნისას გაცილებით დიდი საიდუმლო შეიტყო, ვიდრე ჩვენს ქვეყანაზე გამავალი ნარკოტიკების ტრანზიტული გზებია. მისი სიცოცხლე აშკარა საფრთხეს უქმნიდა ვიღაცას. ამიტომაც გადაწყდა სასწრაფოდ მისი ლიკვიდაციის ოპერაცია. ეს ოპერაცია კი დაემთხვა საქართველოში მისი ხელმძღვანელის, რუსული განყოფილების უფროსის ოლდრიჩ ეიმსის ვიზიტს. არსებობს ეჭვი, რომ ვუდროფმა მის ხელთ არსებული ინფორმაცია გაანდო ეიმსს, რითაც გაუცნობიერებლად საკუთარი სიცოცხლე შეაგდო სასწორზე...

ამ სკანდალური მკვლელობის შემდეგ ელდარ გოგოლაძე შევარდნაძემ დაკავებული პოსტიდან მართალია, გაათავისუფლა, მაგრამ საზოგადოებრივ აქტიურობას არ ჩამოშორებია.

ანზორ შარმაიძე, რომელმაც 15-წლიანი სასჯელი მოიხადა, კვლავაც მოითხოვს საქმის გადახედვას და მისი უდანაშაულობის დადასტურებას.

**„პრაიმტაიმი“ მკითხველს სწორედ მასთან ექსკლუზიურ ინტერვიუს სთავაზობს, სადაც ანზორ შარმაიძე ყველაფერს დეტალურად იხსენებს, რა მოხდა 1993 წლის 5 აგვისტოდან (როდესაც ის აფხაზეთის ომიდან თბილისში დაბრუნდა) დღემდე:**

## „ისე მცემეს, მკვდარი ვეგონე. „რეზბალნიცაზე“ რომ წამიყვანეს, მორგში უნდოდათ ჩემი მოთავსება, მაგრამ უფროსმა, ნაშლის ჯანაშიამ არ დამანება“



ანზორ შარმაიძე

## „პროკურორმა ჩემს შემთხვევაშიც დახვრეტა მოითხოვა, მაგრამ მოსამართლემ 15 წელი მომისაჯა“



ანზორ შარმაიძე 20 წლის წინ

– 5 აგვისტოს ჩამოვედი აფხაზეთიდან. მაშინ მთელი ბრიგადა ჩამოვიდა.

**– რომელ ბრიგადაში იყავით?**

– გია ყარყარაშვილთან. ბატალიონის მეთაური იყო კობა დიასამიძე... იმ დღეს სოფელში მივდიოდი. მე ვარ დუშეთის რაიონიდან. ბენზინი გაგვითავდა და ტექთან გავჩერდით.

**– ვისი მანქანით იყავით?**

– ჩემი მეგობრის, გელა ბედოიძის მანქანით... მივედით ინსპექტორებთან. 5 ლიტრი ბენზინი მოგვცეს. ამის სამაგიეროდ საზამთრო და სასმელი შევთავაზე, რაც მანქანაში მქონდა. მოულოდნელად მოვიდნენ და დაგვიჭირეს. პირადად შევარდნაძის პირადმა დაცვამ.

**– ელდარ გოგოლაძეს გულისხმობთ?**

– დიახ... დაახლოებით თორმეტი კაცი იყო, იარაღით – არ გაინძრეთ, თორემ დაგცხრილავთო. ჩვენ სამნი ვიყავით. იარაღი მარტო მე მქონდა, სოხუმიდან წამოვიღე, არ ვიცი, აფხაზის იყო თუ ჩეჩენის.

**– წინასწარ უკვე ვიცი პასუხი, მაგრამ მაინც გკითხავთ: ინსპექტორებთან მისვლამდე ესროლეთ „ნივას“, რომელმაც არ გაგიჩერათ?**

– არა, რას ამბობთ?! მანამდე კუკიაზე ვიყავით, მეგობრის საფლავზე. იქ ნამდვილად გავისროლე ჰაერში. არასდროს მიყვარდა და არც ახლა მიყვარს იარაღის გამოყენება, სადაც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილია.

**„ეს არაფერია იმასთან შედარებით, რასაც მე მიკეთებდნენ: ფეხის გულებზე მირტყამდნენ რეზინის „დუბინკებს“. პირდაპირ ტვინში გირტყამს ამ დროს და ფეხები თავზე დიდი ხდება... ფრჩხილები დამაძვრეს „პლოსკოგუბცით“. ყველას ნიღბები ეკეთა, ვინც ამას აკეთებდა“**

**– ნატახტარიდან სად წაგიყვანეს?**

– მცხეთაში. იქ ცოტა ხნით გავჩერდით. მანქანიდანაც არ გადავუყვანივართ. ფიზიკურად არ შეგვხებიან. ერთადერთი, ჩემს მეგობარს ჰქონდა ხელი გაგლეჯილი, რადგან დაკავების დროს მას ეჭირა ჩემი ავტომატი და ხელი ჰქონდა გაგლეჯილი, რადგან ჩაარტყეს ავტომატის კონდახი... მერე წამოგვიყვანეს თბილისში. შეგვიყვანეს პარლამენტის შენობაში, სავარჯიშო დარბაზში. ელდარ გოგოლაძემ იკითხა, ვისია ავტომატიო? ჩემია-მეთქი... სად ისროლეო? კუკიაზე-მეთქი და ეგრევე ავტომატი თავზე გადამარტყა. დღესაც მეტყობა ნაიარევი. მაშინ არ ვიცოდი, ვინ იყო. იქიდან პირველი მაისის რაიონის განყოფილებაში გადაგვიყვანეს, მარჯანიშვილზე. იქიდან უშიშროების განყოფილებაში (მოგვიანებით დაზვერვის დეპარტამენტის შენობა. – მ.ნ.). იქ იყო გამომძიებელი, თემურ მეტრეველი. გვქონდა ჯვარედინი დაკითხვა. ავთო იოსელიანის ოთახში ვიყავით.

**– ის ესწრებოდა დაკითხვას?**

– არა. ის ერთადერთხელ შემოვიდა და მანაც დასვა კითხვა – იარაღი



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რუს“ დამსახურებაა...“

## ამერიკელი მზვერავის მკვლელობაში ბრალდებული 20 წლის შემდეგ „პრაიმტაიმთან“ დეტალურად საუბრობს

# EXCLUSIVE

**„კრიტში ვიყავი, როცა იქაური პატიმრის მეუღლის დახმარებით სტრასბურგში გავაგზავნე საჩივარი. რამდენიმე ხანში ჩამოვიდა უარი, ქალბატონი თეა წულუკიანის ხელმოწერით – არანაირი ახალი გარემოება არ ჩანსო. მაშინ ის სტრასბურგში მუშაობდა...“**

სად ისროლეთო? იმასაც ვუთხარი, – კუკიაზე-მეთქი.

**– ელდარ გოგოლაძე იქაც იყო?**

– არა, პარლამენტის შენობის შემდეგ, ის აღარ მინახავს. ერთი კვირა ისე ვიყავი დაჭერილი, რომ რისთვის დამიჭირეს, არ მიმხელდნენ. ვუდროფის გასვენებას იოსელიანის კაბინეტში ვუყურე. ჩვენზე მოჩენილ დაცვას ვკითხე, რა მოხდა-მეთქი. იმისგან გავიგე, „ცეერუს“ თანამშრომელი მოკლესო. დიპლომატის სტატუსით იყო საქართველოში ჩამოსულიო. ამას რაღას ერჩოდნენ-მეთქი... სამი დღე ვიყავი იქ. მერე შემოვიდა თემურ მეტრეველი. გვითხრა, თავისუფლები ხართ, ბიჭებო, სახლში წადითო. ჩემი ავტომატი მოვიკითხე. ამ იარაღით ვომობდი. შევამოწმებთ და დაგიბრუნებთო. უკვე მანქანაში ვიყავით ჩამსხდრები, რომ მეტრეველმა დაგვიძახა, ერთი წუთით ამოდითო. ავედით თუ არა, მაშინვე ხელბორკილები დაგვადეს და ქალაქის სამმართველოში გადაგვიყვანეს. დღესაც, არ ვიცი, რა მოხდა. იქაც იგივე, ერთადერთ კითხვას მისვამდნენ, – სად ისროლე. მაშინ ქალაქის სამძებროს უფროსი იყო თემურ მურღულია, სამმართველოს უფროსი – დავით ზეიკიძე. მურღულიამ დამიძახა და მითხრა, – სამიდან ერთ-ერთი „სროკზე“ უნდა წახვიდეთო. ფურცელი დამიდო, – რომელსაც გინდა, დაადე ხელი, დანარჩენი ორი გარეთ გადიხართო. რომ წავიკითხე, ამ ფურცელზე რაც ეწერა, ვუთხარი, ამას მე ვერ გავაკეთებ-მეთქი. ფურცელზე ეწერა, თითქოს გამვლელმა მანქანამ არ გააჩერა და რომელიღაცამ ისროლა, რომელსაც მე ვიტყოდი. უარი ვთქვი, გარეთ რომ გავალ, ხალხს რა პასუხი გავცე, ან ჩემს მშობლებს რა ვუთხრა-მეთქი. ჩემი უარის შემდეგ, მურღულიამ მითხრა, მაშინ ყველაფერი საკუთარ თავს დააბრალეო. სამი დღის შემდეგ მე დამადო ორივემ ხელი. ორივე გაუშვეს. ერთი მილიციაში აღადგინეს, მეორეს „მიონში“ დააწყებინეს მუშაობა დაცვის უფროსად. მე კი დამატარებდნენ სამინისტროსა და სამმართველოს იზოლატორებს შორის.

**– სასამართლომ წინასწარი პატიმრობა შეგიფარდათ?**

– მაშინ სად იყო ასეთი რამე?.. ბოლოს ველარ გავუძელი და ხელი მოვუწერე აღიარებაზე.

**– რას ვერ გაუძელით?**

– ცემას, წამებას.

**– მაშინ ყველაზე აქტუალური მეთოდი დენზე შეერთება იყო. თქვენც ასე მოგექცნენ?**

– ეს არაფერია იმასთან შედარებით, რასაც მე მიკეთებდნენ: ფეხის გულებზე მირტყამდნენ რეზინის „დუბინკებს“. პირდაპირ ტვინში გირტყამს ამ დროს და ფეხები თავზე დიდი ხდება... ფრჩხილები დამაძვრეს „პლოსკოგუბცით“. ყველას ნიღბები ეკეთა, ვინც ამას აკეთებდა.

**„ჩემი უარის შემდეგ, მურღულიამ მითხრა, მაშინ ყველაფერი საკუთარ თავს დააბრალეო. სამი დღის შემდეგ მე დამადო ორივემ ხელი“**

**– აღიარებითი ჩვენება სასამართლოსაც მიეცით?**

– არა. სასამართლო 31 დეკემბერს ჩატარდა. იქ ვთქვი სიმართლე. მოსამართლე ჯემალ ლეონიძე იყო. ცნობილი მოსამართლე იყო იმით, რომ 10-დან 9 შემთხვევაში დახვრეტა გამოჰქონდა. პროკურორმა ჩემს შემთხვევაშიც დახვრეტა მოითხოვა, მაგრამ მოსამართლემ 15 წელი მომისაჯა ღია დაწესებულებაში მოხდით, იმიტომ, რომ ფული იყო გადახდილი, 15 ათას დოლარამდე. წელიწადზე 1000 დოლარი იყო გადახდილი... რუსთავის #2 კოლონიაში წამიყვანეს. მალევე კრიტი მომცეს, სამი წელი.

**– რამე დააშავეთ?**

– რომც არ დააშავო, ადამიანს 15 წელი რომ აქვს მისჯილი, ყოველთვის გაქცევაზე უჭირავს თვალი და ეს ადმინისტრაციამაც კარგად იცის.

**– 1996 წელს შოთა კვირაიამ განაცხადა, ვუდროფი რუსეთის სპეცსამსახურებმა მოკლესო. 1997-ში, მართალია, მცირე ხნით, მაგრამ მაინც, ელდარ გოგოლაძე სარფის საკონტროლო-გამშვებ პუნქტზე რადიაქტიური ნივთიერების, ნარკოტიკებისა და იარაღის კონტრაბანდის მცდელობისთვის დააკავეს. ამ ფაქტს თქვენს საქმეზე გავლენა არ მოუხდენია?**

– არა... პირიქით... 1994 წელს ზონაში მოვიდნენ, „სპრავკა ასვაბაჟდენია“ დამიდეს წინ და მითხრეს, უნდა გაგათავისუფლოთ, მაგრამ მანამდე სამმართველოში უნდა წაგიყვანოთ რაღაც დოკუმენტებზე ხელის მოსაწერადო. სამმართველოში ისეთი საქმეების აღიარება მომთხოვეს, სიზმარშიც რომ არ დაესიზმრებოდა ადამიანს – ყაჩაღობებს, მკვლელობებს... ისე მცემეს, მკვდარი ვეგონე. „რეზბალნიცაზე“ რომ წამიყვანეს, მორგში უნდოდათ ჩემი მოთავსება, მაგრამ უფროსმა, ნაულის ჯანაშიამ არ დამანება. მაშინ ორივე ფილტვში ჩამიდგა წყალი. სიცხეები მქონდა 42 გრადუსამდე. სასწაულით გადავრჩი. ზონაში რომ დამაბრუნეს, ამის შემდეგ მომცეს სამი წელი კრიტი. ორჯერ შემოვიდნენ ჩემთან ამერიკის ფედერალური ბიუროს თანამშრომლები...



ფრედი ვუდროფი

**– ამასობაში ისინიც აწარმოებდნენ გამოძიებას, არა?**

– დიახ. მათ შემომთავაზეს სიცრუის დეტექტორზე გასვლა. დავთანხმდი, ოღონდ ვუთხარი, მხოლოდ ამ საქმეზე დამისვით კითხვები-მეთქი. მათ კი უნდოდათ, ომზეც მელაპარაკა. ვერ შევთანხმდით. სხვათა შორის, კრიტში ვიყავი, როცა იქაური პატიმრის მეუღლის დახმარებით სტრასბურგში გავაგზავნე საჩივარი. რამდენიმე ხანში ჩამოვიდა უარი, ქალბატონი თეა წულუკიანის ხელმოწერით – არანაირი ახალი გარემოება არ ჩანსო. მაშინ ის სტრასბურგში მუშაობდა... კრიტიდან რომ გამოვედი, სამ დღეში გავიქეცი. მაშინ საქართველოში „ცეერუს“ შეფი იყო ჩამოსული. ჩვენი ზონის უფროსს, ლადო იმედაშვილს ამერიკაში ჰქონდა დამთავრებული „ცეერუს“ სკოლა და იქ მისი მასწავლებელი იყო. ჩემზე რომ გაიგო, რაზეც ვიჯექი, იმედაშვილი მას დაუკავშირდა და უნდოდათ ჩემი გაყვანა. მე ამის შესახებ არ ვიცოდი. სიურპრიზს მიმზადებდა.

**– რამდენ ხანს იყავით მიმალვაში?**

– ზუსტად მეთერთმეტე დღეს დამიჭირეს და კიდევ ორი წელი დამიმატეს. ისევ კრიტში გამიშვეს.

**– როდესაც სააკაშვილი მოვიდა ხელისუფლებაში, ვუდროფის ოჯახის ადვოკატმა, მაიკლ ფილარამ მას უნივერსიტეტში შეხვედრის დროს დაუდასტურა თქვენი უდანაშაულობა... რამე შეიცვალა მას შემდეგ?**

– მაიკლ ფილარა ჩემთან ხშირად შემოდიოდა. სწორედ მისი შუამდგომლობით, სისტემატური კავშირი მქონდა მასთან ციხეში ყოფნის დროსაც და ახლაც ვაგრძელებთ ურთიერთობას. 2004 წელს ჩემმა ორმა „მეგობარმა“ შეცვალა ჩვენება. დაიწყო ხელახალი გამოძიება. ისეთი მტკიცებულებები ჩაიდო საქმეში, რაც მანამდე არ ყოფილა, მაგრამ მალევე სააკაშვილის ბრძანებით ეს გამოძიება ისევ შეჩერდა. უკვე 2008 წელს მაშინდელი სახალხო დამცველის, სოზარ სუბარის დახმარებით მე ვადამდე გამათავისუფლეს.

**– ეს ის დროა, როდესაც ვადამდე, პრაქტიკულად, არავინ თავისუფლდებოდა. თქვენზე რატომ დაიშვა ეს გამონაკლისი?**

– ფულით ყველაფერი კეთდებოდა. მცხეთაში მაშინ მოსამართლე ისევ ჯემალ ლეონიძე იყო და საკმაოდ სერიოზულ ფულსაც აკეთებდა... როცა მე გამიშვეს, ლეონიძე აღარ იყო.

**– მთელი 15 წელი გაატარეთ ციხეში... დაჭერილი იყავით იმ ადამიანის მკვლელობაზე, რომელზეც დიდი ეჭვია, რომ რუსულმა სპეცსამსახურებმა მოიშორეს... დაგიჭირეს მაშინ, როდესაც საქართველო ორი ქვეყნის სპეცსამსახურს შორის გაჩაღებული ღია ომის პოლიგონი იყო. თქვენ როგორ დარჩით ცოცხალი?**

– ჩემი სიცოცხლე „ცეერუს“ დამსახურებაა...

**– ამას თქვენ გრძნობდით?**

– ვგრძნობდი, თანაც ვიცი, ზემოდან იყო დავალებული, რომ მე იქ არავინ უნდა შემხებოდა.

**– ვისგან?**

– არ მინდა გვარების დასახელება... რომ გამოვედი, მას შემდეგ ბევრი რამ გავაკეთე, რომ სააკაშვილის ხელისუფლება დასრულებულიყო. ხშირად მხვდებოდნენ ახლანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები, „ოქროს კომკებს“ მიგებდნენ, მაგრამ მე დღესაც მეუღლის დის ბინაში ვცხოვრობ, ქუთაისში მეუღლესთან და 2 თვის ქალიშვილთან ერთად და ჩემი შემოსავალი ომის მონაწილის 22 ლარია მხოლოდ. სამსახურის დაწყებაში ხელს ნასამართლობა მიშლის. ნასამართლობას კი არ მიხსნიან...

**– გასულ წელს თეა წულუკიანის განცხადებამ იმის შესახებ, რომ თქვენი საქმე გადაიხედებოდა, მსოფლიო პრესა ისევ ახმაურა 20 წლის წინანდელ მკვლელობაზე. მაშინ ეს საქმე რეალურად დაიძრა?**

– მხოლოდ მასმედია ახმაურდა. სულ ეს იყო. არადა რამდენჯერაც შეიცვალა პროკურორი, იმდენჯერ შევიტანე განცხადება. არავინ მეხმიანება. ეკა ბესელიამაც მოითხოვა, მიეწოდებინათ ინფორმაცია, რატომ არ გადაეცა საქმე სასამართლოს. ისევ არ გვაქვს პასუხი. ამდენი წელი გავიდა. რა მოხდა რეალურად, დღესაც არ ვიცი. ერთი რამ დანამდვილებით ვიცი – უსამართლობას შევეწირე და არამარტო მე, ჩემი შვილის მომავალიც ამას ეწირება.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# OR BELI GROUP ჯგუფი
# ორბელი





## ერისთავის ქ. N1
**ტელ: 2 14 75 75 / 595 60 90 13**

Ⓐ





OR BELI GROUP ჯგუფი
ორბელი

**100 ლარიანი**
**ვაუჩერი ორბელისგან**

წარმოადგინეთ ორბელის მაღაზიაში
და მიიღეთ 100 ლარის ფასდაკლება

მის: ერისთავის ქ. N1 ტელ: 595 60 90 13




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მაკა ჩიჩუას პირადი სკანდალები მედიაში







თეა ხომერიკი

**არამარტო ჩვენთან, ყველა ქვეყანაში ასეა - ხელისუფალი და მისი ოჯახი ყოველთვის სახალხო განხილვის თემაა. ასეა ბრიტანეთში, ასეა საფრანგეთში, ასეა საქართველოშიც... ხალხი უყურებს რა აცვია ქეით მიდლტონს, შემდეგ განიხილავს, ხშირად აკრიტიკებს კიდეც. ხალხს მძაფრი რეაქცია ჰქონდა საფრანგეთის პირველი ლედის თამამ წარსულზეც, პრესა წერდა, სტატიები სოცქსელებში განიხილებოდა, თუმცა იქ მასშტაბები დიდი იყო, იმაზე გაცილებით დიდი ვიდრე ეს საქართველოშია. ხალხი, მეტ-ნაკლებად, მაინც ერთნაირად რეაგირებს „სათვალთვალო ობიექტზე“, მით უმეტეს თუ საქმე ეხება ქალბატონს, რომელიც თუნდაც მხოლოდ პრეზიდენტის მეგობრის სტატუსით კმაყოფილდება. ხალხის და მედიის განხილვის თემად ქცეული მაკა ჩიჩუას პერსონა აქტუალობას არ კარგავს. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებას დღემდე ვერ გაუგია არის თუ არა ის პირველი ლედი, მასზე მაინც ლაპარაკობენ, თუმცა არცთუ უმიზეზოდ. მის სახელს არაერთი სკანდალი უკავშირდება, თუმცა, მისი არაოფიციალური სტატუსის გამო, ამ თემებზე მხოლოდ სოციალურ ქსელებში საუბრობენ. მაკა მედიასთან პირისპირ არ ჩნდება, არ იძლევა ინტერვიუს... მასზე არც პრეზიდენტი მარგველაშვილი საუბრობს. ზოგიერთი ამბობს, რომ მაკა ჩიჩუა კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწევა, თუმცა სოცქსელებში საპირისპირო კომენტარებსაც ვხვდებით, მაგალითად ასეთს: forum.ge - „მაკა ჩიჩუა ეხლა მსხვერპლად ნუ გამოგვყავთ. ხოშიანად გრძნობს თავს, დაქრის ჯიპებითა და დაცვით რესტორნებში და კაფეებში. ჯერ არ ვიცი „პაეზდკებში“ დაყვება თუ არა, მაგრამ მაგასაც არ მოიკლებს ჩვენს ხარჯზე“.**

**ჩიჩუაზე ინტერვიუებს იძლეოდნენ მისი მეგობრებიც:**

„მთელი“ თუ არა „ნახევარი“ თბილისის ბიჭებს მაკა ჩიჩუა უყვარდათ“, - ასე იხსენებს სტუდენტობის პერიოდს, გაზეთ „კვირის პალიტრასთან“ საუბარში, მაკა ჩიჩუას ბავშვობის მეგობარი, რეჟისორი და სცენარისტი გიო მგელაძე.

ის, რომ მაკა ჩიჩუა საპირისპირო სქესში პოპულარული იყო, ამაზე კომენტარები ინტერნეტსივრცეშიც გვხვდება: „მე ვიცნობ ბავშვობიდან მაკას. მეგობრები არ ვყოფილვართ. უბრალოდ, მეზობლები ვიყავით. საკმაოდ ცუდი წარსული აქვს, მაგრამ რას ვიზამთ“, - ეს „ambebi.ge“-ს ვებ გვერდზე გამოქვეყნებული მასალის კომენტარია, თუმცა, ალბათ, ყველაზე უვნებელი, რომელიც მის პერსონაზე დაწერილა. არის თემები, საკმაოდ სკანდალური, რაზეც ქართული მედია აქტიურად წერს. საქმე ეხება მკვლელობას, რომელშიც ჩიჩუას სიძეა გარეული - presa.ge აქვეყნებს მასალას სახელწოდებით „მარგველაშვილის კრიმინალური კლანი და სკანდალური ინფორმაცია, რომელსაც მალავენ“, სტატიაში მოყვანილია „23 წლის ზურა ტარყაშვილის მშობლების განცხადება, იმის შესახებ, რომ მათი შვილის ერთ-ერთი მკვლელი, პრეზიდენტ მარგველაშვილის მეგობარი ქალის, მაკა ჩიჩუას სიძე, ვინმე მინდია გოგოჭურია, რომელიც ადრე მკვლელობის მცდელობისთვის იძებნებოდა. აქვე ნათქვამია, რომ „გოგოჭური ცოტა ხნის წინ კოკაინის „პერედოზიროვკით“ საავადმყოფოშიც მოხვდა“...

მსგავსი სათაურით გავიდა primer-info.ge-ზე მასალა: „პრეზიდენტის სიძე რესპუბლიკურ საავადმყოფოში კოკაინის „პერედოზიროვკით“ მოხვდა“ ... სხვათა შორის, მაკა ჩიჩუას ირგვლივ ნარკოტიკების თემა არაერთხელ გაჟღერებულა. მათ შორის, როცა საუბარია ჩიჩუას ძმაზე, იქვე იძებნება ასეთი კომენტარებიც - „დაწერეთ რამე მაკა ჩიჩუას ძმაზე, არ იცით. მე ვიცი, რო მორფინისტობდა. ახლა წარმოდგენა არ მაქვს რას აკეთებს. ხო, ციხეშიც მოხვდა...“ (presa.ge). თბილისის ფორუმზე არც თავად მაკა ჩიჩუა დაინდეს და დაწერეს: „რა ყვითელკბილება პირველი ლედი გვეყოლება... მარიხუანამ გაუყვითლა ეტყობა...“

რაც შეეხება მაკა ჩიჩუას ძმას, მისი კრიმინალური ცხოვრების შესახებ პრესაში არაერთი სტატია გამოქვეყნდა:

„მორიგი სკანდალის შესახებ, ჩვენთვის ცნობილი ცოტა ხნის წინ გახდა. გავრცელებული ინფორმაციით, მაკა ჩიჩუას ძმა, საკმაოდ მძიმე დანაშაულისთვის გასამართლებული მიხელ ჩიჩუა, პრეზიდენტ მარგველაშვილის მფარველობით ციხიდან გათავისუფლდა.

ერთი ვერსიით ის მარგველაშვილმა შეიწყალა. მეორე ვერსიით კი, მას, პრეზიდენტის მეცადინეობით, ვადაზე ბევრად ადრე დაატოვებინეს ციხე. ცხადია, ჩვენ ამ ინფორმაციის ოფიციალურად გადამოწმება ვცადეთ. თავდაპირველად დავუკავშირდით შეწყალების კომისიის თავმჯდომარეს, ალექსანდრე ელისაშვილს. მან გვითხრა, რომ შეწყალებულ პირთა სია კონფიდენციალურია. იგივე გაგვიმეორეს შეწყალების კომისიის წევრებმა, ლია მუხაშავრიამ და ზვიად კორძაძემაც. რაც შეეხება შეწყალების კომისიის კიდევ ერთ წევრს, დავით ჯანდიერს, მან გვითხრა, რომ პრეზიდენტმა ბევრი ადამიანი შეიწყალა და ზუსტად არ ახსოვს იყო თუ არა, შეწყალებულთა შორის მიხეილ დავითის ძე ჩიჩუა“ - ესეც ერთ-ერთი ამონარიდია სოციალურ მედიაში გასული მასალიდან.

ამავე თემის გაგრძელებაა, კიდევ ერთი სტატია, რომელიც ასევე სოციალურ მედიაში გვხვდება. - „ერთი მხრივ, თუ მარგველაშვილის მიერ შეწყალებული პატიმრის ვინაობა საიდუმლოა, მეორე მხრივ კი, არსებობს ეჭვი იმის შესახებ, რომ პრეზიდენტმა ძველი მეგობრები და მეგობარი ქალბატონის ახლობლები შეიწყალა, როგორ უნდა მოხდეს ამ ინფორმაციის გადამოწმება? ისღა დაგვრჩენია, საზოგადოება ბრმად ენდოს მარგველაშვილის მიერ დაკომპლექტებულ შეწყალების კომისიას. იმ შემთხვევაშიც კი, როცა მათი წევრების უმრავლესობას, შესაძლოა, წარმოდგენაც კი არ ჰქონდეთ იმაზე, თუ რა აკავშირებს ამა თუ იმ შეწყალებულ პატიმარს, მარგველაშვილთან და მის მეგობარ ქალბატონ მაკა ჩიჩუასთან“,- ვკითხულობთ presa.ge -ს მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში.

იგივე presa.ge წერს: „ჩვენ ვაგრძელებთ ამ თემის გამოძიებას. ინფორმაცია, რომელიც მაკა ჩიჩუას ძმის, მისი ოჯახისა და მარგველაშვილის პირადი ინტერესების თაობაზე რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციას აქვს, საკმაოდ სკანდალურია. თუმცა, არ გვსურს მისი გადაუმოწმებლად გამოქვეყნება. თემებზე უკვე მუშაობენ ჯგუფები. ინფორმაციის მოძიება-გადამოწმებას აგრძელებენ არასამთავრობოებიც და ამ თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანი იქნება თქვენი, მკითხველის დახმარებაც“. ასე რომ, ამ სკანდალური თემის გაგძელებას კიდევ უნდა ველოდოთ.

არაერთი კითხვის ნიშანი გაჩნდა მაკა ჩიჩუას შვილის გვარის გამოც. როგორც ცნობილია, მაკას შვილი, მაშო, დედის გვარს ატარებს, ხოლო განმარტება მამის ვინაობის შესახებ, დღემდე არავის გაუკეთებია.

მაკა ჩაჩუას მეუღლე დიმიტრი დადიანი გახლდათ. რომელსაც მალევე დაშორდა. ნარკოტიკმა ამ ისტორიაშიც გაიჟღერა.

მოკლედ, ასეთი სკანდალურია ჩიჩუა. სხვათა შორის, როცა გიორგი მარგველაშვილი მაკაზე საუბრობდა, ეს, მგონი, მხოლოდ ერთხელ მოხდა, მან თქვა, მაკა კარგად ხატავს და განათლებულია. მაშინ მარგველაშვილს სოციალურ ქსელებშით შეახსენეს, რომ ჩიჩუა ვიზაჟისტადაც მუშაობდა და რომ ამ პროფესიაში არაფერი ცუდი არ არის. თუმცა, როგორც ჩანს, პრეზიდენტს ამ საკითხზე თავისი შეხედულება აქვს, თანაც ისეთი, რომ ურჩევნია ამ პროფესიაზე სულაც არ ილაპარაკოს. თუმცა, ის არც მაკაზე ლაპარაკობს.





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება






© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# კიტოვანის რუსული მისია საქართველოში

ქეთი ხატიაშვილი







**თენგიზ კიტოვანი ის პარაზიტია, რომელიც ყოველთვის მაშინ ჩნდება, როცა პოლიტიკაში პოლიტიკოსები ერთმანეთთან საერთო ენას ვერ პოულობენ. ასე იყო მაშინ, 90-იან წლებში. გია ჭანტურია და ზვიად გამსახურდია რომ პოლიტიკურ შეთანხმებამდე მისულიყვნენ, თენგიზ კიტოვანი იარაღს ხელში მაინც აიღებდა, იმიტომ რომ მან ასეთი დავალება მიიღო რუსეთიდან და ამაზე დღემდე წერენ. თუმცა, ის შექმნიდა მხოლოდ რისკებსა და საფრთხეებს, და ვერ გამოიწვევდა ისეთ დიდ კატაკლიზმებს, როგორიც პრეზიდენტის დამხობა, სამოქალაქო ომი, ქურდობა და მაროდიორობა იყო.**

როგორც ჩანს, ახლაც ეგონა, რომ მთავარი პოლიტიკური პარტიები ერთმანეთში ვერ მოილაპარაკებდნენ, რომ აქ ვითარება პოლიტიკურად იმდენად დაიძაბებოდა, რომ პარაზიტებისთვის ისევ გაჩნდებოდა „საქმე“. ამიტომაც დაბრუნდა საქართველოში არჩევნების შემდეგ და გამოაცხადა: მე პოლიტიკიდან არც წავსულვარო.

როგორც ჩანს, ისევ რუსეთმა გამოგზავნა. რისთვის? გამოცდილება კიტოვანს მხოლოდ სროლისა და არევის აქვს. ახლა ადგილობრივ არჩევნებში აპირებს მონაწილეობას. ადრე ბორის კაკუბავა იყო ჩამოსული და ლტოლვილებში ცდილობდა წყლის ამღვრევას, ახლა კიტოვანმა შემოუარა თავის „სასტავს“ – друг по оружию.

არა, სულაც არ მინდა იმის თქმა, რომ კიტოვანს ახლა რაიმე კატასტროფის გამოწვევა შეუძლია, მაგრამ რუსეთი, ალბათ, მაინც ამზადებს აქ ნიადაგს, აგროვებს პრორუსულ განწყობებს.

პარაზიტები ყოველთვის პარაზიტებად რჩებიან. კრემლს კი მათ მიმართ იმდენად დიდი სიყვარული აქვს, რომ, მაგალითად, იგორ გიორგაძეს დღემდე ინახავს. როგორც იტყვიან, „Умом Россию не понять“.

ასე რომ, კიტოვანი ალბათ, მაინც რუსეთის დავალებით არა, უბრალოდ, გამოჩნდა, პროპაგანდაც დაიწყო. ახლა მათეთრებლის როლშია. საკუთარი პერსონის გარდა, მას იგორ გიორგაძის გათეთრებაც დაავალეს. ეს სწორედ ის გიორგაძეა, რომელიც 29 აგვისტოს ტერაქტის გამო იძებნებოდა და მოსკოვმა თბილისს მისი დაკითხვის უფლებაც რომ არ მისცა. შევარდნაძემ ელცინს შეუთვალა: არ მჭირდება გიორგაძე, მიჩუქნია თქვენთვისო.

**ახლა კიტოვანი სწორედ ამ გიორგაძის გათეთრებას ცდილობს. ერთ-ერთ ინტერვიუში ის ამბობს:**

– 1995 წლის 29 აგვისტოს ტერაქტი ედუარდ შევარდნაძის, შოთა კვირაიასა და ავთო იოსელიანის მიერ დადგმული სპექტაკლი იყო, რათა იგორ გიორგაძე თავიდან მოეშორებინათ! მეტსაც გეტყვით: ეს ყველაფერი გარკვეულ კავშირშია ზვიად გამსახურდიას მკვლელობასთან, რადგან ერთადერთი, ვინც გამსახურდიას ლიკვიდაციის წინააღმდეგი იყო, იგორ გიორგაძე გახლდათ.

აი, ასე უცებ „გახდა“ გიორგაძე ზვიადისტიც, მსხვერპლიც და პატიოსანი ადამიანიც... ზვიადის მკვლელობაში ყველა გარეული იყო, იგორ გიორგაძისა და ჯაბა იოსელიანის გარდა!

სხვათა შორის, საინტერესოა, რომ 1992 წელს ასევე დიდი ამნისტიის შედეგად გარეთ გამოსული პატიმრებისგან შეივსო „მხედრიონიც“, ჯაბა იოსელიანის მეთაურობით, და გვარდიაც, თენგიზ კიტოვანის მეთაურობით.

ახლაც დიდი ამნისტია გამოცხადდა და გარეთ, მათ შორის, ისეთებიც გამოვიდნენ, ვისაც არ შეიძლება პოლიტპატიმარი უწოდო. ისინი ისევე არ არიან პოლიტპატიმრები, როგორც კიტოვანი, რომლის გამოშვებაზეც, სხვათა შორის, მაშინ ელენე თევდორაძე ლამის სიცოცხლის ბოლო წუთამდე იბრძოდა. ახალი თაობის ვითომ პოლიტპატიმრებზე ნანა კაკაბაძე დარბოდა. საქმე ის არის, რომ პარლამენტში მაშინ ელენეს და ახლა ნანას, სერიოზული წინააღმდეგობები შეხვდათ. და ტირილი დასჭირდა როგორც ელენეს, ისე კაკაბაძეს. მაგრამ ეს კიდევ სხვა ისტორიაა. **აფხაზეთის ომის ვეტერანი, იუსტიციის საბჭოს მრჩეველი, აფხაზეთის პროკურორის ყოფილი მოადგილე და აფხაზეთის სამხედრო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე რუსუდან ქორჩილავა „ქართულ სიტყვაში“ იხსენებს:**

– თენგიზ კიტოვანმა ჩაიდინა სერიოზული სახელმწიფო დანაშაული – სამხედრო გადატრიალების შედეგად ჩამოაგდო კანონიერი პრეზიდენტი, აფხაზეთში კი თვითნებურად დაიწყო ომი. აფხაზეთის მიწაზე ფეხი დადგა თუ არა, მაროდიორის თვალი მოავლო იქაურობას და თქვა, თურმე რა მაგრად ცხოვრობთ აფხაზეთშიო. კიტოვანმა „ლიცენზიაც მიიღო“ მკვლელობაზე და დაიწყო აფხაზეთის ძარცვაგლეჯა. თავდაცვის მინისტრი თენგიზ კიტოვანი გამსახურდიას ერთ-ერთი შეცდომა იყო. 1990 წელს კიტოვანი დეპუტატად აირჩიეს უბანში, სადაც მეტოქეებად ცნობილი ინტელექტუალები ჰყავდა. კიტოვანმა გაიმარჯვა, როგორც გამსახურდიას საარჩევნო ბლოკის წევრმა. სწორედ მას დაავალა ზვიადმა ეროვნული გვარდიის შექმნა, რომელმაც 1992 წელს პრეზიდენტის ხელისუფლება დაამხო და სამხედრო საბჭო შექმნა. დასანანია, რომ გამსახურდიას გვერდით ჰყავდა დამსახურებული გენერლები, მაგრამ ქართული ჯარი საეჭვო დონის მხატვარ-მოქანდაკეს ჩააბარა, რომელმაც ამდენი დანაშაულისთვის სასჯელი არათუ მოიხადა, არამედ დღემდე უზრუნველად ცხოვრობს ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის მფარველობის ქვეშ.

ასე რომ, ანტიგმირების სახელები და გვარებიც კარგად უნდა გვახსოვდეს. თენგიზ კიტოვანი რუსეთის დავალებებს ასრულებდა, ამიტომაც გიორგაძის შემდეგ, ისიც მოსკოვს აფარებდა თავს. ახლა კი ჩამოვიდა და, როგორც ჩანს, ძველი „დიდების“ აღდგენა სურს.

საქართველოში დაბრუნდა თენგიზ კიტოვანი, ადამიანი, რომელმაც ჩამოაგდო ზვიად გამსახურდია, იარაღით შევიდა აფხაზეთში, გააჩაღა სამოქალაქო ომი... შეიძლება ითქვას, რისი გაფუჭებაც შეიძლებოდა, ყველაფერი გააფუჭა. სხვა ხელობა მან, ურაბლოდ, არ იცის. როგორია ახლა მისი მისია საქართველოში, ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს.

**„თენგიზ კიტოვანმა ჩაიდინა სერიოზული სახელმწიფო დანაშაული – სამხედრო გადატრიალების შედეგად ჩამოაგდო კანონიერი პრეზიდენტი, აფხაზეთში კი თვითნებურად დაიწყო ომი“**





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა აქვს ჩაფიქრებული ირაკლი ოქრუაშვილს და როგორ აპირებს ის გორში კენჭისყრას



# ირაკლი ოქრუაშვილი: „არჩევნებში მონაწილეობას ნებისმიერი მეთოდით შევეცდები“

**„პარლამენტმა მეორე მოსმენით მიიღო „საარჩევნო კოდექსში“ ცვლილებები, სადაც სულ ახალი ნორმა დააწესა – 167-ე მუხლის მე-2 პუნქტში ჩაწერეს, რომ „არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს საარჩევნო ასაკის მქონე მოქალაქეს, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 5 წელი მაინც, მათ შორის უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში. ეს „უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში“ მეხება მხოლოდ მე“**

ქეთი ხატიაშვილი

**სტალინის ძეგლი, ყურისთვის სასიამოვნო დაპირებები, „ბეტმენის“ სტილში გაკეთებული განცხადებები, – ყველას დავიცავ და ყველას გადავარჩენ, – და სულ ეს არის, გორის მერადაც მარტივად აგირჩევენ.**

**ირაკლი ოქრუაშვილი დარწმუნებულია, რომ სწორედ მისი პოპულარობის შეეშინდა პარლამენტს და საარჩევნო კოდექსით მას არჩევნებში მონაწილეობის უფლება შეუზღუდა.**

– პარლამენტმა მიიღო თვითმმართველობის კოდექსი, სადაც 49-ე მუხლის მე-2 პუნქტში ჩაიწერა, რომ „მერის, გამგებლის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქეს 25 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 5 წელი მაინც“. ამ მოთხოვნას მე ვაკმაყოფილებდი და ჩავთვალე, რომ არჩევნებში მონაწილეობის საშუალება მქონდა, რის გამოც დავიწყე გარკვეული სახის ჩუმი, წყნარი კამპანია. შევხვდი 400-500 მოქალაქეს, ჩვეულებრივ აქტივისტებს, რომლებსაც ვესაუბრებოდი ჩემს გეგმებზე და ა.შ. ამის შემდეგ მხვდება გარკვეული სიურპრიზი... პარლამენტმა მეორე მოსმენით მიიღო „საარჩევნო კოდექსში“ ცვლილებები, სადაც სულ ახალი ნორმა დააწესა – 167-ე მუხლის მე-2 პუნქტში ჩაწერეს, რომ არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს საარჩევნო ასაკის მქონე მოქალაქეს, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 5 წელი მაინც, მათ შორის უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში. ეს „უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში“ მეხება მხოლოდ მე. ფაქტი ასეთია. არა მგონია, ასლან აბაშიძის შვილისთვის იყოს ეს კანონი შემოღებული ან ნებისმიერი სხვა ადამიანისთვის. მე სხვა პოლიტიკოსი, ვინც ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველოში არ ცხოვრობდა და რომელსაც არჩევნებში მონაწილეობის სურვილი გამოეთქვა, ჩემ გარდა, არ მახსენდება...

**თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა დამატებით ისიც თქვა, რომ არჩევნებში მონაწილეობას ნებისმიერი მეთოდებით შეეცდება და რომ გამოსავალიც მოძებნილი აქვს:**

– გუშინწინ ვესაუბრე დავით უსუფაშვილს ტელეფონით, ვუთხარი, რომ ერთი კანონის მეორესთან წინააღმდეგობა სახეზე იყო და რომ ეს მეხებოდა პირდაპირ მე. მან მითხრა, რომ საქმის კურსში არ იყო და გაარკვევდა. გუშინ ვისაუბრეთ ხელახლა და მითხრა, რომ ყველაფერი დაგვიანებული იყო და ვერაფერს შეცვლიდა. „დაგვიანებული იყო“, იურისტების ენაზე რომ განვმარტოთ, ნიშნავს იმას, რომ დარჩენილი იყო კანონპროექტის პარლამენტის მიერ მესამე მოსმენით მიღება, მესამე მოსმენა კი რედაქციული ხასიათისაა და მასში ჩასწორების შეტანა ვერ მოხდებოდა. მე შევთავაზე, რომ არსებობს მარტივი გამოსავალი – საკმარისი დრო იმისთვის, რომ კიდევ ერთხელ შევიდეს ცვლილება, რათა ეს ნორმა გასწორდეს, რაზეც მან მითხრა, რომ ესეც შეუძლებელი იქნებოდა. აღნიშნულის მიუხედავად, მინიმუმ ორი გამოსავალი მოძებნილი მაქვს, მაგრამ ახლა ამაზე არ ვისაუბრებ. მარტო იმას ვიტყვი, რომ არ მინდა ასეთი მანიპულაციებით, კანონის გვერდის ავლით გადავლახო ეს პროცესი და ასე გავიმარჯვო არჩევნებში.

რა შეიძლებოდა ეგულისხმა ირაკლი ოქრუაშვილს? მკითხაობას არ დავიწყებთ, რა თქმა უნდა. წარსულ გამოცდილებას თუ გადავხედავთ, ასეთ „ხრიკს“ თავის დროზე იგორ გიორგაძემ მიმართა, როცა 1999 წელს მსგავსი შეზღუდვის თავიდან აცილების მიზნით, გამოაცხადა, რომ მთელი ამ წლების განმავლობაში ცხინვალსა და აფხაზეთში ცხოვრობდა. თბილისი ვერ იტყოდა ამ ტერიტორიებზე, საქართველო არ არის და არ გეთვლებათო. გიორგაძემ, უბრალოდ, გადაიფიქრა.

მაგრამ ოქრუაშვილი არ გადაიფიქრებს. არ არის გამორიცხული, ცხინვალში ცხოვრების საბუთი მანაც წარმოადგინოს.

იურისტი და ექსპერტი ლევან ალაფიშვილი იმ კანონებისა და კოდექსების ჩამონათვალს ასახელებს, რომლის ერთობლიობაც განსაზღვრავს ამ შემთხვევაში ირაკლი ოქრუაშვილის მერობის კანდიდატად დარეგისტრირება-არდარეგისტრირების საკითხს. საუბარია, სამოქალაქო კოდექსზე, პირადობის დადასტურების კანონი, დიპლომატიური სამსახურების შესახებ კანონი, ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, ზოგად ადმინისტრაციული კოდექსი, თვითმმართველობის კოდექსი, საარჩევნო კოდექსი.

მისივე განმარტებით, ზოგად ადმინისტრაციული კოდექსი მტკიცებულებად იღებს მოწმის ჩვენებას. ოქრუაშვილის შემთხვევაში კი მოწმედ შეიძლება ის ადამიანებიც ჩაითვალონ, რომლებიც 2008 წლის ომის შემდეგ ოკუპირებულ ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ.

**ირაკლი ოქრუაშვილს შეუძლია, სასამართლოსაც მიმართოს და სასამართლოს გზით მოიპოვოს საარჩევნოდ დარეგისტრირების უფლება.**

– თუ არ გაასწორებენ ამ ნორმას, ჩემთვის ეს იქნება მანიშნებელი იმისა, რომ ცვლილება მიიღეს ჩემ გამო. ვარაუდის დონეზე ვიტყვი, რომ აქ ჩანს იგივე ჯგუფის ინტერესი, რომელმაც პოლიტპატიმრების სიიდან ამომიღო. ეს არაა ბესელია, მან ხელი სხვა მიმართულებით გაიშვირა. ეს მიმართულება დაახლოებით ვიცი საითაცაა, მაგრამ ზუსტად ვარკვევ, – აცხადებს ოქრუაშვილი.

ამ ჯგუფზე ის ჯერ არ საუბრობს, მინიშნებითაც კი. თუმცა, თუკი იგივე „ზილების“ საქმეს გავიხსენებთ, მაშინ სწორედ „საია“ გამოვიდა ამ საქმეზე დაკავებული პირების, მათ შორის, ირაკლი ოქრუაშვილისთვის პოლიტპატიმრის სტატუსის მინიჭების წინააღმდეგ.

„ზილების“ საქმე 26 მაისის აქციას და ნინო ბურჯანაძეს უკავშირდება. მაშინ ითქვა, რომ ირაკლი ოქრუაშვილი იარაღით ცხინვალიდან უნდა შემოსულიყო ბურჯანაძის დასახმარებლად. თუმცა, სქემამ ვერ იმუშავა.

**თითქოს სწორედ ამ პირების პოლიტპატიმრებად ცნობაზე თქვა საია-მ უარი. თუმცა, ნანა კაკაბაძე მაშინ განმარტავდა, რომ საია-ს ეს საქმე სწორედ ეკა ბესელიას (ახლა რომ ხელს სხვისკენ იშვერს) დაჟინებული მოთხოვნით გადაეცა:**

– რაც შეეხება რამდენიმე კაცის ამოღებას სიიდან, ჩვენი ბრალი არ არის. ჩვენს სიაში ეს ხალხი ნამდვილად იყო, მაგრამ საია-მ ამოიჩემა, „ზილების“ საქმე ჩვენ გვაქვს კარგად შესწავლილიო. რომ მოვთხოვეთ, გვარები გადმოგზავნეთ-თქო, 2-3 კაცის გვარი მივიღეთ. ჩვენ კი, ვინც ამ საქმეზე საბრალდებოში იჯდა, ყველა გვყავდა სიაში! ეკა ბესელიას პრინციპული მოთხოვნა იყო, რადგან საია-ს უნდა ამ საქმის გაკეთება, გააკეთოსო, მაგრამ არავის არაფერს ვაბრალებ!

**ზვიად კორძაძის განმარტებით, საია-მ პოლიტპატიმრების სიაში „ზილების“ საქმეში მონაწილე 10-მდე პირი არ შეიყვანა.**

– ამ დრომდე გაურკვეველია, რატომ არ მოხვდნენ ეს ადამიანები პოლიტპატიმართა სიაში, როცა ერთი და იგივე საქმისთვის იყვნენ გასამართლებულნი, – აცხადებდა მაშინ ადვოკატი კორძაძე.

ოქრუაშვილმა თქვა, რომ ამ საქმეს ის ისევ არკვევს. ჯერ ცნობილი მხოლოდ ის არის, რომ ეკა ბესელია ხელს ვიღაც სხვისკენ იშვერს, ნანა კაკაბაძე – ეკა ბესელიასკენ... შუაში კი საია-ა, რომელმაც პოლიტპატიმართა სიიდან ვიღაცები ამოიღო. მაგრამ საია-ს დაუჯერებდა პარლამენტი და დავით უსუფაშვილი, თუ საია-მ ასეთი დავალება მიიღო? – ეს არის ის შეკითხვები, რაზეც პასუხებს ახლა ოქრუაშვილი ეძებს.

## რას გულისხმობს თავდაცვის ექსმინისტრი





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა კითხვები აქვს უსუფაშვილს საკუთარ თავთან

ქეთი ხატიაშვილი

**ჯერ ადრეა იმის თქმა, როგორი პარლამენტის თავმჯდომარეა დავით უსუფაშვილი. შესაძლოა, მის გავლენებზე საუბარიც ნაადრევია. მას და რესპუბლიკელებს მთლიანობაში ხშირად ახსენებენ, ჯერ საარჩევნო „სარკეში“ ჩაიხედეთ, თქვენს რეიტინგს ჩახედეთ თვალებში და მერე გველაპარაკეთ ხმამაღლაო.**

ასეთი არგუმენტი მხოლოდ ღიმილს იწვევს. უსუფაშვილის წინამორბედებს თუ გადავხედავთ, შესაძლოა, ვახტანგ გოგუაძეს უფრო იცნობდნენ, ვიდრე ზურაბ ჟვანიას – და რომ არა „მოქალაქეთა კავშირი“, შესაძლოა, „მწვანეთა პარტიის“ ლიდერობით ჟვანია პარლამენტის თავმჯდომარე ვერც გამხდარიყო, თუმცა დღეს გოგუაძე არავის ახსენდება.

ასე რომ, სულაც არ არის საინტერესო, როგორია შენი რეიტინგი. რეიტინგი ყოველთვის ცვალებადია. საინტერესოა, როგორ „თამაშობ“ პოლიტიკას და რამდენად გავლენიანი ხარ.

დავით უსუფაშვილი, განსაკუთრებით **ირაკლი ოქრუაშვილის** განცხადების შემდეგ, უსუსურად გამოიყურება. როგორც თავდაცვის ექსმინისტრმა „რე-აქციაში“ განაცხადა, მას სურდა, გორში მერის პოსტზე კენჭი ეყარა, თუმცა კანონში ცვლილებები შევიდა და მას ეს უფლება ჩამოერთვა:

– პარლამენტმა მეორე მოსმენით მიიღო „საარჩევნო კოდექსში“ ცვლილებები, სადაც სულ ახალი ნორმა დააწესა – 167-ე მუხლის მე-2 პუნქტში ჩაწერეს, რომ არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს საარჩევნო ასაკის მქონე მოქალაქეს, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 5 წელი მაინც, მათ შორის უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში. ეს „უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში“ მეხება მხოლოდ მე...

„საინტერესოა ის, რასაც ოქრუაშვილი ამის შემდეგ ამბობს. მან თქვა, რომ ტელეფონით ელაპარაკა დავით უსუფაშვილს და პარლამენტის თავმჯდომარემ ამ შეზღუდვის შესახებ არაფერი იცოდა. „მან მითხრა, რომ საქმის კურსში არ იყო და გაარკვევდა. გუშინ ვისაუბრეთ ხელახლა და მითხრა, რომ ყველაფერი დაგვიანებული იყო და ვერაფერს შეცვლიდა“. – განმარტა ოქრუაშვილმა.

რა თქმა უნდა, პარლამენტის თავმჯდომარე არ არის ვალდებული, და შეუძლებელიც კია, ყველა კანონის საქმის კურსში იყოს დეტალურად, თუმცა, აქ საუბარია საარჩევნო კოდექსზე, რომლის შესახებაც, თუ პარლამენტის თავმჯდომარეს ინფორმაცია არა აქვს, მაშინ გამოდის, რომ...

გავლენების მხრივ, უსუფაშვილი ბურჯანაძეს მაგონებს, ოღონდ ახლა კი არა, მაშინ როცა ნინო პარლამენტის ერთადერთი ქალი თავმჯდომარე იყო.

მახსოვს, მაშინ ბურჯანაძე ხშირად იყო აღშფოთებული. უფრო სწორად სულ აღშფოთებული იყო. უხეში შედარებაა, მაგრამ ახლა დავით უსუფაშვილი სულ გაკვირვებული ჩანს და კითხვებს სვამს.

მაგალითად, ეკონომიკური ზრდის ვარდნისა და ბიუჯეტის სეკვესტრის გამო **უსუფაშვილს** კითხვები ფინანსთა მინისტრთან გაუჩნდა:

– მთავრობასთან მაქვს კითხვები, ოპოზიციასთან კი მაქვს არა კითხვები, არამედ დასკვნები, როგორ დააქციეს ამ ქვეყნის ეკონომიკა. მე ვისმენ მტკიცებას, რომ ამ განვლილი სამი კვარტალის განმავლობაში ეკონომიკის მეტი ტემპით ზრდა შეუძლებელი იყო. მე მაქვს კითხვა, შარშან დეკემბერში, როდესაც 6%-იანი ზრდა დაიგეგმა, მაშინ ეს პრობლემები არ იყო მთავრობისთვის ცნობილი? მე ამაზე ვსაუბრობ, რადგან პარლამენტს ევალება, ეს კითხვები მთავრობას დაუსვას. ვერ დაინახეს?! ვერ განჭვრიტეს?!




რა თქმა უნდა, თავმჯდომარეა და შეუძლია, კითხვები დასვას, თუმცა, შემდეგ არაფერი გაგვიგია იმაზე, დააკმაყოფილა თუ არა ის პასუხებმა. **ნოდარ ხადურმა** კი საკუთარი „ჭვრეტიდან“ პრობლემა ნაციონალებისკენ გადაიტანა და თქვა, რომ ეკონომიკა „ნაციონალური შოკიდან“ გამოდის.

– საქართველოს ეკონომიკაში პრობლემები გასულ წლებში შეიქმნა და დღეს ქართული ეკონომიკა ნაციონალური შოკიდან გამოდის. ბიზნესი იყო ძალიან მძიმე მდგომარეობაში, ოფიციალურად დარეკეტებული იყო და ამ ყველაფერს დრო სჭირდება, რომ გამოსწორდეს. გარდა ამისა, სახელმწიფომ შეწყვიტა უაზრო პროექტების დაფინანსება და ეს თანხები მოხმარდა სოციალური ვალდებულებების ზრდასა და შესრულებას. ასე რომ, ყველა კითხვაზე არსებობს ძალიან არგუმენტირებული პასუხი.

**პარლამენტის თავმჯდომარეს** კითხვები ჰქონდა ფარცხალაძესთან დაკავშირებითაც. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მან პასუხებისთვის პრემიერს მიმართა, შემდეგ კი განაცხადა:

– მქონდა ირაკლი ღარიბაშვილთან საუბარი, მივიღე მისგან ძალიან მყარი და მკაფიო პასუხი, რომ ბატონ ოთარ ფარცხალაძესთან დაკავშირებით ყველაფერი წესრიგშია. არ არსებობს არც ერთი ნიუანსი და საკითხი, რომელიც სამართლებრივ, ან მორალურ, ან რაიმე სხვა ეჭვს იწვევს მის ბიოგრაფიაში.

სხვადასხვა კანონპროექტებთან დაკავშირებითაც იყო შეკითხვები, საბოლოოდ, უსუფაშვილმა საკუთარ თავს დაუსვა კითხვა და თავადვე უპასუხა. ეს უკვე მაშინ, როცა საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდის დაკომპლექტების საკითხი პარლამენტში ჩავარდა:

– კითხვაზე, ვის ეკისრება პასუხისმგებლობა პროცესის ნახევრად წარმატებულობასა და, შესაბამისად, ნახევრად წარუმატებლობაზე, პასუხისმგებლობა ეკისრება პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს.

**და „ნეტგაზეთთან“ საუბარში განმარტა:**

– კანონპროექტის შემქმნელებმა თავის დროზე, როდესაც ეს ცვლილებები კანონში შედიოდა, ძალიან ბევრი იფიქრეს, იკამათეს, როგორი სისტემით ჩატარებულიყო ეს კონკურსი, და მოიფიქრეს მარტივი გამოსავალი: მოდი, პარლამენტის თავმჯდომარეს ჩამოვკიდოთ პასუხისმგებლობაო. პარლამენტის თავმჯდომარეები კი საქართველოშიც და სხვაგანაც იმიტომ არსებობენ, რომ დიახ, მათ უნდა ჩამოეკიდოთ პასუხისმგებლობა.

თუმცა, უსუფაშვილს არ დაუკონკრეტებია, რა იგულისხმა იმ პასუხისმგებლობაში, რომელიც თავის თავზე აიღო. სხვა არაფერი უთქვამს, მაგალითად, პროცესის ჩაშლის მიზეზებზე. რამდენადაც ცნობილია, კომისიის წევრებს შეხვდა დახურულ კარს მიღმა და გარკვეული მინიშნებები „ჩუმად“ გააკეთა. კომისიაც „გაგებით მოეკიდა“.

რესპუბლიკელები თითქოს როგორც პოლიტიკური მოთამაშეები პასიურები არიან. არა, ნამდვილად აკეთებენ ხოლმე განცხადებებს ლამის ყველა თემაზე, თუმცა, რამდენიმე მნიშვნელოვან თემაში სერიოზულად „ჩაიჭრნენ“.

მაგალითად, იგივე ფარცხალაძეზე **დავით უსუფაშვილმა** ხმამაღალი განცხადება გააკეთა:



– პრემიერ-მინისტრი მიიჩნევს, რომ ფარცხალაძის თანამდებობიდან განთავისუფლების საფუძველი არ არსებობს და მას ამ საკითხში ჩემი სრული მხარდაჭერა აქვს.

თუმცა, ფარცხალაძემ რამდენიმე დღეში თანამდებობა დატოვა.

ასეთივე შემთხვევა იყო საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით. პარლამენტში მმართველი კოალიციის 40% ბარიერს უჭერდა მხარს. მთავრობიდან შესულ ვარიანტში მერობის კანდიდატს 50% უნდა დაეძლია, თუმცა პარლამენტში ის 10%-ით დაუწიეს.

**დავით უსუფაშვილის განმარტებით:**

– ბარიერი გადახედილია, არჩევნები, რომელიც არ იყო დაკანონებული, დაკანონდა და შესაბამისად, 70-მდე მერსა და გამგებელს ავირჩევთ პირდაპირი არჩევნების წესით. ნაწილს – 33%-იანი ბარიერით, ხოლო ნაწილს – 40%-იანი ბარიერით. თავად ბარიერის საკითხი გარკვეულწილად პოლიტიკური მიზანშეწონილობის საკითხია, რადგან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებას თუ ავიღებთ, არის 50%-იანი ბარიერი, არის 33%-იანი, არის 40%-იანი და არის საერთოდ უბარიერო არჩევნები, ანუ კონკრეტული ერთი რეცეპტი არ არსებობს. უმრავლესობაში შევჯერდით იმაზე, რომ გარკვეული ნეიტრალური ბარიერია შემოღებული, სულ უბარიერობას, როდესაც შესაძლოა, ძალიან დაბალი პროცენტით გამოცხადდეს პირი გამარჯვებულად, რამაც შეიძლება გარკვეულ ქალაქებსა და რაიონებში შექმნას პრობლემები, სჯობდა, ერთი სერიოზული ნაბიჯის გადადგმა და 33 და 40%-იანი ბარიერის შემოღება. დღევანდელ შეხვედრაზე კოლეგებმა დასვეს საკითხი გარკვეულ ვარიაციებზე, ანუ იმ ბარიერების შიგნით დამატებითი საკითხების დაზუსტებაზე და მივეცი პირობა, რომ ამ ერთ კვირაში ამაზე კიდევ ერთხელ ვიმსჯელებთ...

ბარიერის თემას დიდი მღელვარება მოჰყვა. ოპოზიცია აქტიურობდა, მმართველი კოალიცია ჯიუტად იცავდა 40%-ს და ასე იქნებოდა ბოლომდე, რომ არა ირაკლი ღარიბაშვილი თავისი ინიციატივით. სწორედ პრემიერმა თქვა პირველმა, რომ მზად არის, ბარიერი 50%-მდე ასწიოს და ამით ოპოზიციაში ატეხილი ხმაური დააცხროს.

**ამის შემდეგ დავით უსუფაშვილმა განაცხადა:**

– მივიღეთ გადაწყვეტილება, რაც ხვალ უკვე აისახება სათანადო დოკუმენტებში, რომ ყველა რაიონსა და ქალაქში იყოს 50%-იანი ბარიერი. ამით დავასრულოთ ის აურზაური, რაც ამ თემას მოჰყვა.

აურზაური დასრულდა, მაგრამ, ალბათ, ახლა უსუფაშვილს ისევ გაუჩნდა შეკითხვები: რა გავლენა აქვს მას პარლამენტში, პოლიტიკაში და რა ელის მის კარიერას.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა ჩვენებებს აძლევენ პროკურატურას სასულიერო პირები გირგვლიანის საქმეზე?



**my View**

მირიან ბოქოლიშვილი



### გამომძიებელი ემზარ ღარიბაშვილი, რომელიც გირგვლიანის მკვლელობას იძიებდა, სამღვდელო დიაკონი გახდა, ციხის ყოფილი უფროსი კი მონასტერში წავიდა

**სანდრო გირგვლიანის საქმის ხელახალი გამოძიების პროცესში უამრავი ადამიანი დაიკითხა, მათ შორის ისინიც, ვინც წინა ხელისუფლების დროს თავად იძიებდნენ ამ საქმეს. ერთ-ერთი გამომძიებელი გახლდათ ტარიელ ღარიბაშვილი, შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე. როგორც ცნობილია, ოქროყანაში მომხდარ დანაშაულს პირველ ეტაპზე სწორედ თბილისის მთავარი სამმართველო იძიებდა და ტარიელ ღარიბაშვილიც ამ პროცესში აქტიურად იყო ჩართული. მაშინ გამოძიება კუდ-ის ყოფილი მაღალჩინოსნების კვალზეც გავიდა და ის-ის იყო, ფინალური ანგარიში ვანო მერაბიშვილისთვის უნდა გაეცნოთ, საქმე მოულოდნელად პროკურატურამ წაიღო. თბილისის პოლიციის მაშინდელ უფროსს, მერაბ ბალათურიას თუ დავუჯერებთ, ის პირადად სთხოვდა ნებართვას შინაგან საქმეთა მინისტრს, კუდ-ის მაღალჩინოსნების დაკავების ოპერაციაზე, სავარაუდოდ, მაშინ პასუხისგებაში უნდა მიეცათ დათა ახალაიაც, თუმცა თბილისის პოლიციამ ასეთი ნებართვა ვერ მიიღო. ამის შემდეგ კი სამსახურებრივი დევნა-შევიწროება დაიწყო ბალათურიას კადრებზე. როგორც ჩანს, ეს გახდა, უწყებიდან თავად ბალათურიასა და მისი მოადგილის, ტარიელ ღარიბაშვილის წასვლის მიზეზიც, რომელიც შს თბილისის მთავარ სამმართველოში 2005-06 წლებში მუშაობდა. მოგვიანებით, ღარიბაშვილი საერო საქმიანობას საერთოდ თავს ანებებს და სასულიერო პირი ხდება. ამჟამად ის ნარიყალას წმინდა ნიკოლოზის სახელობის მონასტრის სამღვდელო დიაკონი გახლავთ. „პრაიმტაიმისთვის“ ცნობილი გახდა ინფორმაცია, რომელიც მამა ტარიელმა გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით პროკურატურას მიაწოდა. საგამოძიებო ორგანოსთვის მიცემულ ჩვენებაში მამა ტარიელი ადასტურებს, რომ 2006 წლის 28 იანვარს, ანუ მაშინ, როცა ოქროყანის სასაფლაოების მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩენილ იქნა სანდრო გირგვლიანის ცხედარი, მუშაობდა თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში, რომელსაც იმ პერიოდში მერაბ ბალათურია ხელმძღვანელობდა. სამსახურებრივად მას ევალებოდა ქალაქის მასშტაბით წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეებზე უწყებრივი ზედამხედველობა. სასულიერო პირის თქმით, სამმართველოში შესული შეტყობინების საფუძველზე დაიწყო გამოძიება სანდრო გირგვლიანის მკვლელობის ფაქტზე. ჩვენებაში სასულიერო პირი დეტალურად აღწერს, როგორ გახდა მათთვის ცნობილი გირგვლიანის საქმეში კუდ-ის მაღალჩინოსნების მონაწილეობის შესახებ. ის, ასევე, იხსენებს მთელ რიგ საგამოძიებო პროცედურებს, მათ შორის სატელეფონო საუბრების დეტალურ ამონაწერებს, რომლის მიხედვითაც დადასტურდა იმ დღეს კუდ-ის მაღალჩინოსნების ოქროყანაში ყოფნის ფაქტი.**

მამა ტარიელის დაკითხვით, ცნობილი ხდება, რომ მან ამ საქმის პროკურატურისთვის გადაცემის შესახებ უკვე პოსტფაქტუმ შეიტყო, ეს მაშინ, როცა 2006 წლის მარტში მედიასაშუალებებით ცნობილი გახდა, რომ ქალაქის პროკურატურისა და კუდ-ის ერთობლივი მუშაობის შედეგად მოხდა სანდრო გირგვლიანის მკვლელობაში ეჭვმიტანილი პირების დაკავება. ყოფილი გამომძიებელი ყვება, რომ სწორედ აქედან გაიგო, რომ საქმე მის დაქვემდებარებაში მყოფ თბილისის სამმართველოს მკვლელობების განყოფილებაში აღარ იყო და თურმე ის რამდენიმე დღის წინ დაქვემდებარებია თბილისის პროკურატურას. აღნიშნულის შემდეგ, ტარიელ ღარიბაშვილს გირგვლიანის საქმესთან შეხება აღარ ჰქონია. ცოტა ხანში კი მან შს უწყება საერთოდ დატოვა.

მამა ტარიელი ერთადერთი სასულიერო პირი არ გახლავთ, რომლის ჩვენებაც გირგვლიანის საქმეში ფიგურირებს. როგორც მოგეხსენებათ, გირგვლიანის მკვლელობის გარდა, საგამოძიებო ორგანო ასევე იკვლევს, რამდენად პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ საპატიმროში ამ საქმისთვის გასამართლებული კუდ-ის 4 მაღალჩინოსანი. სწორედ ამ მიმართულებით დაიკითხა სასჯელაღსრულების #10 დაწესებულების ყოფილი დირექტორი თემურ ტაბაღუა, იგივე მამა ნიკოლოზი, რომელიც ამ დროისთვის უკვე სასულიერო პირი გახლდათ და მღვდელმსახურებას ეწეოდა. დაკითხვიდან რამდენიმე დღის შემდეგ სასულიერო პირმა პროკურატურა ზეწოლაში დაადანაშაულა და განაცხადა, რომ საგამოძიებო ორგანო მას ბაჩო ახალაიას წინააღმდეგ ჩვენების მიცემას აიძულებდა. მის ამ განცხადებას კი მალევე მოჰყვა საპატრიარქოს გადაწყვეტილება, რითაც მამა ნიკოლოზს მღვდელმსახურება შეუჩერდა. „პრაიმტაიმისთვის“ ცნობილი ხდება, რომ მოძღვარი, რომელსაც პროკურატურასთან დაპირისპირების გამო ჯვარი ახსნეს, საპატრიარქომ, „შეუფერებელი საქციელის გამოსასყიდად, რეგიონში, ერთ-ერთ მონასტერში გაუშვა“.

„მამა ნიკოლოზი ნანობს ასეთ ნაბიჯს, ის გარემოების მსხვერპლი გახდა და ძალაუნებურად აღმოჩნდა გაუგებრობაში ჩართული. ამჟამად ის მონასტერში გაგზავნეს და სინანულშია“, – გვიყვება პირად საუბარში საპატრიარქოსთან დაახლოებული პირი.

„ხსენებული პატიმრები ციხეში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მაღალჩინოსნებმა მიაცილეს, რომელთა მხრიდან გაიცა მითითება, რომ ესენი არიან განსაკუთრებული პატიმრები და მათზე ციხის შიდა განაწესით დადგენილი არც ერთი წესი და ვალდებულება არ უნდა გავრცელებულიყო“

ძნელი სათქმელია, იყო თუ არა ზეწოლა და მართლაც აიძულებდნენ თუ არა მამა ნიკოლოზს ახალაიას წინააღმდეგ ჩვენების მიცემას, თუმცა ფაქტია, რომ საქმეში დევს მისი დაკითხვის ოქმი, რომელსაც პირობითად შესაძლოა, მოძღვრის აღიარებაც კი ვუწოდოთ. თემურ ტაბაღუა 2012 წლის 23 დეკემბერს აღიკვეცა სასულიერო დიაკვნად მამა ნიკოლოზის სახელით და მსახურობდა სამების საკათედრო ტაძარში. ბერად აღკვეცამდე, 2002 წლიდან მუშაობდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტში სხვადასხვა თანამდებობებზე და ბაჩო ახალაიას ახლო მეგობრად ითვლებოდა. 2006 წლის ივნისში, ახალაიამ თემურ ტაბაღუა დანიშნა სასჯელაღსრულების #10 საერთო რეჟიმის დაწესებულების ხელმძღვანელად. ეს დაწესებულება განთავსებული იყო ზაჰესში და განკუთვნილი გახლდათ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისა და მათთან გათანაბრებული პირების სასჯელის მოსახდელად. ციხის უფროსად თემურ ტაბაღუას დანიშვნიდან რამდენიმე დღეში ხსენებულ დაწესებულებაში გადაჰყავთ სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმეზე გასამართლებული კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომლები: გერონტი ალანია, ალექსანდრე ლაჭავა, ავთანდილ აფციაური და მიხეილ ბიბილურიძე.

როგორც მამა ნიკოლოზი ყვება, ხსენებული პატიმრები ციხეში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მაღალჩინოსნებმა მიაცილეს, რომელთა მხრიდან გაიცა მითითება, რომ ესენი არიან განსაკუთრებული პატიმრები და მათზე ციხის შიდა განაწესით დადგენილი არც ერთი წესი და ვალდებულება არ უნდა გავრცელებულიყო. მათ უნდა მისცემოდათ ციხის ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობა, მობილური ტელეფონით შეუზღუდავად სარგებლობის უფლება, ხოლო მათთან მისული მნახველები არ უნდა შეზღუდულიყვნენ დროში, არ უნდა შემოწმებულიყვნენ არც მნახველები და არც მათ მიერ მიტანილი ამანათები. მამა ნიკოლოზი ასევე მიუთითებს, რომ პატიმრების მოყვანის დღესვე საბადრაგო ავტომანქანით ციხეში მოიტანეს ავეჯი და სხვა ნივთები, რომელიც განთავსდა „განსაკუთრებული პატიმრებისთვის“ განკუთვნილ ოთახებში. სხვებისგან განსხვავებით, პრივილეგირებულ პატიმრებს ჰქონდათ ხის საწოლები, ტელევიზორები, მაცივრები, სხვადასხვა კომპიუტერული ტექნიკა, ჰაერის გამაგრილებლები და სხვა ნივთები. მათ კომფორტულად მოწყობილ ოთახებში შეუყვანეს საკაბელო არხები და ინტერნეტი, საჭმელს კი მიირთმევდნენ მათთვის სპეციალურად გამოყოფილ სამზარეულოში. „მათ ნებისმიერ დროს შეეძლოთ ციხის ადმინისტრაციულ შენობაში და მათ შორის, ჩემს კაბინეტში შემოსვლა. არ მოწმდებოდნენ მნახველები და იყო შემთხვევები, როდესაც ისინი გვიან ღამემდე რჩებოდნენ, იმართებოდა სუფრები და ქეიფები. მეც მომიწია რამდენიმე ასეთ სუფრაზე ყოფნა, რა დროსაც ალკოჰოლური სასმელებიც მიუღიათ სუფრის წევრებს... ზემოდასახელებულ პირებთან ხშირად მომსვლელთაგან შემიძლია დავასახელო იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის თანამშრომელი დავით ჩხიტუნიძე, ასევე, გენინსპექციის თანამშრომელი ია პაიჭაძე, მეგის ქარდავა და სხვები“, – ყვება სასჯელაღსრულების #10 დაწესებულების ყოფილი დირექტორი.







© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# EXCLUSIVE ინტერვიუ ვიტალი კლიჩკოსთან

ეკა სოსელია



## როგორ განვითარდება ყირიმში მოვლენები? ემუქრება თუ არა უკრაინას ორად გახლეჩის საფრთხე?

**უკრაინა უკვე 3 თვეზე მეტია, კრიზისულ ვითარებაშია... მართალია, პროტესტმა შედეგი გამოიღო (ამას 100-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა) და ევროინტეგრაციის მომხრეებმა გაიმარჯვეს, მაგრამ სერიოზული პრობლემები ყირიმის ნახევარკუნძულზე დაიწყო. მაშინ როცა დასავლეთ უკრაინა გამარჯვებას ზეიმობს, ქვეყნის აღმოსავლეთი რეგიონი სწორედ ამ გამარჯვებას აპროტესტებს... ყირიმის რადამ კი გადაწყვეტილება მიიღო, რომ რუსეთს ავტონომიური ერთეულის სახით შეუერთდეს. 16 მარტს ყირიმში რეფერენდუმია დანიშნული, უკრაინის ახალი ხელისუფლება ფიქრობს, რომ ეს რეფერენდუმი რუსული ავტომატებისა და მუქარის ქვეშ ჩაივლის. ყირიმის მოსახლეობის 70% ეროვნებით რუსია, ძნელი სათქმელია, როგორ განვითარდება მოვლენები, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს ნახევარკუნძულზე რუსი სამხედროები დგანან, ფიზიკურად უსწორდებიან ჟურნალისტებს, მშვიდობიანი აქციის მონაწილეებს და ამ ყველაფერს „საკუთარი“ მოქალაქეების დაცვას უწოდებენ. ხელწერა უცვლელია. ყველაფერი 2008 წელს ცხინვალში განვითარებულ რუსულ სცენარს ჰგავს. უკრაინის ახალი ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს, რუსეთის პროვოკაციებს არ აჰყვეს და დროულ რეაგირებას დასავლეთს სთხოვს. როგორ ესახებათ ურთიერთობა რუსეთთან მაშინ, როცა ქვეყანამ უკრაინასთან დიპლომატიური კავშირიც გაწყვიტა და როგორ უნდა დააღწიოს უკრაინამ თავი ეკონომიკურ კრიზისს? „პრაიმტაიმს“ ექსკლუზიურ ინტერვიუს პარტია „უდარის“ ლიდერი ვიტალი კლიჩკო აძლევს.**

**– პირველი კითხვა სწორედ ყირიმის კრიზისზე მინდა დაგისვათ, ადგილობრივმა პარლამენტმა რუსეთის შემადგენლობაში შესვლის გადაწყვეტილება მიიღო, გამოაცხადეს რეფერენდუმიც... ზოგადად, იქ არსებული ვითარება, ძალიან ჰგავს იმ რუსულ სცენარს, რომელიც საქართველოში – ცხინვალსა და აფხაზეთში განახორციელეს... პასპორტების დარიგება, წინასწარი განცხადებები, რომ საკუთარ მოქალაქეებს დაიცავენ, წვრთნების დაანონსება... და ახლა უკვე სამხედროების შესვლა თქვენს ტერიტორიაზე.**

– სამწუხაროდ, მსგავსი სცენარის განხორციელება გარე ძალების ჩარევის ფაქტორის გათვალისწინებით ყირიმში გამორიცხული არ არის. თებერვლის ბოლო დღეებში ყირიმში განხორციელდა ინტერვენცია, რომელსაც წინ არანაირი პროვოკაციაც კი არ უძღოდა. რუსების ზედამხედველობით მოხდა ახალი ორგანოების „ფორმირება“ და დაინიშნა რეფერენდუმი. ეს ყველაფერი არაკონსტიტუციურად და საერთაშორისო სამართლის ნორმების სრული დარღვევით განხორციელდა. ნათელია, რომ გამოცხადებული რეფერენდუმი დამპყრობლების ავტომატების ლულების ქვეშ ჩატარდება. სწორედ ასე უნდათ რამენაირად ლეგიტიმურობა მისცენ უკრაინის ტერიტორიის ანექსიას და ამის დაშვება არ შეიძლება.

**– როგორ აპირებს ახალი მთავრობა, გაუმკლავდეს ყირიმის კრიზისსა და სეპარატიზმის საფრთხეს?**

– უკრაინის ახალი ხელისუფლება ყველა შესაძლებლობას იყენებს, რომ კანონიერი მეთოდებით შეინარჩუნოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა. ჩვენ მადლიერები ვართ საერთაშორისო საზოგადოების, რომელიც ნათლად და მტკიცედ მხარს უჭერს უკრაინას. რაც შეეხება ყირიმის სეპარატისტებს, ეს განწყობა გარედან გააღვივეს და პროცესი ახლაც გრძელდება. ერთი რამ ნათელია, უკრაინის გარეშე ყირიმისთვის ძალიან რთული იქნება არსებობა. ჩავარდება სათესი და ტურისტული სეზონი, მხოლოდ უკრაინასთან ერთად შეუძლია ყირიმს წარმატებული იყოს. ყირიმელები – ისინი უკრაინის მოქალაქეები არიან. ჩვენ ერთად გადავჭრით პრობლემებს და ერთად ავაშენებთ ახალ უკრაინას.

**– თქვენი მთავრობის საგარეო პოლიტიკური კურსი, პრინციპში, აღარც დგას ეჭვქვეშ. ალბათ, დაუყოვნებლივ გააგრძელებთ ევროკავშირსა და ნატოსთან დაახლოების პროცესს...**

– უკრაინამ უკვე ოფიციალურად განაცხადა, რომ უბრუნდება ევროკავშირთან ინტეგრაციის შესრულების პროცესს. ეს კურსი არის უკრაინისთვის პრიორიტეტული და ამას მოსახლეობის დიდი ნაწილი უჭერს მხარს. ჩვენ ახლახან დავუბრუნდით უკრაინის ეროვნული კანონმდებლობის განხორციელებას და მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ნების შესრულებას.

**– როგორ გესახებათ რუსეთთან ურთიერთობის გაგრძელება, მით უმეტეს, რომ თქვენი ქვეყანა გარკვეულწილად რუსეთზეა დამოკიდებული ენერგეტიკის კუთხით... „გაზპრომი“ კი უკვე აკეთებს განცხადებებს, რომ უკრაინას რუსეთის დიდი დავალიანება აქვს და ამიტომ კონტრაქტი, სავარაუდოდ, შეწყდება...**

– რუსეთისა და უკრაინის ურთიერთობები თანასწორუფლებიანი და ორივე მხარისთვის მომგებიანი უნდა იყოს. ეს ურთიერთობა ნდობასა და პატივისცემას უნდა ეფუძნებოდეს. მაგრამ ამისთვის აუცილებელია კომპლექსებსა და სტერეოტიპებზე უარის თქმა. ამ შემთხვევაში ჩვენ შევძლებთ, ბევრს მივაღწიოთ და ბევრი გავაკეთოთ. ალბათ, პირველი ნაბიჯი უკრაინაში ენერგორესურსების დივერსიფიკაცია უნდა იყოს. როცა ჩვენი ურთიერთობებიდან სამუდამოდ გაქრება გაზის შანტაჟის თემა, შესაძლოა, რომ ჩვენ და რუსეთმა ურთიერთობების ხელახალი აშენება დავიწყოთ.

**– ბოლო სამთვიანმა პროცესებმა უკრაინაში ფინანსური კრიზისი შექმნა... დეფოლტის საფრთხის წინაშე დგას ქვეყანა... ამ კუთხით, ელოდებით თუ არა რაიმე დახმარებებს და ვისგან?**

– ფინანსური კრიზისი უკრაინაში საპროტესტო ტალღას არ მოუტანია. ეს კრიზისი ტოტალური კორუმპირებული რეჟიმისა და არაპროფესიონალური სამთავრობო აპარატის მუშაობის შედეგია. იმ გუნდის, რომელიც იანუკოვიჩმა ჩამოაყალიბა. ყოველწლიურად ბიუჯეტიდან ასობით მილიარდი გრივნა მიდიოდა. ამ ფულის გაქრობა ყოფილი მაღალჩინოსნების სახელებს უკავშირდება. სწორედ ასე მიიყვანეს ქვეყანა დეფოლტის პირას. დღეს ევროკავშირი და შეერთებული შტატები, მსოფლიო სავალუტო ფონდი არა მხოლოდ საუბრობენ, არამედ განიხილავენ კონკრეტულ თანხებს, რითაც ჩვენს დახმარებას აპირებენ. ეს დაგვეხმარება, რომ გავატაროთ აუცილებელი სისტემური რეფორმები.

**– ყირიმის გარდა, სტაბილური ვითარება ჯერჯერობით არც კიევშია... ევრომაიდანზე ისევ დგას ბარიკადები. არსებობს თუ არა გარკვეული ვადები, როდისთვის ელოდებით სიტუაციის დალაგებასა და დამშვიდებას?**

– კიევში ახლა ნორმალური ვითარებაა, ბარიკადები ისევ დგას, მაგრამ ეს უფრო სიმბოლურია. ბარიკადები დგას იმის გასახსენებლად, რომ მაიდანის ყველა მოთხოვნა ჯერ შესრულებული არ არის. შეიძლება ითქვას, რომ მშვიდობიანი პროტესტი ნაბიჯ-ნაბიჯ ხელისუფლების სახალხო კონტროლად გარდაიქმნება და ეს ძალიან სასიხარულოა.

ევრომაიდანი მართლაც უნიკალური მოვლენაა. ეს მოქალაქეების თვითორგანიზებულობის უნიკალური მაგალითია. თვითორგანიზებულობისა და გამბედაობის. ეს ხალხი არ შეიძლება, რომ გახდეს უმართავი, რადგანაც ისინი საკუთარ თავს ძალიან მკაცრად აკონტროლებენ და ეს, დამერწმუნეთ, ყველაზე ეფექტური კონტროლია მსოფლიოში.

თუმცა, ზოგადად, უკრაინაში დღეს სიტუაცია მართლაც დაძაბულია, ვგულისხმობ ყირიმსა და უკრაინის აღმოსავლეთ საზღვრებს.

**– რაც შეეხება ახალ მთავრობას, ის ნაწილობრივ უკვე დაკომპლექტებულია, არის თუ არა ოპოზიციაში ერთსულოვნება? თქვენი გუნდის წევრებიდან არავინ მოხვდა ახალი მთავრობის შემადგენლობაში... რატომ?**

– მე მთავრობაში იმიტომ არ წავედი, რომ დიდი ხნით ადრე განვაცხადე საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის შესახებ. დარწმუნებული ვარ, დღევანდელ ხელისუფლებას, თითოეულ მინისტრსა და ჩინოვნიკს არ აქვს უფლება, გადაერთოს მხოლოდ პოლიტიკაში. მათ უნდა გადაარჩინონ ეკონომიკა. რაც შეეხება პარტია „უდარის“ წარმომადგენლებს ხელისუფლებაში, დიახ, იქ არ არიან ჩვენი დეპუტატები და თანაპარტიელები. მაგრამ ჩვენ წარვადგინეთ ხალხი, რომლებსაც მაღალკვალიფიციურებად და პატიოსან ადამიანებად მივიჩნევთ. ჩვენთვის მთავარი სავარძელი არ არის. ჩვენთვის უმთავრესია დადებითი შედეგი.

**– რაც შეეხება ვიქტორ იანუკოვიჩს, მართალია, ის თავს ისევ ლეგიტიმურ პრეზიდენტად მიიჩნევს, მაგრამ მასზე ძებნაა გამოცხადებული. რას აპირებთ, დადგება მისი და სხვა ყოფილი მაღალჩინოსნების პასუხისმგებლობის საკითხი?**

– იანუკოვიჩის პასუხისმგებლობის საკითხი უკვე დგას. ის სისხლის სამართლებრივ რამდენიმე საქმეში ფიგურირებს. შესაძლებელია ახალი ეპიზოდებიც გამოიკვეთოს და ცნობილი გახდეს ყოფილი პრეზიდენტის სხვა დანაშაულებისა და კორუფციის ფაქტების შესახებ.



გახსნილია სხვა ყოფილი მაღალჩინოსნების სისხლის სამართლებრივი დანაშაულებიც. ყველამ პასუხი უნდა აგოს, მოპარული ფული კი უკრაინის ბიუჯეტში დაბრუნდეს.

**– რაც შეეხება იულია ტიმოშენკოს? აპირებს თუ არა ის პოლიტიკაში ჩართვას რაიმე ფორმით?**

– ვფიქრობ, ეს შეკითხვა თავად იულია ტიმოშენკოს უნდა დაუსვათ.

**– თქვენ უკვე საჯაროდ განაცხადეთ, რომ აპირებთ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას, ვინ იქნებიან თქვენი კონკურენტები და გაქვთ თუ არა გამარჯვების იმედი?**

– მე ჩემს თავს ყოველთვის მაქსიმალურ მიზნებს ვუსახავ და ამიტომ, რა თქმა უნდა, გამარჯვებისთვის ვარ განწყობილი. რაც შეეხებათ ჩემს კონკურენტებს, ჯერჯერობით ოფიციალურად დოკუმენტები რეგისტრაციისთვის არავის წარუდგენია. იანუკოვიჩის გაქცევამ სერიოზულად შეცვალა არჩევნებზე ძალთა ბალანსი. ეს უფრო მკითხაობას ჰგავს. ვფიქრობ, ძალიან მალე გავიგებთ სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე პრეტენდენტების ვინაობას და მაშინ უკვე შევძლებთ, რეალურად შევაფასოთ ძალთა ბალანსი.



## უკრაინის პრეზიდენტობის კანდიდატი ქვეყნის მომავალსა და რუსეთთან ურთიერთობაზე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „შსს ახალ რელსებზე დადგა და უამრავი პოზიტივია მის ქმედებაში“



**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

**ხელისუფლების ცვლილების შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტროს ნომერ პირველი ამოცანა უწყების დეპოლიტიზება იყო. თითქმის ორწლიანი მოღვაწეობის შემდეგ პოლიტიკოსებიცა და ექსპერტებიც აცხადებენ, რომ მიზანი მიღწეულია. ამის დასტურად თავისივე ოპონენტები მოჰყავთ, რომლებსაც შეიძლება ბევრი შენიშვნა აქვთ, თუმცა არა პოლიციის პოლიტიზების საკითხებზე. ახალი ხელისუფლება ამომრჩეველს არსებული ჯარიმების შემცირებასაც დაჰპირდა. რამდენად მოახერხა უწყებამ პოლიტიკისგან განთავისუფლება, შესრულებულია თუ არა გაცემული დაპირებები და რა გზებით აპირებს შინაგან საქმეთა სამინისტრო ნარკომანიის პრობლემის აღმოფხვრას?.. მამუკა არეშიძე, ექსპერტი:**




## მამუკა არეშიძე:

## „ის ფაქტი, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო ცდილობს, უფრო ახლოს იყოს საზოგადოებასთან, ჰქონდეს მასთან უშუალო კონტაქტი – ეს ნამდვილად ჩანს“

– ნარკომანიასთან ბრძოლა აშკარად გამკაცრებულია. ამ საკითხის მიმართ მე ცოტა სუბიექტური ვარ, რადგან თავის დროზე, როცა ბიძინა ივანიშვილისა და ექსპერტების შეხვედრა გაიმართა, მე განვაცხადე, რომ იმ პერიოდში ნარკოტიკების მოხმარების ბუმი იყო. ჩემს სიტყვებში მაშინ ბიძინა ივანიშვილმა ეჭვი შეიტანა. აღმოჩნდა, რომ მე არ ვყოფილვარ მტყუანი და ძალიან გამიხარდა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ მასშტაბური ბრძოლა დაიწყო ნარკოტიკების წინააღმდეგ. ძალიან სწორი გადაწყვეტილებაა, რეცეპტის გარეშე რომ აღარ იყიდება ნარკოტიკული და ფსიქოტროპული პრეპარატები. მიმაჩნია, რომ ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი და რამდენადაც ვიცი, ასევე, სისხლის სამართლის კოდექსში შედის ცვლილებები ეგრეთწოდებულ „ბიოსთან“ დაკავშირებით. ეს სერიოზული პლუსია. ველოდები, რომ აკრძალვები კარგ შედეგს მოიტანს. გარდა ამისა, უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ისტორიაში, როდესაც ტონაზე მეტი ნარკოტიკები დააკავეს. ვერ ვიტყვი რომ ნარკომოხმარება ქალაქსა და ქვეყანაში რადიკალურად შემცირებულია, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ეს ასე მოხდება. წინა მთავრობის დროს ნარკოტიკების მოხმარება დაახლოებით იგივე დონეზე იყო, უბრალოდ, მაშინ ნარკოტიკების მომხმარებლებს იჭერდნენ, როგორც ჩანს, კონტროლზე ჰყავდათ აყვანილი ბარიგებიც, მაგრამ მრჩებოდა შთაბეჭდილება, რომ გარკვეული სისტემა არსებობდა, ნარკოტიკების შოვნა რთული იყო, თუმცა შესაძლებელი. როდესაც ახალი ხელისუფლება მოვიდა, პირველ თვეებში მართლაც ბუმი იყო ამ მხრივ, არც ნარკობარიგები ერიდებოდნენ აქტივობას და ნარკომომხმარებლებიც გათავხედებულები იყვნენ. შემდეგში დაიწყო ბრძოლა და ვთვლი, რომ ეს ბრძოლა ძალიან ეფექტური გამოდგა. ვიცი, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში მზადდება გეგმა საზოგადოების თავშეყრის ადგილებთან დაკავშირებით, მაგალითად, „გალერეის“ მსგავს კაფეებსა და სხვა ტიპის დაწესებულებებში განსაკუთრებით აქტიური გახდება ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლა.

**– ანუ ისეთ ადგილებში, სადაც ეჭვია, რომ ნარკოტიკული ნივთიერებები იყიდება?**

– სადაც, სავარაუდოდ, შეიძლება იყიდებოდეს. რაც შეეხება დანაშაულთან ბრძოლას, ვერ ვიტყვი, რომ, ამ მხრივ, მდგომარეობა გაუარესდა, როგორც ამას ოპოზიცია ლაპარაკობს. პრინციპში, სტატისტიკა ძალიან დინამიკურია, ხან მატულობს და ხან კლებულობს. მე მაინც მივაწერ იმას, რომ როტაცია რეგიონულ თუ რაიონულ პოლიციურ განყოფილებებში ძალიან ხშირია. აქედან გამომდინარე, სისტემა ვერ დალაგდა. მართალია, სტატისტიკის თვალსაზრისით, დანაშაული იკლებს, მაგრამ საერთო სურათის თვალსაზრისით ნევროზული სიტუაციაა. ხშირად იცვლებიან პოლიციის უფროსები, ზოგ შემთხვევაში მათი პროფესიონალიზმიც ეჭვქვეშ დგება.

**– ანუ ამ შემთხვევაში ბევრი ცვლილებაა გასატარებელი?**

– გასაკეთებელი არის ის, რომ წლების განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტროში ყალიბდებოდა სისტემა, როდესაც გამოძიება ხდებოდა მარტივი გზით, ანუ აგენტურის მეშვეობით. გამოძიებას კი, მოგეხსენებათ, თავისი ისტორია აქვს, რომელიც დაფუძნებულია საგნის ღრმა ცოდნაზე, პროფესიონალიზმსა და ინტუიციაზე. საქართველოში, სამწუხაროდ, მოიშალა საგამოძიებო სპეციალობა. ეს ძალიან კარგად ჩანს პროკურატურის მაგალითზე. რასაკვირველია, აგენტურის მეშვეობით მუშაობა ეფექტურია, მაგრამ გამოძიებას მაინც თავისი ხიბლი აქვს. ამ თვალსაზრისით პროფესიონალიზმის დეფიციტი, რასაკვირველია, არის, თუმცა სტატისტიკაში ეს არ ჩანს, რადგან, ასე თუ ისე, მაინც ხერხდება დანაშაულის პრევენციაც და ლიკვიდაციაც. ასე რომ, მე ამ მხარეს შინაგან საქმეთა სამინისტროს მინუსში ნამდვილად ვერ ჩავუთვლი.

**– ჯარიმების მხრივ, ცვლილებებს როგორ შეაფასებთ?**

– რაც შეეხება ჯარიმებს, ეს თემა ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესოა, რადგან დიდი ჯარიმები ძალიან დიდ ტვირთად აწვა საზოგადოებას და მიმაჩნია, რომ სწორი ნაბიჯი გადაიდგა, როდესაც ჯარიმების შემცირება მოხდა.

**– როგორ ფიქრობთ, ხომ არ გამოიწვევს ეს დარღვევების ფაქტების გაზრდას?**

– ეს სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარეა. მაგალითად, ჯარიმა, რომელიც 100 ლარიდან 50-მდე შემცირდა მძღოლების გადამწყვეტი უმრავლესობისთვის ძალიან დიდი შეღავათია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ დარღვევების რაოდენობა გაიზრდება. მესმის თქვენი კითხვა, მაგრამ მძღოლების დაახლოებით 5-10%-ისთვის სულ ერთია გინდ 100 ლარი გადაუხდია და გინდ 50 ლარი. ვგულისხმობ იმ მძღოლებს, რომლებიც განსაკუთრებით თავხედები არიან წესების დარღვევის თვალსაზრისით. შეიძლება შესაძლებელია დიფერენცირება ჯარიმების მიხედვით, მაგალითად, ძვირადღირებულ ჯიპს 100 ლარი დაეკისროს ჯარიმა და შედარებით ძველ მოდელს ნაკლები, თუმცა ეს ძალიან რთული იქნება. შესაბამისად, რადგან ერთი ტიპის ჯარიმებია დაწესებული ყველასთვის, მათი რაოდენობის შემცირება სწორი გადაწყვეტილება იყო. ვეთანხმები თავად მოსაზრებას, რომ გარკვეულ პერიოდში ერთხელ უნდა მოხდეს მართვის მოწმობების განახლება. თუმცა ეს ყველაფერი უნდა იყოს შეღავათიან ფასებში და ძალიან მოქნილად უნდა მიმდინარეობს პროცედურები.

**– ანუ თვლით, რომ მოწმობები 10-15 წელიწადში ერთხელ უნდა იცვლებოდეს?**

– ამასაც აქვს ლოგიკა. წესები წლების განმავლობაში იხვეწება, იცვლება, ადამიანს ასაკი ემატება, ფიზიკური შესაძლებლობები იზღუდება, ვთქვათ, იგივე მხედველობის თვალსაზრისით. ლოგიკა მესმის, მაგრამ ეს ყველაფერი უნდა გაკეთდეს ისე, რომ ხალხი არ დაზარალდეს.

**– რაც შეეხება კონკრეტულ დანაშაულებს?**

– ძალიან მნიშვნელოვანი იყო პირობა, რომელიც ჯერ კიდევ ირაკლი ღარიბაშვილმა გასცა თუნდაც იგივე ჯიჰადის ვიდეოსთან დაკავშირებით. მართალია, ვიღაცამ შეიძლება არ დაიჯეროს, რომ ეს ადამიანი ყირგიზეთის მოქალაქე იყო და აფხაზეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდა, ყოველ შემთხვევაში პასუხი არსებულ კითხვაზე არსებობს და ფაქტია, რომ გამოძიება ჩატარდა. ასევე, მნიშვნელოვანი და დადებითი ფაქტორია თავად შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპოლიტიზება. ვფიქრობ, რომ ამ თვალსაზრისით ძალიან სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა. ძალიან კარგი ქნა ღარიბაშვილმა, როდესაც თავისი განცხადებებით მოჭრა ის ტოტი, რომელზეც თავად შინაგან საქმეთა სამინისტრო იჯდა. რა თქმა უნდა, კარგი გაგებით ვამბობ ამას. ვგულისხმობ მის განცხადებას ვიდეორგოლებთან დაკავშირებით, როდესაც აიკრძალა მათი გამოყენება. შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები ვერანაირად ველარ გამოიყენებენ ფარულ ჩანაწერებს, რადგან გადაწყვეტილება მათივე უწყების მიღებულია. მიმაჩნია, რომ ძალიან მნიშვნელოვანი თემაა და ეს სამინისტროს დეპოლიტიზებას ხელს შეუწყობს. არ მაქვს ინფორმაცია, რომ ოპოზიცია და საზოგადოება წინასაარჩევნოდ პოლიციის პოლიტიზებაზე განცხადებებს აკეთებდეს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დეპოლიტიზება განხორციელებულია. ასევე, დიდი ყურადღება ექცევა იზოლატორების კეთილმოწყობას, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია.

**– როგორ შეაფასებთ ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებს, თვლით, რომ მსგავსი დანაშაული შემცირებულია?**

– ადამიანის უფლებების დარღვევის ცალკეული შემთხვევები, რასაკვირველია, არსებობს. ჩემი აზრით, სამინისტრომ ამ თვალსაზრისით უფრო გამჭვირვალედ უნდა იმუშაოს. რაც უფრო ღია იქნება სამინისტრო ამ მიმართულებით, მით უფრო მეტ პოპულარობას მოიპოვებს. როგორც ვიცი, დაკავებული არიან შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების თანამშრომლები ადამიანის უფლებების შელახვისთვის. ეს ყველაფერი ღიად უნდა ფიქსირდებოდეს. საერთო ჯამში, ჩემი შეფასება ასეთია: შინაგან საქმეთა სამინისტრო ახალ რელსებზე დადგა და უამრავი პოზიტივია მის ქმედებაში. რასაკვირველია, მინუსებიც არის, ზოგ შემთხვევაში უფრო მეტი საჯაროობაა საჭირო. თავად ის ფაქტი, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო ცდილობს, უფრო ახლოს იყოს საზოგადოებასთან, ჰქონდეს მასთან უშუალო კონტაქტი – ეს ნამდვილად ჩანს. მაგალითად, ჩემი თანამშრომლები ძალიან ხშირად რეკავენ სხვადასხვა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურებში. ამ მხრივ, შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ბევრად უფრო აქტიურია ურთიერთობაში, ვიდრე სხვა სამინისტროების შესაბამისი სამსახურები. ზოგიერთი ან საერთოდ არ გპასუხობს ან კონკრეტულ კითხვაზე გეუბნება, რომ ინფორმაციას არ ფლობს.



## „ძალიან სწორი გადაწყვეტილებაა, რეცეპტის გარეშე რომ აღარ იყიდება ნარკოტიკული და ფსიქოტროპული პრეპარატები, ველოდები, რომ აკრძალვები კარგ შედეგს მოიტანს“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მენტალური დაპირისპირება „ნაციონალურ მოძრაობაში“



**my View**

**მირიან ბოქოლიშვილი**

**არსებობს თუ არა დაპირისპირება „ნაციონალურ მოძრაობაში“ და ვინ ვის ლობირებს თბილისის მერობის კანდიდატის შესარჩევ შიდა პრაიმერისში? საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს (ყოფილ ნაციონალს) მიშა ქავთარაძეს თუ დავუჯერებთ, უგულავას გუნდი აქტიურად ცდილობს გიორგი ვაშაძის ჩაძირვას და პრაიმერისში მთაწმინდის გამგებლის, ნიკა მელიას გამარჯვებას.**

„უგულავას პარტიული აქტივი უკვე აღარ გააჩნია, ის თავის დელეგატებს დავალებებს აძლევს, რომ პრაიმერისში ჩაძირონ ვაშაძე, იქ მიმდინარეობს შიდა დაპირისპირება. ვაშაძე-საყვარელიძის დაჯგუფება არის უგულავა-ბოკერია-თარგამაძის დაჯგუფების სერიოზული კონკურენტი. ნაციონალებს სურთ, რომ საბოლოოდ მოსპონ გიორგი ვაშაძის ამბიციები და მერობის კანდიდატად დააყენონ ნიკა მელია“, – ამბობს მიშა ქავთარაძე.

მისი ლოგიკით გამოდის, რომ უგულავას გუნდს ზურაბ ადეიშვილის გუნდი უპირისპირდება. მთაწმინდის გამგებელი ნიკა მელია ნამდვილად უგულავას გუნდში მოიაზრება, დეპუტატი გიორგი ვაშაძე კი, დავით საყვარელიძესთან ერთად, იმთავითვე ზურაბ ადეიშვილის გუნდს წარმოადგენდა.

თავად, ვაშაძეც ადასტურებს, რომ პარტიაში მენტალური დაპირისპირება არსებობს, თუმცა, მისი თქმით, საბოლოო ჯამში, საზოგადოება ამ პროცესისგან ჯანსაღ პოლიტიკურ მოძრაობას მიიღებს, რომელიც კონკურენციის გაწევას შეძლებს.

„რეალურად, პიროვნული დაპირისპირება „ნაციონალურ მოძრაობაში“ არ არის, შეიძლება ითქვას, რომ მენტალური დაპირისპირება არსებობს. ჩვენ გარღვევას ვახდენთ თუნდაც პოლიტიკური მახასიათებლის ვერტიკალური სისტემიდან შიდა დემოკრატიის თვალსაზრისით. ეს მართლა ძალიან მაგარია, მე წელიწად-ნახევრის მანძილზე ზუსტად ამისთვის ვიბრძოდი, შიგნით. თქვენ ნახეთ, რამდენი ადამიანი იყო მოსული ჩვენს ყრილობაზე. ეს არის ძალიან მაგარი პროცესი, ძალიან მიხარია, რომ ბევრი ახალი ადამიანი ჩნდება. საბოლოო ჯამში, ჩვენ მივიღებთ ჯანსაღ პოლიტიკურ მოძრაობას, რომელიც შეძლებს, გრძელვადიანად თავისი როლი ითამაშოს ქვეყნის განვითარების პროცესში. როცა ვსაუბრობთ მენტალურ დაპირისპირებაზე, პირდაპირ გეტყვით, რომ პარტიაში არის კატეგორია ადამიანებისა, რომლებიც არა შიდა დემოკრატიის გზით, არამედ უფრო დანიშვნით იღებდნენ გადაწყვეტილებას“, – აცხადებს ვაშაძე.

პრაიმერისში მისი მთავარი კონკურენტი, მთაწმინდის გამგებელი ნიკა მელიაც არ უარყოფს, რომ „ნაციონალურ მოძრაობაში“ არსებობს ჯანსაღი დაპირისპირება, თუმცა, მისი თქმით, ეს ჯანსაღი პროცესია და პარტიის გახლეჩას არ გამოიწვევს. „პრაიმტაიმი“ დეტალების გარკვევას ნიკა მელიასთან შეეცადა.

**– არსებობს თუ არა დაპირისპირება თქვენსა და გიორგი ვაშაძეს შორის?**

– ის, რომ ჯანსაღი დაპირისპირება არსებობს, ამას ვადასტურებ, ის, რომ მე ვიბრძვი გამარჯვებისთვის, ისევე როგორც გიორგი ვაშაძე, დასამალი არაა. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს პარიმერისი იქნებოდა ფიქცია, სადაც პირადად მე მონაწილეობას არც მივიღებდი. მე ვცდილობ, უფრო მეტი მხარდაჭერა მოვიპოვო, თავისთავად იგივეს ცდილობს გიორგიც. ეს ბუნებრივი პროცესია და თუ ვინმე ამას დაპირისპირებას არქმევს, კი ბატონო, არსებობს ამ ტიპის დაპირისპირება, თუმცა ეს პარტიის გახლეჩას ნამდვილად არ გამოიწვევს. ჯანსაღი დაპირისპირება არსებობს ყველა შეჯიბრებით პროცესში, ეს არ სცდება პრაიმერისის ფარგლებს.

**„ძალიან ბევრი რამ გაკეთდა წინა წლებში და დაუნახავი უნდა იყო, ეს რომ არ აღნიშნო, მაგრამ ძალიან ბევრი წარმატების კვალდაკვალ იყო სერიოზული შეცდომები“**

**– ლიდერშიპიდან ვინ ლობირებს შენს კანდიდატურას და ვინ ემხრობა გიორგი ვაშაძეს?**

– ასე კონკრეტულად ვერ გეტყვი. ბუნებრივია, თანაპარტიელების ერთი ნაწილისგან უფრო მეტ სიმპათიას ვგრძნობ, ვიდრე მეორე ნაწილისგან, მაგრამ ღიად ამის გაცხადება, მით უმეტეს ლიდერშიპიდან მიზანშეწონილი არაა, და ამიტომაც ისინი ამას არ აკეთებენ. პარტიამ კანდიდატი უნდა აირჩიოს არა ლიდერშიპის სიმპათიების მიხედვით, არამედ მასში გაწევრიანებული დელეგატების მონაწილეობით. ამ ეტაპზე ნამდვილად არსებობს ჯანსაღი დაპირისპირება და თუ ეს ამ ჩარჩოებს გასცდა, ნამდვილად არ ვაპირებ დამალვას.

**– რამდენად მართალია, რომ ამ საარჩევნო მარათონში შენი მთავარი ლობისტი გიგი უგულავაა... რეალურად რა როლი მიუძღვის მას შენს კარიერაში?**

– მე გიგი უგულავა ახლოს გავიცანი დაახლოებით წელიწად-ნახევრის წინათ, არჩევნების შემდეგ. შემოთავაზება, რომელიც მისგან მივიღე, მთაწმინდის გამგებლის თანამდებობაზე, ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო, რადგან მე თავად ვარ ამ რაიონის მაცხოვრებელი. ამ პერიოდში გიგისთან ნამდვილად ჩამომიყალიბდა კარგი საქმიანი ურთიერთობა. აქედან თუ გამომდინარეობს ეს ხმები, არ ვიცი, გიორგი ვაშაძე გაცილებით ადრე იცნობდა გიგი უგულავას და მასთან უფრო დიდი ხნის ურთიერთობა აკავშირებს. დღეს ჩემთვის მერის თანამდებობისთვის ბრძოლა არ არის, უბრალოდ, კარიერული წინსვლა, ეს არის დიდი პასუხისმგებლობა და მართლა მონდომებული ვარ, რომ ამ ქალაქისთვის რაღაც გავაკეთო.

**– რას მიიჩნევ „ნაციონალური მოძრაობის“ მთავარ შეცდომად?**

– ძალიან ბევრი რამ გაკეთდა წინა წლებში და დაუნახავი უნდა იყო, ეს რომ არ აღნიშნო, მაგრამ ძალიან ბევრი წარმატების კვალდაკვალ იყო სერიოზული შეცდომები. ამას აღიარებს ყველა, მათ შორის პარტიის ლიდერშიპი. „ნაციონალურ მოძრაობაში“ პრობლემები გამოწვეული იყო იმით, რომ ხშირ შემთხვევაში გადაწყვეტილებებს იღებდა 4-5 ადამიანი. ეს რომ არ ყოფილიყო, რა თქმა უნდა, მინიმალიზებული იქნებოდა შეცდომები. როდესაც გადაწყვეტილებებს იღებ 20 ადამიანთან დისკუსიის შედეგად და არა 3 კაცთან შეთანხმებით, იქ ნაკლებია შეცდომის ალბათობაც. მე რომ არ ვხედავდე, რომ დღეს პარტიაში არ არის ცვლილებებისთვის მზაობა და წარსული შეცდომების გაანალიზების პროცესი, ბევრ რამეს არც დავთანხმდებოდი. ამჟამად ჩემი მთავარი მიზანია სოციალური კუთხით მუშაობა და რიგითი ადამიანებისთვის არსებული პრობლემების გადაჭრა.

**– არჩევნებს ახლავს სირთულეებიც, იგივე შავი პიარის კუთხით... მზად ხარ ამისთვის?**

– რა თქმა უნდა, ველი და სრულიად წარმოსადგენია, თუმცა მეორე მხრივ ვფიქრობ, ალბათ, ეყოფათ ჩვენს მოწინააღმდეგეებს ჭკუა და პოლიტიკური ბრძოლის მეთოდებს არ გასცდებიან. ეს, საბოლოო ჯამში, კვლავ მათ მოუბრუნდებათ. სამწუხაროდ, დღევანდელმა ხელისუფლებამ ვერ გაითვალისწინა წინამორბედის შეცდომები, იგივე შეცდომებს უშვებენ. როდესაც შენ აცხადებ, რომ ნარმანია არის უალტერნატივო კანდიდატი, ეს მე, როგორც ერთ რიგით თბილისელს, არ მომწონს, ისევე როგორც არ მომწონდა, როდესაც ამბობდნენ, რომ გიგი უგულავა იყო უალტერნატივო კანდიდატი. საბოლოოდ, ეს უალტერნატივობის სინდრომი ღუპავს პოლიტიკურ ცხოვრებას. რაც შეეხება ჩემს მომავალ კონკურენტს, დავით ნარმანიას, ჩვენ ორ შორის განსხვავება არის ძალიან მარტივი – ჩემი გამარჯვების შემთხვევაში მე ძალიან დიდ მადლობას გადავუხდი თბილისელებს, ხოლო ნარმანია მადლობას გადაუხდის ერთადერთ პიროვნებას, რომელსაც ჰქვია ბიძინა ივანიშვილი. დარწმუნებული ვარ, „ქართულ ოცნებას“ რომ პრაიმერისი ჩაეტარებინა, დავით ნარმანია არც კი იქნებოდა აქ მოაზრებული კანდიდატებს შორის. ცხადია, ეს არის უშუალოდ ბიძინა ივანიშვილის კანდიდატურა, ბუნებრივია, ის ანგარიშვალდებული იქნება მხოლოდ ბიძინა ივანიშვილისადმი და არა თბილისის მოსახლეობისადმი.



**ნიკა მელია: „არსებობს დაპირისპირება, თუმცა ეს პარტიის გახლეჩას არ გამოიწვევს... თანაპარტიელების ერთი ნაწილისგან ვგრძნობ უფრო მეტ სიმპათიას, ვიდრე მეორე ნაწილისგან“**



**გიორგი ვაშაძე: „პირდაპირ გეტყვით, რომ პარტიაში არის კატეგორია ადამიანების, რომლებიც არა შიდა დემოკრატიის გზით, არამედ უფრო დანიშვნით ილებდნენ გადაწყვეტილებას“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# პირველად 7 წლის შემდეგ – რომან გოც

**my View**
**თამარ გორთამაშვილი**

**ეროვნული ბანკის ფინანსური მონიტორინგის სამსახური შესაძლოა, ფინანსთა სამინისტროს დაექვემდებაროს – საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის, თუმცა საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც მიზნად ფინანსური მონიტორინგის სამსახურის რეორგანიზებას ისახავს, პარლამენტში უკვე შევიდა.**

ინიციატივა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს დავით ონოფრიშვილს ეკუთვნის.

ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ძირითადი მიზანი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლაა. აქ თავმოყრილია ინფორმაცია პირადი საბანკო ანგარიშების მოძრაობის შესახებ, თუმცა კონფიდენციალობა იმდენად დაცულია, რომ მასზე წვდომა თვით ბანკის პრეზიდენტსაც არ აქვს, შესაბამისი სასამართლო დადგენილების გარეშე.

რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ეს სამსახური ფინანსთა სამინისტროს დაექვემდებარება და რატომ შიშობენ ექსპერტები, რომ კონფიდენციალობა დაირღვევა, რაც ამ სამსახურს რეპრესიულ ორგანოდ აქცევს.

ერთ-ერთი პირველი, ვინც დავით ონოფრიშვილის ეს ინიციატივა გააპროტესტა, ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი, რომან გოცირიძე იყო, რომელიც ამჟამად „ეკონომიკური განვითარების ცენტრს" ხელმძღვანელობს. გოცირიძე ფიქრობს, რომ ამ ინიციატივის განხორციელების შემთხვევაში, ფინანსთა სამინისტრომ შეიძლება მინიჭებულ უფლებას გადაამეტოს, რადგან ცდუნება ფიზიკური და იურიდიული პირების პირადი ანგარიშების გაკონტროლებისა გაიზრდება.

პირველად 7-წლიანი დუმილის შემდეგ, რომან გოცირიძე „პრაიმტაიმს" ექსკლუზიურ ინტერვიუს აძლევს და იმ სკანდალის შესახებ უყვება, რომლის შესახებაც, მის გარდა, დღემდე მხოლოდ სამმა ადამიანმა იცოდა და რომელიც ძალიან ბევრ კითხვას გასცემს პასუხს. სანამ ინტერვიუს ძირითად ნაწილზე გადავალთ, მანამდე არცთუ ისე შორეულ წარსულს გადავავლოთ თვალი, რომ სურათი უფრო ნათელი გახდეს.

**როგორ ხდებოდა ფიზიკური და იურიდიული პირების ანგარიშების კონტროლი შევარდნაძის დროს?**

**რომან გოცირიძე:** ეროვნულ ბანკს აქვს ანგარიშსწორების ცენტრი, რომელიც განლაგებული იყო თავისუფლების მოედანზე, ამჟამინდელი ევროპის სახლის შენობაში. ყოველ საღამოს აქ თავს იყრიდა ინფორმაცია ხაზინიდან და კომერციული ბანკებიდან წარმოებული ყველა სახის გადარიცხვის შესახებ. ხდებოდა მისი ამობეჭდვა ქაღალდზე, ასევე, ელექტრონული ფორმითაც, და მიჰქონდათ ეროვნული ბანკის საინფორმაციო და უსაფრთხოების დეპარტამენტში, თავსდებოდა საიდუმლო დოკუმენტების საცავში, როგორც მკაცრად კონფიდენციალური ინფორმაცია, რომლის გამჟღავნება შეიძლებოდა მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით. მთელი უცნაურობა ის იყო, რომ ამ სამსახურის უფროსი ამავე დროს იყო პოლიციის თანამშრომელი, „ოდეერი", ანუ ორი ბატონის მსახური. უკეთ ემსახურებოდა იმას, ვინც უფრო დაუკმაყოფილებდა ინტერესს. „ოდეერები" შევარდნაძის პერიოდში ზოგადად, არ იყვნენ ძალოვნების მხარეზე. უფრო ხელს აფარებდნენ დარღვევებს იმ უწყებაში, სადაც იყვნენ მიმაგრებულნი. მათთვის ძირითადი სამსახური და შემოსავლის წყარო მაინც ეს ორგანიზაციები იყო. სანამ ანგარიშსწორების მასალები საცავში მოთავსდებოდა, მას დისკიდან გადაწერდა სპეციალური საიდუმლო პროგრამით, მხოლოდ ერთადერთი ადამიანისთვის, „ოდერისათვის" ხელმისაწვდომ კომპიუტერში. ეცნობოდა ყველა იურიდიული პირის, პირველ რიგში, მსხვილი თანხების მოძრაობას, მათ შორის ბიუჯეტიდან, აკეთებდა ანალიზს და მთელი დღის ანგარისწორების მასალის ასლი, დისკზე ჩაწერილი, მეორე დღეს მიჰქონდა უშიშროების სამინისტროში. როგორ შეიძლებოდა ეს ინფორმაცია გამოეყენებინათ ძალოვნებს, ადვილი მისახვედრია. ვიმეორებ, ნებისმიერი ადამიანის აქტივობა, ფინანსური რესურსები, ხელისგულზე ჰქონდათ. ყველას აკონტროლებდნენ. ალბათ, აშანტაჟებდნენ კიდეც. არ გამოვრიცხავ, რომ იმდროინდელ კრიმინალურ სამყაროს რაიმე ფორმით ჰქონოდა წვდომა პირადი კავშირების მეშვეობით.

## „ვიმეორებ, ნებისმიერი ადამიანის აქტივობა, ფინანსური რესურსები, ხელისგულზე ჰქონდათ. ყველას აკონტროლებდნენ. ალბათ, აშანტაჟებდნენ კიდევაც. არ გამოვრიცხავ, რომ იმდროინდელ კრიმინალურ სამყაროს რაიმე ფორმით ჰქონოდა წვდომა პირადი კავშირების მეშვეობით"

**– თქვენ როგორ გაშიფრეთ ეს სქემა?**

– რასაც ახლა გეტყვით, არასდროს არავისთვის მითქვამს, ეს იყო ჩემი საიდუმლო. „ოდეერი" და ამ დეპარტამენტის უფროსი აღმოჩნდა ჩემი კურსელი. ის, როგორც ძირითადად ჩემს დაქვემდებარებაში მყოფი ადამიანი, ვალდებული იყო, ყველაფერი აეხსნა, მაგრამ პირადმა ნაცნობობამ უფრო ღრმად ჩამახედა მოვლენებში. ჩემს კითხვაზე, იყენებდა თუ არა ამ პროგრამას და შევარდნაძისშემდგომი ახალი, ე.წ. ვარდების ხელისუფლება, მან მიპასუხა, რომ არა. „ოდეერების" თათბირზე არ ყოფილა არასდროს ასეთი დავალება და მასაც არ უთქვამს არავისთვის ამ პროგრამის არსებობის შესახებ.

**– თქვენ გარდა ვინ იცოდა ამ სკანდალური ინფორმაციის შესახებ?**

– ეს ვიცოდით მხოლოდ მე, ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა და „ოდეერმა", ასევე ეროვნული ბანკის ყოფილმა ორმა პრეზიდენტმა. ერთ-ერთმა ძველმა მოადგილემაც იცოდა ამ პროგრამის არსებობის შესახებ ჩემი ვარაუდით. ანუ მხოლოდ 5 კაცმა ბოლო ოც წელიწადში. რასაც ახლა ვამბობ, არ იცოდა არცერთმა ჩემმა მოადგილემ და საბჭოს წევრმა, არც ეროვნული ბანკის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა. ის, რომ ანგარიშწორების მასალები განსაკუთრებულად კონფიდენციალურია და სათანაო დაცვა სჭირდება, ბუნებრივი ჩანდა, მაგრამ კომპიუტერული დისკებისათვის, რომელიც ერთი შეხედვით სეიფშიც კარგად იყო დაცული, რა საჭირო იყო ცალკე, განსაკუთრებული ფუნქციებით აღჭურვილი საცავის შექმნა, ალბათ ჩემს ახირებად მიაჩნდათ. მე მადლობელი ვარ იმ „ოდეერის", რომელმაც გულწრფელად ჩამაყენა საქმის კურსი და ხელი შეუწყო ამ სისტემის მოშლას, რადგან არავინ იყო დაზღვეული ამ ბოროტების გამოყენებისგან! თუნდაც მე რომ მომენდომებინა და ჩუმ-ჩუმად მეკონტროლებინა, მასთან ერთად ინფორმაცია (ძლიერი პროფესიონალი იყო. მისი რა ბრალია. ასეთი იყო „ოდეერის" მოვალეობა), ან სხვას, ვინც ჩემს შემდეგ მოვიდოდა? ამის ერთხელ და სამუდამოდ გასაუქმებლად გავაკეთეთ შემდეგი: შევქმენით სპეციალური საცავი ოთახი ამ დოკუმენტებისთვის. კამერებით კონტროლი შიგნით და გარეთ. სამი გასაღების პრინციპით (ანუ მხოლოდ სამ ადამიანს ერთდროულად შეეძლო შენახვა ან გამოტანა). სპეციალური ჩანაწერი შესვლა-გამოსვლის ჟურნალში, თუ ვისი მოთხოვნით და რა დროს იქნა მასალა გამოთხოვილი, მაგალითად, სასამართლოს გადაწყვეტილებით). რაც მთავარია, ყველას აეკრძალა ნორმატიული აქტით იქ შესვლა ან მასალის გამოტანა, მათ შორის ეროვნული ბანკის პრეზიდენტს. კომპიუტერში წავშალეთ ყველა პროგრამა, რომელსაც ამ მასალების უკანონოდ წაკითხვა და დამუშავება შეეძლო.

ამას მოვუნდით რამდენიმე თვე. სამუშაოების დასრულების შემდეგ, 7 წლის წინ ფოტოც კი გადავუღე საცავის კარს... ადამიანი იმ ფოტოებს ინახავს, რომელიც სასიამოვნო წუთებს ეხება და ეამაყება. ესეც ამ კატეგორიაში გადის. სპეციალურად მოვიძიე გუშინ. რას ვიფიქრებდი, თუ ოდესმე ამ თემაზე მომიწევდა საუბარი... მოკლედ, როდესაც მოვრჩით ყველა სამუშაოს, „ოდეერს" შევთავაზე, გასულიყო პოლიციიდან პენსიაში და დავტოვებდი იმავე თანამდებობაზე, ყოველგვარი პოლიციური ფუნქციის გარეშე. ასეც მოიქცა. რამდენიმე დღეში გამოგზავნა სამინისტრომ ახალი „ოდეერი", რომელიც არ მივიღე (მეორე თანამდებობაზე ჩემი ბრძანებით უნდა დანიშნულიყო). ეს თემა რამდენჯერმე იყო უსიამოვნო საუბრის თემა შინაგან საქმეთა მაშინდელ მინისტრთან. „ოდეერი" არ დაუნიშნავთ საგარეო საქმეთა სამინისტროში (როგორც ჩანს, სალომე ზურაბიშვილს ვერ გაუბედეს. თუ არ ვცდები, არ ჰყავდა კახა ლომაიას განათლების სამინისტროში და მესამე იყო ეროვნული ბანკი). ჩემი პოზიცია იყო ძალიან მარტივი: მითხრას პირადად პრეზიდენტმა, რატომ უნდა იყოს „ოდეერი" საერთოდ ან მით უმეტეს, ეროვნულ ბანკში (ანუ რატომ არ მენდობა, რაში მჭირდება მეთვალყურე). ეროვნული ბანკი, ბოლოს და ბოლოს, არ არის სამინისტრო. ის სპეციფიკური ინფორმაციის მატარებელი ორგანოა. თანაც „ოდეერის" ინსტიტუტის გაუქმება ჯერ კიდევ 1992 წელს მინდოდა, როცა გავაუქმეთ „ობეხე", სახალხო კონტროლი, ფინანსთა სამინისტროს მსგავსი უწყება. მე და ირაკლი ბათიაშვილმა (უშიშროების მინისტრი იყო მაშინ), მოვილაპარაკეთ, რომ მალე გაგვეუქმებინა. დიდი წინააღმდეგობა იყო „ობეხეს" გაუქმებაზე, და ორ ფრონტზე არ გვინდოდა ომი. მერე დან მონიტორინგის სამსახურის ჩამოცილების მცდელობა ჰქონდა მთავრობას, ნოღაიდელს (და არამარტო მას), ისევე, როგორც ბანკის საქმიანობაში ჩარევის სურვილი. პირველი კონფლიქტი სწორედ მაშინ დაიწყო, როცა მოინდომეს ეროვნული ბანკის ორი თავარი ნაწილის - საბანკო ზედამხედველობის სამსახურის და ფინანსური მონიტორინგის სამსახურის გამოყოფა ეროვნული ბანკიდან. ამას პოლიტიკური და პრაგმატული ქვეტექსტები ჰქონდა. არ ყოფილა ერთი შემთხვევაც კი, რომ კომპრომისზე წავსულიყავი. ეს იყო ჩემი გადადგომის ერთ-ერთი მიზეზი. არ აწყობდა არც პარლამენტს, არც მთავრობას, არც ძალოვნებს ჩემი, როგორც ამბობდნენ, „ზედმეტი ავტონომიურობა". ერთმა ძალიან გავლენიანმა პირმა მითხრა, რომ „ვერ ვეწერებოდი გუნდური თამაშის პრინციპებში", რომ „ურჩევნია, ეროვნული ბანკი იყოს ინსტიტუციონალურად დასუსტებული შენი წასვლით, ვიდრე ისეთი ავტონომიური, როგორიც შენთან ერთადაა". მიხვდება, ალბათ, თავის სიტყვებს, როცა წაიკითხავს.

ჩვენ ვნახეთ ეროვნული ბანკის სადამსჯელოდ გამოყენების მაგალითი პატარკაციშვილისა და ივანიშვილის ბანკების წინააღმდეგ. უფრო დიდი რისკია წმინდა ინსტიტუციონალური თვალსაზრისით ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებაში

## „რასაც ახლა გეტყვით, არასდროს არავისთვის მითქვამს, ეს იყო ჩემი საიდუმლო. „ოდეერი" და ამ დეპარტამენტის უფროსი აღმოჩნდა ჩემი კურსელი"

მეც წამოვედი მთავრობიდან, ირაკლიც და შემორჩა ეს სიმახინჯე, დემოკრატიული ქვეყნისთვის შეუფერებელი აპენდიციტი ჩვენს მმართველობით სისტემას. სასწრაფოდაა გასაუქმებელი. პოლიციურ კონტროლს არასდროს მოუტანია შედეგი. უნდა დაინერგოს მსოფლიოში აპრობირებული შიდა და საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმები. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია: იმ პერიოდში ეროვნული ბანკიდან ხდებოდა ნებისმიერი კონფიდენციალური ინფორმაციის გამოთხოვა ყოველგვარი სასამართლოს დადგენილების გარეშე. ძირითადად, ძალოვნების მხრიდან.

**– ამბობენ, რომ თქვენი წამოსვლის შემდეგ ეროვნული ბანკი ფაქტობრივად პროკურატურის მართვაში გადავიდა. რა ხდებოდა ინფორმაციის დაცულობის კუთხით შემდეგ?**

– არ ვიცი. არც ის ვიცი, არის თუ არა „ოდეერი" ეროვნულ ბანკში და არა მგონია, რომც იყოს, მას მსგავსი უფლებები და ფუნქციები ჰქონდეს, ან ასეთი რამის გაკეთება შეეძლოს. ჩემი მაშინდელი ქმედება იყო ცდუნებისგან ადამიანების დაცვის, პრევენციული მექანიზმის შექმნით განპირობებული.

საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის არსებობა ეროვნულ ბანკთან არაერთხელ იქნა მოწონებული სავალუტო ფონდის მიერ. ის მოიხსენიებოდა როგორც სანიმუშო სხვებისთვის.

წლების განმავლობაში ხდებოდა სპეციალისტების მომზადება უცხოეთში. რამდენიმე წელი უშუალოდ ადგილზე უწევდა კონსულტირებას ამერიკის შეერთებული შტატების ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლი სამსახური.

ეროვნული ბაკი- ამ სამსახურის შეყვანა. ჩვენი ფინანსთა სამინისტრო ძალიან შორსაა უცხოეთში ტრადიციულად ამ ტიპის სამინისტროს ფუნქციისგან. მასში შედის საბაჟო, საგადასახადო, პოლიციური, საბიუჯეტო, საანგარიშსწორებო (ხაზინა) სამსახურები, რომელთა უმეტესობა უცხოეთში ცალცალკეა. ახლა მონიტორინგის დამატებაზეა საუბარი. ესაა მონსტრი, რომლის მართვა ძალიან გაძნელდება.

**– რა საფრთხეებს ხედავთ?**

– საბიუჯეტო შემოსავლების ამკრეფი ინსტიტუტის ქვეშ მოქალაქეების პირადი, ფინანსური ხასიათის მატარებელი უწყების დაქვემდებარება შეიცავს დიდ რისკს. არ ჩანს ამ გადაწყვეტილების რაიმე ეკონომიკური დასაბუთება. გამოდის, რომ ეს მიმართულია ადამიანების გაკონტროლებისკენ, ან ვერ აცნობიერებენ მოსალოდნელ რისკებს. ასეთი გადაწყვეტილება წარმოქმნის უნდობლობასა და საფინანსო ტრანზაქციების ნაღდი, ნაწილობრივ არალეგალური ფორმით განხორციელებას. ფინანსთა სამინისტრო თავისთავად არის ძალზე გაბერილი და ამ დროს ის იქვემდებარებს ისეთ დაწესებულებას, რომელსაც აქვს ყველანაირი წვდომა ადამიანის მიერ ფულის მიღებასა და ხარჯვაზე. პირად



## „სანამ ანგარიშსწორების მასალები საცავში მოთავსდებოდა, მას დისკიდან გადაწერდა სპეციალური საიდუმლო პროგრამით, მხოლოდ ერთადერთი ადამიანისთვის, „ოდერისათვის" ხელმისაწვდომ კომპიუტერში"



ასე გამოიყურებოდა ეროვნული ბანკის საცავის კარი, რომელშიც ეს კონფიდენციალური მასალები ინახებოდა მას შემდეგ, რაც ის მიუწვდომელი გახდა ყველასთვის



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ...ირიძე სკანდალურ საიდუმლოს ამხელს

„ეს ვიცოდით მხოლოდ მე, ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა და „ოდეერმა“, ასევე ეროვნული ბანკის ყოფილმა ორმა პრეზიდენტმა. ერთ-ერთმა ძველმა მოადგილემაც იცოდა ამ პროგრამის არსებობის შესახებ, ჩემი ვარაუდით. ანუ მხოლოდ 5 კაცმა ბოლო ოც წელიწადში. რასაც ახლა ვამბობ, არ იცოდა არც ერთმა ჩემმა მოადგილემ და საბჭოს წევრმა, არც ეროვნული ბანკის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა“




## რატომ დატოვა ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა პოსტი და რა საფრთხეს ხედავს რომან გოცირიძე ფინანსური მონიტორინგის სამსახურის რეორგანიზებაში

## „ფულის გათეთრების თუ ადამიანების პირადი ანგარიშების კონტროლი?!“

ანგარიშებზე...

**– მეორე მხრიდან რომ შევხედოთ, იქნებ, რაღაც დონის კონტროლი საჭიროც იყოს. თუნდაც, იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ ძალიან ბევრი მაგალითი გვახსოვს იმისა, როგორ ფინანსდებოდნენ პოლიტიკური პარტიები?**

– ზუსტად, როდესაც საუბარი იყო, უნდა შექმნილიყო თუ არა ფინანსური მონიტორინგის სამსახურში, პარტიების ფინანსური სახსრების კანონიერების მაკონტროლებელი ორგანო, საბოლოოდ მაინც ვერ გარისკეს, თუნდაც, იგივე უარყოფითი რეზონანსის გამო, საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან და შეიქმნა ის კონტროლის პალატასთან (კონტროლის პალატასაც გაუტეხეს სახელი)... ანუ ეს იმდენად აწყობილი და სუფთა მექანიზმი იყო, რომ მისი გამოყენება რაღაც პოლიტიკური ფინანსების კონტროლის კონტექსტში, ამ ორგანიზაციას რეპუტაციას გაუფუჭებდა და გაუფრთხილდნენ მის როლსა და იმიჯს. მონიტორინგის სამსახური, ფაქტობრივად, უჩინრად აკეთებდა თავის ძირითად ფუნქციას, რომელსაც დისკომფორტი არ შეუქმნია არავისთვის და მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრი უსამართლობა ხდებოდა ბიზნესთან და ადამიანებთან მიმართებაში, მონიტორინგის სამსახური ამ კონტექსტში არასდროს ყოფილა ნახსენები. თუნდაც, როგორც კონტროლის პალატა ან ეროვნული ბანკის საბანკო ზედამხედველობის სამსახური. ყველას გვახსოვს ის ფაქტი, როგორ მოხდა ბადრი პატარკაციშვილის ბანკისთვის და „ქართუ ბანკისთვის“ უსამართლო სანქციების დაწესება.

**– დღეს რაში შეიძლება გამოიყენოს ფინანსთა სამინისტრომ მონიტორინგის სამსახურში დაცული ინფორმაცია?**

– ჯერ ერთი, შეიძლება გამოიყენოს ადამიანის ფინანსური შესაძლებლობების საკონტროლებლად, რაც შეიძლება მას თუნდაც ანალიზისთვის დასჭირდეს, როგორი შეიძლება იყოს პოტენციური საგადასახადო ბაზა, ან რაიმე სხვა მიზნით. არ არის გამორიცხული, როდესაც ჩვენთან არ არის დასავლური დემოკრატიებისთვის დამახასიათებელი შიდაუწყებრივი კონტროლი და საზოგადოებრივი კონტროლი, არც ის არის გამორიცხული, რომ გაჩნდეს ცდუნება ამ ინფორმაციის გარკვეული სუბიექტური მიზნებისთვის გამოსაყენებლად. ეს შეიძლება იყოს პოლიტიკური მიზანი, ოპონენტების თანხების მოძრაობის კონტროლი, თუნდაც კომპრომეტაციისთვის. ანუ შეიძლება რაღაც შეძენები და თანხის ჩარიცხვები საჯარო გახდეს, რომლის გასაჯაროების შემთხვევაში პიროვნებას მიადგება რეპუტაციული ზარალი. მე არ ვამბობ, რომ ეს ამ მიზნით კეთდება, მაგრამ არსებობს საფრთხეები, რომლის გამოც ეს არ უნდა გაკეთდეს და მე ვერ ვხედავ იმ აუცილებლობას, რომლის გამოც ეს უნდა გაკეთდეს ახლა. თანაც, ამას აქვს თავისი დროითი კონტექსტი, როდესაც საზოგადოება ჯერ კიდევ შეშინებულია ყოფილი ხელისუფლების მხრიდან არაკანონიერი მიყურადების გამო, იგივე მოსმენების თემა ავიღოთ... ასე რომ, პირადი ფინანსური მხარის კონტროლი ძალიან მტკივნეულად აღიქმება ადამიანში, ეს გახდება დამატებითი გამაღიზიანებელი ფაქტორი. ეს არის მძიმე თემა, რომლის გადატანა პარლამენტსა და მთავრობას ძალიან გაუჭირდება. ამაში არსებობს სერიოზული პოლიტიკური რეპუტაციის დაზიანების რისკი. არის კი ის მიზანი, რისთვისაც ამას აკეთებენ, ისეთი მაღალი, რომელიც ამართლებს დამატებითი დაძაბულობის შექმნას და დამატებითი პოლიტიკური კონფრონტაციის წარმოქმნას საზოგადოებაში. პოლიტიკური ოპონენტების მხრიდან აუცილებლად იქნება ეს თემა გააქტიურებული და გამოყენებული. მით უმეტეს, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების კონტექსტში, როცა ჩვენ უფრო გვჭირდება კონსენსუსი და მშვიდი თანაცხოვრება, მით უმეტეს, იმ ფონზე, რაც უკრაინაში ხდება. ჩვენთან ყოველი საზოგადოდ მღელვარე საკითხი შეიძლება, არასასიამოვნო ექსცესებში გადაიზარდოს”.

საკანონმდებლო ინიციატივა პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით ონოფრიშვილს ეკუთვნის.

ცვლილებების პროექტის თანახმად, საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებული ფინანსური მონიტორინგის სამსახური ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებაში უნდა გადავიდეს, ხელმძღვანელს კი ფინანსთა მინისტრის წარდგინებით, პრემიერ-მინისტრი დანიშნავს.

**როგორც ონოფრიშვილი განმარტავს, რეორგანიზაციის მიზეზი ამ ორგანოს ფუნქციონირების ქმედითობის გაზრდაა.**

„ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ძირითადი ფუნქციების განხორციელება უკავშირდება სწორედ უკანონო შემოსავლების აღმოჩენას, მისი ლეგალიზების პრევენციას და შესაბამის ქმედებებს. აღნიშნული საქმიანობა მეტწილად სწორედ ფინანსთა სამინისტროს ძირითად ფუნქციებთან არის დაკავშირებული. სამსახურის ფინანსთა სამინისტროს სისტემაში საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ინტეგრირება სამსახურის ეფექტურ მუშაობასა და მოქნილობას გაზრდის“, – ამბობს ინიციატივის ავტორი და სხვა ქვეყნების მაგალითზე საუბრობს, სადაც სწორედ მსგავსი სისტემაა დანერგილი და ეფექტურად მუშაობს.



**დავით ონოფრიშვილი:** „მე ეს საკითხი იმიტომ წამოვწიე, რომ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით კი ისეთი ტიპის ქვეყნებსა და რეგიონებში, როგორიც ჩვენ ვართ, მსგავსი სამსახურები ნაკლებად არის ეროვნულ ბანკთან. არის ქვეყნები, სადაც ასეთი ტიპის სამსახურები არის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, ფინანსთა სამინისტროსთან, არის დამოუკიდებელი სტრუქტურებიც და არის ქვეყნები, სადაც ის არის ეროვნულ ბანკთან. ასეთი სამსახურების ძირითადი ფუნქცია არის ფულის გათეთრების, ტერორისტული საქმიანობის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლა. ამ სამსახურში წარმოებს მონიტორინგი და ეს ეროვნული ბანკის ძირითად ფუნქციას არ წარმოადგენს. ეროვნული ბანკის ძირითადი ფუნქციაა მონეტარული პოლიტიკის გატარება, ინფლაციის თარგეთირება და ა.შ... ასევე, იყო, მაგალითად, დაზღვევის ზედამხედველობის სამსახური, რომელიც თავის დროზე გაუქმდა და შეიტანეს ეროვნულ ბანკთან. ახალი კანონით, რომელიც, ასევე, ჩემი ინიცირებული იყო, ის გამოეყო ეროვნულ ბანკს და დღეს საკმაოდ ქმედითად მუშაობს.

რაც შეეხება ამ კონკრეტულ ინიციატივას, მე, უბრალოდ, თემა წამოვწიე, იმიტომ რომ ვთვლი, ამაზე გარკვეული მსჯელობა საჭიროა, ყველამ თავისი არგუმენტი უნდა თქვას. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ის არა ფინანსთა სამინისტროში, არამედ მთლიანად დამოუკიდებელი ორგანო იყოს, რასაც შეიძლება თავისი პლუსებიც ჰქონდეს. ასე რომ, ეს ჯერ ძალიან ადრეულ ეტაპზეა. მთავრობა თავის მოსაზრებას იტყვის, ექსპერტები თავის აზრს გამოთქვამენ, ეს ბუნებრივად ასე მოხდება... განხილვის დროს გამოჩნდება, რა პლუსები და მინუსები ექნება ამ ინიციატივას...

**– რაც შეეხება ადამიანების პირად ანგარიშებთან წვდომას და კონფიდენციალობის დარღვევას, რაზეც ექსპერტები შიშობენ, რას იტყვით, არ არის ამის საფრთხე?**

– მინდა გითხრათ, რომ პირად ანგარიშებზე საკმარისად ჰქონდათ წვდომა. წინა ხელისუფლებას სწორედ ამის მეშვეობით ხდებოდა ძალიან ბევრი ადამიანის დაჩაგვრა, თანხების წართმევა, დაჭერა და შემდეგ ფულის გამოძალვა. ამ კონტექსტში არ უნდა განიხილონ ჩემი ინიციატივა, რადგან, თუ კონფიდენციალობის დარღვევაზეა საუბარი, ამ პირობებშიც შეიძლება გარკვეულწილად წვდომა ასეთ ინფორმაციაზე, თუმცა, ცხადია, ეს კანონს სცილდება და კანონდარღვევაა მთელ რიგ შემთხვევებში“.

ფინანსური მონიტორინგის სამსახურის რეორგანიზაციის საკითხზე კომენტარი ფინანსთა მინისტრმაც გააკეთა.

„მე მადლობელი ვარ იმ ოდეერის, რომელმაც გულწრფელად ჩამაყენა საქმის კურსი და ხელი შეუწყო ამ სისტემის მოშლას“

„როდესაც მოვრჩით ყველა სამუშაოს, „ოდეერს“ შევთავაზე, გასულიყო პოლიციიდან პენსიაში და დავტოვებდი იმავე თანამდებობაზე, ყოველგვარი პოლიციური ფუნქციის გარეშე. ასეც მოიქცა. რამდენიმე დღეში გამოგზავნა სამინისტრომ ახალი „ოდეერი“, რომელიც არ მივიღე“



**ნოდარ ხადური:** „ფინანსური მონიტორინგის სამსახური არის დამოუკიდებელი სტრუქტურა დღესაც და ის ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობის წინაშე. საქართველოს ეროვნულ ბანკს აქვს მონეტარული პოლიტიკის ძალიან მნიშვნელოვანი ფუნქციები, მაგრამ საქართველოს მთავრობას აქვს ვალდებულებები. მათ შორის, ვალდებულებები ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით და მე ვფიქრობ, რომ, ალბათ, ბატონი დავითის ეს წინადადება კარგად უნდა განვიხილოთ“.

საკანონმდებლო ცვლილების მიღების შემთხვევაში, ფინანსური მონიტორინგის სამსახურის რეორგანიზება ორი თვის ვადაში უნდა განხორციელდეს.

„არც ის არის გამორიცხული, რომ გაჩნდეს ცდუნება ამ ინფორმაციის გარკვეული სუბიექტური მიზნებისთვის გამოსაყენებლად. ეს შეიძლება იყოს პოლიტიკური მიზანი, ოპონენტების თანხების მოძრაობის კონტროლი, თუნდაც კომპრომეტაციისთვის“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „მიმაჩნია, რომ ახლა

# EXCLUSIVE

ეკა სოსელია

**საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ „საქართველოს გზის“ ლიდერი სალომე ზურაბიშვილი პოლიტიკაში აღარ აქტიურობს. არც პრესაში ჩანს ხშირად. ელოდება, როდის დადგება კვლავ იმის საჭიროება, რომ პოლიტიკაში ჩაერთოს. მერის არჩევნებში მონაწილეობას არ აპირებს, თუმცა პროცესში მისი პარტია „საქართველოს გზა“ ჩაერთვება. რას ფიქრობს სალომე ზურაბიშვილი ხელისუფლებაზე, რას უწონებს და რას უწუნებს ახალ მთავრობას, რა მსგავსებას ხედავს ის „ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ შორის, ვბრუნავთ თუ არა მოჯადოებულ წრეზე? „პრაიმტაიმს“ საფრანგეთიდან ექსკლუზიურად ესაუბრება სალომე ზურაბიშვილი.**

**– საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ (რომელში მონაწილეობის უფლებაც არ მოგეცათ... მიზეზების ჩამოთვლას აქ არ დავიწყებთ), ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში აღარ აქტიურობთ, აღარც ქართულ პრესაში ჩანხართ ხშირად, საქართველოში კი ამჯერად ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის ვემზადებით... თქვენს სამომავლო, პოლიტიკურ გეგმებზე მინდა გკითხოთ, რას აპირებთ, თქვენი გუნდი იქნება წარმოდგენილი ამ არჩევნებზე?**

– მგონი, სრულიად გასაგები და ნორმალურია ჩემი „შეკავებული“ პოზიცია საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ... ერთი მხრივ, როგორც აღნიშნეთ, არ მომეცა უფლება და დავამატებდი, კანონის (კონსტიტუციის) უხეში დარღვევითა და სამართლიანობის დარღვევით ამეკრძალა მონაწილეობა... რაც საკმაოდ დიდი შოკი იყო ჩემთვის. ამდენი წლის ბრძოლის შემდეგ, როცა წინა ხელისუფლებას სწორედ ამის გამო ვებრძოდით: კანონის უზენაესობის დარღვევების გამო, უსამართლობის გამო და სასამართლოს დამახინჯების გამო. ასევე, დამაფიქრებელი იყო მეორე ფაქტიც: ჩემი პოლიტიკური ვითომცდა თანამებრძოლებიდან, მრავალი აქციისა და განცხადების თანაავტორთაგან არავინ გამოჩნდა იმდენად გამბედავი, რომ სიმართლე ეღიარებინა. პირიქით, ძალიან ადვილად შეეგუვნენ ამ დარღვევას და მიშასგან მიუღებელი აქ უკვე მისაღებად ჩათვალეს. მე კი მგონია, რომ, რაც არ უნდა ახალი ხელისუფლების მხარდამჭერი იყო (ან რომელიმე ხელისუფლების ზოგადად), და, ალბათ, ყველას ახსოვს, რომ პირველივე დღიდან და არჩევნებამდე ახალ ძალას მხარში ვედექი და ამ ახალი ძალის გამოჩენა სწორედ წლების მანძილზე ჩვენი ბრძოლისა და ქუჩაში დგომის ბუნებრივ გაგრძელებად და დასრულებად მიმაჩნდა. ამის მიუხედავად, დემოკრატია მოითხოვს, ყველა ვიყოთ სადარაჯოზე და სწორედ ჩვენს მიერ მოყვანილ ხელისუფლებას მოვთხოვოთ მეტი პრინციპულობა და კანონმორჩილება, ვიდრე ნებისმიერ სხვას! ამ წესის დარღვევამ ჩემში ბევრი კითხვა გააჩინა.

ისიც შევამჩნიე, რომ ჩემი ზომიერი, – და, ჩემი აზრით, ყოველთვის კონსტრუქციული და არასოდეს ჩასაფრებული პოზიციიდან გამომდინარე, – კრიტიკული დამოკიდებულება ხელისუფლების ზოგიერთი გადაწყვეტილების მიმართ (ხუდონჰესის საკითხზე, საყდრისის საკითხზე, ოლიმპიური თამაშებში მონაწილეობაზე) ძნელად მისაღები აღმოჩნდა მისი წევრებისა თუ მხარდამჭერებისთვის, რამაც, ალბათ, განაპირობა ჩემ მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება. შემიძლია, რაციონალურად გავიგო, რა ხდება და როგორ ხდება, მაგრამ მაინც არ დავეთანხმო, რადგანაც წინა ხელისუფლების გამოცდილებიდან ვიცი, რომ სწორედ ამ დამოკიდებულებამ – კრიტიკის ვერატანამ, საზოგადოების აზრის გარეშე მიღებულმა გადაწყვეტილებებმა, საზოგადოებასთან დიალოგის უქონლობამ, დაბოლოს, ერთპარტიულობამ მიგვიყვანა რამდენიმე წელიწადში იმ შედეგამდე, რომელსაც შეურიგებელი ომი გამოვუცხადეთ. ამიტომ ვალდებულებად მიმაჩნია, რომ იგივე შეცდომების შემყურემ, გამაფრთხილებელი სიგნალები გავაჟღეროთ მაინც, სანამ უფრო მძიმე შედეგებს მივიღებდეთ. ჯანსაღი დემოკრატია ამას მოითხოვს. ამიტომ დავუწესე ჩემს თავს დუმილის პერიოდი. ჩასაფრებული პოზიცია, რომელიც მხოლოდ საარჩევნო დემაგოგიას ემსახურება ზოგისთვის, ასევე მიუღებლად მიმაჩნია. რადგანაც კრიტიკა არ უნდა გახდეს საქმის შემშლელი და ხელისუფლებას უნდა მიეცეს შანსი, თავის გამოჩენისა და მიზნების ახსნის... რასაც დღემდე ველოდები.

ჩემი როლი პოლიტიკაში არ არის, არ ყოფილა და არ იქნება რამე პირადი პოლიტიკური ამბიციების დაკმაყოფილება და ამდენად, არანაირ აუცილებლობას არ ვგრძნობ, მაინცდამაინც ყველა ეტაპზე ჩემი თავი წარვადგინო. იქ, სადაც მეგონა, რომ საჭიროებაც არსებობდა, ქვეყნის პირობებიდან და მის მიმართ შექმნილი საფრთხეებიდან გამომდინარე, და სადაც მიმაჩნდა, რომ ქვეყნის ამოცანები და ჩემი გამოცდილება თანხვედრაში მოდიოდა, არ მომერიდა ჩემი კანდიდატურის წარდგენა; იმდენად, რამდენადაც გულწრფელად ვთვლიდი, რომ ასეთ ადგილს თავისი კონსტიტუციის მახასიათებლებით შევავსებდი და გამოვადგებოდი... ეს იმ შემთხვევაში, თუკი პრეზიდენტი რეალურად ხალხის არჩეული იქნებოდა, – და ამდენად რეალური ლეგიტიმურობის მატარებელი, – და არა დანიშნული!



სამაგიეროდ, სადაც არც ჩემი საჭიროება არსებობს, არც გამოყენების რეალური ასპარეზი (თბილისის მერია, ბოლოს და ბოლოს, არის ის ადგილი, სადაც საერთაშორისო არც კონტაქტები დ არც გამოცდილება დიდად არ ფასობს), ვერ ვხედავ დღესდღეობით „პოლიტიკურ პოლიტიკაში“ ჩემი ჩართვის აუცილებლობას. სამაგიეროდ ნათელია, რომ „საქართველოს გზა“ მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას, როგორც აქამდე მიუღია მონაწილეობა ბევრად რთულ პირობებში. დემოკრატია არჩევნებზე გადის და არჩევნებით მოპოვებულ შედეგებზე. ამიტომ მიმაჩნია, რომ „არასაპარალამენტო“ პარტიის ცნება შეურაცხმყოფელი და ანტიდემოკრატიულია. დემოკრატიულ პირობებში (გარდა აკრძალული ნაცისტური ან კომუნისტური პარტიებისა ზოგ ქვეყნებში) ყველა პარტია „საპარლამენტოდ“ აღიქმება და ეძლევა თანაბარი შანსი. იმედი მაქვს, რომ გამოსწორებულ საარჩევნო პირობებში ეს თანაბარი კონკურენტული გარემო ნელ-ნელა ჩვენთანაც შეიქმნება.

**„ახლა მთავარია, როგორ შევძლებთ ამ ახლად დამყარებული ნდობის გაღრმავებას და რა ინტერესების დასაცავად გამოვიყენებთ სამომავლოდ... პოლიტიკა ახლა იწყება და ამ პოლიტიკას შედეგები უნდა მოჰყვეს“**

ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ჩემი არმონაწილეობა ამ „არჩევნებში“ (სადაც კიდევ ერთხელ „დანიშვნის“ ნიშნები იკვეთება არჩევნების მაგივრად...) არ ნიშნავს პასუხისმგებლობის მოხსნას. გავრცელებულ ჭორებს არ დაუჯეროთ, მე არ გავებუტე არც საქართველოს და არც იმათ, ვინც შეიძლება ბოლომდე არ დაიცვეს ის საერთო პოლიტიკური პრინციპები, რომლის ირგვლივაც მიმდინარეობდა ჩვენი ერთობლივი ბრძოლა. არ მეწყინა არაფერი, რადგანაც პოლიტიკაში არც წყენას, არც სიყვარულს და არც სიძულვილს არ აქვს ადგილი. მიმაჩნია, რომ ახლა ჩემი დრო არ არის და დაველოდები, როცა გამოჩნდება ამის (თუ გამოჩნდა) საჭიროება!

**– ახლანდელ ხელისუფლებასთან თანამშრომლობას გამორიცხავთ? ხომ არ მიგიღიათ რაიმე შეთავაზება?**

– კიდევ ერთხელ ვამბობ, მე არავის ვუპირისპირდები და არავის ვევაჭრები. ამიტომ, თუ სადმე საჭირო ვიქნები, უთუოდ დავფიქრდები და არაფერს გამოვრიცხავ. მეტადრე, რომ ბევრად უფრო მიუღებელ პირობებში, ომის შემდეგ და მიშას მმართველობის დროს, ჩემი კატეგორიული ოპონირების მიუხედავად, მაინც საჯაროდ შევთავაზე ჩემი თავი ჟენევის მოლაპარაკებებისთვის. მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ ბევრად უფრო ეფექტურად შეიძლებოდა ჩვენი პოზიციების დაცვა, ვიდრე დავიცავით, მაგალითად, კოდორისა და ახალგორის საკითხები... ასევე, დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე, ზვიად გამსახურდიას მმართველობის დროს, „მრგვალი მაგიდის“ არჩევნების შემდეგ, გადავუგზავნეთ წინადადებების მთელი პაკეტი, რომელიც საგარეო პოლიტიკასა და სამართლებრივი კუთხიდან გულისხმობდა პირველი რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ აღდგენას, ამით საერთაშორისო აღიარებების დაჩქარებასა და ბევრი სირთულის თავიდან მოშორებას; ასევე, შევარდნაძის პერიოდში პარიზში ჩამოსულ ახალგაზრდა ოპოზიციასთან შეხვედრისას (ჟვანია, სააკაშვილი) ვთავაზობდით (ჯანრი და მე) ჩვენს თანამშრომლობას და ყველანაირ დახმარებას. ეს მზადყოფნა ჩემგან დღესაცაა და ყოველთვის იქნება.

**– როგორია თქვენი შეფასება არსებული პოლიტიკური რეალობისა... ბუნებრივია, თვალს ადევნებთ მიმდინარე პროცესებს, შტატებში პრემიერის შეხვედრასაც დაესწარით...**

– ძალიან ძნელია პოლიტიკური მოვლენების შეფასება. ალბათ, მოლოდინი ცოტა სხვა იყო: უფრო სწრაფი შედეგები ეკონომიკაში, როგორც სოციალურ სფეროში და ცხადია, სამართლებრივ სექტორში... მაგრამ ამავე დროს საგარეო პლანზე, სადაც, ასევე, მიმაჩნდა, რომ ხელისუფლება არასაკმარისად აქტიურობდა (მეტადრე, თუ შევადარებთ „ნაცმოძრაობის“ ლობისტურ აქტიურობას), ახლახან გაცოცხლდა ეს მიმართულება. ახსენეთ პრემიერის ვიზიტი ამერიკაში: ამ ნაბიჯს ველოდი გასული წლის ოქტომბრიდან და მოხარული ვარ, რომ ახალმა პრემიერმა დანიშვნიდან მესამე თვეშივე მიიღო მიწვევა და ამ დონეზე იქნა მიღებული. კარგად ვაცნობიერებ იმასაც, რომ ეს, ალბათ, მოხდა ორივე მხრიდან, უკრაინაში განვითარებული მოვლენების გამო... მაგრამ რაც არ უნდა იყოს მიზეზი, ეს შეხვედრები თავისთავად დადებითად აისახება საქართველოს მიმართ ამერიკის დამოკიდებულებაში. აქამდე მათთვის უცნობი ახალი ხელისუფლება ვერ გადაწონიდა იმ გრძელვადიან ურთიერთობებს, რაც არსებობდა. ამ ვიზიტმა საშუალება მისცა ორივე მხარეს გაცნობისა, ბევრი გაუგებრობისა და ეჭვების გაფანტვისა... ახლა მთავარია, როგორ შევძლებთ ამ ახლად დამყარებული ნდობის გაღრმავებას და რა ინტერესების დასაცავად გამოვიყენებთ სამომავლოდ... პოლიტიკა ახლა იწყება და ამ პოლიტიკას შედეგები უნდა მოჰყვეს.

**– გავაგრძელოთ აშშ-ში ქართული დელეგაციის ვიზიტის თემა. ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრები ჰქონდა პრემიერ ღარიბაშვილს და თეთრ სახლში კიდევ ერთხელ დაადასტურეს მხარდაჭერა ჩვენი ქვეყნის მიმართ. როგორ ფიქრობთ, ხომ არ გამოიწვევს ეს რუსეთის გაღიზიანებას? ისტორიამ გვაჩვენა, რომ „ოქროს შუალედის“ დაჭერა მარტივი არ არის...**

– ოქროს შუალედი არსებობდა და, ალბათ, იარსებებს კიდეც, თუკი ამას ჩვენში მოვნახავთ... ეს არის იგივე „ნულოვანი თამაშიდან“ გამოსვლა. ჯერ ერთი, ჩვენ თვითონ არ უნდა ჩავთვალოთ, რომ ნებისმიერი ნაბიჯი ერთისკენ მაინცდამაინც მეორის ან მესამის (ანუ ევროპის თუ ამერიკის) საწინააღმდეგოდ უნდა იყოს აღქმული. ამიტომ ჩვენი პოლიტიკა უნდა იყოს გამჭვირვალე, ყველამ უნდა იცოდეს, რა ინტერესებს ვემსახურებით, რა მიზნები გვამოძრავებს და რომ ჩვენი ყველა გადადგმული ნაბიჯი არა სხვის გეგმებსა და განზრახვებს, არამედ მხოლოდ ჩვენს ეროვნულ ინტერესებს ემსახურება... მაგალითად, სამხედრო ბაზების მოლაპარაკებების დროს, რუსეთისთვის ნათელი იყო, რომ ჩვენი მოთხოვნა სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარეობდა და არ ექვემდებარებოდა სხვა მიზნებს – მაგალითად, სხვა ქვეყნის ბაზების განლაგებას ჩვენს ტერიტორიაზე. ასევე, ჩვენი დაახლოება ევროპასთან უნდა იყოს მისაღები, როგორც ჩვენი ქვეყნის ღირებულებებიდან გამომდინარე, და როგორც ნიშანი ჩვენი თავისუფალი არჩევანისა, და არა როგორც გაწევრიანება მტრულ კავშირში... სამწუხაროდ, ისიც უნდა ითქვას, რომ დღევანდელ ისტერიულ „მილიტარისტულ“ ფსიქოზში მოხვედრილი რუსეთისთვის ბევრად უფრო რთულია რამის ახსნა და მასთან რამე ოქროს შუალედის მონახვა, ვიდრე ეს იყო ჩემ დროს, როცა მოლაპარაკებებს ვაწარმოებდი რუსეთთან თითქმის ათი წლის წინათ.

**– რას ფიქრობთ, ზოგადად, რუსეთთან ურთიერთობაზე და ხედავთ თუ არა ნორმალიზების გზებს? შესაძლოა, შედგეს ორი ქვეყნის პრეზიდენტების შეხვედრა...**

– შეხვედრა შეხვედრისთვის დღევანდელ სიტუაციაში, ცოტა არ იყოს, რთული შეიძლება აღმოჩნდეს იმ ქვეყანასთან, რომელიც ყოველდღიურად მავთულხლართებს ავლებს ჩვენ ტერიტორიაზე... რთულია მოლაპარაკება იმ ქვეყანასთან, რომელმაც უარყო ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის პრინციპი და აღიარა სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობა... ალბათ, ჯერ არაფორმალური, მაგრამ პოლიტიკური შეხვედრები უნდა ჩატარდეს, რომელიც ნოყიერ ნიადაგს მოამზადებს ასეთი შეხვედრისთვის. ჩვენს შემთხვევაში ჯერ არ არსებობს და აუცილებელია, შეიქმნას ის ნდობა და თანასწორობა, რაც ორ მეზობელ ქვეყანას შორის უნდა არსებობდეს და რომელმაც ნიადაგი უნდა შეუქმნას პრეზიდენტების შეხვედრას.

**– რაც შეეხება ჩვენს ევროინტეგრაციის გზას, ვემზადებით ევროპასთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერისთვის. როგორ ფიქრობთ, როგორი იქნება რუსეთის რეაქცია? ყველამ კარგად დავინახეთ, როგორ განვითარდა მოვლენები უკრაინაში სწორედ რუსეთის მონაწილეობით... ქვეყანაში, სადაც ევროინტეგრაციის სურვილსა და მოთხოვნებს ხალხის სიცოცხლე შეეწირა.**

– უკრაინის სიტუაცია ნაწილობრივ გამოწვეულია ორჭოფობითა და გაურკვევლობით. სანამ უკრაინას გეზი ევროპისკენ ჰქონდა აღებული, პირდაპირი ზეწოლა არ განხორციელებულა. მაგრამ როგორც კი იანუკოვიჩმა გადაწყვეტილება შეცვალა და ამ საკითხის ირგვლივ გაჩნდა განხეთქილება და აურზაური, რუსეთმა მაშინვე დაინახა განახლებული თამაშის საშუალება. მას ახასიათებს არა პირდაპირი კონფრონტაცია, არამედ არამყარ სიტუაციაში არეულობის შეტანა და სხვადასხვა ძალების გამოყენება. ეს ხერხები კარგად აქვს გამოცდილი და მეტ-ნაკლებად უცვლელი მეთოდებით მოქმედებს საბჭოთა კავშირიდან მოყოლებული: სამხედრო ჟესტიკულაცია, დაშინება, მტრების ფაშისტებად გამოცხადება (გამსახურდიასგან დაწყებული და დღეს მაიდანელების გაშავებით დამთავრებული), რუსი მოქალაქეების წაქეზებითა და ასე შემდეგ. სამწუხაროდ, რუსეთმა ჯერაც ვერ ისწავლა, როგორ გამოიყენოს სხვა ინსტრუმენტები და საკუთარი თავი მიმზიდველად წარმოუდგინოს მეზობლებს. თუკი დღეს ყირიმს წაართმევს უკრაინას, მოიგებს კიდევ რაღაც მიწის კვადრატებს (უკვე უჭირავს მსოფლიო მიწების მეექვსედი და რაში სჭირდება, გაუგებარია), მაგრამ რეალურად დაკარგავს ბევრად მეტს: დანარჩენ უკრაინას დაიპირისპირებს დიდი ხნით, ეჭვებს გააჩენს მეზობლების თვალში (თუნდაც მისკენ ახლად მიბრუნებული სომხეთისა და აზერბაიჯანის თვალში), არაფერი რომ არ ვთქვათ დანარჩენ მსოფლიოზე. სამაგიეროდ ყირიმიდან რომ გამოჰყავდეს რუსეთს თავისი „რუსებად არაღიარებული სამხედრო ფორმირებები“, მოლაპარაკებების სანაცვლოდ, დარწმუნებული ვარ, დიდ შედეგებს მიაღწევდა, ევროპაც და ამერიკაც სტაბილურობისა და სიმშვიდეს ნაცვლად ბევრ რამეზე წავიდოდნენ, რასაც სამხედრო შანტაჟის ქვეშ არ დათმობენ...

**– პოლიტიკოსები, ანალიტიკოსები და რიგითი მოქალაქეებიც**

**„ცხადია, რუსეთი, რამდენადაც შეუძლია, იყენებს პარალელს ჩვენს კონფლიქტურ რეგიონებთან, რათა ამით დაარწმუნოს ყველა, რომ ყველაფერი უკვე გათამაშებულია და ვერავინ შეეწინააღმდეგება ყირიმის მიტაცებაში“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ჩემი დრო არ არის!“



**„მე ის ვიცი, რომ თვით მუხროვანის საქმე იყო სკანდალური. ან ნამდვილად მოხდა გადატრიალების მცდელობა, რაც არ მჯერა და მაშინ წარმოუდგენელია, რომ ფაქტები დღემდე არ იყოს დადგენილი და საჯაროდ ცნობილი“**

## ექსკლუზიური ინტერვიუ სალომე ზურაბიშვილთან

**კი ავლებენ პარალელს აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან... როგორ ფიქრობთ, ემუქრება უკრაინას ორად გაყოფის საფრთხე?**

– ცხადია, რუსეთი, რამდენადაც შეუძლია, იყენებს პარალელს ჩვენს კონფლიქტურ რეგიონებთან, რათა ამით დაარწმუნოს ყველა, რომ ყველაფერი უკვე გათამაშებულია და ვერავინ შეეწინააღმდეგება ყირიმის მიტაცებაში. როგორც აღვნიშნე, მგონია, რომ ამ „გამარჯვებით“ ბევრს დაკარგავს და კიდევ უფრო მეტს, თუ უკრაინის გაყოფის გზაზე წავიდა, რაც არ მგონია. უკრაინა არის ის ქვეყანა, რომელიც არ შეეგუება, ომს დაიწყებს და აღარ დაამთავრებს. ეს იქნება ტერორისტული ბრძოლა, რომელიც რუსეთს ძვირად დაუჯდება და მან ეს კარგად იცის. ისიც იცის, რომ დაპყრობილი უკრაინის შენახვის რესურსები მას არ გააჩნია... ანუ დიდი ნაწილი ამ სამხედრო „დაშინების“ სტრატეგიის სწორედ დაშინებაა, რომ მერე არ დასჭირდეს რეალურად ძალის გამოყენება.

**– კვლავ საქართველოს დავუბრუნდეთ. ერთ-ერთი მთავარი პრეტენზია, რაც ხელისუფლების მისამართით ხშირად ისმის, ეს არის ის, რომ იგვიანებს სამართლიანობის აღდგენა, ჭიანურდება გირგვლიანის, ჟვანიასა და სხვა რეზონანსული საქმეების გახსნა. თქვენც ასე ფიქრობთ? და რატომ ჭიანურდება ეს პროცესი, თქვენი აზრით?**

– უკვე ბევრჯერ ვთქვი და გავიმეორებ, რომ სამართლიანობის აღდგენა არ არის სწორი ცნება. სამართლიანობა არის სუბიექტური ცნება, რომელიც განსხვავებულად აღიქმება სხვადასხვა ადამიანის მიერ. რაც ჩემთვის სამართლიანია, შესაძლოა თქვენთვის არ იყოს და პირიქით. თუ ჩვენ დემოკრატიული ქვეყნის პრეტენზია გაგვაჩნია, უნდა ვითხოვდეთ კანონის აღდგენასა და კანონის უზენაესობას. ანუ კანონი, მხოლოდ კანონი და სრული კანონი... და კანონის უზენაესობა არის ძალიან მომთხოვნი: ის მოითხოვს, მაგალითად, რომ, ვინც იქნა აღიარებული, როგორც პოლიტპატიმარი, მან შემდეგ სასამართლო წესით მიიღოს მორალური გასამართლება, შესაძლო კომპენსაცია და გარანტია, რომ მის მიმართ არსებული ბრალდებები, რის გამოც იყო დევნილი თუ დაჭერილი, ყველა მოხსნილია. კანონის უზენაესობა მოითხოვს, რომ ვინც იყო დამნაშავე სახელმწიფოს მიმართ – კორუფცია, პოლიტიკური დევნა, არჩევნების გაყალბება... გასამართლდეს. ქვეყანას რევანში არ სჭირდება. რევანშიზმი არის დამანგრეველი, სამაგიეროდ ქვეყანას სჭირდება სიმართლე. საქართველოს ტრაგედია მდგომარეობს ტყუილსა და სიყალბეში. მას შემდეგ, რაც დამოუკიდებლობა გამოცხადდა, საქართველოს ძარცვავენ მისი მმართველები, კერძო საკუთრებად თვლიან, მაგრამ არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა, როცა ვინმემ აგო პასუხი რომელიმე სახელმწიფოებრივ დანაშაულზე. ეს პირდაპირ ამკვიდრებს დაუსჯელობის სინდრომს და ქმნის მოჯადოებულ წრეს, სადაც ხელისუფლებაში ყველა ახალმოსული იმავე გზით მიდის, რადგან მაგალითები მხოლოდ იმას ღაღადებს, რომ არავინ არ აგებს პასუხს დანაშაულისთვის და არც მოპარულ ქონებას აბრუნებს. ეს წრე უნდა დაიშალოს, ეს ჯადო უნდა მოიხსნას. კიდევ ერთხელ რევანშიზმში არ არის საქმე: ყველა დამნაშავე, ყველა ციხეში ან რომელიმე ნულოვან ტოლერანტობაზე ლაპარაკი (ეს მიშას დავუტოვოთ), არამედ იმაზე, რომ, თუ არ გვინდა, რომ იგივე გამეორდეს, უნდა გავიგოთ, ეს ყველაფერი როგორ ხდებოდა, რა მეთოდებით იპარავდნენ, რა მეთოდებით აშინებდნენ, რა მეთოდებით ავიწროებდნენ ბიზნესს. აუცილებელია რამდენიმე სამაგალითო სასამართლო, რათა გავიგოთ, რა მოგვივიდა და როგორ დავიცვათ თავი ასეთი მანკიერი მართვის ფორმების გაცოცხლებისგან.

ამას, ასევე, აქვს პოლიტიკური დანიშნულება: სანამ დამნაშავისა და უდანაშაულოს გამოხშირვა არ მოხდება, მთელი პასუხისმგებლობა გადანაწილებული იქნება მთლიანად „ნაციონალურ მოძრაობაზე“, მის წევრებსა და მომხრეებზე. ყველა ერთად ატარებს არჩევნების გამყალბებლების დაღს... ამდენად, პოლიტიკურად პარალიზებული იქნება „ნაციონალური მოძრაობა“ მანამ, სანამ არ გასამართლდებიან პასუხისმგებელი პირები, დამნაშავეები და თავიანთ ვალს (სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით) არ გადაიხდიან. პოლიტიკურად მიუღებელია პატარა ქვეყნისთვის ასე ნაწილ-ნაწილ პოლიტიკური სპექტრის პოლიტიკიდან გარიყვა. უკვე ოცი წელია, რაც პოლიტიკური სპექტრის ერთი ნაწილი გარიყულია აქტიური პოლიტიკიდან (ყოფილი ზვიადისტები, ვინც პოლიტიკურ პროცესებში დღემდე არ მონაწილეობენ). ახლა შეიქმნა „მიუკარებელი“ ძალა, რომელიც რჩება დამოკლეს მახვილის ქვეშ, მაგრამ გაუგებარ სიტუაციაში, დამნაშავე ხალხის თვალში, მაგრამ არა სასამართლოს მიერ, რაც ყველაზე არასალი სიტუაციაა ქვეყნისთვის.

იგივე ითქმის ეკონომიკასა და საინვესტიციო გარემოზე, რომელზეც ბევრი ისმის, მაგრამ ადგილიდან არ იძვრის. რანაირად უნდა გამოცოცხლდეს საინვესტიციო გარემო, თუკი მთავარი ფაქტორი, ანუ ნდობა, არ აღდგა. რანაირად უნდა აღდგეს ნდობა, თუ არ დამტკიცდა, როგორ ახერხებდა წინა ხელისუფლება ქონების წართმევას. ნაწილს მაინც უნდა დაუბრუნდეს ქონება სამაგალითოდ, სადაც შესაძლებელია, მორალური კომპენსაცია მიეცეთ დაზარალებულ პირებს, წინააღმდეგ შემთხვევაში რამდენიც არ უნდა ილაპარაკოს ხელისუფლებამ, რომ ის, რაც მოხდა, აღარ ხდება ან აღარ მოხდება. ინვესტორი, რომელიც არის ყველაზე ფრთხილი არსება, არ ჩადებს თავის კაპიტალს იმ ქვეყანაში, სადაც თითქმის ოცი წელია, უცხო და ადგილობრივ ბიზნესმენებს აიძულებენ, მოგებას კი არ ემსახურონ, არამედ პოლიტიკურ მიზნებს.

**– მუხროვანის სკანდალურ კადრებზეც მინდა გკითხოთ... საკმაოდ დიდი რეზონანსი გამოიწვია ქართველ საზოგადოებაში ვანო მერაბიშვილის სიტყვებმა „ორი გვამისა და დიდი პრემიის“ შესახებ... თუმცა ეს მისთვის ახალი ბრალდების საფუძველი არ გამხდარა.**

– რამდენად სკანდალურია მუხროვანის კადრები და რას ემსახურება ამ ფირების გამოჩენა, არ ვიცი. მე ის ვიცი, რომ თვით მუხროვანის საქმე იყო სკანდალური. ან ნამდვილად მოხდა გადატრიალების მცდელობა, რაც არ მჯერა და მაშინ წარმოუდგენელია, რომ ფაქტები დღემდე არ იყოს დადგენილი და საჯაროდ ცნობილი. ეს ან პოლიტიკური სცენარი იყო, როგორც მგონია, და მიმაჩნია, რომ ამის ბოლომდე გამოძიება ერთ-ერთი პრიორიტეტია, რადგან ამ ქვეყანაში ამასაც უნდა გადავეჩვიოთ – საბჭოთა მემკვიდრეობის ყველაზე მძიმე ნიმუშს – რომ ხელისუფლება ოპოზიციას ნათლავს მტრად და მოღალატედ და მზად არის, დადგმულ სამხედრო გადატრიალების სცენარზეც წავიდეს. მე კი მიმაჩნია, რომ ეს ქვეყნის ღალატის ტოლფასია. ამდენად ხელისუფლების პრიორიტეტი არ შეიძლება არ იყოს მუხროვანის, მაგრამ არამხოლოდ მუხროვანის, ასევე, ლაფანყურის, თვით ომის დაწყების დეტალები...

**– კეზერაშვილის საქმეზე რას იტყვით? მისი ექსტრადირება ვერ მოხერხდა და ქართულმა მხარემ, შეიძლება ასეც ითქვას, ფრანგ პროკურორს „დააბრალა“..**

– ძალიან სამწუხაროა, რომ ეს გახმაურებული საქმე ასე დასრულდა... ფრანგი პროკურორის ბრალზე ცოტა სასაცილოა... ის ფაქტი, რომ საფრანგეთში არსებული ლობისტები პრესაში აქტიურობდნენ, სწორია. მაგრამ პროკურორი ხელმძღვანელობდა ჩვენ მიერ მიწოდებული მტკიცებულებებით და სიფრთხილით, რადგანაც საქმე თავდაცვის ყოფილ მინისტრს ეხებოდა და პოლიტიკური ნიშნებით სამართლის არდაშვება მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია... მე მაინც მგონია, რომ საკმაოდ მოუმზადებლად და არასერიოზულად წარადგინეს საქმე და ეს არაპროფესიონალიზმის ბრალია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „რატომ იყო რევოლუციამდელი ბავშვი გონებაჩლუნგი?!“

## ექსკლუზიური ინტერვიუ განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან

## EXCLUSIVE



ნატა დვალიშვილი

**ყველასთვის საყვარელი კინოფილმის ცნობილი კითხვის ცნობილი პასუხი – იმიტომ, რომ მას არ ჰქონდა სათამაშო! – ალეგორიულად პასუხობს ყოველი ჩვენგანის მთავარ შეკითხვას. რატომ გვაქვს დღეს ამდენი პრობლემა? იმიტომ, რომ არ გვყოფნის განათლება – დღეს ამაზე არც პოზიცია დაობს და არც ოპოზიცია.**

გააჩერეთ ქუჩაში ასაკით უფროსი ნებისმიერი ადამიანი და ის აუცილებლად გეტყვით, რომ უწინდელი განათლების სისტემა გაცილებით უკეთეს ცოდნას იძლეოდა, ვიდრე ახლა. ეს ერთნაირად ეხება როგორც სკოლას, ისე უმაღლეს სასწავლებლებს. მაგრამ ჩვენ უწინდელი უკვე გავიარეთ... განათლების სისტემამ სამოქალაქო დაპირისპირებისა და ომიანობის პერიოდში ინერციით გამოიარა თითქმის 20 წელი, დრო, რომელიც სრულად ჰყოფნის ერთ თაობას, რომელმაც ამ გარდამავალ პერიოდში, ღმერთმა უწყის, როგორი ხარისხისა და რა დონის განათლება მიიღო.

განათლების სისტემა რთულად, მტკივნეულად, მაგრამ მაინც ცდილობს, ფეხი აუწყოს თანამედროვე სტანდარტებს. სახელმწიფო დღემდე მუშაობს განათლების სტრატეგიაზე, ერთიან ეროვნულ სასწავლო გეგმაზე, ჩამკვდარი პროფესიული სწავლების აღორძინებაზე, მასწავლებლის გაუფასურებული და დაუფასებელი შრომის პრესტიჟის აწევაზე. თუმცა, ყველაფერი მაინც სკოლიდან იწყება, საიდანაც, სამწუხაროდ, ჩანს მოსწავლის ნაკლები პასუხისმგებლობა და მასწავლებლის სულ უფრო და უფრო ნაკლები ენთუზიაზმი.

**„პრაიმტაიმი“ განათლების სისტემაში არსებული პრობლემების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს თამარ სანიკიძეს გაესაუბრა:**

**– ქალბატონო თამარ, დღეს ბევრი პრობლემაა სკოლებში, ვხედავთ, რომ სასწავლო პროცესი არაა იმ დონესა და სიმაღლეზე, როგორც ადრე იყო. რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ სასწავლო პროცესის მიმართ ბავშვებს მეტი პატივისცემა და პასუხისმგებლობა გაუჩნდეთ?**

– იმის თქმა, რომ სასწავლო პროცესი არც ერთ სკოლაში არ არის საინტერესო, ვფიქრობ, არასწორია. სკოლა განვითარებაზე, სრულყოფაზე, მაღალი შედეგების მიღწევაზეა ორიენტირებული. სკოლის ადმინისტრაცია, თითოეული მასწავლებელი დაინტერესებულია, რომ სასწავლო პროცესი სრულყოფილი იყოს, მოსწავლეებმა აჩვენონ მაღალი შედეგები. სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებელი, მოსწავლე, და მშობელი სასწავლო გარემოს ერთად ქმნიან. შესაბამისად, ყველას თავისი წილი პასუხისმგებლობა აკისრია. შედეგები მათ თანამშრომლობასა და ჩართულობაზე, მათ შეთანხმებულ ქმედებებზეა დამოკიდებული.

**– ჩვენ გვახსოვს ის დაბალი შეფასებებიც, რაც საკვალიფიკაციო გამოცდებზე შარშან პედაგოგებმა აჩვენეს. რა გაკეთდა წელს მათთვის, იზრუნეთ თუ არა მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე, გვაქვს თუ არა გარანტია, რომ წლევანდელ გამოცდებზე პედაგოგებს უკეთესი მაჩვენებლები ექნებათ?**

– მასწავლებლების კვალიფიკაციის შეფასება აქამდე მხოლოდ ერთი ინსტრუმენტით, სასერტიფიკაციო გამოცდით ხდებოდა, რომელიც საგნობრივი და პროფესიული უნარების გამოცდას მოიცავდა. მხოლოდ ტესტით მასწავლებლის კვალიფიკაციის სრულფასოვნად შეფასება შეუძლებელია, რადგან არ ფასდება მასწავლებლის საქმიანობის პრაქტიკული ნაწილი, როგორ მუშაობს საკლასო ოთახში, რას აკეთებს მოსწავლეების მაღალი შედეგების მისაღწევად.

სულ მალე მასწავლებლის შეფასების ახალ მოდელზე გადავალთ და მათი კვალიფიკაციის შემოწმება მრავალკომპონენტიანი გახდება. შემუშავებულია ახალი, უფრო სრულყოფილი, თანამედროვე და საერთაშორისო სტანდარტების მოდელი. ამ ახალი სისტემით უნდა განისაზღვროს, სად აქვს მასწავლებელს პრობლემა, სად შეიძლება დავეხმაროთ, მივცეთ რეკომენდაცია მეტად განვითარებისთვის, რომ მისი საქმიანობა სრულყოფილი გახდეს. მასწავლებლის პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლას შესაბამისი ანაზღაურება მოჰყვება. ჩვენ მაშინ გვექნება წარმატებული განათლების სისტემა, როდესაც მასწავლებლის საქმიანობა დაფასებული იქნება, პედაგოგის პროფესია პრესტიჟული გახდება. სისტემაში შემოვა უფრო მეტი და მეტი ახალგაზრდა და განათლებული კადრი.



**– დამეთანხმებით, ქვეყანაში არის წიგნიერების პრობლემა, წიგნი არ არის მოთხოვნადი, სავალალო მდგომარეობაშია ბიბლიოთეკები... რა უნდა გაკეთდეს განსაკუთრებით ახალგაზრდობაში, წიგნისა და ცოდნის მოთხოვნის გასაზრდელად?**

– ბევრი კვლევა ჩავატარეთ მოსწავლეებში წიგნიერების დონის შეფასების კუთხით. წიგნიერების მაღალი დონე გულისხმობს არ მხოლოდ განათლებას ან კითხვის ტექნიკას, არამედ წაკითხულის გაგებასა და გააზრებას. 300-ზე მეტ სკოლაში USAID-ის დაფინანსებით კონკრეტულად წიგნიერების განვითარებაზე ორიენტირებული პროექტი მიმდინარეობს, რომელიც სწორედ სააზროვნო და მათემატიკური უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული. ამასთანავე, სამინისტრომ შეიმუშავა ბიბლიოთეკისა და ბიბლიოთეკარის სტანდარტი, დავიწყეთ სასკოლო ბიბლიოთეკების განვითარების პროგრამა და წიგნის ფონდის განახლება. მოსწავლეებისთვის ასევე მისაღები, ინფორმაციული და საინტერესოა ინტერნეტით მოძიებული ინფორმაცია, ამიტომ, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს ელექტრონულ საგანმანათლებლო რესურსებთანაც ჰქონდეთ წვდომა. ერთი ადამიანი მეორის ნაცვლად ვერ ისწავლის, ახლა და ადრეც, ნებისმიერ დროსა და ადგილში, განათლების გარეშე წარმოუდგენელია, იყო შემდგარი და წარმატებული პიროვნება. ამის პროპაგანდა მიმდინარეობს. არჩევანი ადამიანმა თავად უნდა გააკეთოს, გარემო კი სკოლის, ოჯახის, მთლიანად საზოგადოების სახით ხელს უნდა უწყობდეს.

**– თქვენ ადრე საუბრობდით სკოლებში აბიტურკლასების გახსნის შესახებ. რა ეტაპზეა ეს საკითხი?**

– ამ საკითხზე მუშაობა ჯერ არ დასრულებულა. ეროვნული სასწავლო გეგმის გადამუშავებული ვერსიის დამტკიცების შემდეგ გახდება ცნობილი, როგორი იქნება საათობრივი დატვირთვის გადანაწილება საგნების მიხედვით. სავარაუდოდ, აბიტურკლასებზე მოთხოვნილებაც გაირკვევა და ამ პროექტის ჩაშვებაც მოგვიანებით იქნება შესაძლებელი.

**– ჩამოყალიბდა თუ არა საბოლოო სახით ეროვნული სასწავლო გეგმა და რა ძირითადი მიმართულებებია ამ დოკუმენტში?**

– ეროვნული სასწავლო გეგმა მოიცავს ადმინისტრაციულ ნაწილს, სასწავლო პროცესის დაგეგმვას, მართვასა და საგნობრივი სტანდარტების ნაწილს. დღეს სამინისტრო 2011 წელს დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმით მუშაობს. თუმცა, ეს ცოცხალი, განვითარებადი დოკუმენტია და პერიოდულად გადახედვა სჭირდება. უკვე დავასრულეთ მისი შედარებითი ანალიზი სხვა ქვეყნების წარმატებულ მოდელებთან. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მისი გადამუშავება რეკომენდაციების გათვალისწინებით.

**– რა პროექტები მიმდინარეობს 2014 წელს განათლების სისტემაში და რა შედეგებს ელით მათგან?**

– ზოგადი განათლების მიმართულებით არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება. მათგან გამოვარჩევდი ცვლილებებს მასწავლებელთა მომზადების, პროფესიაში შესვლისა და კარიერული განვითარების სტრატეგიულ გეგმაში. როგორც მოგახსენეთ, მზადდება მასწავლებელთა კვალიფიკაციის შეფასების ახალი ინსტრუმენტები. ამის გარდა, დამტკიცდება დირექტორისა და მასწავლებლის ახალი პროფესიული სტანდარტი. არის პროგრამები უსაფრთხო და ჯანსაღი სკოლის უზრუნველსაყოფად. იწყება მასობრივი სპორტის სასკოლო პროგრამა, რომელსაც სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან ერთად განვახორციელებთ. ამჯერად ვაშენებთ 9 სკოლის შენობას და ეს რიცხვი კიდევ გაიზრდება. გადაიხედება სკოლების შეფასების სისტემა. გაძლიერდება მოსწავლეებში სამოქალაქო ცნობიერების განვითარებაზე ორიენტირებული პროგრამები.

ასევე, არაერთი პროგრამა ხორციელდება უმაღლესი განათლების კუთხით. მათ შორის მნიშვნელოვანია „ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამების სახელმწიფოს მიერ დაფინანსების პროგრამა“. გასულ წელს სახელმწიფომ სრულად დააფინანსა ბაკალავრიატის კურსი 17 სპეციალობაზე, წელს ეს რაოდენობა გაიზრდება. მაგალითისთვის, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს აგრარული ფაკულტეტის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით შეუძლია დამატებით მოიპოვოს დაფინანსება რამდენიმე სპეციალობაზე, ესენია: აგრარული ტექნოლოგიები; სასურსათო ტექნოლოგია; სატყეო საქმე; აგროინჟინერია; მეცხოველეობა; აგრონომია; ნიადაგისა და წყლის რესურსების ინჟინერია.

2014-2015 სასწავლო წლიდან შემოდის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების ახალი წესი: დოქტორანტებს შესაძლებლობა ექნება დაფინანსება მოიპოვონ 3 წლის ვადით. ხოლო დოქტორანტი, რომელიც არის მეორე და შემდგომი სასწავლო სემესტრის სტუდენტი, გრანტს მოიპოვებს სამი წლის ფარგლებში დარჩენილი სასწავლო სემესტრების ვადით.

სამინისტრო სისტემატურად განახორციელებს ზაფხულისა და ზამთრის სკოლების პროგრამებს და კონკურსის წესით დააფინანსებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საინტერესო და აქტუალურ პროექტებს. მნიშვნელოვანი ცვლილებებია დაგეგმილი პროფესიული განათლების სფეროშიც...

**– ეს განსაკუთრებულად მტკივნეული თემაა, რადგან ყველას არ აქვს შესაძლებლობა, ჰქონდეს უმაღლესი განათლება და მუშაობდეს საკუთარი სპეციალობით. წლების განმავლობაში პროფესიული განათლება აბსოლუტურად მოშლილი იყო... ხდება თუ არა ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიების შესწავლა და გაიხსნება თუ არა პროფესიული სასწავლებლები ამ მოთხოვნის მიხედვით?**

– სწორედ ამიტომ გამოაცხადა დღეს სახელმწიფომ პრიორიტეტად პროფესიული განათლება. ამ სისტემაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მიმდინარეობს, ფაქტობრივად, ყველაფერი თავიდან კეთდება. შარშან საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ დამტკიცდა პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც, ეტაპობრივად უნდა მივაღწიოთ შედეგებს, პროფესიული განათლების მაღალ ხარისხსა და მის თანაბარ ხელმისაწვდომობას. აქ მთავარი გამოწვევა შრომის ბაზარზე ორიენტაცია და არსებულ მოთხოვნაზე სწრაფი რეაგირებაა. ბაზრის კვლევის სისტემური მექანიზმები ამ დრომდე ქვეყანაში არ არსებობდა. თუმცა, ჯანდაცვის სამინისტრომ ამ სფეროში მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან ერთად შეიმუშავა „შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგია“, სადაც აქტიურად ვართ ჩართულები. პროფესიული განათლებისთვის ხომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნის შესახებ ინფორმაციის ფლობა. ეს ერთი და მეორე – 2013 წლიდან სახელმწიფო სრულად აფინანსებს პროფესიული განათლების მიღების მსურველებს. ჩვენ შევცვალეთ პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის წესი, გაიზარდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა ხელფასი; განახლდა პროფესიული სტანდარტები და საგანმანათლებლო პროგრამები; დაიწყო ინკლუზიური პროფესიული განათლების დანერგვა – დღეს სახელმწიფო კოლეჯებში 50-ზე მეტი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირი სწავლობს და მათთვის შესაბამისი გარემო და პირობებია შექმნილი.

რეალობისა და საჭიროებების გათვალისწინებით, ვფიქრობთ ახალი პროფესიული სასწავლებლების გახსნაზეც, განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნის რეგიონებში.

**– როგორ მიმდინარეობს მზადება ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის, აბიტურიენტთა რეგისტრაციის პროცესი უკვე დაწყებულია...**

– რეგისტრაცია 21 მარტს დასრულდება. აბიტურიენტებს 1 თვე აქვთ იმისთვის, რომ ჩასაბარებელი საგნების ნუსხა ჩამოწერონ. პირობითად მიუთითონ სასურველი სპეციალობები, რადგან საშუალება ექნებათ, კიდევ რამდენიმე თვის განმავლობაში ცვალონ არჩეული ფაკულტეტები, მათი რაოდენობა და თანმიმდევრობა. ცვლილებების განხორციელება აბიტურიენტებს გამოცდის შედეგის გამოცხადების შემდეგაც ექნებათ – ისევე, როგორც შარშან და ეს პროცესი სააპელაციო განაცხადების მიღების დასრულებასთან ერთად შეწყდება.

გვაქვს სიახლეებიც: 2014 წლიდან აბიტურიენტებს საშუალება ექნებათ, არჩევით საგნად სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებაც ჩააბარონ. სკოლებში ამ საგნის სწავლება I-IX კლასის ჩათვლით სავალდებულოა, ხოლო დამამთავრებელ კლასებში – არჩევითი. და კიდევ ერთი სიახლე – უცხო ენის გამოცდას ემატება მოსმენის ნაწილი. გამოცდაზე დაახლოებით 10 წუთი იქნება გამოყოფილი იმისთვის, რომ აბიტურიენტმა მოუსმინოს ტექსტს და ამის საფუძველზე გააკეთოს 8-დავალებიანი სავარჯიშო. შესაბამისად, ტესტის ამ ნაწილის მაქსიმალური შეფასება იქნება 8 ქულა. აბიტურიენტებს წარმატებას ვუსურვებ, საგამოცდო პროცესიც მაღალ დონეზე ჩაივლის, რაშიც დარწმუნებული ვარ.

**– რა ხდება ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის პოპულარიზაციის მიზნით? წელს პარლამენტი, ალბათ, მიიღებს კანონს ენის შესახებ, რომლის რეგულაციებიც სხვადასხვა ღონისძიებების გატარებას მოითხოვს...**

– უდავოა, რომ სახელმწიფო ენის სწავლება ერთ-ერთი პრიორიტეტია. რთული მდგომარეობაა ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. ამ რეგიონებში უნდა გავაძლიეროთ ის პროექტები, რომლებიც ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლებას შეუწყობს ხელს. მთელი ქვეყნის მასშტაბით საქართველოს ისტორიისა და ქართული ენის შესწავლის მოტივაციის ამაღლებისთვის არაერთი კონკურსი და პროექტია დაგეგმილი. ჩვენი სამინისტრო ენების სწავლების პოლიტიკის დოკუმენტზე მუშაობს, ასევე, ვამზადებთ პროგრამას, რომლის მიხედვითაც ქართულ ენას მსურველები თურქეთის სკოლებშიც შეისწავლიან. უცხოეთის საკვირაო სკოლებისთვის კი მომზადებულია ქართული ენის შესასწავლი პროგრამები. ქართული ენა არ უნდა დაკარგონ ემიგრაციაში წასული ჩვენი მოსახლეობის შთამომავლებმა.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რატომ დააკავეს ოდესაში ქართველი ბიზნესმენი?

# ცნობილ ადვოკატებს ჯგუფურ თაღლითობაში ადანაშაულებენ





**my View**

**მირიან ბოქოლიშვილი**

**ამ საქმის ფიგურანტებიდან ერთი ყოფილი მაღალჩინოსნების ადვოკატია, მეორე კი – ქურდული სამყაროს არაერთი წარმომადგენლის, თუმცა შესაძლოა, მალე მათ სასამართლოში საკუთარი ინტერესების დაცვა მოუწიოთ. ყოველ შემთხვევაში ბიზნესმენ მერაბ შველიძის სახელით პროკურატურაში უკვე შეტანილია განცხადება. შველიძე ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძესა და მის კოლეგას, გოგიტა გაბაიძეს ჯგუფურ თაღლითობაში სდებს ბრალს. „პრაიმტაიმს“ დაუკავშირდა ბიზნესმენის მეუღლე, ინეზა შველიძე, რომლის თქმითაც, „თაღლითი ადვოკატების“ მეშვეობით ჯერ კუთვნილი ქონება წაართვეს, შემდეგ კი ოდესაში მისი მეუღლე დააპატიმრებინეს.**

# EXCLUSIVE

**ინეზა შველიძე, ბიზნესმენ მერაბ შველიძის მეუღლე:**

– ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ ეს ადამიანები არ ჩერდებიან, კვლავინდებურად აგრძელებენ დანაშაულებრივ ქმედებებს და პარალელურად ტელევიზიებით პოზირებენ, როგორ იცავენ ვიღაცის უფლებებს. ისინი ვერავის უფლებებს ვერ დაიცავენ, რადგან თვითონ არიან დამნაშავეები. ამიტომ მეც მსურს, თქვენი საშუალებით ვუპასუხო ამ ადამიანებს.

**– მოდით, მომიყევით, რა მოხდა...**

– 2005 წელს წავედით საქართველოდან, რადგან ჩემს მეუღლეს ჰქონდა ბიზნესი, წლებია, იქ ვიყავით, თუმცა 2012 წელს უკრაინაში, კერძოდ, ოდესაში დააპატიმრეს თაღლითობის ბრალდებით. აღმოჩნდა, რომ საქართველოს გადაცემული ჰყავდა ძებნაზე, რაც ჩვენთვისაც სიურპრიზი აღმოჩნდა.

**– რას ედავებოდნენ თქვენს მეუღლეს?**

– 2006 წელს ჩვენს საქმეებზე ვიყავით ჩამოსული თბილისში, ვფლობდით საცხოვრებელ სახლს ე.წ. ცირკის სასტუმროს თავზე. ამ დროს ჩვენთან მოდის ოჯახის ახლობელი და ჩემი მეგობარი ხათუნა გორდეზიანი, რომელსაც იპოთეკარებმა წაართვეს რამდენიმე სახლი. გვითხრა, რომ წყნეთის აგარაკი ამჟამად აქვს დაიპოთეკებული, ესეც რომ არ დაეკარგა, გვთხოვა, დროებით ჩვენი სახლი დაგვეტვირთა იპოთეკით, ამ თანხით გაისტუმრებდა წყნეთის იპოთეკარებს, გაყიდდა აგარაკს, რომლის კლიენტიც ჰყავდა და ჩვენს სახლსაც უპრობლემოდ გამოიხსნიდა. მერაბს შეეცოდა და დასთანხმდა ამ წინადადებას. მერაბმა ჩვეულებრივ ათხოვა ეს სახლი, დატვირთეს იპოთეკით, თუმცა ფულადი ოპერაცია პირველ ჯერზე არ ჩატარებულა, შემდეგ გადააიპოთეკეს, სადაც უკვე ერთვება შალვა ხაჭაპურიძის ოჯახი – დედა და დეიდა. მერაბი მიდის საზღვარგარეთ, პერიოდულად უკავშირდება ხათუნას და ეუბნება, რას შვრები, რატომ არ ათავისუფლებ სახლსო, მაგრამ კონკრეტულ პასუხს არ გვაძლევდა. თავიდან შალვა ხაჭაპურიძე საერთოდ არ ჩანდა, მოგვიანებით გავიგეთ, რომ იპოთეკარი მზევინარ იაკობიძე რეალურად მისი დეიდა იყო და საქმეში თავადაც ღიად გამოჩნდა. მოდის ხაჭაპურიძე სრულიად მოულოდნელად და იწყებს ჩემი სახლიდან გამოსახლების პროცედურას. მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, 2010 წლის სექტემბერში ხაჭაპურიძის თაოსნობით სახლიდან მართლაც მასახლებენ. გარდა იმისა, რომ სახლიდან გამოგვასახლეს, ხაჭაპურიძემ საარბიტრაჟო სასამართლოს მიმართა და 56 ათასი ლარი დაგვაკისრეს ჯარიმის სახით. ეს ხდება მაშინ, როცა ჩემს ოჯახს არანაირი ინტერესი არ ჰქონდა ამ სახლის დაიპოთეკების, არც ფული აგვიღია და ეს ძალიან კარგად იცის ხაჭაპურიძემ.

**– თქვენი მეუღლე რა ბრალდებით დააკავეს?**

– როდესაც მერაბი დააკავეს, მას წაუყენეს ბრალი, რომ თითქოს ერთხელ დატვირთა სახლი იპოთეკით, შემდეგ მოატყუა მაგული ხაჭაპურიძე, რომელიც თვალითაც კი არ ჰყავს მერაბს ნანახი, აიღო დიდი ოდენობით ფული და მიიმალაო. ჩამოვედით საქართველოში, პირველმა ინსტანციამ მერაბს მიუსაჯა 7-წლიანი პატიმრობა, თუმცა სააპელაციო სასამართლომ სრულიად უდანაშაულოდ ცნო. მანამდე დავიწყე საქმის გარკვევა და აღმოჩნდა, რომ ეს ყველაფერი წინასწარ იყო დაგეგმილი თაღლითების მიერ ჩვენი ქონების მისაკუთრების მიზნით. ამ

**შალვა ხაჭაპურიძე და გოგიტა გაბაიძე ბიზნესმენს სიცრუეში ადანაშაულებენ და მტკიცებულებების წარმოდგენას სთხოვენ**

საქმეში მონაწილეობს ხაჭაპურიძის კიდევ ერთი კოლეგა, პოპულარული ადვოკატი გოგიტა გაბაიძე, რომელიც რეალურად იდგა შუამავლის, მარინა კიკაჩეიშვილის უკან. ეს ქალბატონი ჯერ კიდევ მერაბის დაჭერამდე მეუბნებოდა, რომ თქვენ არ იცნობთ გოგიტა გაბაიძეს, ის ისეთია, რომ მერაბს დააჭერინებს, ამიტომ საქმეს ნუ გაართულებთო. კი მაგრამ, რატომ უნდა დაიჭირონ მერაბი-მეთქი, რომ ვეკითხებოდი, ნორმალურ პასუხს არ მცემდა. ამის შემდეგ შევხვდი თავად გოგიტა გაბაიძეს თავის მეგობართან სახლში და მეუბნება: კი, ვიცი, რომ შენს ქმარს არანაირი ფული არ აუღია, მაგრამ რა ვქნა, მე იმ ხალხმა ფული გადამიხადაო, შენც მომეცი 10 ათასი დოლარი და მოვრიგდებითო. ეს თავიდან ხუმრობად ჩავთვალე, იმდენად აბსურდულ რაღაცას ამბობდა. ამის შემდეგ ვცადე კიდევ შეხვედრა და კონტაქტზე აღარ გამოვიდა, დათქმული შეხვედრიდან ჩემს თვალწინ ხმის ამოუღებლად გაიქცა. რეალურად მერაბი წინასწარ ჰყავდათ ამოღებული მიზანში. ხაჭაპურიძე, კიკაჩეიშვილი და გაბაიძე ახლა ერთად ამტკიცებენ, რომ ეს თანხა მისცეს მერაბს და მიიმალა. მე მაქვს ინფორმაცია, რომ ჩვენ არ ვართ ერთადერთი ოჯახი, რომელიც ამ მაქინაციას შევეწირეთ, კიდევ არსებობს 6 ოჯახი, რომელიც ამ ჯგუფმა ანალოგიური გზით დააზარალა. ამ ჯგუფმა იმის გამო, რომ ჩვენ არ გვედავა სახლზე, აღძრა სისხლის სამართლის საქმე და მერაბი დააჭერინა.



**– როგორც ვიცით, ეს საქმე უკვე პროკურატურაში გაქვთ შეტანილი...**

– დიახ, იმის გამო, რომ ეს ხალხი ახლაც აგრძელებს სხვების გაუბედურებას, ჩვენ მივმართეთ პროკურატურას და გამოძიება ინტერესდება მათი საქმიანობით. ეს ადამიანები უნდა დაისაჯონ. ეს არის ერთი დიდი თაღლითური ჯგუფი. ჯგუფური თაღლითობის დანაშაულის გამოსაძიებლად ყველანაირი დოკუმენტაცია არსებობს. მე მოვუწოდებ საზოგადოებას, ნუ აიყვანენ ასეთ ულირს პირებს ადვოკატად, ისინი არათუ დაიცავენ თქვენს ინტერესებს, არამედ აქეთ დაგაზარალებენ.

**„პრაიმტაიმი“ შველიძეების ბრალდებებზე ადვოკატებს, შალვა ხაჭაპურიძესა და გოგიტა გაბაიძეს დაუკავშირდა. ხაჭაპურიძე ამბობს, რომ მის წინააღმდეგ არ არსებობს არანაირი დოკუმენტი. რაც შეეხება პროკურატურას, ადვოკატის თქმით, პროკურატურას შველიძის წინააღმდეგ თავად მიმართა.**

„წარმოადგინა რაიმე დოკუმენტი? რა თქმა უნდა, არა, რადგან ასეთი დოკუმენტი ბუნებაში არ არსებობს. რამდენი გიჟიც რამეს იტყვის, იმაზე კომენტარები ვაკეთო? პროკურატურაში მეც მაქვს შეტანილი სარჩელი და სასამართლოში ვუჩივი პატივისა და ღირსების შელახვის გამო. ქვეყანაში არსებობენ ადამიანები, რომლებსაც რაღაც იდეაფიქსები აწუხებთ. ერთი დოკუმენტი მაინც წარმოადგინოს, რომელიც ჩემს ბრალეულობაზე მიუთითებს. გაიძახის, ჩემი ქმარი შალვა ხაჭაპურიძემ დაიჭირაო. ეტყობა, ავიწყდება, რომ მე ვარ ადვოკატი და არა პროკურორი. ადამიანებს პროკურორები იჭერენ. თავს ვიკავებ, რომ ამ ქალის აღვირახსნილ განცხადებებს გავცე პასუხი, მაგრამ არ ჩერდება“, – აცხადებს „პრაიმტაიმთან“ საუბრისას შალვა ხაჭაპურიძე.

**რაც შეეხება ადვოკატ გოგიტა გაბაიძეს, ის ამბობს, რომ შველიძეებს საერთოდ არ იცნობს და მისთვის ხსენებული ბრალდებები სრულიად გაუგებარია.**

„სისულელეა, საერთოდ არ ვიცნობ ამ ქალს. წარმოადგინოს რაიმე მტკიცებულება, ან დოკუმენტი. ასე ჰაერზე სისულელეების ლაპარაკი ხომ არ შეიძლება. წარმოდგენა დამეკარგა ზოგადად ჟურნალისტებზეც, ვიღაც დაგიკავშირდებათ, რაღაც სისულელეს იტყვის და მერე თქვენ წერთ ამას. არ შეიძლება ყველაფრის წერა. ყველა უდანაშაულო როგორ არის ამ ქვეყანაში. არ მიმაჩნია საჭიროდ მათზე კომენტარის გაკეთება. თუ სადმე რამეს დოკუმენტურად დადასტურებულს წარმოადგენენ, ბოდიშს მოვიხდი“, – ამბობს ადვოკატი გოგიტა გაბაიძე „პრაიმტაიმთან“ საუბრისას.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხ

სანდრო ბარათელი

**სოფლის მეურნეობის განვითარება რომ ჩვენი ქვეყნისთვის სტრატეგიული და ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია, ამაზე უკვე აღარავინ დაობს. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი, ხელისუფლებამ ჯერ კიდევ გასული წელს გადადგა და „მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი“ წამოიწყო. მიმდინარე წლის პირველ თებერვალს პროექტის მეორე ეტაპი დაიწყო. წინა წლისგან განსხვავებით, ამჯერად, 800 ათასი ბენეფიციარი მიიღებს სახელმწიფო დახმარებას.**



როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროში აცხადებენ, „მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი“, უკვე აქტიურ ფაზაშია შესული. ქვეყნის მასშტაბით, პროექტით გათვალისწინებული მიწის გარკვეული ნაწილი უკვე დამუშავებულია. ნიადაგის დამუშავებას კი შპს „მექანიზატორი“ და რამდენიმე კონტრაქტორი კერძო მეწარმე ახორციელებს. როგორ მიმდინარეობს მიწის ხვნა და ამ დროისთვის რა ფართობი აქვს დამუშავებული? „პრაიმტაიმი“ შპს „მექანიზატორის“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს,ზვიად ჩხაიძეს ესაუბრა.

**„მინდა აღვნიშნო, რომ თანამედროვე ევროპული ტექნიკით ხდება მიწების დამუშავება, ამას გლეხებიც ხედავენ და უკვე დაიწყეს გარჩევა, რომელი ტექნიკით ჯობია მიწის დამუშავება“**

**ზვიად ჩხაიძე:** - 4 მარტის მონაცემებით, უკვე დამუშავებულია 11, 321 ჰექტარი მიწა. აქედან 10, 177 ჰექტარი შპს „მექანიზატორის“ მოხნულია, დანარჩენი კერძო კომპანიების. ხვნა, როგორც წესი, აღმოსავლეთიდან იწყება. კონკრეტულად კი ქვემო ქართლიდან, შემდეგ მოსდევს კახეთი, თუმცა წელს, ფაქტობრივად, შიდა ქართლში, ქვემო ქართლსა და კახეთში, ერთდროულად დაიწყო მიწის დამუშავება. ამ ეტაპზე ჩართულია კახეთის ჩვენი ორი სერვის ცენტრი, ასევე ქვემო ქართლის, ორი, მცხეთა-თიანეთის ერთი და შიდა ქართლის ერთი სერვისცენტრი.

**- შპს „მექანიზატორი“ შარშანაც თანამშრომლობდა სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ამ პროექტის ფარგლებში?**

- დიახ. როგორც წელს, შარშანაც ძირითადი კონტრაქტორი კომპანია ჩვენ ვიყავით. მინდა გითხრათ, რომ ჩვენთან შეთანხმებით, პროექტების განვითარების სააგენტო, აფორმებს ხელშეკრულებას კერძო კონტრაქტორებთან, ანუ ამხანაგობებთან და ისინიც არიან ჩართულები ამ პროექტში. შარშან 117 კერძო კონტრაქტორი იყო ამ პროექტში, საიდანაც დაახლოებით 85 ათასი ჰექტარი ჩვენ დავამუშავეთ და კერძო კომპანიებმა დაახლოებით 17 ათასი ჰექტარი დაამუშავა.



**- წელს რამდენი კერძო კონტრაქტორია პროექტში ჩართული?**

- ამ ეტაპზე, აღმოსავლეთ საქართველოში, დაახლოებით 20-25 კონტრაქტორი კერძო კომპანია მუშაობს. ძირითადად, კონტრაქტორები, როგორც შარშან, წელსაც დასავლეთშიც იქნებიან.

**- რაც შეეხება ტექნიკას, თუ არის საკმარისი რაოდენობა, რაიმე შეფერხება რომ არ იყოს?**

- პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ თანამედროვე ევროპული ტექნიკით ხდება მიწების დამუშავება, ამას გლეხებიც ხედავენ და უკვე დაიწყეს გარჩევა, რომელი ტექნიკით ჯობია მიწის დამუშავება. საბჭოთა კავშირის პერიოდში, ითვლებოდა, რომ ჩვენს ქვეყანას დაახლოებით 803 ათასი სახნავი მიწის ფართობი ჰქონდა. შემდეგ აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიები გამოეყო და დაახლოებით 750 ათასი ჰექტარი დარჩა, რომელიც სახნავად ითვლება. ამ მიწების უმეტესობა 20 წელია არ მუშავდებოდა. ბევრგან სტრუქტურა შეიცვალა, რაღაც აშენდა, ბაღი გაშენდა და ა.შ. მოკლედ, 20-წლიანმა მემკვიდრეობამ, ცუდი შედეგი მოიტანა. იმ პერიოდში, გათვლილი იყო, რომ ამ ფართობის მიწის დასამუშაველად საჭირო იყო 15-დან 20 ათასამდე ერთეული ტექნიკა. ჩვენ კომპანიას ამჟამად 989 ერთეული სახნავი ტექნიკა აქვს. ამას გარდა გვყავს კომბაინები მოსავლის ასაღებად და სხვადასხვა ტიპის მექანიზმები. მთლიანობაში 1100 ერთეულზე მეტი ტექნიკაა, ჩვენი კომპანიის მფლობელობაში. ბუნებრივია, იმისთვის, რომ 200 ათასი ჰექტარი დამუშავდეს, ეს ტექნიკა საკმარისი არ არის, მაგრამ როდესაც აღმოსავლეთ საქართველოში აგროვადები მთავრდება, ჩვენ ვახერხებთ ტექნიკის გადაადგილებას დასავლეთში. შარშან ძალიან ბევრი ყამირი მიწა მოიხნა. სამტრედიის რაიონში ისეთი მიწები მოიხნა, სადაც საერთოდ ტრაქტორიც არ შესულა არასდროს. იყო ისეთი შემთხვევებიც, სადაც მანადე გლეხები ხარებით ხნავდნენ მიწას. იყო რამდენიმე მიწის ნაკვეთი, რომელიც ძალიან რთულად მისადგომ რელიეფზე მდებარეობდა. ჩვენ გვყავს მუხლუხოიანი ტექნიკა, შედარებით დაბალ გაბარიტიანი, რომლის მეშვეობითაც ასეთ რთულ რელიეფზე, სახნავ სამუშაოებს ვაწარმოებთ.

**„დასავლეთში. შარშან ძალიან ბევრი ყამირი მიწა მოიხნა. სამტრედიის რაიონში ისეთი მიწები მოიხნა, სადაც საერთოდ ტრაქტორიც არ შესულა არასდროს. იყო ისეთი შემთხვევებიც, სადაც მანადე გლეხები ხარებით ხნავდნენ მიწას. იყო რამდენიმე მიწის ნაკვეთი, რომელიც ძალიან რთულად მისადგომ რელიეფზე მდებარეობდა. ჩვენ გვყავს მუხლუხოიანი ტექნიკა, შედარებით დაბალ გაბარიტიანი, რომლის მეშვეობითაც ასეთ რთულ რელიეფზე, სახნავ სამუშაოებს  ვაწარმოებთ“**

**- წელს ხვნა როდის დაიწყეთ?**

- წელს შედარებით ადრე დავიწყეთ მიწის დამუშავება, ვიდრე შარშან. ამის მიზეზი კი ამინდი იყო. შარშან, 27 თებერვალს დავიწყეთ ხვნა, წელს 17 თებერვალს. მინდა მოსახლეობას ვუთხრა, აგროვადის ამოწურვამდე რომ არ დამუშავდეს მიწები, ამის საშიშროება არ იქნება. ტექნიკა გამართულია. ქართული მენტალიტეტიდან გამომდინარე, ყველას მიწის უცბად დამუშავება უნდა, დღეს ჩემთან დამუშავდეს მიწა, ხვალ იმასთან და ა.შ. კომპანიამ გაითვალისწინა შარშანდელი გამოცდილება და გავაკეთეთ დამუშავების გეგმა-გრაფიკი, ანუ განსაზღვული გვაქვს რომელ სოფელში რა რიცხვში უნდა შევიდეს ტექნიკა და რა ფართის მიწის ნაკვეთია დასამუშავებელი. შემდეგ რომელ სოფელში გადავდივართ და ა.შ.

**- დაახლოებით როდის ფიქრობთ სამუშაოების დასრულებას?**

- ვვარაუდობთ, რომ მაისის შუა რიცხვებში მთლიანად დავასრულოთ მიწის დამუშავება.

**- შარშან მცირემიწიან ფერმერების აგრობარათებით, მიწის დამუშავება და დადისკვაც შედიოდა, წელს?**

- დიახ, შარშან აგრობარათში, როგორც მოხვნა, ისევე დადისკვაც შედიოდა, მაგრამ წელს, მხოლოდ მოხვნა შედის. იქიდან გამომდინარე, რომ დადისკვა წელს ფასიანი იქნება, გავითვალისწინეთ სხვადასხვა ფაქტორები და დადისკვის საფასური შევამცირეთ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ წარმატებით დავასრულებთ ნაკისრ ვალდებულებას და მოსახლეობა კმაყოფილი იქნება ჩვენი ჩატარებული სამუშაოებით. ვვარაუდობთ, რომ მინიმუმ 100 ათასი ჰექტარი დამუშავდება. მინდა კიდევ ერთხელ დავამშვიდო მოსახლეობა და ვუთხრა, რომ ყველგან მივალთ და არ დავტოვებთ დაუმუშავებელ მიწას. აგროვადები გვაქვს და მაისის შუარიცხვებამდე ყველა სამუშაოები დასრულდება.

**- რაც შეეხება კონფლიქტურ ზონებში არსებულ მიწის ნაკვეთებს, როგორ მიმდინარეობს და ეტაპზეა მიწის დამუშავება?**

- მინდა გითხრათ, რომ კონფლიქტურ ზონებში და ასევე რთულ რელიეფზე არსებული მიწის




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

## ...ელშეწყობის პროექტის“, ფარგლებში მიწის დამუშავება უკვე დაიწყო



# „მინდა მოსახლეობას ვუთხრა, აგროვადის ამოწურვამდე რომ არ დამუშავდეს მიწები, ამის საშიშროება არ იქნება. ტექნიკა გამართულია“

**EXCLUSIVE**





**„4 მარტის მონაცემებით, უკვე დამუშავებულია 11, 321 ჰექტარი მიწა“**

ნაკვეთების დამუშავება, ჩვენმა კომპანიამ ითავა. რაც შეეხება დღევანდელ მონაცემებს. ამ ეტაპზე კონფლიქტურ ზონებში 2222 ჰექტრამდე მიწაა დამუშავებული. რომ გითხრათ გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული-მეთქი, არ ვიქნები მართალი, იყო პატარა ინციდენტი, რომელიც მალევე აღმოიფხვრა. ვვარაუდობთ, რომ მარტის შუარიცხვებში კონფლიქტურ ზონებში მიწის დამუშავება დასრულებული იქნება, თუ, რა თქმა უნდა, ამინდმაც ხელი შეგვიწყო.

კონფლიქტის ზონებში მცხოვრები მცირემიწიანი ფერმერები შპს „მექანიზატორის“ ჩატარებული სამუშაოებით კმაყოფილები არიან.

**იოსებ მძინარაშვილი, სოფელი დიცის მკვიდრი:** „მოგეხსენებათ, რომ ჩვენი სოფელი კონფლიქტურ ზონაში მდებარეობს, მაგრამ მიუხედავთ ამისა, მიწის დამუშავების დროს არანაირი პრობლება არ შეგვქმნია. სოფელში ნახევარზე მეტი მიწა უკვე მოხნულია და ალბათ, მალე სრულად დასრულდება მიწის დამუშავება. მე პირადად ერთი ჰექტარი მიწა მაქვს, რომელიც შარშანაც ამ პროექტის ფარგლებში დავამუშავე. მომყავს ყველა კულტურა, რისი დათესვაც შეიძლება. კარგი პროექტია და იმედი გვაქვს, რომ მომავალ წლებშიც გაგძელდება. მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის“.

**ზვიად სუხიტაშვილი, სოფელ კარალეთის მკვიდრი:** - ჩემი მიწის ნაკვეთი ოკუპანტების საზღვართან ახლოს მდებარეობს. 70 მეასედი

**„კომპანიამ გაითვალისწინა შარშანდელი გამოცდილება და გავაკეთეთ დამუშავების გეგმა-გრაფიკი, ანუ განსაზღვული გვაქვს რომელ სოფელში რა რიცხვში უნდა შევიდეს ტექნიკა და რა ფართის მიწის ნაკვეთია დასამუშავებელი“**

მაქვს. წლების განმავლობაში ამ მიწის მხოლოდ ნახევარს ვამუშავებდი, რადგან არ მქონდა საშუალება. რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ, შარშან, პირველად შევძელი ამ ნაკვეთის სრულად დამუშავება.

**- რის დათესვას აპირებთ?**

- ძირითადად სიმინდს ვთესავ ხოლმე და ალბათ, წელსაც სიმინდს და პამიდორს დავთესავ.

**- თქვენი თანასოფლელები კმაყოფილები არიან?**

- რა თქმა უნდა, მაგრამ თუ ხელი არ გაანძრიეს, მარტო სახელმწიფოს დახმარება ვერაფერს გიშველის. ეს პროექტი რომ წარმატებული გახდეს, თვითონ მოსახლეობაც მონდომებული უნდა იყოს და არ უნდა ეზარებოდეს ხელის განძრევა. ჩვენთან სოფელში 50 წლის დაუმუშავებელი მიწები დამუშავდა, ხალხს მოტივაცია გაუჩნდა და იმედი გვაქვს, რომ მოსავალი კარგი გვექნება.

**ქეთო მაისურაძე, სოფელ არბოს მკვიდრი:** „ჩემი მიწის ნაკვეთი სასაზღვრო ზოლიდან 300 მეტრშია. სულ ჰექტარი და 25 მეასედი მაქვს. მიუხედავათ ამისა, ნაკვეთის დამუშავების პროცესში, არანაირი პრობლემა არ შეგვქმნია. სანამ მეუღლე ცოცხალი მყავდა, შვილო, მთლიანად ვამუშავებდით ამ მიწას, რაც დამელუპა, მარტო ამდენს ვერ გავწვდი. ამ პროექტისთვის მადლობა სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რომ გლეხს ლუკმაპური გაუჩინა“.

**„კონფლიქტურ ზონებში და ასევე რთულ რელიეფზე არსებული მიწის ნაკვეთების დამუშავება, ჩვენმა კომპანიამ ითავა. რაც შეეხება დღევანდელ მონაცემებს. ამ ეტაპზე კონფლიქტურ ზონებში 2222 ჰექტრამდე მიწაა დამუშავებული. რომ გითხრათ გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული-მეთქი, არ ვიქნები მართალი, იყო პატარა ინციდენტი, რომელიც მალევე აღმოიფხვრა. ვვარაუდობთ, რომ მარტის შუა რიცხვებში კონფლიქტურ ზონებში, მიწის დამუშავება დასრულებული იქნება“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ბრძოლა ქართული ოქროსთვის - ვინ ა

ნანა შონია

**პროცესები, რომელიც რამდენიმე თვის წინ დაბა კაზრეთში, RMG GOLD-ის მხრიდან თანამშრომლების გათავისუფლებით დაიწყო, სულ უფრო და უფრო ქაოსურ ხასიათს იძენს. ნანა კაკაბაძე, ირაკლი წერეთელი, ლაშა ჩხარტიშვილი, ჯონდი ბაღათურია, დიმიტრი ლორთქიფანიძე, კახა კუკავა ეს იმ პოლიტიკოსების არასრული ჩამონათვალია რომლებიც ამ თემით ბოლო პერიოდში აქტიურად სპეკულირებენ.**

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე ხელისუფლებამ მოლაპარაკებებში ჩართვის გადაწყვეტილება მიიღო და აქციის მონაწილეებსა და იმ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც სიტუაციის მართვას ცდილობენ, თავის შეკავებისკენ მოუწოდა.

პროცესებს, რომელიც დაბა კაზრეთში ვითარდება, რამდენიმე ორგანიზატორი ჰყავს. ერთ-ერთი ორგანიზატორი დალი მამულაშვილი „პრაიმტაიმთან“ საუბარში არ მალავს, რომ ისინი, თავის დროზე, წლების წინ, აქციების მფლობელები იყვნენ და დღეს დადგა დრო, რომ მართვის სადავეები გააკონტროლონ. როგორც მამულაშვილი ამბობს, ხალხის მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილდეს და ხელისუფლებამ გადაწყვეტილებები მიიღოს.

ქალბატონი დალი ჩვენთან საუბარში ადასტურებს, რომ 2006 წელს აქციების ორგანიზებისთვის გაასამართლეს, მაგრამ ამ ნასამართლეობის უკან პოლიტიკურ კვალს ხედავს. დალი მამულაშვილი ამბობს, რომ ის ავტორიტეტია და თვითმმართველობის არჩევნებში აპირებდა მონაწილეობას. არსებობს თუ არა პოლიტიკური ინტერესები, ვინ სარგებლობს ადგილზე შექმნილი სიტუაციით და რატომ ხდება იმ ადამიანებზე ზეწოლა, რომლებიც კომპანიაში ყოველდღიურად სამუშაოდ დადიან, ამის გარკვევა „პრაიმტაიმმა“ სცადა.




## ხელისუფლება პოლიტიკოსებს თავშეკავებისკენ მოუწოდებს...

**ცისანა ჯაყელი, კომპანია RMG GOLD-ის თანამშრომელი:** - ადგილზე აუტანელი და საშინელი სიტუაციაა შექმნილი, ძალიან მიჭირს გადაადგილება, სირცხვილის კორიდორებს გვიწყობენ და მოღალატეებს გვეძახიან იმ ხალხს, ვისაც მუშაობა გვინდა. სამი საათით ადრე, დილის 5 საათზე მივდივარ სამსახურში, რომ 8 საათზე ვიყო ადგილზე, ვიდრე გათენდება, რადგან შეურაცხყოფა არ მომაყენონ. შეიძლება ადამიანს დღეს სამსახურში წასვლის ეშინოდეს და ამის გამო საშინელ შეურაცხყოფას იღებდე?! აუტანელია ეს მდგომარეობა, ვიღაცამ მართლა ხმა უნდა ამოიღოს, რომ დასრულდეს ეს მდგომარეობა. ხალხს სამსახურში წასვლა უნდა და ვერ მიდიან. არ ვიცი, როგორ აშინებენ, რა აქვთ დაფიცებული თუ დაგინებული, რომ ვერ ბედავენ! ხან დაცვის ბიჭები გვაკითხავენ და იმათ დავყავართ სამსახურში, ხან სამსახურის უფროსები. გვემუქრებიან, გვეუბნებიან, ჩვენ რომ მოვალთ, მერე ნახე თქვენ რაც მოგივათ და როგორ იმუშავებთო!

**- მოსვლაში რას გულისხმობენ, ქალბატონო ცისანა?**

- მე მართლა არ ვიცი რას გულისხმობენ, მათ იმედი აქვთ, რომ ისინი შეცვლიან ხელმძღვანელობას, მეპატრონეს და ადგილზე თვითონ გააკონტროლებენ ყველაფერს. აბა, მუშა რომ ვერ გამიშვებს სამსახურიდან ეს ხომ ცხადია! უკანასკნელი სიტყვებით მოგვიხსენიებენ, მოღალატებს გვეძახიან! არის ხალხი, ვისაც სამსახურში წასვლა უნდათ და ამის გამო ვერ მიდიან! თუ დილას გამოვლენ და ერთი ადამიანიც კი დააკლდებათ, ეგრევე განგაშის ზარებს შემოკრავენ! ურეკავენ, სახლში მიდიან იმ ხალხთან, რა ხდება, ყველანი აქ უნდა იყოთო! დილის ექვსის ნახევარზე მომივარდა ზურიკო ბერიძე, უსაფრთხოების უფროსი იყო მოსული, სამსახურში მივყავდი, გზაზე გადამიდგა მანქანით და არ გრცხვენიაო! მე ვუთხარი, რატომ უნდა მრცხვენოდეს, სამსახურში წასვლა სამარცხვინოა–თქო?!ჩემი გაჭირვება მაქვს და ვერ დავრჩები, სახალხოდ ხომ არ ვილაპარაკებ ჩემს პრობლემებზე, იმიტომ ვმუშაობთ ყველა, რომ ლუკმაპური მივიტანოთ სახლში.ჩვენ შრომა გვინდა და ამის გამო ვართ მოღალატეები?მოდიან პოლიტიკოსები, ყველა თავისთვის იწერს ქულებს. ამათი სურვილია, რომ ხელმძღვანელობა გაყარონ, თვითონ გააკონტროლონ ყველაფერი და ჩვენ გამოგვყარონ სამუშაოდან. ასე ხომ არ შეიძლება, რა დავაშავეთ ჩვეულებრივმა ხალხმა!

ან იმ ზოგიერთი მასწავლებლის არ მესმის, რომლებიც აქციებს უერთდებიან და სასტვენებით, ბავშვების თანდასწრებით ლანძღვა-გინებით გვაცილებენ სამსახურში. მათ რა უნდა ასწავლონ ბავშვებს?!ან ის სად გაგონილა, რომ ბავშვები ერთმანეთს გადაკიდო და უთხრა, ვინც მუშაობს იმის შვილს არ დაელაპარაკოო. ეს არის პედაგოგის დანიშნულება?! რა უნდა ასწავლონ მაგათმა ბავშვებს?! როგორ შეიძლება ეგეთ მასწავლებელს ბავშვი აღსაზრდელად ანდო?! ვაპირებ განათლების სამინისტროს საჩივრით მივმართო, ჩამოაშოროს ასეთი პედაგოგები სკოლებს!

## „სხვადასხვა პოლიტიკოსები მოდიან და ქულებს იწერენ!!!“




**ლუბა გამბარაშვილი, RMG GOLD-ის თანამშრომელი:** - უფროსს დავყავარ მანქანით სამსახურში. ვერიდები ამ ხალხს, რომ რამე ხიფათს არ გადავეყარო. ადგილზე ასვლა გვიჭირს, რადგან სირცხვილის კორიდორი აქვთ გაკეთებული და იქ გავლა საშინელებაა. მესმის გინება, შეძახილები, როგორ დადიხართ სამსახურში, იმუქრებიან არ იაროთ და ასეთი რაღაცები! დიდი ხანია რაც ამ კომპანიაში ვმუშაობ და არასდროს არავითარი პრობლემა არ შემქმნია.არც ხელმძღვანელობის და არც არავის მხრიდან. ამ ხალხს, აქამდე არ გამოუთქვამთ პროტესტი და საერთოდ არაფერი მსმენია. ახლა, როგორც ჩანს სხვა ინტერები აქვთ და შეცვალეს თავიანთი დამოკიდებულება.

ის თანამშრომლები, რომლებსაც მანქანები ჰყავთ შემოვლითი გზით დადიოდნენ სამსახურში, რადგან ცდილობდნენ თავიდან აეცილებინათ შელაპარაკება, რადგან კაცები არიან და დაუმსახურებელ შეურაცხყოფას არავის აპატიებენ. ხოდა, იცით რა ქნეს, დამსხვრეული შუშის ნატეხები დაყარეს გზებზე, რომ საბურავები დაეხეთქათ მანქანებისთვის. არ ვიცი ამას რა დავარქვა, ეს ადამიანობაა?

ამ ადამიანებთან საუბრის შემდეგ „პრაიმტაიმი“ დალი მამულაშვილს და ზურიკო ბერიძეს დაუკავშირდა. ზურიკო ბერიძე ჩვენთან საუბარში ცისანა ჯაყელთან დაკავშირებულ ფაქტს უარყოფს. რაც შეეხება დალი მამულაშვილს, ის ამბობს, რომ ხელისუფლება შეცვლილია და დროა ვითარება კაზრეთშიც მკვეთრად შეიცვალოს. თუმცა როგორ უნდა მოხდეს კომპანიის კონტროლი, ამაზე არ საუბრობს.

**დალი მამულაშვილი:** -კანცელარიასთან ვიყავით მისული, გვინდოდა ირაკლი ღარიბაშვილთან შეხვედრა, ეს ვერ მოხერხდა, მაგრამ შევხვდით ადმინისტრაციის წარმომადგენლებს და იქ გვითხრეს, რომ შექმნილია ჯგუფი, რომელიც ადგილზე შეისწავლის სიტუაციას. ჩვენ პროცესები 23 ნოემბრიდან დავიწყეთ, ვითხოვდით ხელფასების 100%გაზრდას, შრომით პირობების გაუმჯობესებას, სადაზღვევო პაკეტის გაზრდას, ასევე, არაადამიანური მოპყრობის შეწყვეტას, შრომითი ხელშეკრულების დადებას, აბსოლუტურად არანაირ შეთანხმებაზე არ წამოვიდნენ. ამიტომაც იძულებული გავხდით ოფიციალური წერილი გაგვეგზავნა და საგაფიცვო დღეები ავიღეთ. ამის საპასუხოდ კი, მალევე გაგვათავისუფლეს. ჩვენ ოფიციალური სახე მივეცით ჩვენს მიტინგებს და ახლა უკვე ქუჩაში ვართ.

**- არიან ადამიანები, რომლებიც იქ მუშაობენ და ამბობენ, რომ მათზე ზეწოლა ხორციელდება, თქვენ მათ უწყობთ სირცხვილის კორიდორებს, ემუქრებით და ფიზიკურად წარმოუდგენელია ამ ვითარებაში მათი ყოფნა. უშუალოდ თქვენც ახორციელებთ მათზე ზეწოლას?..**

- არა, ეს არის თავიდან ბოლომდე ტყუილი, დირექტორების და მენეჯერების მოჩმახული ტყუილი. ჩვენ არავისზე არ ვახდენთ ზეწოლას, კაზრეთი გახდა პარალიზებული. ყველა თავისი სურვილით დაგვიდგა გვერდში. ერთი წლის და ორი წლის წინაც გაათავისუფლეს ხალხი. თქვენ იცით როგორი ნაცისტური მთავრობა გვყავდა, ხალხს ხმის ამოღების ეშინოდა. ახლა შეიცვალა სიტუაცია. აქ ისეთი საზიზღარი ხალხია, გვგონია, რომ ზონაში შევდივართ. ისეთი ხალხი გაგვათავისუფლეს ვისაც საღი აზრი გვაქვს.

**- ქალბატონო დალი, აშკარად პოლიტიზირებულია თქვენი აქცია და ღიად მიდის საუბარი იმაზე, რომ თქვენ უკან გარკვეული ინტერესები დგას. კანცელარიის წარმომადგენელმაც გააკეთა განცხადება, რომ პოლიტიკოსები შორს უნდა იყვნენ ამ პროცესისგან, რას აპირებთ, შეგიძლიათ თქვათ?**

- არავინ არ დგას ჩვენ უკან. არავინ არ გვაძლევს მითითებებს. ყველამ სოლიდარობა გამოგვიცხადა. მათ შორის პოლიტიკოსებმა, როგორ ახლა, ამ ხალხს ხელი როგორ უნდა ვკრათ! ვენაცვალე ყველა იმ ადამიანს, ვინც სოლიდარობას გვიცხადებს, პოლიტიკოსი იქნება, თუ სხვა! თუ მთავრობა არ გაიგებს ჩვენ ამბავს, რატომ არ მივესალმებით ამ ხალხს! ჩვენ ჩვენი სახსრებით ჩავედით თბილისში, კანცელარიასთან და ფინანსურად არავინ დაგვხმარებია. ჩვენ გვაქვს კონკრეტული მოთხოვნები. იქ შეხლა-შემოხლა არაფერს არ ნიშნავს.

**- თქვენ ერთ-ერთი ორგანიზატორი და ლიდერი ხართ, ეს ადამიანები გისმენენ. როდესაც გარკვეულ ინტერესებზეა საუბარი, ძალიან ბევრი ლაპარაკია იმაზე, რომ ანალოგიური საქმისთვის იყავით 2006 წელს გასამართლებული. რატომ ხართ ნასამართლევი შეგიძლიათ დღეს თქვათ?**

- კი, ნამდვილად, ჩვენ აქ მყოფ ხალხს გვიყვარს ერთმანეთი და ჩვენმა




© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ფერხებს ოქროს საწარმოს მუშაობას?



**დალი მამულაშვილი: „მე აქ ავტორიტეტი ვარ! აქციების ორგანიზებისთვის ვარ ნასამართლევი, თვითმმართველობის არჩევნებში ვაპირებდი კენჭისყრას!!!“**

ერთობამ გადაწყვიტა ყველაფერი. გეტყვით სიმართლეს, მართალია, გასამართლებული ვიყავი. მაშინაც ახლანდელი კლანი იყო აქ, ეს ის პერიოდი იყო, როცა დაბას შუქი გამოურთეს. მე ორგანიზატორობაში დამდეს ბრალი და ამის გამო გამასამართლეს. ეს ასე არ ყოფილა და შეგნებულად იყო ჩემ საწინააღმდეგოდ მოწყობილი და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ჩემი კანდიდატურა განიხილებოდა. ორჯერ მოწვევის დეპუტატი ვარ, მე ავტორიტეტი ვარ აქ! ამიტომაც, მაშინაც ჩემი კანდიდატურა იყო და არ უნდოდათ დაბისთვის მიმეხედა და ეს ყველაფერი ვიღაც ნაძირლების ხელში ჩავარდნილიყო.სწორედ ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც დაიწყო ჩემ წინააღმდეგ პროცესები. ათმა კაცმა მოითათბირა, მე აქ არ უნდა ვყოფილიყავი, ამას გეუბნებით უშიშროების დონეზე გაშიფრულ საქმეს! ჩვენი, აქ მყოფი ხალხის სურვილი იყო, რომ ჩვენს ხელში ყოფილიყო ეს მადნეული. ჩვენ უკეთესად მივხედავდით ჩვენს მადნეულს, ვიდრე ეს ხალხი!

**- ანუ თავიდანვე მადნეულისთვის წამოიწყეთ ეს ბრძოლა, როგორც ამბობთ, რომ იქაურობა გაგეკონტროლებინათ. ახლაც ბევრს საუბრობთ, რომ თქვენ უნდა გააკონტროლოთ ეს ყველაფერი. როგორ აპირებთ ამის გაკეთებას, რა ბერკეტები გაქვთ ამისთვის?**

- ჩვენ აქციონერები ვიყავით და პროექტი გვქონდა მაშინ შედგენილი, ხალხთან ერთად იყო ლობჟანიძე, მაშინდელი დირექტორი. გაჩერებულ მადნეულზე ვმუშაობდით, დაიფიცა მაგ კაცმა, რომ სამ თვეში მაქსიმალურ სიმძლავრეზე გავიყვანო და მაშინ მოხდა ფაბრიკის გადაიარაღება და დღემდე ასე მოვდივართ და ამ ნაძირალებმა კი წაგვართვეს.

**- დიახ, სწორედ ამას გეუბნებით, თქვენ ამბობთ, რომ წაგართვეს და დღეს უნდა დაიბრუნოთ ეს ყველაფერი, ამაზე მიდის დღეს რეალურად საუბარი, ბრძოლა?**

- იცით რა, ეს ნაცისტები და ზონდერები უნდა მოშორდნენ! მთავრობამ უნდა თქვას, რომ ეს ადამიანები მიდიან. ბუზი არ აფრინდება ამათ გარეშე, კონტროლის მექანიზმი სახელმწიფომ აიღოს თავის თავზე! ჩვენ ეს გვინდა, მეტი არაფერი. აქ არიან შეყრილი ნაძირალები, რომლებიც უნდა მოშორდნენ. ჩვენ პურის ფული არ გაგვაჩნია და ესენი კიდევ მილიონებს არ ჯერდებიან. აქ არიან ოჯახები, ვისაც შუქი არ ღირსებიათ, აქედან კი მილიონები გადის! მობრძანდით, ჩემი ქონება შეამოწმეთ, ერთი ქმარი მყავს, ერთი შვილი, სახლი და ერთი მანქანა და ისიც ბანკიდან გამოტანილი კრედიტით და „ვაფშე“, შეიძლება კიდეც გავყიდო. მე რომ ციხის მერე კიდევ ხმა ამოვიღე, ამაზე გიჟდებიან. საწარმოს ზონდერები უნდა მოვაშოროთ, სწორედ ეს წამოვიდა ჩვენს პირველ მოთხოვნად!

**ზურიკო ბერიძე:** - დავიწყოთ სირცხვილის კორიდორიდან, მე იქიდან მხოლოდ და მხოლოდ ოთხი ადამიანი ვიცი, რომელსაც კომპანია სოლიდურ თანხას უხდის და ამის სანაცვლოდ ამბობენ, ასეთ რამეს. თითქოს ვემუქრებით და ვაშანტაჟებთ. ეს ხალხი დადის სამუშაოზე, მაგრამ მათ ნამდვილად ვუწყობთ სირცხვილის კორიდორებს, რადგანაც მთელი კაზრეთი, დღეს, მათ გარდა, ჩვენ გვერდით დგას.

**- არის ქალბატონი, რომელიც ამბობს, რომ მასთან მიხვედით და პირადად დაემუქრეთ...**

- ვიცნობ ამ ქალბატონს. სანამ გამოგვაგდებდნენ ერთად ვმუშაობდით. არავისზე ზეწოლა არ ხდება. მე ვინ ვარ, რომ ვიღაცაზე ზეწოლა განვახორციელო. ეს არის უტიფარი, მატყუარა და ცინიკოსი ხალხი. მოვიდნენ და თქვენთან ერთად დაგვიმტკიცონ ეს ყველაფერი.

**- ბატონო ზურიკო, ლაპარაკი მიდის იმაზე, რომ გარკვეული ბიზნესები გაქვთ და გარკვეული ინტერესები არსებობს ამ საქმის უკანაც, ამაზე რას იტყვით?**

- მე მოხარული ვიქნები თუ დაინტერესდება ჩემით ფინანსური პოლიცია. სახალხოდ ვამბობ, მე თუ ეს ყველაფერი დამიმტკიცდა, ნებისმიერ სასჯელზე ვარ წამსვლელი.ეს არის ტყუილი და არავითარი ბიზნესი არ მაქვს, ეს არის ცილისწამება.ადამიანები იტყუებიან და ხალხს თვალში ნაცარს აყრიან. ჩვენ გვინდა საწარმოში დაბრუნება, ხელფასების გაზრდა, პირობების გაუმჯობესება და მაგრამ, რაც მთავარია ნაციონალების ნარჩენების მოშორება.ბოლომდე ვიბრძოლებთ, სანამ ყველაფერს არ დააკმაყოფილებენ!

**დალი მამულაშვილი: „ჩვენი სურვილი იყო, რომ ჩვენ ხელში ყოფილიყო ეს მადნეული, ჩვენ უკეთესად მივხედავდით ჩვენს მადნეულს, ვიდრე ეს ხალხი!“**

ფაქტი ერთია, სიტუაცია ძალიან მძიმეა და პრობლემის მოგვარება დროულად უნდა მოხდეს. საინტერესოა, ამ ხნის განმავლობაში, საწარმოს პარალიზების გამო რა ზარალი მიადგა როგორც კომპანიას, ასევე ბოლნისის რაიონს, რადგან ადგილობრივი ბიუჯეტის 90%-ი სწორედ კომპანიიდან შესული თანხით ივსება.მიუხედავად იმისა, რომ უკვე რამდენჯერმე მოხდა შეხვედრა საგაფიცვო კომიტეტის წარმომადგენლებს, პროფკავშირებსა და კომპანიის წარმოადგენლებთან ერთად, სამწუხაროდ ამ შეხვედრებმა ჯერჯერობით შედეგი არ გამოიღო. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა მხარის გუბერნატორთან 6 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა.

კომპანიამ არაერთხელ განმარტა, რომ მზად არის მოთხოვნების ნაწილი დააკმაყოფილოს. მათივე განმარტებით გაუმჯობესებული სადაზღვევო პაკეტი 1 აპრილიდან შედის ძალაში, დაწყებულია მუშაობა, სამუშაო პირობების, ინფრასტუქტურის გაუმჯობესება და სპეცტანსაცმლის შესყიდვა. რაც შეეხება ხელფასების გაზრდას, საწარმოს ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ ხელფასების100%-ით ზრდა არარეალური მოთხოვნაა და საწარმოს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებათან პარალელურად მოხდება ხელფასების გაზრდა.

რა შედეგით დასრულდება მოლაპარაკები თუ გარკვეული ჯგუფების მხრიდან ბიზნესინტერესებისთვის ბრძოლაა კაზრეთში, ამას საზოგადოება ძალიან მალე შეიტყობს. კომპანია ხელისუფლების გადაწყვეტილებას მედიატორის ჩართვით მოლაპარაკებების დაწყებას მიესალმება და ამბობს, რომ გადაწყვეტილება ყოველგვარი გარე ძალების გარეშე დროულად უნდა იქნას მიღწეული.

## „პირდაპირ გვეუბნებიან, ჩვენ მოვალთ, ჩვენ გავაკონტროლებთ აქაურობას და მერე ნახავთ როგორ გამოგაგდებთო!!!“





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ავიაკომპანია „ატლასჯეტი“ ქართული ბაზრის სრულად ათვისებას იწყებს

ნანა შონია

**ავიაკომპანია „ატლასჯეტმა“ ქართული ბაზრის ასათვისებლად ინტენსიური მუშაობა დაიწყო.**

გასულ კვირას, ავიაკომპანია „ატლასჯეტმა“ ქართულ ბაზარზე არსებულ ავიასააგეტოებთან შეხვედრა გამართა. ავიაკომპანიის წარმომადგენლებმა ტურ ოპერატორებს კომპანიის სარეზერვაციო სისტემის მუშაობის პრინციპები გააცნეს.

„არბიტი“ ეს არის კომპანიის ექსკლუზიური, მოქნილი და თანამედროვე რეზერვაციის სისტემა, რომლის ათვისებაც ქართულ ავიასააგენტოებს მუშაობას გაუმარტივებს და მნიშვნელოვნად ეფექტურს გახდის.

**თამუნა თანდაშვილი, ავიაკომპანია „ატლასჯეტის“ ბიზნესის განვითარების მენეჯერი:** - ჩვენი სურვილია, რომ საქართველოში შეიქმნას ისეთი მომსახურების ქსელი, სადაც ყველა მგზავრი კმაყოფილი იქნება. ჩვენ გვაქვს ძალიან კარგი ფასები და მომსახურების მაღალი ხარისხი. კომპანია „ატლასჯეტისთვის“ უმთავრესი მგზავრთა კომფორტი და უსაფრთხოებაა. დინამიკურად მზარდი ქართული ბაზარი მიმზიდველი და მნიშვნელოვანია. ამიტომაც აქტიურად ვოპერირებთ და უამრავ სიახლეს შევთავაზებთ ავიასფეროში მომუშავე კომპანიებსა თუ მგზავრებს.

**იავუზ ბალაი (კომპანია „ატლასჯეტის“ სააგენტოებთან ურთიერთობის და გაყიდვების სპეციალისტი):** - „არბიტი არის სისტემა, რომელიც დღეს ჩვენ ქართული სააგენტოების პერსონალს გავაცანით. თანამედროვე, მოსახერხებელი და მოქნილი, სპეციალურად „ატლასჯეტისთვის“ შექმნილი სისტემა. ამ სისტემით მარტივია მგზავრთა მომსახურება.

ონლაინ რეზერვაციების სისტემა საშუალებას აძლევს სააგენტოებს 24/7 მოემსახურონ მგზავრებს, მისცენ მათ საშუალება შეიძინონ ავიაბილეთები, ცვლილებები განახორციელონ მარშრუტში, დაგეგმონ მოგზაურობა ეფექტურად.

აქტიურად ვმუშაობთ ჰოლიდეი პროდუქტის დანერგვაზე საქართველოში. „არბიტის“ გამოყენებით სააგენტოები შეძლებენ ასევე სასტუმროების ჯავშნების განხორციელებას. ჩვენ ჩვენს მომხმარებლებს, ტურისტებს, რომელთაც სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობა სურთ, კომპლექსურ მომსახურებას შევთავაზებთ.

**სამირ ხალილოვი („ატლასჯეტ საქართველოს“ დირექტორი):** „სპეციალურად სათაო ოფისიდან ტრენინგის გასამართად ჩვენი კოლეგა ჩამოვიდა. ჩვენ ინტენსიურად ვზრუნავთ ქსელის გაფართოებასა და მგზავრებისთვის საუკეთესო პირობების შეთავაზებაზე“.

**თამუნა ჯაყელი, კომპანია „გლობალ თრეველის“ წარმომადგენელი:** „ძალიან საინტერესო იყო დღევანდელი დღე, კარგი და დახვეწილი პროგრამა აქვთ. ეს ნამდვილად დაგვეხმარება ტუროპერატორების საქმის გაადვილებაში. ძალიან მოქნილი გადახდის სისტემები აქვთ, რაც კიდევ უფრო გაგვიადვილებს მათთან ურთიერთობას“.

ავიაკომპანია „ატლასჯეტმა“ ერთი თვის წინ ტურისტული სააგენტოების წარმომადგენელთათვის სტამბულში სპეციალური ტური მოაწყო. ტურში მონაწილეობა საქართველოში მოქმედი „იატას“ წევრმა 20-მდე ტურისტულმა სააგენტომ მიიღო. „იატას“ წევრი აგენტები სპეციალური ტურის ფარგლებში სტამბულის ყველა იმ ადგილს ესტუმრნენ, რომელიც მომავალში ტურისტებისთვის საინტერესო შეიძლება გახდეს, ხოლო თუ კომპანია „ატლასჯეტის“ სერვისსა და ფასს გავითვალისწინებთ, მეზობელ ქვეყანაში მოგზაურობა და დასვენება ორმაგად სასიამოვნოც გახდება. „ატლასჯეტი“ რომელმაც ქართულ ბაზარზე ოპერირება ოქტომბრიდან დაიწყო, მომხმარებელს ყველაზე ხელმისაწვდომ ფასს და მომსახურების სრულ პაკეტს სთავაზობს.

ქართულ ავიაბაზარზე თურქულმა ავიაკომპანია „ატლასჯეტმა“ ავიაბაზარზე აქტიური პოზიციონირება 2013 წლის დეკემბრიდან დაიწყო, რეგულარულ რეისებს კი ოქტომბრის თვიდან ახორციელებს. მაისიდან ავიაკომპანია კიდევ უფრო აფართოებს ქსელს და მგზავრებს სტამბულის გავლით, ლონდონის რეისს შესთავაზებს.

„ატლასჯეტი“ დღეისთვის მნიშვნელოვან კონკურენციას უწევს ბაზარზე არსებულ სხვა ავიახაზებს, როგორც საუკეთესო საფასო პოლიტიკით, ასევე სერვისებითა და მომსახურების მაღალი ხარისხით.

თბილისი-სტამბული სულ რაღაც 77 ევრო, ბილეთის ღირებულებაში შედის ბორტზე სრული მომსახურება და 30 კილოგრამი ბარგი. სავარძლებს შორის კომფორტული დისტანციაა, ქალაქის ცენტრიდან აეროპორტამდე მგზავრების ავტობუსით უფასოდ გადაყვანის სერვისი, დასაფრენი აეროპორტი „ათათურქი“, კორპორაციული და საოჯახო დაგროვებითი ბარათები და ახლა უკვე ოფიციალური წარმომადგენლობა საქართველოში.

მგზავრთა მომსახურებისა და ავიასააგენტოებთან ურთიერთობების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, 2013 წლის დეკემბრიდან ფუნქციონირებს „ატლასჯეტის“ საქართველოს ოფიციალური წარმომადგენლობა.



## ქართული ავიასააგენტოები ატლასჯეტისსარეზერვაციო სისტემის მუშაობას ეცნობიან









„ჩვენ ჩვენს მომხმარებლებს, ტურისტებს, რომელთაც სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობა სურთ, კომპლექსურ მომსახურებას შევთავაზებთ“






© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა სიახლეები იგეგმება მძღოლებისთვის?



my View
მირიან ბოქოლიშვილი

**სავალდებულო ხდება თუ არა მართვის მოწმობისა და სანომრე ნიშნების შეცვლა? ამ თემამ მძღოლებში და ზოგადად, საზოგადოებაში მითქმა-მოთქმა გამოიწვია. გავრცელდა ინფორმაცია, რომ მართვის მოწმობების მოქმედება კონკრეტული ვადებით იქნება განსაზღვრული, სანომრე ნიშნების შეცვლა კი სავალდებულო და ფასიანი ხდება. რამდენად შეესაბამება აღნიშნული ინფორმაცია სიმართლეს? ამის გარკვევა ჩვენ შსს-ს მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელთან, ოთარ დანელიასთან ვცადეთ.**

## ოთარ დანელია: „ეს გაუგებრობა გამოიწვია სოციალურ ქსელში რამდენიმე ადამიანის მიერ ამ თემის არასწორმა ინტერპრეტაციამ და შემდეგ აიტაცა საზოგადოებამ“



**– ბატონო ოთარ, პირველ რიგში მინდა გკითხოთ, რამ განაპირობა ახალი სანომრე ნიშნების შემოტანის აუცილებლობა?**

– ჩვენ ისედაც უნდა შეგვესყიდა სანომრე ფირფიტები, რომელსაც ხელშეკრულების ვადა ამოეწურა და შესაბამისად, ახალი სატენდერო წინადადება უნდა მომზადებულიყო. ახალი ხელშეკრულება იქნება საკმაოდ გრძელვადიანი. ვეცადეთ, გაგვეთვალისწინებინა ყველა ნიუასი, მათ შორის დიზაინი. მისაბმელიან ავტომობილებზე სანომრე რესურსი იწურებოდა, არსებობდა ბევრი ტექნიკური ნიუანსი, რომელიც გადაჭრას მოითხოვდა. ამიტომ შევჯერდით ახალ დიზაინზე, რომელიც, მე ვფიქრობ, საკმაოდ კარგია. აქვე იქნება ადგილი, სადაც ტექდათვალიერების ფირნიში განთავსდება. დამცავის გაუმჯობესებული მექანიზმები და უფრო კარგი ხარისხი.

**– ახალი დიზაინი ძალიან ჰგავს ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედ სანომრე ნიშნებს... ეს ევროკავშირის დირექტივა იყო?**

– კი, დიზაინი ნამდვილად ჰგავს, თუმცა ეს დირექტივა არ ყოფილა, მთლიანად ჩვენი ინიციატივაა. კი, ახალი სანომრე ნიშნები ნამდვილად ჰგავს ევროპულ ნიშნებს. მოგეხსენებათ, ყველა ევროპული ნომერი იდენტურია, განსხვავებაა მხოლოდ ფერში, ფერით კი ჩვენი დიზაინი უფრო გერმანულ მოდელს ემსგავსება. თუმცა მინდა აღვნიშნო, რომ ეს დიზაინი შეიქმნა საქართველოში, აღქმა კი არის ისეთი, რომ ევროპული სანომრე ნიშნებია.

**– რაც შეეხება სატარიფო პოლიტიკას... შეიცვლება თუ არა ფასიანი ნომრების ღირებულება?**

– არა, სატარიფო პოლიტიკა რჩება აბსოლუტურად უცვლელი. ლოგიკაც იგივეა, როგორც ადრე იყო, კომბინაციებისა და სიმბოლოების მიხედვით. თუ ვინმე მოინდომებს ფასიანი ნომრის შეცვლას, მას შეუძლია ყოველგვარი დამატებითი ღირებულების გარეშე აიღოს ახალი დიზაინის ნომერი, იმავე ღირებულების ფარგლებში, რამდენიც აქვს გადახდილი ძველ ნომერში. აღსანიშნავია, რომ არსებულ ნომრებს ვადა ისედაც ექნებათ 2030 წლამდე, თუ ვინმეს მოსწონს მოქმედი სანომრე ნიშნები, ის არ არის ვალდებული, შეცვალოს. უკვე შემოდგომიდან გამოჩნდება ავტომობილები ახალი სანომრე ნიშნებით. ახალი რეგისტრაციის დროს, პირი სავალდებულოდ აიღებს ახალ სანომრე ნიშანს, ხოლო თუ უკვე რეგისტრირებულია მანქანა, მას შეუძლია იქონიოს ძველი ნომერი, ან გამოცვალოს ახლით, მის სურვილზეა დამოკიდებული.

**– რაც შეეხება მართვის მოწმობებს... საზოგადოებაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ მართვის მოწმობა ხდება ვადიანი და ამან გარკვეული მღელვარებაც გამოიწვია... რეალურად რა ცვლილებები იგეგმება ამ მიმართულებით?**

– მე მგონი, ეს გაუგებრობა სოციალურ ქსელში რამდენიმე ადამიანის მიერ ამ თემის არასწორმა ინტერპრეტაციამ გამოიწვია და შემდეგ აიტაცა საზოგადოებამ. რეალურად არანაირი ვადებსა და დამატებითი ხარჯების შემოღებაზე საუბარი არ არის. არავის არ უწევს მართვის მოწმობის შეცვლა, აქ საუბარია იმაზე, რომ ვინც მომავალში აიღებს მართვის მოწმობას, მან უნდა წარმოადგინოს ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა ფორმა #100. ესაა და ეს. სხვა აბსოლუტურად არაფერი იცვლება. აქამდე მომსახურების სააგენტო მსგავს სამედიცინო დოკუმენტს არ ითხოვდა. ეს სიახლე უკვე დავნერგეთ. მოგეხსენებათ, 2014 წლის პირველ მარტს შევიდა ძალაში კანონი საგზაო მოძრაობის წესების შესახებ და სწორედ ამ კანონის ფარგლებში ამოქმედდა ეს ცვლილებაც. საქართველო გამონაკლისი არაა ამ მხრივ, ჯანმრთელობის დამადასტურებელ ცნობას, მართვის მოწმობის აღების დროს, ითხოვენ ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში.




## გახდება თუ არა მართვის მოწმობა ვადიანი, სანომრე ნიშნების შეცვლა კი - სავალდებულო?




**– ვისაც უკვე აქვს მართვის მოწმობა, მათზე რა ცვლილებები ვრცელდება ამ მიმართულებით?**

– მათ 15 წელიწადში ერთხელ უნდა წარმოადგინონ ფორმა #100 და ავტომატურად გაუგრძელდებათ მართვის მოწმობის ფუნქციონირება, ყოველგვარი თეორიული და პრაქტიკული გამოცდის გარეშე.

**– რატომ გახდა საჭირო ამ ცვლილების შემოღება? არსებულმა რეალობამ მოიტანა ამის აუცილებლობა?**

– პირველ რიგში, ეს არის პრევენცია, ვინც აპირებს მართვის მოწმობის აღებას და ავტომობილის მართვას, ის ყველანაირად უნდა იყოს დარწმუნებული საკუთარ შესაძლებლობებში, როგორც პრაქტიკულად, ისე თეორიულად, ფსიქოლოგიურად და სამედიცინო თვალსაზრისითაც.

**მართვის მოწმობის კლასიფიცირება რომ მოვახდინოთ, ასეთ სურათს მივიღებთ: ერთი არის 2006 წლის აპრილამდე გაცემული მოწმობები, ძველი საბჭოთა ტიპის მოწმობებს რასაც ვეძახით, და მეორე – 2006 წლის აპრილის შემდეგ გაცემული ლურჯი ფერის მოწმობები. პირველი ტიპის მართვის მოწმობები მოქმედებს 2018 წლამდე, მეორე კი – 2028 წლამდე. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ თქვენ შეგიძლიათ, მიხვიდეთ მომსახურების სააგენტოში, წარადგინოთ სამედიცინო ცნობა და 15 წლით გაიხანგრძლივოთ მართვის მოწმობის მოქმედება. ეს არანაირ დამატებით ხარჯებთან არ არის დაკავშირებული. ზოგადად, ჩვენ მთელი წლის განმავლობაში დაგეგმილი გვაქვს სიახლეები. ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია ის, რომ პრაქტიკულ გამოცდას გადავიტანთ ქალაქში, გაუმჯობესდება თეორიული გამოცდის მეთოდიკაც და ა.შ.**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# პუტინი VS ცივილი

my View
ხათუნა მგალობლიშვილი

**შევა თუ არა მსოფლიო ისტორიაში ვლადიმერ პუტინი, როგორც ყველაზე სისხლიანი წარსულის მქონე დიქტატორი? ამაზე უკვე მიდის აქტიური მსჯელობა. მსოფლიო ღიად, ხმამაღლა და თვით რუსეთის გასაგონად განიხილავს გზებს, როგორი მეთოდებით უნდა დასაჯონ პუტინის რუსეთი. თუმცა ეს სულაც არ აფერხებს ზოგიერთებისთვის „ადეკვატური“ პუტინის გეგმებს. მეტიც, ის დაწესებულ სანქციებზე სანქციებითვე იმუქრება და მიიჩნევს, რომ მთელი მსოფლიო, უბრალოდ, მის წინააღმდეგ არის მომართული, თანაც უსამართლოდ...**














## მსოფლიო პუტინის დასასჯელად კონკრეტულ გზებს განიხილავს

იურისტები, ექსპერტები და პოლიტიკოსები პოლიტიკური შურისძიების უამრავ ვერსიას განიხილავენ. რეალურად ძნელია კონკრეტული რეცეპტის დასახელება, რა უნდა დაუპირისპიროს ცივილიზებულმა სამყარომ პუტინის ბარბაროსულ საქციელს. შეიძლება თუ არა ეს იყოს ეკონომიკური სანქციები, ან საქართველოსა და უკრაინის მიღება NATO-ში და იქ სამხედრო ბაზების განთავსება, კონკრეტული თანამდებობის პირების საბანკო ანგარიშების გაყინვა ან მათთვის ვიზებზე უარის თქმა, ასევე განიხილება სამხედრო მოქმედება, მაგალითად, ყირიმის საზღვაო ბლოკადა. თუმცა, როგორც ამბობენ, მთავარი სულ სხვაა – ცივილიზებულმა სამყარომ გააცნობიეროს, რომ პუტინი არ არის სახელმწიფოს მეთაური, რომელსაც ხანდახან ეშლება რაღაცები და მხოლოდ ხანდახან იქცევა ცუდად. როგორც იურისტები და ექსპერტები აფასებენ, პუტინის რუსეთი არის ბოროტების იმპერიის აგრესიულად განწყობილი, დესტრუქციული ბირთვი, რომელიც შეპყრობილია რევანშის იდეაფიქსით.

სწორედ ამიტომ უფრო და უფრო აქტიურად განიხილება თვითონ პუტინის დანაშაულები მისი პოლიტიკაში მოსვლის პირველი დღიდან. ჩამონათვალი იმდენად დიდია, რომ, ყოველგვარი გამოძიების გარეშე, ის წინასწარვე ფასდება, როგორც უკანასკნელი ათწლეულების ყველაზე დიდი საერთაშორისო დამნაშავე. ახლა მთავარია, ამ დანაშაულების აღიარება მოხდეს. როგორც ამბობენ, ამ პროცესის დაწყების პირველი ნიშნები ცივილიზებულ სამყაროში უკვე შეინიშნება.

ცივილიზებულ სამყარომდე თავად რუსეთს ბევრი უკლია. ქვეყანაში, სადაც ვერავინ ბედავს დემოკრატიის ხმამაღლა მოთხოვნას, ყველა ოპოზიციური ძალის რეიტინგი 1%-ს ძლივს აღწევს, თუმცა არა იმიტომ, რომ მათ ცოტა მხარდამჭერები ჰყავთ. მიზეზი ისევ და ისევ პუტინის დიქტატურაშია. თუმცა არავის ჰყოფნის ძალა, მას დაუპირისპირდეს. მით უფრო, ძველი ცოდვები შეახსენონ ან, უბრალოდ, მისი პასუხისგების საკითხი დააყენონ... თუმცა კულუარებში ბევრი სისხლიანი ისტორიის უკან სწორედ პუტინის კვალს ხედავენ...

### ჟურნალისტებისთვის ყველაზე საშიში ადგილი

რუსეთი ჟურნალისტებისთვის ყველაზე საშიშ ადგილად ითვლება. 2000 წლიდან მოყოლებული რუსეთში 200-ზე მეტი ჟურნალისტია დაღუპული, 2 ათასზე მეტი თავდასხმა განხორციელდა როგორც საგაზეთო რედაქციებზე, ასევე კონკრეტულ ტელევიზიებსა და ჟურნალისტებზე, 3 ათასზე მეტი ზეწოლის, მუქარისა და დაშინების ოფიციალური საჩივარია დაფიქსირებული. თუმცა, როგორც ამბობენ, რეალური ციფრი ძალიან შორსაა ოფიციალურისგან.

ერთ-ერთი პირველი ჟურნალისტი, რომელიც პუტინის პრეზიდენტობის დასაწყისში გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა, 19 წლის დაიან შაკიროვი იყო. ის ერთ-ერთ რეგიონულ გაზეთში სტაჟიორად მუშაობდა, მასალების უმრავლესობას ადგილობრივი ჩინოვნიკების ბიზნესინტერესებზე აკეთებდა. ერთ-ერთი ბოლო მასალით ის იმ ჩინოვნიკებს ამხელდა, ვის ინტერესებშიც ტაჯიკეთიდან არალეგალი მიგრანტების შემოსვლა შედიოდა. მასალის მზადების პროცესში დაიანი მოულოდნელად ჯარში გაიწვიეს. შესაბამისად, სტატიაც არ დაიბეჭდა. ძალიან მალე კი ოჯახს ცნობა მოუვიდა დაიან შაკიროვის თვითმკვლელობის შესახებ. საქმე სუიციდის მუხლით აღიძრა, თუმცა ოჯახი ირწმუნებოდა, რომ ბიჭს მთელ სხეულზე ჩალურჯებები და სისხლჩაქცევები ემჩნეოდა. დაღუპული ჟურნალისტის დედა დიდი ხნის განმავლობაში ითხოვდა შვილის ჩანაწერების რვეულს. თავდაპირველად უთხრეს, რომ ჩანაწერების რვეული დაკარგული იყო, თუმცა მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ ის გამომძიებლებს ჰქონდათ, მაგრამ გადაცემაზე კატეგორიული უარი განუცხადეს. დაიანის ოჯახი დღემდე ირწმუნება, რომ მათი შვილი განზრახ იყო მოკლული, თუმცა საქმის ისტორიაში დღესაც მითითებულია, როგორც მკვლელობა გაურკვეველ ვითარებაში. ეს



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ზებული სამყარო

გამონაკლისია, რადგან რუსეთში დალუპული ჟურნალისტების უმრავლესობას პირდაპირ აქვს მითითებული – მკვლელობა. მკვლელობის ერთ-ერთი ბოლო ფაქტი სულ ორიოდე თვის წინ დაფიქსირდა. 65 წლის არკადი ლანდერი 2013 წლის 12 დეკემბერს ცემის შედეგად მიღებული ტრავმებით გარდაიცვალა. სანქტ-პეტერბურგის ადგილობრივი გაზეთის რედაქტორს სამსახურიდან გამოსვლისას გაიან ღამით რამდენიმე მასკიანი მამაკაცი დაესხა თავს და სასტიკად გაუსწორდა. ძირითადად თავში ურტყამდნენ, რამდენიმეთვიანი მკურნალობის შემდეგ სწორედ ამ ტრავმების შედეგად დაიღუპა კიდეც. ცემის ფაქტს თავად არკადი ლანდერი საკუთარი კრიტიკულ სტატიებს უკავშირებდა.

ცალკე სფეროა დახურული გაზეთების, ტელეკომპანიებისა და ინტერნეტგამოცემების ისტორიები. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა რეგიონებში, აქ, როგორც წესი, პირდაპირ მუქარა არ არსებობს. მიდგომა პოლიტკორექტულია: „по хорошему", თუ ეს გზა არ გაჭრის, მაშინ მარტივად იშორებენ თავიდან მთავარ რედაქტორებს, საინფორმაციოს უფროსებს ან მფლობელებს. რუსეთში ჟურნალისტები იყოფიან ორ ნაწილად: ჩუმიანები და სხვისიანები. როგორც თავად რუსი პოლიტიკოსები ხუმრობენ, „ზუბასტიკი ჟურნალისტები" პუტინის რუსეთში იშვიათი შემთხვევაა. ჟურნალისტები ამბობენ, რომ ასეთი ცენზურა სოციალიზმის დროსაც კი არ ყოფილა. დღევანდელ რუსეთში გაზეთებს ან ინტერნეტგამოცემებს ერთი „არაკორექტული" კითხვის გამო ხურავენ. ასეთი ისტორია იმდენია და თანაც ისე ჰგავს ერთმანეთს, რომ მედიაექსპერტებს მათი დეტალები ერთმანეთში ერევათ. მაგალითად, „Московский корреспондент"-ი მას შემდეგ დახურეს, რაც გამომცემლობამ გაბედა და პუტინის განქორწინებაზე მასალა გამოაქვეყნა. რეალურ სტატიაში არაფერი ტყუილი არ ეწერა, ცნობილი ფაქტია, რომ რუსეთის პრეზიდენტს სასიყვარულო ურთიერთობები აქვს ალინა კაბაევასთან. ბუნებრივია, გამომცემლობის დახურვის რეალური მიზეზი არც კი გაჟღერებულა. სტატიის გამოქვეყნებიდან ზუსტად ერთ კვირაში გაზეთის მთავარმა რედაქტორმა პოსტის დატოვების შესახებ განცხადება საკუთარი ნებით დაწერა, ხოლო მისმა შემცვლელმა „აღმოაჩინა", რომ გამომცემლობა წაგებაზე მუშაობდა და აღარ ღირდა წვალება...

გაზეთისგან განსხვავებით, ერთი კონკრეტული კითხვის გამო დაასრულა საკუთარი ჟურნალისტური მოღვაწეობა ზახარ პრილეპინმა, რომელიც რუსეთში ასევე ცნობილი მწერალი და ბლოგერია. პუტინთან ინტერვიუს მსვლელობისას პრილეპინმა კითხვა დასვა „Транснефти"-ის მიერ დაკარგულ 4 მილიარდ დოლართან დაკავშირებით, ჟურნალისტი ასევე დაინტერესდა, როგორ გამდიდრდა ბიზნესმენი გენადი ტიმჩენკო აღნიშნული ბიზნესით. პუტინთან ინტერვიუს შემდეგ მას გადაცემაც დაუხურეს, ტელევიზიაში მიწვევაც გააუქმეს და ყველა გამომცემლობამ, რომელსაც ჟურნალისტმა მიმართა, მასალის დაბეჭდვაზე კულტურული უარი განუცხადა, თანაც ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე. ორივე ისტორიას რუსული რეალობის პირობებში წარმოუდგენლად ბედნიერი დასასრული აქვს, რადგან არც ერთ შემთხვევაში ექსცესს მსხვერპლი არ გამოუწვევია. შესაბამისად, დღეს რუსეთში ჟურნალისტები ან თვითცენზურას ექვემდებარებიან ან უმუშევართა სიას ზრდიან, სამაგიეროდ ცოცხლებში წერიან...

## ვლადიმერ პუტინის პირადი ცხოვრება

არკადი რაიკინის კონცერტზე დაწყებული ურთიერთობა თითქმის ოცდაათწლიანი ქორწინების შემდეგ დასრულდა. ლიუდმილა პუტინამ ნებით აღიარა, რომ საზოგადოებაში აქტიურად გამოჩენა და გადაფრენები ერთი ქვეყნიდან მეორეში მას პრობლემებს უქმნიდა. შესაბამისად, ველარც საკუთარ ქმარს ხედავდა და ერთად ცხოვრების დასასრულიც ამ ფაქტმა გამოიწვია. მოსკოვის დიდ თეატრში „ესმერალდაზე" დასწრების შემდეგ ერთობლივად გაკეთებულმა განცხადებამ განქორწინების შესახებ რუსეთის „პირველი არხის" ჟურნალისტი შოკში ჩააგდო: გამოდის, რომ თქვენ განქორწინებას აპირებთ... ამ სიტყვის თქმისაც კი მეშინია..." ჟურნალისტის კითხვაზე პასუხიც შეთანხმებული იყო: ცივილიზებული განქორწინება ჩვენი ერთობლივი გადაწყვეტილება იყო...

თუმცა ეს უფრო რუსული ზღაპარია. რეალურად ვლადიმერ პუტინის პირადი ცხოვრება დიდი ხანია ლიუდმილას იქით მიმდინარეობს. პუტინი აქაც დიქტატორია. სურს, ყველაფერი ისე იყოს, როგორც ეს მას უნდა. სწორედ ამიტომ, როგორც ამბობენ, ყველა მამაკაცი, რომელიც კი მისი ყოფილი მეუღლის გვერდით ჩნდება, მალევე უჩინარდება. რუსეთის ყოფილ პირველ ლედის, როგორც ამბობენ, სერიოზული პრობლემებიც ჰქონდა უამრავი სტრესის გამო და სწორედ ამიტომ ის გარკვეული პერიოდის განმავლობაში მონასტერშიც ცხოვრობდა. თუმცა ამას პუტინისთვის სულაც არ შეუშლია ხელი, საკუთარი პირადი მოეწყო... რუსული და უცხოური პრესა ძალიან ბევრს წერდა ოლიმპიურ ჩემპიონ ალინა კაბაევაზე, რუსეთის სახელმწიფო ტელევიზიის ჟურნალისტ კატერინა ანდრეევაზე, აგენტ ანა ჩაპმანზე, პრეზიდენტის პირად ფოტოგრაფ იანა ლაპიკოვაზე. პუტინმა ყველა ჟურნალი და გაზეთი, რომელიც მის პირად ცხოვრებას შეეხო, მკაცრად დასაჯა. თავად კი ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე მკაცრი ტონით განაცხადა: „1. რაც ჩემზე იწერება, მტკნარი სიცრუეა; 2. ყველა ქალბატონი, რომელსაც ჩემს პირად ცხოვრებას უკავშირებენ, ნამდვილად მომწონს, მაგრამ ყველა რუს ლამაზმანზე ხომ ვერ დავქორწინდები?" როგორც ამბობენ, ამ ბევრი ლამაზმანიდან პუტინმა ერთ-ერთი საბოლოოდ შეარჩია და დაქორწინებასაც აპირებს, თუ უკვე არ დაქორწინებულა. ალინა კაბაევამ, როგორც ამბობენ, უკვე მოახერხა ორი შვილის გაჩენა რუსეთის პრეზიდენტისთვის. ერთი 4 წლის ბიჭია, რომლის სახელიც ცნობილი არ არის და მეორე გოგო... კაბაევამ ჭორებზე ერთადერთხელ გააკეთა კომენტარი „Vogue"-სთან ინტერვიუში. მან უარყო პუტინთან საერთო შვილის ყოლა და განაცხადა, რომ პატარა, საყვარელი და ოქროსფერთმიანი ბიჭუნა მისი ნათესავია და როგორც კი საკუთარი შვილი ეყოლება, პირველი შესაძლებლობისთანავე ისაუბრებს მასზე. თანაც ბევრს და დაუფარავად...

პრეზიდენტის პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით ბოლო ინფორმაციები სოჭის ოლიმპიადაზე გაჟღერდა, როდესაც ალინა კაბაევასაც და თავად რუსეთის პრეზიდენტსაც მარჯვენა ხელზე საქორწინო ბეჭდები ეკეთათ.

## პუტინის პირადი მსხვერპლი

სია უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს, თანაც ორი მიმართულებით: პატიმრობაში გამომწყვდეულები და მოკლულები. მოკლულებს შორის ყველაზე სკანდალურებს სათავეში ლიტვინენკო, მაგნიტსკი, კაჩინსკების ოჯახი უდგას, წლობით ციხეში გამოკეტილებს შორის უპირობოდ ლიდერობდა ხადარკოვსკი, რომელიც პუტინმა 10-წლიანი პატიმრობის შემდეგ შეიწყალა.

„თქვენ შეგიძლიათ, აიძულოთ, გაჩუმდეს ერთი ადამიანი, მაგრამ მსოფლიოს პროტესტის ხმა, ბატონო პუტინ, მთელი ცხოვრების მანძილზე ჩაგესმებათ ყურში. დაე, უფალმა მოგიტევოთ, რაც გამიკეთეთ მე, ჩემს რუსეთსა და ხალხს". – ეს ალექსანდრე ლიტვინენკოს უკანასკნელი სიტყვები იყო. არავის სჯერა, რომ ამ სიტყვებზე პუტინმა თუნდაც ერთი წუთით მაინც იფიქრა, თუმცა სჯერათ, რომ ლიტვინენკო პირადად პუტინის მსხვერპლია. ეს მკვლელობა ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებულ მკვლელობად აღიარეს, რადგან რადიაციული ნივთიერება „პოლონიუმ-210", რომელიც გარდაცვალების შემდეგ მის სხეულში აღმოაჩინეს, 30 მილიონი ევროს ღირებულების იყო. ლიტვინენკო პუტინისთვის მიუღებელი 1999 წელს გახდა, როდესაც პირდაპირ ეთერში აღიარა, რომ „ეფესბე" ბიზნესმენ ბორის ბერეზოვსკის მკვლელობას გეგმავდა. ბერეზოვსკის მოშორების გარდა, ლიტვინენკომ 1999 წელს რუსეთში საცხოვრებელი სახლების აფეთქებებშიც, ასევე, „ეფესბეს" კვალს გაუსვა ხაზი. ამის შემდეგ ლიტვინენკო, ოჯახთან ერთად, საცხოვრებლად ინგლისში გადავიდა, თუმცა პუტინის სურვილმა მაინც თავისი გაიტანა და 2006 წლის 23 ნოემბერს ლიტვინენკო გარდაიცვალა.

**სერგეი მაგნიცკი** – 37 წლის ადვოკატი მოსკოვის საპატიმროში უყურადღებობით გარდაიცვალა. ციხის ხელმძღვანელობამ უარი განაცხადა მკურნალობის დანიშვნაზე, თუმცა, როგორც მაგნიცკის ახლობლები აღნიშნავდნენ, პატიმარს პანკრეასისა და კუჭის ქრონიკული ტკივილები აწუხებდა და გადაუდებელ მკურნალობას საჭიროებდა. ბუნებრივია, მიზანმიმართულ სისასტიკეში აქაც პუტინის ხელი ურევია. მის გარდაცვალებას სერიოზული რეაქციები მოჰყვა როგორც ამერიკაში, ასევე ევროპაში და 2012 წლის 14 დეკემბერს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა, ბარაკ ობამამ ხელი მოაწერა „მაგნიცკის კანონს", რომლის თანახმადაც რუსეთის 61 მოქალაქეს შეზღუდვა დაუწესდა შტატებში ვიზების გაცემაზე, ფინანსურ და საბანკო მომსახურებაზე. შავ სიაში შევიდა ყველა ის ადამიანი, ვინც უშუალოდ მონაწილეობდა და შეხება ჰქონდა მაგნიცკის საქმესთან. რუსეთის რეაქცია პუტინის ლოგიკით გაგრძელდა და თავადაც შეიმუშავეს ანალოგიური აკრძალვები ამერიკის მოქალაქეების მიმართ, რომლებიც მათივე მოსაზრებით შემჩნეულები იყვნენ რუსეთის მოქალაქეებისადმი უსამართლო დამოკიდებულებაში. კანონს არაოფიციალურად „დიმა იაკოვლევის კანონი" უწოდეს. 2 წლის დიმა რუსეთის მოქალაქე იყო, რომელიც ამერიკაში გააშვილეს და მალევე გარდაიცვალა. გამოძიებამ ბავშვის გარდაცვალების მიზეზად დედინაცვლის უყურადღებობა დაასახელა. კანონპროექტის განხილვის პროცესში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, სერგეი ლავროვმა განაცხადა: „მაგნიცკის კანონის მიღების საპასუხოდ ჩვენც მივიღებთ კანონს, რომლის მიხედვითაც, ამერიკის იმ მოქალაქეებს, რომლებიც ადამიანის უფლებების დარღვევაში არიან დადანაშაულებულები, აეკრძალებათ რუსეთში შემოსვლა. რამდენ ადამიანსაც დაუმატებენ შავ სიას ამერიკაში, იგივე რაოდენობით გავზრდით ჩვენც ჩვენს შავ სიას, გამოაქვეყნებენ და საჯაროს გახდიან სახელებს და გვარებს? ჩვენც განვასაჯაროებთ"...

უკრაინაში განხორციელებული მოვლენების შემდეგ კი ცნობილი გახდა, რომ „მაგნიცკის სია", სავარაუდოდ, კიდევ ბევრი გვარით „გამდიდრდება"...

**პოლონეთის ტრაგედია** – მსოფლიო პრესა თვეების განმავლობაში იძიებდა და წერდა, რა შეიძლებოდა მომხდარიყო სმოლენსკის აეროპორტში. პასუხი ყველას ერთი ჰქონდა, თვითმფრინავი, სადაც ქვეყნის პრეზიდენტი, მისი მეუღლე, მინისტრთა კაბინეტი, სამხედრო და სასულიერო პირები ისხდნენ, არ შეიძლებოდა ასე უმიზეზოდ აფეთქებულიყო. მით უფრო მაშინ, როდესაც თვითმფრინავს კაპიტალური რემონტი ახალი ჩატარებული ჰქონდა. დადასტურებულია, რომ თვითმფრინავს არანაირი პრობლემა არ ჰქონია და, შესაბამისად, არანაირი მიზეზი, სამი ავარიული დაშვება გაეკეთებინა. მედიაში ასეთი დასკვნაც კი გაკეთდა – საპრეზიდენტო თვითმფრინავები მხოლოდ კონკრეტული პირების მითითებებით ფეთქდებიან. კვალი აქაც პუტინამდე მივიდა. ამის მიზეზად კი ბევრი დეტალი დასახელდა. მიზეზების ჩამონათვალი დაახლოებით ასეთი თანმიმდევრობით გადანაწილდა: 1. ლეხ კაჩინსკი ზედმეტად დამოუკიდებელი პრეზიდენტი იყო რუსეთის მეზობლად. 2. ვარშავაში ერთ-ერთ ყველაზე დიდ მოედანს, რომელიც ჯოხარ დუდაევის სახელს ატარებდა, სახელწოდება სწორედ ლეხ კაჩინსკის ინიციატივით შეეცვალა; 3. 2006 წელს ლეხ კაჩინსკიმ ევროკავშირს შესთავაზა რუსეთის წინააღმდეგ სანქციების დაწესება იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი არ მოხსნიდა აკრძალვას პოლონური ხორცისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების იმპორტზე; 4. პოლონეთმა თავის დროზე ვეტო დაადო ევროკავშირსა და რუსეთს შორის თანამშრომლობას, რომელიც ევროკავშირის სამიტზე უნდა დაწყებულიყო; 5. 2008 წლის რუსული ინტერვენციის დროს პოლონეთმა მხარი საქართველოს დაუჭირა; 6. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დასრულების შემდეგ პოლონეთმა მოლაპარაკებები გამართა ამერიკის შეერთებულ შტატებთან პოლონეთში რაკეტსაწინააღმდეგო მოწყობილობების განთავსებაზე. და ყველაზე მთავარი – ლეხ კაჩინსკი გეგმავდა, ევროპა რუსეთის გაზისგან დამოუკიდებელი გაეხადა, რითაც ქვეყანა ევროპის ყველაზე დიდი მომმარაგებელი გახდებოდა. ბუნებრივია, ყველა ეს ვერსია სერიოზული მიზეზი შეიძლებოდა გამხდარიყო რუსეთისთვის. სწორედ ამიტომ უკვე მრავალი წელია, აღარ ჩნდება კითხვები, ვის ინტერესებში შედიოდა კაჩინსკის თვითმფრინავის აფეთქება.

## ტერაქტები, რომელიც პუტინის სახელს უკავშირდება

ჩამონათვალი ასევე დიდია. თითოეული უბედური შემთხვევის უკან პოლიტიკური ინტერესები იკვეთება, რომელზეც რუსეთის მოსახლეობა წლების შემდეგ კიდევ უფრო ხმამაღლა ლაპარაკობს. თუმცა არის განსაკუთრებით სისხლიანი ისტორიები: საცხოვრებელი სახლების აფეთქებები, წყალქვეშა ატომური ნავის „კურსკის" ჩაძირვა, ბესლანის ტრაგედია, მოსკოვის თეატრალური ცენტრის დაპყრობა...

2000 წელს ბარენცის ზღვაში ატომური წყალქვეშა ნავი „კურსკი" ჩაიძირა. ატომური წყალქვეშა ნავი წვრთნის ჩასატარებლად 2000 წლის 12 აგვისტოს გავიდა ზღვაში. ერთი საათის შემდეგ ხომალდთან კავშირი შეწყდა. მომხდარის შესახებ სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხელმძღვანელობამ 11-საათიანი დაგვიანებით გამოაცხადა. დიდმა ბრიტანეთმა და ნორვეგიამ რუსეთს დახმარება მაშინვე შესთავაზეს. იმ დროისთვის ეკიპაჟის გადარჩენის შანსი ჯერ კიდევ არსებობდა, თუმცა პუტინმა შეთავაზებაზე თავდაპირველად უარი განაცხადა და მხოლოდ რამდენიმედღიანი დუმილის შემდეგ დასთანხმდა. ბრიტანეთისა და ნორვეგიის სამაშველო ჯგუფებმა ჩაძირულ „კურსკთან" მიახლოება მხოლოდ 20 აგვისტოს მოახერხეს. იმ დროისთვის ნავზე ცოცხალი აღარავინ იყო, თუმცა, როგორც ამბობენ, მყვინთავებმა ჩაძირულ ნავში კაპიტნის, დიმიტრი კოლესნიკოვის კაიუტაში მისივე წერილი იპოვეს. ის წერდა, რომ პირველ და მეორე აფეთქებას 23 ადამიანი გადაურჩა ცოცხალი, თუმცა ვერც ერთმა ვერ შეძლო წყლის ზედაპირზე ამოსვლა.

ავარიის შედეგად ეკიპაჟის 118-ვე წევრი დაიღუპა. ოფიციალურ ვერსიად „კურსკის" ტრაგედიის მიზეზად ნავის ტორპედოების აფეთქება დასახელდა. თუმცა დაღუპულის ოჯახები ფაქტს უარყოფდნენ. ისინი პასუხს რუსეთის მაშინდელ ხელისუფლებას სთხოვდნენ. ამდენი წლის შემდეგ კიდევ არ არსებობს კონკრეტული პასუხი, რამ გამოიწვია წყალქვეშა ატომური ნავის ჩაძირვა. ეჭვები ტრაგედიის დღესვე გაჩნდა: „დღეს ჩვენ გვაქვს ორი ვერსია: ყველამ იცის, რა მოხდა „კურსკზე" ტორპედოს აფეთქების დროს, რამაც ხომალდის დაღუპვა გამოიწვია. რჩება შეკითხვა: რამ გამოიწვია აფეთქება? ეს ან გარედან ზემოქმედების შედეგია, ანდა ტექნოგენური კატასტროფა.

„კურსკის" შემდეგ იყო ბესლანის შემთხვევა, როდესაც ტერორისტებმა ბავშვებით სავსე სკოლაზე განახორციელეს თავდასხმა. ტერორისტული აქტი სამი დღის განმავლობაში გრძელდებოდა და შედეგად 350-ზე მეტი მძევალი დაიღუპა, მათი უმრავლესობა სკოლის მოსწავლე იყო, 500-ზე მეტი დაიჭრა და სამი დღის განმავლობაში 1100-მა სკოლის მოსწავლემ, მასწავლებელმა და მშობელმა საკუთარ თავზე გამოსცადა ტერორისტების ტყვეობა. ეს რუსეთის ისტორიაში ყველაზე დიდი ტერორისტული აქტი იყო. შედეგად რუსულმა პოლიციამ 31 ტერორისტი მოკლა და მხოლოდ ერთი მათგანის აყვანა მოახერხა ცოცხლად, თუმცა კითხვებზე პასუხები დღემდე არ არის გაცემული. დაღუპული ბავშვების მშობლები სამართალს დღემდე ეძებენ და მიიჩნევენ, რომ მათი პატარები პუტინის ბინძურ პოლიტიკას შეეწირნენ. „ჩვენ აღარ გვინდა რუსეთში ცხოვრება, იქ, სადაც ადამიანის სიცოცხლე არაფერი ღირს; იქ, სადაც სიმართლეს არასოდეს გვეტყვიან, თუმცა ჩვენ ეს მათ გარეშეც ვიცით. ზუსტად ვიცით, ვინც გაცვალა ჩვენი შვილების, ახლობლების სიცოცხლე საკუთარ ბინძურ პოლიტიკაზე. საკუთარი პოლიტიკური იმიჯის დასამტკიცებლად უარი განაცხადეს ტერორისტებთან მოლაპარაკებებზე და ამით დაამტკიცეს, რომ რუსეთის ფედერაცია არაფერზე უკან არ დაიხევდა. სწორედ ამ ფაქტიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ ტერორისტებმა ჩვენი სკოლა დაიპყრეს. რუსეთის ხელისუფლებამ დაგვანახა, რომ ჩვენ მათთვის კავკასიური ეროვნების პირები ვიყავით და მოგვექცნენ ისე, როგორც პირუტყვს ექცევიან სასაკლაოზე"... – განცხადებას დაღუპული და დაზარალებული ბავშვების 500-ზე მეტი მშობელი და ახლობელი აწერდა ხელს. ყველა მათგანი უარს აცხადებდა რუსეთის მოქალაქეობაზე და ევროპას დახმარებას სთხოვდა. ათი წლის შემდეგაც კითხვები ზუსტად იგივეა და როგორც ჩანს, არც არავინ აპირებს პასუხების გაცემაზე თავის შეწუხებას.

იგივე შინაარსის ტრაგედია დატრიალდა ბესლანის შემთხვევამდე ზუსტად 2 წლით ადრე. მოსკოვში, დუბროვკის ქუჩაზე ტერორისტებმა თეატრალური ცენტრი დაიპყრეს, მიუზიკლ „Норд-Ост"-ის მსვლელობის დროს. მძევლად აყვანილი 923 ადამიანიდან 130 ჩაცხრილეს, 700-ზე მეტი კი დაჭრილი იყო. კითხვები აქაც იგივე მიმართულებით გაჩნდა. ეჭვები ისევ პუტინამდე მიდიოდა, თუმცა ისეთი კონკრეტული მიზეზები, როგორიც საცხოვრებელი სახლების აფეთქებების დროს დაფიქსირდა, „Норд-Ост"-ის შემთხვევაში არ მომხდარა.

ტერაქტებიდან ყველაზე შემზარავი სწორედ სამი საცხოვრებელი სახლის აფეთქება იყო. ტრაგედია 1999 წელს 4-დან 16 სექტემბრის ჩათვლით განხორციელდა. პირველი ტერაქტი 4 სექტემბერს ბუინაკსკში განხორციელდა საღამოს 10 საათზე, მეორე ტერაქტი 8 სექტემბერს მოსკოვში გურიანოვას ქუჩაზე, საღამოს 12 საათზე, მესამე ტერაქტი ასევე მოსკოვში მოხდა 13 სექტემბერს, გამთენიისას, 5 საათზე და მეოთხე, 16 სექტემბერს ქალაქ ვოლგოდონსკში. ტერაქტების შედეგად 307 ადამიანი დაიღუპა და 1700-ზე მეტი დაზიანდა. აფეთქებებზე პასუხისმგებლობა რუსეთის მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა, ვლადიმერ პუტინმა ჩეჩენ მეამბოხეებს დააკისრა და სწორედ ეს ტრაგედიები გამოიყენა ჩეჩნეთში მეორე სამხედრო კამპანიის დაწყების გასამართლებლად. მაშინვე ითქვა, რომ აფეთქებები სწორედ პუტინის მხარდამჭერების მიერ იყო დაგეგმილი, რომ ჩეჩნეთში შეჭრის გეგმა განეხორციელებინა და ამისთვის მორალური უფლება მიეღო.





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# დაბლოკილი კანდ





„ან ყველას ჰქონდეს უფლება, დაიკავოს თანამდებობა, ან ეს შეზღუდვა გავრცელდეს უმაღლესი თანამდებობის პირებზე“

## „ქართული ოცნება“ თავის კა
## აუცილებლად დააყენებს და გ
## ჩვენს მხარეს. ამის გარანტია

**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

**ირაკლი ოქრუაშვილი არ არის ერთადერთი, ვინც საარჩევნო მარათონიდან გაითიშა. თუმცა ერთადერთია, ვინც ფარ-ხმალს არ ყრის და აცხადებს, რომ ყველაფრის ფასად შეეცდება, 15 ივნისს გამარჯვებული გამოვიდეს „ომიდან“.**

თავის დროზე ოპოზიციაში მყოფი დღევანდელი სახელისუფლებო ძალები სწორედ ორმაგ სტანდარტებში ადანაშაულებდნენ სააკაშვილის მთავრობას და აცხადებდნენ, რომ მათთვის კონსტიტუცია სხვანაირად იკითხებოდა. იგივე პრობლემა ოპოზიციონერი პოლიტიკოსებისთვის ჯერ კიდევ საპრეზიდენტო არჩევნებზე შეიქმნა. ერთ-ერთი პირველი „დაზარალებული“ სალომე ზურაბიშვილი იყო, რომელიც უცხოეთიდან სპეციალურად წინასაარჩევნოდ ჩამოვიდა და საკუთარი კანდიდატურა ქართველ ამომრჩეველს შესთავაზა. როგორც ჩანს, ქალბატონმა სალომემ იჩქარა, რადგან ცესკოში შეტანილი განაცხადი, ბოდიშის მოხდით, უკან დაუბრუნეს. აღმოჩნდა, რომ მას საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდა საკუთარი ორმაგი მოქალაქეობის გამო. ზურაბიშვილს თავიდან ცესკოს პასუხი ხუმრობა უფრო ეგონა, ვიდრე პოლიტიკური ბრძოლის დასაწყისი.

**სალომე ზურაბიშვილი, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე:**

– იმედი მაქვს, არავის ეჭვი არ გაუჩნდებოდა იმის შესახებ, რომ, სანამ ამ სერიოზულ საქმეში ჩავებმებოდი, საჭირო კონსულტაციები გავლილი მექნებოდა და მრავალი პრეცედენტი განხილული. ახალი ხელისუფლება ხაზს უსვამს ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ მის მიერ დაპირებულ „ყველაზე დემოკრატიული არჩევნების“ ჩატარებას და ამით მსოფლიოს გაკვირვებას აპირებს. მე პირადად ამ სიტყვების მჯერა და მინდა მჯეროდეს, ამიტომ რეგისტრაციაზე დავაყენებ ჩემს კანდიდატურას.

ზურაბიშვილს იმედები გაუცრუვდა. მიუხედავად იმისა, რომ ზურაბიშვილი პირობას დებდა, გამარჯვების შემთხვევაში მაშინვე დატოვებდა საფრანგეთის მოქალაქეობას, ის მაინც გათიშეს არჩევნებიდან. სხვათა შორის, ზურაბიშვილმა მისი კანდიდატურის დაბლოკვაში ბრალი პარლამენტს დასდო. დავით უსუფაშვილი ბოლომდე ცდილობდა, კანონის სისწორე დაემტკიცებინა, თუმცა არაფერი გამოუვიდა. ზურაბიშვილი დღემდე დარწმუნებულია, რომ კანონი მის წინააღმდეგ მიზანმიმართულად გამოიყენეს.

**დავით უსუფაშვილი, პარლამენტის თავმჯდომარე:**

– ჩვენ დაინტერესებული ვართ, რაც შეიძლება მეტმა კანდიდატმა შეძლოს არჩევნებში მონაწილეობა. ჩვენ ვიმსჯელეთ ქალბატონ სალომე ზურაბიშვილის საკითხზე. თუმცა კანონი ყველასთვის ერთნაირად მოქმედებს.

მოგვიანებით ისევ პარლამენტის თავმჯდომარემ დააყენა დღის წესრიგში კონსტიტუციაში არსებული ორმაგი მოქალაქეობის დამაბნეველი პუნქტის დარეგულირება. ამით უსუფაშვილმა ზურაბიშვილს ბოლო იმედი მისცა. იმ შემთხვევაში, თუ საკონსტიტუციო ცვლილებები არჩევნებამდე მოესწრებოდა, სალომე ზურაბიშვილს შანსი მიეცემოდა, მონაწილეობა მიელო საპრეზიდენტო არჩევნებში.

**დავით უსუფაშვილი:**

– ჩვენი კონსტიტუცია დღეს რატომღაც მხოლოდ სამ თანამდებობის პირს უკრძალავს სხვა ქვეყნის მოქალაქეობას: პრემიერს, პრეზიდენტსა და პარლამენტის თავმჯდომარეს. ეს არის სრულიად გაუგებარი, გამოდის, რომ მთავრობის სრული შემადგენლობა შეიძლება, იმავდროულად, იყოს სხვა ქვეყნის მოქალაქე და ამით არაფერი დაშავდება, მაგრამ ამ სამი თანამდებობის პირს არ უნდა ჰქონდეს არავითარ შემთხვევაში სხვა ქვეყნის მოქალაქეობა. ჩვენ ამ ნორმასაც ვიღებთ და მომავალ საკონსტიტუციო კომისიას ვთავაზობთ, ამ საკითხში შეიტანოს სიცხადე: ან ყველას ჰქონდეს უფლება, დაიკავოს თანამდებობა, ან ეს შეზღუდვა გავრცელდეს უმაღლესი თანამდებობის პირებზე, მათ შორის მთავრობის წევრებზე, პარლამენტის წევრებზე და ასე შემდეგ.

არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობამ მაშინ მხარი დაბლოკილ კანდიდატს დაუჭირა. „საია“, „სამართლიანი არჩევნები“, „კონსტიტუციის 42-ე მუხლი“ – ყველა მათგანი თვლიდა, რომ სალომე ზურაბიშვილის, როგორც კანდიდატის, უფლებები ირღვეოდა და ამას არავინ ყურადღებას არ აქცევდა. სხვათა შორის, წინასაარჩევნოდ ზურაბიშვილის საკითხმა მთავრობაში აზრთა სხვადასხვაობაც კი გამოიწვია. მაგალითად, იუსტიციის მინისტრი თვლიდა, რომ ზურაბიშვილს აუცილებლად უნდა მისცემოდა არჩევნებში მონაწილეობის საშუალება. თეა წულუკიანის განცხადებით, ეს საპრეზიდენტო არჩევნებს კიდევ უფრო კონკურენტულს გახდიდა.

**თეა წულუკიანი, იუსტიციის მინისტრი:**

– ჩემს სურვილზე რომ იყოს დამოკიდებული, სალომე ზურაბიშვილს აუცილებლად მივცემდი არჩევნებში მონაწილეობის საშუალებას. „საქართველოს გზის“ ლიდერის არჩევნებში მონაწილეობა პრეზიდენტობის კანდიდატებს კიდევ უფრო თანაბარ პირობებში ჩააყენებს და არჩევნებს უფრო კონკურენტულს გახდის.

განცხადებები კეთდებოდა, თუმცა რეალურად საკითხი უკვე გადაწყვეტილი იყო. თავად სალომე ზურაბიშვილიც კი პირად საუბრებში წინასწარვე ამბობდა, რომ საბოლოოდ მისი კანდიდატურა აუცილებლად დაიბლოკებოდა, თუმცა ცესკოს გადაწყვეტილებას სამართლებრივად ბოლომდე აპროტესტებდა. საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვა არჩევნებამდე ვერ მოესწრო და როგორც ამბობენ, ეს პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო.

საკონსტიტუციო ცვლილებების ციებ-ცხელებამ მალევე ჩაიარა, თუმცა ზურაბიშვილს არც მომდევნო არჩევნებში ეძლევა მონაწილეობის მიღების საშუალება. ამჯერად საკითხი თვითმმართველობის არჩევნებს ეხება. ზურაბიშვილი არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე კვლავ საქართველოში ჩამოდის, თუმცა საკუთარ სურვილს, მერობისთვის იბრძოლოს, ხმამაღლა არ აცხადებს. აზრიც არ აქვს, რადგან ამ შემთხვევაში მისთვის მთავარი ხელისშემშლელი ბოლო ორწლიანი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ხდება. პარლამენტის მიერ საარჩევნო კოდექსში მეორე მოსმენისას მიღებული ცვლილების თანახმად, კანდიდატს, რომელსაც ბოლო ორი წელი არ აქვს ნაცხოვრები საქართველოში, ავტომატურად ეკრძალება არჩევნებში მონაწილეობა.

„გიორგის არასოდეს ჰქონია პოლიტიკური მიდრეკილებები. მაშინაც კი, როცა თანამდებობაზე დანიშნეს“

ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებით, პარლამენტმა აღნიშნული ცვლილება სწორედ მის გამო მიიღო და ამის დასამტკიცებლად მან უსუფაშვილთან პირადი საუბრების დეტალებიც მოიყვანა. განაცხადა, რომ პარლამენტის თავმჯდომარეს მოსთხოვა, ცვლილება მესამე მოსმენისას მიელო, რაზეც უსუფაშვილისგან უარი მიიღო. როგორც წესი, მესამე მოსმენისას მხოლოდ ტექნიკური ცვლილებები შედის, თუმცა პარლამენტს ახსოვს რამდენიმე შემთხვევა, როდესაც სწორედ მესამე მოსმენისას შეიტანეს კანონპროექტში აზრობრივი ცვლილება. ეს, როგორც ჩანს, პოლიტიკური ნების ამბავია და დავით უსუფაშვილი მის გამოყენებას ირაკლი ოქრუაშვილის გამო არ აპირებს.

**ირაკლი ოქრუაშვილი:**

– პარლამენტმა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი მიიღო, სადაც ჩაიწერა, რომ მერის, გამგებლის არჩევნებში მონაწილეობის უფლება საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეს აქვს, ვისაც საქართველოში უცხოვრია 5 წელიწადი. ამ ცენზს მე ვაკმაყოფილებდი, ამის შემდეგ სიურპრიზი დაიწყო. წინა კვირაში, ღამე პარლამენტმა მიიღო საარჩევნო კოდექსში ცვლილებები, რომელშიც ჩაწერეს, რომ ისევ და ისევ საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქეს აქვს უფლება, მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა, რომელსაც უცხოვრია საქართველოში 5 წელიწადი, მათ შორის ბოლო 2 წლის განმავლობაში. ეს უკანასკნელი მეხება მხოლოდ მე... ჩემთვის გორის არჩევნები, არ მინდა ტრაბახში ჩამეთვალოს, არის დაახლოებით „მის ამერიკის“ თამაში, ჩემთვის ეს არის გარკვეული სახით თავის ატკიება, მაგრამ მივიღე ეს გადაწყვეტილება, რომ ბევრი რამ შემეცვალა ამ ქალაქში, რომ ხელისუფლების მიმართ გაჩენილი ნიჰილიზმი აღმომეფხვრა, ამ ქალაქს არც ერთი ხელისუფლების პირობებში არ ჰქონდა დაფასება. დღესაც იქ ხალხი მომავალს არა იმედით, არამედ შიშით უყურებს. ასევე, იქ ჩემ მიმართ არსებული პოზიტიური დამოკიდებულება მაძლევდა იმის საშუალებას, რომ ეს გადაწყვეტილება მიმეღო.

ირაკლი ოქრუაშვილმა საკუთარ საეთერო გამოსვლაში ასლან აბაშიძის შვილი, გიორგი აბაშიძეც ახსენა. მართალია, ეს მხოლოდ მაგალითისთვის ნათქვამი სიტყვები იყო, თუმცა, ალბათ, არა შემთხვევით, რადგან, ერთ-ერთი ვერსიით, გიორგი აბაშიძეც სწორედ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდა საქართველოში.

თავად ჩამოსვლის მიზეზად დედის საფლავის მონახულება დაასახელა. ამის გაკეთებას გიორგის არც აქამდე უკრძალავდა ვინმე, უბრალოდ, თავად თვლიდა, რომ უსამართლო ქვეყანაში ჩამოსვლას აზრი არ ჰქონდა. ახლა კი, როგორც ჩანს, ამის დრო დადგა... რაც შეეხება პოლიტიკას, აბაშიძის შვილმა კომენტარისგან თავი შეიკავა, განაცხადა, რომ არ ფლობს დეტალებს და არც აპირებს პოლიტიკით დაინტერესდეს, თუმცა ყველამ იცის, რომ პოლიტიკურ გეგმებზე ხმამაღლა არასოდეს საუბრობენ.

**გიორგი აბაშიძე, ასლან აბაშიძის შვილი:**

– მეგობრებმა ჩამომაკითხეს და მთხოვეს, საქართველოში ჩამოვსულიყავი და გადაწყვეტილებაც სპონტანურად მივიღე. ამ ხნის განმავლობაში ვცხოვრობდი მოსკოვსა და ვენაში, ამჟამად მაქვს სამშენებლო ბიზნესი ორივე ქალაქში. ძალიან მიხარია, რომ სახლში დავბრუნდი, მით უმეტეს თბილისში აფხაზეთთან ომიანობის შემდეგ არ ვყოფილვარ. განსაკუთრებით მენატრება ბათუმი და აუცილებლად ჩავალ.

ბუნებრივია არავის სჯერა რომ გიორგის წინასაარჩევნო ვიზიტი მართლა შემთხვევითი არის და ლოგიკურად აჩენს ძალიან ბევრ კითხვას. გიორგი აბაშიძემ პოლიტიკური მოღვაწეობა დაიწყო და დაასრულა ბათუმის მერობით. 2004 წელს მან ბათუმი, მამასთან, ასლან აბაშიძესთან ერთად, დატოვა და მას შემდეგ საქართველოში ზუსტად ათწლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნდა. რამდენად არის ეს შემთხვევითი ვიზიტი საკუთარ ქვეყანაში, ამაზე საუბარი ჯერ ნამდვილად ადრეა. როგორც ამბობენ მას ძველი თანამდებობის დაბრუნების სურვილი აქვს. მართალია აბაშიძის ძველი მომხრეები აცხადებენ, რომ 2000 წელს გიორგი იძულებით დანიშნეს ბათუმის მერის პოსტზე და ეს მამამისის დაჟინებული მოთხოვნა იყო. თუმცა, თუ მაშინ აიძულა ასლანმა საკუთარი შვილი, პოლიტიკაში ჩართულიყო, არც ახლაა გამორიცხული, გიორგი სწორედ მამის გეგმების განსახორციელებლად იყოს ჩამოსული ბათუმში. მით უფრო, რომ აბაშიძეების გავლენების დაბრუნებაზე საუბარი 2012



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ...იდატები



**„საქართველოში მატერიალური სიდუხჭირეა, აბაშიძეებს აქვთ ფინანსური რესურსი, რომლის გამოყენება ქვეყნისთვის სასიკეთო იქნება“**

## ...ნდიდატს ბათუმში ...ამარჯვება იქნება ...ს გაძლევთ“

წლის პირველი ოქტომბრის არჩევნების დღიდანვე აქტიური გახდა.

**თენგიზ კახიძე, ადვოკატი:**

– გიორგის პირადად მე და უამრავი მისი გულშემატკივარი მივესალმებით და სურვილი გვაქვს, უახლოეს მომავალში საქართველოში დაბრუნდეს. მის ჩამოსვლასთან დაკავშირებით, საზოგადოებაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ თავის სამშობლოს უნდა დაუბრუნდეს და მოკრძალებული წვლილი შეიტანოს ქვეყნის განვითარებაში. საქართველოში მატერიალური სიდუხჭირეა, აბაშიძეებს აქვთ ფინანსური რესურსი, რომლის გამოყენება ქვეყნისთვის სასიკეთო იქნება.

გიორგი აბაშიძის პოლიტიკურ გააქტიურებას არავინ გამორიცხავს. თუმცა უმრავლესობაში მიაჩნიათ რომ გიორგის არჩევნებში მონაწილეობის საშუალებაც რომ მისცემოდა "ოცნება" მას მარტივად დაამარცხებდა.

**მურმან დუმბაძე, საქართველოს პარლამენტის წევრი, აჭარის მაჟორიტარი:**

– გიორგი აბაშიძე ძებნილი არ არის, რამდენადაც მახსოვს ბრალი არ აქვს არაფერზე წაყენებული, შესაბამისად მისი ნება იყო სამშობლოში ჩამოსვლა. თუმცა პოლიტიკა, რომელიც მისმა მამამ თავის დროზე აწარმოა, უკვე დამარცხებულია. ყველა ადამიანს აქვს უფლება, პოლიტიკური გააქტიურების გადაწყვეტილება მიიღოს, რა თქმა უნდა, მაგრამ ერთი რამ დაზუსტებით ვიცი – „ქართული ოცნება“ თავის კანდიდატს ბათუმში აუცილებლად დააყენებს და გამარჯვება იქნება ჩვენს მხარეს. ამის გარანტიას გაძლევთ.

დუმბაძისგან განსხვავებით ვალერი გელბახიანს მიაჩნია რომ გიორგი აბაშიძე საქართველოში დიდი ხნით უნდა დარჩეს და შეეცადოს აინაზღაუროს ის რაც ბოლო ცხრა წლის განმავლობაში სამშობლოში არყოფნით დააკლდა.

**ვალერი გელბახიანი:**

– ძალიან კარგი ქნა, რომ ჩამოვიდა. არა მგონია, რაიმე პოლიტიკური გეგმები ჰქონდეს, უბრალოდ, დიდი ხანია იქით არის და დედის საფლავი ყველა შვილისთვის წმინდა ადგილია. ბუნებრივია, ყველა ემიგრანტის ოცნებაა სამშობლოში დაბრუნება. ის, რაც გიორგიმ ამ ათი წლის განმავლობაში გაიარა... ბუნებრივია, ის ეცდება, კომპენსაცია მიიღოს, მაგრამ გაბოროტებული არ უნდა იყოს, რადგან ახალგაზრდა კაცია. რაც შეეხება პოლიტიკას, გიორგის არასოდეს ჰქონია პოლიტიკური მიდრეკილებები. მაშინაც კი, როცა თანამდებობაზე დანიშნეს, უფრო მამამისის დაჟინებული მოთხოვნა იყო, მისი ინიციატივა ნამდვილად არ გახლდათ. ძალიან კარგად მახსოვს გიორგის პოზიციები მაშინ, ძალიან არ უნდოდა თანამდებობაზე დანიშვნა. ამის შემდეგ, როგორც პოლიტიკაში ხდება ხოლმე, უამრავი ჭორი გაავრცელეს მასზეც.

**– შეიძლება ახლაც სწორედ მამამისის მოთხოვნითა და ინტერესების მიხედვით მოქმედებს...**

– მხედველობაში გაქვთ თვითმმართველობის არჩევნები? როდესაც ადამიანი არჩევნებისთვის ემზადება, გარკვეულ ორგანიზაციულ სტრუქტურას აყალიბებს, აძლიერებს. ასეთი სტრუქტურის შესაქმნელად კი ადამიანებია საჭირო. თუ მსგავსი მოძრაობა დაიწყება გიორგის ირგვლივ, შემდეგ რაც არ უნდა უარყოს არჩევნებში მონაწილეობის ფაქტი, ამას მნიშვნელობა აღარ ექნება. გარდა ამისა, მე როგორც ვიცი, გიორგის სამეგობრო წრეებიც აღარ არიან ბათუმში, ისინი სხვადასხვა ქვეყნებში არიან წასულები. ვფიქრობ, გიორგი დროებით არის ჩამოსული და მალე წავა. თუმცა მე ვურჩევდი, დიდი ხნით ჩამოვიდეს, არ შეიძლება ადამიანი პოლიტიკური მოვლენების გამო დასაჯო. არა მგონია, მამები და შვილები თანაბრად იყვნენ პასუხისმგებელნი კონკრეტულ მოვლენებზე. მით უმეტეს, როდესაც ვსაუბრობთ გიორგი აბაშიძეზე, რადგან არც გიორგი და არც მამამისი არ არიან დამნაშავეები, ასლან აბაშიძე აბსოლუტურად უსამართლოდაა დღემდე ძებნაში. ბუნებრივია, წინა ხელისუფლების სახელმწიფო იდეოლოგიამ, რომელიც ასლან აბაშიძის წინააღმდეგ მუშაობდა, გაჭრა და მოსახლეობაში იყო აგრესია აბაშიძის ოჯახის წინააღმდეგ, მაგრამ დღეს აჭარაში უკვე სერიოზული ნოსტალგიაა იმ სიტუაციის მიმართ, რომელიც ასლან აბაშიძის დროს იყოს. დღეს იქ სჭარბობს ანტითურქული მოსახლეობები, ვეღარ იცნობ ბათუმს, ვერ გაიგებ ქართული ქალაქია თუ თურქული. თვითონ ბათუმელებიც შეურაცხყოფილად გრძნობენ თავს.

**„არა მგონია, მამები და შვილები თანაბრად იყვნენ პასუხისმგებელნი კონკრეტულ მოვლენებზე“**

# გახდება თუ არა მერობის კანდიდატი ირაკლი მეძმარიაშვილი





**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

**თვითმმართველობის არჩევნების მოახლოებასთან ერთად, მერობის კანდიდატების სიაც ჩქარი ტემპებით იზრდება. განიხილება ნებისმიერი კანდიდატი და გამარჯვების ნებისმიერი გზა. პრინციპში, ხელისუფლებისა და მთავარი ოპოზიციური ძალის კანდიდატები უკვე ცნობილია. დავით ნარმანიას, სავარაუდოდ, გიორგი ვაშაძეს დაუპირისპირებენ. უმრავლესობაში უკვე ითქვა, რომ ვაშაძის კანდიდატურის პირობებში ნაციონალები ძლივს შენარჩუნებულ მეორე ადგილსაც დაკარგავენ. ამ განცხადების ფონზე არასაპარლამენტო ოპოზიცია განსაკუთრებით გააქტიურდა. მათი მიზანი-მაქსიმუმი სწორედ ასე გამოიყურება: ნაციონალების მესამე ადგილზე გადაწევა. ამ გზაზე კი მთავარი, რა თქმა უნდა, კანდიდატის ვინაობაა. ეგრეთწოდებული ნამდვილი თბილისელების მსჯელობა, თუ ვის დაასახელებენ საკუთარ რჩეულად, ჯერ არ დასრულებულა. გია კორკოტაშვილი აცხადებს, რომ საკუთარ თანამოაზრეებთან ერთად კიდევ განიხილავს სხვადასხვა ვერსიებს და იმ შემთხვევაში, თუ საბოლოოდ ვერავის შეარჩევენ, ისევ ნარმანიას დაუჭერენ მხარს.**

**გია კორკოტაშვილი, რადიოწამყვანი:**

– ყველა თავისას გაიძახის, კონსენსუსი ჯერ არ არის მიღწეული. როგორ იქნება, სიმართლე გითხრათ, არ ვიცი.

**– შეიძლება, რომ ვერ ჩამოყალიბდეთ და ბოლოს ნარმანიას დაუჭიროთ მხარი?**

– თუ ოპოზიციურმა ძალებმაც ვერ დააყენეს ისეთი კანდიდატი, რომელიც რაღაცით მეტი იქნება დავით ნარმანიაზე, მე, ალბათ, ისევ ნარმანიას დავუჭერ მხარს. ნუ, ახლა „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატს რომ არ დავუჭერ მხარს, ეს ფაქტია.

გია კორკოტაშვილმა უარი განაცხადა კონკრეტული კანდიდატების დასახელებაზე, შესაბამისად, ჩვენთვის უცნობი რჩება, ვინ არის ნამდვილი თბილისელებისთვის მისაღები კანდიდატი. გავრცელებული ინფორმაციით, მერობის ერთ-ერთ კანდიდატად თბილისში ირაკლი მეძმარიაშვილს განიხილავენ.

ირაკლი მეძმარიაშვილს თბილისის მერიასთან შეხება 1995 წლიდან ჰქონდა. სწორედ ამ პერიოდში დაინიშნა ის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის სამმართველოს უფროსად, შემდეგი სამი წლის განმავლობაში მეძმარიაშვილი კრწანისის გამგებელი იყო, ხოლო 1998-2000 წლებში თბილისის მთავრობის ვიცე-პრემიერი. 2000 წლიდან ირაკლი მეძმარიაშვილი სპორტულ სფეროში გადადის და 2006-2009 წლებში საქართველოს ეროვნული სტადიონის გენერალური დირექტორი ხდება. „დინამოს“ ხელმძღვანელობის პოსტიდან ის საკუთარი განცხადების საფუძველზე განთავისუფლდა. მეძმარიაშვილი სანდრო შახოვმა ჩაანაცვლა. განცხადება კი გადადგომის შესახებ მას შემდეგ დაწერა, რაც სტადიონის მმართველმა კომპანია „დინამო ინვესტმა“ თბილისის მერიას სტადიონის მართვის შესახებ ხელშეკრულების გაუქმების თხოვნით მიმართა. ხელშეკრულების გაუქმების შემდეგ ეროვნული სტადიონის მართვის უფლება ისევ თბილისის მერიას დაუბრუნდა და მანვე აიღო საკუთარ თავზე სტადიონის სახელფასო და ადმინისტრაციული დავალიანებების დაფარვაც, რომელიც მეძმარიაშვილის ხელმძღვანელობის პერიოდში დაგროვდა.

სხვადასხვა პერიოდში მეძმარიაშვილი საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის წევრი, მსოფლიო ჭიდაობის ფედერაციის სენატორთა კლუბის წევრი, ფიფას საფეხბურთო აგენტი და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენელი იყო ევროპის ქვეყნებში.

მისი კანდიდატურის განხილვის შესახებ არანაირ ინფორმაციას არ ფლობს გია კორკოტაშვილი.

**გია კორკოტაშვილი:**

– მიუხედავად იმისა, რომ ირაკლი ჩემი ახლობელია, საქმის კურსში არ ვარ. ჩემი არჩევანი არ ყოფილა ნამდვილად. ირაკლი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჩემთან არავინ არ შეთანხმებულა ამ საკითხზე. განხილვის საგანი რომ იყოს ირაკლის კანდიდატურა, მე ეს აუცილებლად მეცოდინებოდა.

თავად ირაკლი მეძმარიაშვილი გავრცელებულ ინფორმაციას უარყოფს. ვრცელი კომენტარისგან კი თავს იკავებს. თუმცა, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, სპორტული თანამდებობების პარალელურად საზოგადოება „თბილისელის“ გამგეობის თავმჯდომარეც არის 2013 წლიდან. საზოგადოება „თბილისელი“ ძირითადად დედაქალაქის პრობლემებითა და მისი განვითარების საკითხებით არის დაინტერესებული. თავად მეძმარიაშვილიც თანამოქალაქეებს სწორედ აღნიშნულ ორგანიზაციაში რეგისტრაციის გავლასა და დედაქალაქის პრობლემებით დაინტერესებისკენ მოუწოდებს. შესაბამისად, მისი ინტერესებიც სწორედ აქ იკვეთება...

**გია კორკოტაშვილი: „ირაკლი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჩემთან არავინ არ შეთანხმებულა ამ საკითხზე“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# სოლარიუმი „Ergoline ლაიფსთაილ სტუდიო“

**მსოფლიოში აღიარებული ნომერ პირველი გერმანული კომპანია „ერგოლაინის“ საქართველოს წარმომადგენლობა „ერგოლაინ ლაიფსთაილ სტუდიო“ მომხმარებელს სოლარიუმის უმაღლეს, უსაფრთხო და კომფორტულ მომსახურებას სთავაზობს. ნამზეური კანი რომ ლამაზი, მოდური, სექსუალური და მიმზიდველია ამაზე აღარავინ დაობს, ამიტომაც აბაშიძის 22-ში, „ერგოლაინის“ ახალ მისამართზე, სადაც მეტ სივრცეში და თავისუფალ გარემოში კომფორტულ სერვისს გთავაზობენ, უამრავ ადამიანს ნახავთ.**








„Ergoline ლაიფსთაილ სტუდიოში“ ექვსი სხვადასხვა კლასის აპარატია. ერთი დასადგომი „ტურბო“, ხოლო ხუთი ჰორიზონტალური დასაწოლი აპარატი. განსაკუთრებულად ხაზგასმის ღირსი კი დასაწოლი ჰორიზონტალური აპარატებია, რომელსაც აქვს სახის ლამპები. სახის ლამპები ცალკე მახასიათებლებით გამოირჩევა და იცავს სახის კანს, რომელიც განსაკუთრებული და ნაზია. მხოლოდ ჰორიზონტალურ აპარატებს აქვთ სრული კომფორტი და სარელაქსაციო ეფექტი. ამას უზრუნველყოფს: AQUA FRESH - ზღვის შხეფის ეფექტი, გარუჯვის სეანსის დროს სასიამოვნოდ გაგრილებთ ნოტიო ჰაერი, რომელიც თქვენს კანს ტენიანობას უნარჩუნებს.

AROMA THERAPY - თქვენს სეანსს სასიამოვნოდ სურნელოვანს ხდის.

CLIMATCONTROL - აპარატში დააყენებთ თქვენთვის სასურველ ტემპერატურას.

VOICE GUIDE - ხმოვანი გიდი, მოლაპარაკე აპარატი, აგიხსნით თავის ფუნქციებს.

3D SOUNDI - მუსიკის 3D ჟღერადობა.

აქ შეგხვდებათ აპარატი სახელწოდებით „Ergoline 990 პრესტიჟი IQ“ , რომელიც პოსტსაბჭოთა სივრცის არც ერთ ქვეყანაში არ არის, მეტიც, ის ზოგიერთი ევროპული ქვეყნისთვისაც დიდი ფუფუნებაა. ეს არის ჭკვიანი, ახალი







ტექნოლოგიის აპარატები, რომლებსაც აქვთ IQ სენსორი. სენსორი, არის ფოტოელექტრონული ხელსაწყო, რომელსაც იდებთ კანზე და მონაცემების შესაბამისად, შეგირჩევთ თქვენი კანისთვის იდეალურ პროგრამას. ეს კი უზრუნველყოფს ლამპების სიმძლავრის ცვლილებას 120 ვატიდან 200 ვატამდე, მთელი სეანსის განმავლობაში. იმის მიხედვით, თუ რა მოთხოვნა აქვს თქვენს კანს. ეს არის უახლესი ტექნოლოგიის აპარატი, რომელიც მსოფლიოში ნომერ პირველია და გერმანულმა ფირმა Ergoline-მა შეიმუშავა. ტექნოლოგია დამუშავებულია ისე, რომ ხდება სხივების გაფილტვრა. პრინციპი აგებულია, მზის სხივის შემადგენლობაზე, სოლარიუმში გამოიყენება A და B სხივი. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს აპარატების დეზინფექციას.

„Ergoline ლაიფსთაილ სტუდიოში“ სპეციალური ხსნარის „სოლარფიქსის“ მეშვეობით ხდება აპარატების გაწმენდა. ეს არის სადეზინფექციო საშუალება, რომელიც არ შეიცავს ქლორს და ალკოჰოლს.

კომპანიის მთავარი დევიზია ევროპული სტანდარტების შენარჩუნება, ეს სოლარიუმის მომსახურეობის ხარისხშიც აისახება. ამისთვის აუცილებელია დროულად იყოს გამოცვლილი ლამპები, ფილტრები და სტარტერები, რომლებიც უზრუნველყოფენ აპარატების გამართულ მუშაობას. სოლარიუმი უსაფრთხო და სასარგებლოა იმ შემთხვევაში თუ ყველა ზემოაღნიშნული ნორმა დროულად და ხარისხიანად არის დაცული. „ერგოლაინის“ საქართველოს წარმომადგენლობა კი ამას იოლად ახერხებს, რადგან ის პირდაპირ დაკავშირებულია გერმანიის Ergoline-ის მწარმოებელ ქარხანასთან.

**„კოლაგენარიუმი“**

კოლაგენარიუმი - აპარატი, რომელიც აღადგენს კანის უჯრედებს. ეს არის არა გასარუჯი, არამედ კანის მოვლის აპარატი, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზმში კანის გამაახალგაზრდავებელი ნივთიერებების კოლაგენისა და ელასტინის გამოყოფას. ეს ხერხდება სპეციალური წითელი და ღრმა სხივით. ევროპაში ეს ტექნოლოგია ცნობილია, წითელი ნათების თერაპიის სახელით - red life terapi. ეს არის სრულიად ახალი ტექნოლოგია, რომელიც სულ რამდენიმე წელია დაინერგა ევროპაში. კოლაგენარიუმი, აძლიერებს ელასტინის გამომუშავებას, ხელს უწყობს ნაოჭების გასწორებას, უნარჩუნებს კანს ელასტიკურობას, ააქტიურებს ახალგაზრდა უჯრედების წარმოქმნას და ამით აფერხებს კანის დაბერების პროცესს. ამ აპარატით სარგებლობა „Ergoline ლაიფსთაილ სტუდიოშია“ შესაძლებელი, რათა თქვენი კანი, ნამზეურებთან ერთად, ლამაზად და ჯანმრთელად გამოიყურებოდეს. გარდა ამისა, აქ დგას ყველა სახის აპარატი, მათ შორის ე.წ. დეკოლტე, რომლის მეშვეობითაც ხდება გარუჯვა მხოლოდ სახეზე და მკლავებზე. Ⓐ

# პუტინი ჯავახეთში ყირიმის სცენარის გათამაშებას გეგმავს?



my View

მირიან ბოქოლიშვილი

**გახდება თუ არა ჯავახეთის რეგიონი პუტინის მორიგი სამიზნე? „ევროპელი დემოკრატების“ ლიდერი პაატა დავითაია „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ამბობს, რომ საქართველო-რუსეთის პირველი პირების შეხვედრაზე ვლადიმერ პუტინი გეგმავს, ქართულ მხარეს ულტიმატუმი წაუყენოს – ან ევროსტრუქტურები, ან ჯავახეთის რეგიონის ოკუპაცია. იგეგმება თუ არა ჯავახეთში ყირიმის სცენარის გათამაშება? ამ თემაზე გთავაზობთ ინტერვიუს პაატა დავითაიასთან:**




– ჩვენ ვხედავთ, რომ რუსეთი მოქმედებს, როგორც იმპერია, და აგრძელებს დაპყრობით პოლიტიკას. მე ვფიქრობ, რომ ევროპის ქვეყნები ამ პოლიტიკის მიმართ კვლავაც არაადეკვატურები არიან, მხოლოდ შეშფოთებული განცხადებები რუსეთის აგრესიულ პოლიტიკას, ცხადია, ვერ შეაჩერებს და ამისთვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმაა საჭირო. ვფიქრობ, დასავლეთი შეეგუა ყირიმის მოვლენებს, ერთადერთი ახლა საუბარია სხვა რეგიონების უკრაინისთვის შენარჩუნებაზე. ჩემი პროგნოზით, ეს მოვლენები მალე გადმოინაცვლებს საქართველოში. მოგეხსენებათ, სომხეთში რუსეთის სამხედრო ბაზის გადაიარაღება გამოცხადდა და იქ აქტიურად მიმდინარეობს ახალი იარაღის შეტანა.

**– რამდენად შესაძლებელია, რომ საქართველოში ესკალაციის გადმოტანა თავიდან იქნას აცილებული თუნდაც საქართველოს პირველი პირების პუტინთან შეხვედრით?**

– მე ვფიქრობ, თუ ასეთი შეხვედრა შედგა, არა აქვს მნიშვნელობა, ღარიბაშვილი ჩავა პუტინთან თუ მარგველაშვილი, რუსეთის პრეზიდენტი აუცილებლად დასვამს საკითხს: თუ საქართველო თავს არ დაანებებს ევროკავშირისკენ სწრაფვას, მას შეექმნება პრობლემები ჯავახეთის მიმართულებით. საუბარია იმაზე, რომ სამხედრო გზა, რომელიც როკის გვირაბიდან მოდის, მიუერთდება სომხეთს, ეს იქნება წინაპირობა, რომ საქართველო კარგავს მთლიანად რეგიონს. ჩემი აზრით, პუტინი არ გაჩერდება და ამ მიმართულებით კონკრეტულ ნაბიჯებს გადადგამს. საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებაც საკმაოდ სუსტია იმისთვის, რომ ამ გამოწვევებს გაუმკლავდეს, რეალურად ისინი მხოლოდ ერთმანეთთან და ოპონენტებთან ჭიდილით არიან დაკავებულნი და ამ დროს გვიახლოვდება საკმაოდ სერიოზული საფრთხეები.

**– ანუ თქვენ ფიქრობთ, რომ პირველი პირების შეხვედრაზე პუტინი ჯავახეთთან დაკავშირებით ულტიმატუმს წამოგვიყენებს?**

– ჩემი აზრით, ეს ასე იქნება. შესაძლოა, ღიად და საჯაროდ ეს არ ითქვას, მაგრამ ამაზე მინიშნება რა თქმა უნდა, გაკეთდება. ყველა საფუძველი არსებობს ამ ვარაუდისთვის. როდესაც სააკაშვილის დაკითხვა იყო კომისიის სხდომაზე, რომელიც 2008 წლის ომის მიზეზებს არკვევდა, მან გაიხსენა პუტინსა და მას შორის შემდგარი საუბარი. მაშინაც დაახლოებით ასეთი რამ იყო ნათქვამი: თუ საქართველო გააგრძელებდა სწრაფვას ევროსტრუქტურებისკენ, პუტინი პრობლემებს შეგვიქმნიდა აფხაზეთისა და ცხინვალის მიმართულებით. ჩვენ ეს გავიგეთ უკვე პოსტფაქტუმ, როდესაც ეს პრობლემები უკვე შექმნილი იყო. არ გამოვრიცხავ, რომ მსგავსი საუბარი ახლაც შედგეს ჯავახეთის მიმართულებით, თუმცა რამდენად გახდება ეს საჯარო, სხვა საკითხია. მაქვს გარკვეული ინფორმაცია, რომელიც მაფიქრებინებს, რომ ღარიბაშვილი-პუტინის შეხვედრაზე ჯავახეთის მიმართულებით იქნება ულტიმატუმი წამოყენებული. რაც შეეხება თვითონ პროცესს, ეს უკვე ტექნიკური მხარეა, ამაში შესაძლოა, რუსეთმა გამოიყენოს ეთნიკურად სომეხი ის მოსახლეობა, რომელიც სეპარატიზმისკენაა მიდრეკილი, იქნება ეს ჩახალიანი თუ სხვა ვინმე, ცხადია, „ეფესბეს“ ოფიციალური აგენტურა გააქტიურდება.

**– და რა შეიძლება მოიმიზეზოს ამ შემთხვევაში რუსეთმა?**

– მიზეზი უამრავი შეიძლება იპოვოს. ელემენტარულად შესაძლოა გამოიყვანოს ეთნიკურად სომეხი რამდენიმე ადამიანი და მოათხოვინოს სომხური ენის სახელმწიფო ენად აღიარება. ამიტომ საქართველოს ხელისუფლებამ უფრო მკვეთრი პოზიცია უნდა დაიკავოს, თუნდაც ოკუპაციის საკითხებზე და არ უნდა მისცეს რუსეთს თავისმართლების რეჟიმიდან გამოსვლის საშუალება.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# შინაგან საქმეთა მინისტრის სახელით, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა მძღოლ ქალბატონებს 8 მარტი მიულოცეს









**თბილისში და რეგიონებში, შინაგან საქმეთა მინისტრის, ალექსანდრე ჭიკაიძის სახელით, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ქალბატონებს 8 მარტი ყვავილებით მიულოცეს.**

ეს სადღესასწაულო აქცია, ქართველი ქალბატონებისთვის სასიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა, პატრულის მიერ გაჩერებული ყველა ქალბატონი ყვავილების თაიგულით და მისალოცი ბარათით დასაჩუქრდა.



# შსს-ს თანამშრომელი ქალბატონები ქალთა დღეს ალექსანდრე ჭიკაიძემ დააჯილდოვა










**შს მინისტრმა სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისთვის სამინისტროს 54 თანამშრომელი ქალბატონი, საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, მადლობის სიგელებით დააჯილდოვა.**

შს მინისტრის სახელით, შსს-ს სხვადასხვა ქვედანაყოფის 213 თანამშრომელ ქალბატონს სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისთვის მადლობის სიგელი გაეგზავნა.

როგორც სამინისტროში განმარტავენ, შინაგან საქმეთა სამინისტრო ორივე სქესის პირთათვის დასაქმების თანაბარ ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს, რადგან პოლიციელი ქალის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასრულწლოვნების მიერ ჩადენილ დანაშაულებზე, ოჯახური ძალადობის ფაქტებსა და ტრეფიკინგის საქმეებზე მუშაობისას. უახლოეს პერიოდში შს სამინისტროში დასაქმებულ ქალთა რაოდენობის 20%-მდე გაზრდა იგეგმება.

შინაგან საქმეთა სამინისტროში ქალთა საერთაშორისო დღე, 8 მარტი, პირველად 2013 წელს აღინიშნა და შს ყოფილ მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით ტრადიციად დამკვიდრდა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# გასულ წელს 5 წლამდე ასაკის 778 ბავშვი გარდაიცვალა




## ექიმების თქმით, ამის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი დაუგეგმავი ორსულობაა

სალომე გოგოხია

**28 წლის თამუნა ტიტვინიძეს მეორე შვილის გადარჩენა მედიკოსებმა ვერ მოახერხეს. დაბადებიდან ათი დღის შემდეგ ჩვილი გარდაიცვალა. „როცა დაიბადა ფილტვი არ გაიხსნა. ბავშვი ხელოვნურ აპარატზე შეაერთეს. დაგვჭირდა დიდი რაოდენობით სისხლი, რომ გულს ემუშავა. როგორც კი მდგომარეობა ოდნავ გაუმჯობესდებოდა, ექიმები აპარატიდან თიშავდნენ, აინტერესებდათ დამოუკიდებლად თუ შეძლებდა მუშაობას. სამწუხაროდ, ჩემი შვილის გადარჩენა ვერ მოახერხეს. გარდაცვალებამდე მოვნათლეთ. ორსულობა ნორმალურად მიმდინარეობდა, ექოსკოპიაზე ან ანალიზებში არ გამოჩენილა, რომ ბავშვს რაიმე პრობლემა ჰქონდა“, - ამბობს ჩვენი რესპონდენტი.**

სამოქალაქო აქტების რეესტრის მონაცემებით, 2013 წლის განმავლობაში საქართველოში სულ დაფიქსირდა 0-5 წლამდე ასაკის 778 ბავშვის გარდაცვალების შემთხვევა. მათ შორის 0 - 1 წლამდე 609 ბავშვი (0-6 დღის განმავლობაში გარდაიცვალა 304 ახალშობილი) და 1-5 წლამდე - 169 ბავშვი.

ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ჩვილ ბავშვთა (0-1 წლამდე) სიკვდილიანობის მიზეზებში ოფიციალური სტატისტიკით პირველ ადგილზეა რესპირატორული დისტრეს სინდრომი, შემდგომ მოდის მძიმე ინფექციებით გამოწვეული სეფსისი და სეპტიური შოკი. ასევე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ასფიქსიას და თანდაყოლილ ანომალიებსაც. ხოლო 1-დან 5-წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილის მიზეზებში წამყვანი ადგილი უკავია პნევმონიის ფონზე განვითარებულ სუნთქვის უკმარისობას, მძიმე ინფექციებით გამოწვეულ სეფსისს, ასევე მწვავე ტრავმისა და ინტოქსიკაციის შემთხვევებს.

„კარგი ორსულობა მქონდა. თბილისის ერთ-ერთ ქალთა საკონსულტაციო ცენტრში დავდიოდი. ბოლოს, როცა მშობიარობის დრო მოახლოვდა, ფიზიოლოგიურად უნდა გამეჩინა, სისხლდენა დამეწყო, ექიმს დავურეკე, წოლითი რეჟიმი დამინიშნა. ეს პირველი ორსულობა იყო, გამოუცდელი ვიყავი, დავუჯერე. თუმცა, მდგომარეობა რომ არ გამოსწორდა, რამდენიმე დღის შემდეგ, სამშობიაროში წამიყვანეს. იქ სასწრაფოდ საკეისრო კვეთა გამიკეთეს. ბავშვი უკვე გარდაცვლილი იყო. ასფიქსია განუვითარდა. ჩემი ექიმისთვის, რომ არ დამეჯერებინა და სამშობიაროში წავსულიყავი, ბავშვი გადარჩებოდა. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში კარგი კადრების სიმცირეა. რა თქმა უნდა, არიან ცნობილი პროფესორები, მაგრამ მათთან ვიზიტი არც ისე იაფია და ამაზე ხელი ყველას არ მიუწვდება. კარგი იქნება თუ ქალთა კონსულტაციებში კადრებს გადაამზადებენ და მათი კვალიფიკაციის ამაღლება მოხდება, რომ ჩემსავით სხვა ახალგაზრდა დედები და ბავშვები არ გააუბედურონ“, - გვითხრა 25 წლის წლის ნინო მელაძემ.



რაც შეეხება დედათა სიკვდილიანობას, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ბოლო ერთ წელიწადში სულ 16 შემთხვევა დაფიქსირდა. სიკვდილის ძირითად მიზეზებში მელოგინეთა სეფსისის, მშობიარობის შემდგომი სისხლდენის, ასევე ეკლამფსიისა და პრეეკლამფსიის შემთხვევები აღინიშნება.

„მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური სტატისტიკით ფიქსირდება დადებითი ტენდენცია ბავშვთა სიკვდილიანობის გაუმჯობესების კუთხით, აღსანიშნავია, რომ დღემდე სერიოზული ხარვეზები იკვეთება დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველ სტატისტიკაში. ამასვე ადასტურებს გაეროს სააგენტოთაშორისი სამუშაო ჯგუფის მონაცემები, სადაც როგორც ბავშვთა, ასევე დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებლების პროექტირება უფრო მაღალ მაჩვენებლებზე მიუთითებს. აღნიშნულთან დაკავშირებით ჯანდაცვის სამინისტროში 2013 წლის თებერვალში ამოქმედდა დედათა და 5 წლამდე ბავშვთა გარდაცვალების შეტყობინების ოპერატიული სისტემა, რომელმაც წლის განმავლობაში უკვე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია შეტყობინების სისტემის გაუმჯობესებაზე. მაგალითისთვის 2013 წელს ამოქმედებული ახალი სისტემით გამოვლინდა და კლასიფიცირდა დედათა გარდაცვალების შემთხვევები, რომელიც წინა წლებში ზოგადად რეპროდუქციული ასაკის ქალთა გარდაცვალების შემთხვევებად შეიძლებოდა დარეგისტრირებულიყო. ჯანდაცვის სამინისტრო, დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან და გაეროს ბავშვთა ფონდთან მჭიდრო თანამშრომლობით მუშაობს დედათა და ბავშვთა სტასტისტიკის ხარისხის გაუმჯობესებაზე, რათა რეალური სურათი იყოს ცნობილ სისტემაში შესაბამისი რეფორმებისა და ღონისძიებების გასატარებლად“, - განმარტავენ ჯანდაცვის სამინისტროს პრესცენტრში.





გაეროს ბავშვთა ფონდის ჯანდაცვის სპეციალისტის თაკო უგულავას თქმით, ხშირ შემთხვევაში ბავშვთა თუ დედათა სიკვდილიანობის მიზეზი დაუგეგმავი ორსულობაა.

„სახელმწიფომ ქალზე ზრუნვა მის დაფეხმძიმებამდე უნდა დაიწყოს. რეპროდუქციულ ასაკში ქალმა უნდა მიიღოს ფოლიუმის მჟავა, რომ მისი ორსულობა წარმატებით დაგვირგვინდეს. ფოლიუმის მჟავის დეფიციტი ბავშვებში გარკვეული ნერვული მილის დეფექტების წარმოშობას განაპირობებს. მისი ეფექტურობა ბევრად უფრო მაღალია, როცა მიღება ჩასახვამდე მოხდება. როცა ქალი პირველ ვიზიტზე მიდის, თანაც დაგვიანებით, ასეთ შემთხვევაში ეფექტურობა ძალიან დაბალია. ჩვენს ქვეყანაში ეს დეფიციტი ქალებში 35%-ს შეადგენს. ლოგიკურად ხვდებით, რომ ფოლიუმის მჟავის დეფიციტთან დაკავშირებული პათოლოგიების განვითარების ალბათობა ძალიან მაღალია“. -ამბობს უგულავა.

მისივე თქმით, პრობლემაა ისიც არის, რომ ფეხმძიმობის მეთვალყურეობასა და მშობიარობას შორის ერთგვარი წყვეტაა. ფეხმძიმე, რომელიც ცხრა თვე ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება, სამშობიაროდ ვისთანაც მიდის, თან არ მიაქვს ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის შესახებ. შესაბამისად, ექიმმა არ იცის რა შესაძლო პრობლემები არსებობდა ფეხმძიმობის პერიოდში.

„თუ პაციენტმა მოითხოვა ეს ინფორმაცია, მიაქვს, სხვა შემთხვევაში ამის რეგულირება არ ხდება. პრაქტიკულად, კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. პრობლემაა ისიც, რომ სამშობიაროდან გაწერის შემდეგ ქალი ექიმს არ მიმართავს. ხშირად ქალის მიერ დაავადების ამოცნობა დროულად ვერ ხერხდება, დედათა სიკვდილობის გარკვეული შემთხვევები დაკავშირებულია შემდგომი ვიზიტის არქონასთან. ასევე, კრიტიკული საკითხია ორსულობებს შორის პერიოდი. განსაკუთრებით როცა საუბარია საკეისრო კვეთაზე. დაცული უნდა იყოს ოპტიმალური პერიოდი, რომელიც საერთაშორისოდ არის მიღებული - 2, 5 წელი. აუცილებელია, რომ სახელმწიფომ უზრუნველყოს დედათა და ბავშვთა მომსახურების უწყვეტობა. აუცილებელია შესაბამისი საინფორმაციო სისტემა, რომ მონაცემთა მიმოცვლა ხდებოდეს სერვისის მიმწოდებლებს შორის, რაც ხარისხს გააუმჯობესებს. ასევე, აუცილებელია ექიმების, ექთნების გადამზადება. ბავშვთა დაბადებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია პირველი ათასი დღე, სანამ 2 წელს მიაღწევს. მაქსიმალური ფოკუსირება უნდა მოხდეს 5 წლამდე განვითარებაზე. ამ პერიოდში ბავშვის ორგანიზმში ცვლილებები მიმდინარეობს, რაც მის შემდგომ განვითარებაზე შეუქცევად გავლენას ახდენს“, - ამბობს უგულავა.

როგორც შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, დავით სერგეენკოს განცხადებით, საქართველოში ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი ჯერ საშუალო ევროპულთან მიახლოებულიც არ არის.

„დედათა და ბავშვთა საკითხები ყოველი ქვეყნისთვის განვითარების მთავარი ინდიკატორია და გამონაკლისი არც საქართველოა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში, ბავშვთა სიკვდილიანობა შემცირებისკენ მიდის, ჯერ მაჩვენებლები არ არის საშუალო ევროპულთანაც მიახლოებული და ამ მხრივ, ძალიან ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი. სტატისტიკურად, ბავშვთა სიკვდილიანობის სტრუქტურა არ განსხვავდება მნიშვნელოვნად საერთაშორისოსგან, ანუ წლამდე ასაკში ესაა კუჭნაწლავთა დაავადებები და ა.შ. ესაა მთლიანად ქვეყნის პრობლემა, რომელზეც ყველამ ერთად უნდა ვიმუშაოთ, რომ გამოსწორდეს“, - აღნიშნა სერგეენკომ.


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მიუსაფარი ბავშვები ქუჩასა და თავშესაფრების იზოლაციაში

სალი კიპაროიძე



დღეს ჩვენს ქვეყანაში უამრავი თავშესაფარია, სადაც ათასობით მიუსაფარი ბავშვი ცხოვრობს. სამწუხაროდ, უპატრონო ბავშვების რაოდენობა დღითიდღე იზრდება. ყოველწლიურად ბავშვთა ჩაბარების შემთხვევების რაოდენობა, როგორც წესი, გაშვილებულთა რაოდენობას ერთი ორად აღემატება ხოლმე. თავშესაფრების მომვლელებმა გვითხრეს, რომ ამ ბავშვების უმეტესობა ობოლი არაა და ერთი მშობელი მაინც ჰყავს. აქ ძირითადად ორი კატეგორიის ბავშვები ცხოვრობენ – ისინი, ვისაც ოჯახური სითბო აკლია და ისინი, ვინც გაჭირვებამ მოიყვანა აქ.

თურმე ბავშვებს, რომლებმაც დიდი ხანი გაატარეს თავშესაფარში ფიზიკური და ფსიქიკური განვითარების სხვადასხვა თავისებურება ახასიათებთ. მათ ასე კონკრეტულად ხასიათის სპეციფიკური დარღვევები არ ეტყობოდათ, მაგრამ ხშირად ასეთი ბავშვების ქცევაში არის ხოლმე რაიმე გადახრა, ეს, უპირველესად, ბიოლოგიური ფაქტორებით აიხსნება, რომლებიც არახელსაყრელ სოციალურ გარემოში მდგომარეობდა, რაც თავისთავად ბავშვებში წარმოქმნის პიროვნული თავისებურებების რთულ სურათს. შვეიცარიელმა ფსიქოლოგებმა მარია მაიერჰოფერმა და ვილჰელმ კელერმა ჩაატარეს გამოკვლევა თავშესაფარში მცხოვრები ბავშვების ფსიქიკური განვითარების შესასწავლად. მათ 7-დან 14 წლამდე ასაკის 500-მდე ბავშვის განვითარება შეისწავლეს. ფსიქოლოგებს აინტერესებდათ თუ რატომ მოხვნენ ეს ბავშვები თავშესაფარში, ვინ იყვნენ მათი მშობლები, მოახდინა თუ არა რაიმე გავლენა მიუსაფარი ბავშვების განვითარებაზე უდედმამობამ და თავშესაფრების იზოლაციამ. გაირკვა, რომ მხოლოდ ორ შემთხვევაში იყო თავშესაფარში ბავშვის მოთავსების მიზეზი მშობლების ავადმყოფობა. ყველა დანარჩენი ბავშვი „უკანონოდ შობილი“ იყო, ან მშობლებს საერთოდ არ უნდოდათ მათი აღზრდა. ანალოგიური სიტუაციაა დღეს ჩვენს ქვეყანაშიც, საქართველოში არსებულ ბავშვთა სახლებში მოხვედრილ აღსაზრდელებს ძირითადად ჰყავთ მშობლები, რომელთაც უბრალოდ არ სცალიათ მათთვის. არის კატეგორია მშობლებისა, რომელთაც ავადმყოფი შვილების გაზრდა არ შეუძლიათ და ასეთ ბავშვებს საკუთარ თავთან და თავისი დანარჩენი „ნორმალური“ ოჯახის წევრებისგან შორს ტოვებენ. და, რა თქმა უნდა, არის კიდევ ერთი მიზეზი, რომელიც ასე ხშირია, ეს მიზეზი არის მარტოხელა დედების შვილობა. ახალგაზრდა გოგოებისთვის არასასურველი და სრულიად შეუგნებლად გაჩენილი პატარები, რომლებიც ხშირად ნაგავსაყრელზეც კი ხვდებიან. ასე რომ, თავშესაფარში ბავშვები მარტო მშობლის ნებითაც არ ხვდებიან. ამ დაწესებულებას დატოვებული ბავშვის შემთხვევაში სამშობიარო აცნობებს, ბავშვები მიჰყავს პოლიციასაც, მეზობლებსაც.



თუმცა ბავშვების გონებრივ განვითარებაზე გავლენას იშვიათად ახდენს დავუშვათ ის რომ კანონიერი ქორწინების გარეშე დაიბადნენ, ან მანამ სანამ მშობლებთან ცხოვრობდნენ, ბედნიერებაში ხელს ეკონომური გაჭირვება უშლიდათ. თავშესაფრების იზოლაციაში მყოფ ზოგიერთ ბავშვს ამის გამო ნამდვილად არ აქვს თავის ტვინის მემკვიდრეობითი დაზიანებები. გაირკვა, რომ მათი მშობლების თითქმის 30 პროცენტი იყო კრიმინალი, ან დაავადებული იყო მძიმე ალკოჰოლიზმით, გონებასუსტობით, ფსიქიკურად, ეწეოდა პროსტიტუციას, გარდა ამისა, ბავშვების დაახლოებით ნახევარი მძიმე ორსულობისა და მშობიარობის შედეგად დაიბადა და თავშესაფარში უკვე ფსიქიკური პათოლოგიით მოხვდა, მათი ნაწილი კი იქ სამწუხაროდ სწორედ იმიტომ აღმოჩნდა, რომ მშობლებმა იცოდნენ პათოლოგიის შესახებ და არ სურდათ ეტვირთათ დეფექტური ბავშვის აღზრდა.

ასე რომ, ასეთი ბავშვებისთვის დღეს ძალიან ძნელია საზოგადოებაში დამკვიდრება. სწორედ ამიტომ სახელმწიფომ და საზოგადოების ჯანსაღმა ნაწილმა ძალიან ბევრი უნდა გააკეთოს, რომ ისინი საზოგადოების სრულყოფილ წევრებად იქცნენ, რათა თავი დაჩაგრულად არ იგრძნონ. დედა, მამა და სახლი - ამ სიტყვების გაგონებაზე თავშესაფარში მცხოვრებ ბავშვებს თვალები ცრემლით ევსებათ. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ახლა ერთმანეთისთვის არიან „ოჯახი“, მათი დიდი და წყლიანი თვალებიდან გადმოსული სევდა და ტკივილი ამტკიცებს, რომ მთავრობის მიერ შექმნილი „კარგი პირობები“ მათ მხოლოდ რამდენიმე საათით ავიწყებს თავიანთ მშობლებს, მათ უნდათ ჰქონდეთ ოჯახი, რომელზეც ასე ოცნებობენ. ადგილი კი სადაც „სევდიანი ჟრიამულია“ გამეფებული, მიუსაფარ ბავშვებს ვერ უნაზღაურებს „კერიის“ სითბოს. მიუხედავად ყველაფრისა, უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ბავშვის აყვანის პროცედურები კიდევ უფრო გამკაცრდა. ხალხი ბავშვის ასაყვანად რიგში წლობით დგას. თუმცა ფაქტია, თავშესაფრები გადავსებულია და „უპატრონო“ ბავშვების იქ მოხვედრა, სურვილის მიუხედავად, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

ქუჩაში გავლის დროს კი თითოეული ჩვენი მოქალაქე მიხვდება, რომ ჩვენს ქვეყანაში სიღარიბე კვლავ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად რჩება. მიხვდება მაშინ, როდესაც დაინახავს ბავშვებს, რომლებსაც არ გააჩნიათ, არანაირი საცხოვრებელი პირობები, ბავშვებს, რომლებიც ღამეს ქუჩაში ათენებენ, ბავშვებს, რომლებიც დახეული ტანსაცმლით დადიან, ბავშვებს, რომლებსაც არასოდეს უგრძნიათ მშობლის სითბო და სიყვარული, რომლებიც ცხოვრობენ მხოლოდ იმისთვის, რომ იცოცხლონ. ეს ყველაფერი კი ჩვენი ქალაქის რეალობაა, რომლისგანაც გაქცევა უკვე დიდი ხანია შეუძლებელია. „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით“ ყველა ადამიანი თანასწორია, თითქოს ყველა ადამიანს აქვს ერთნაირი უფლებები, მაგრამ რეალურად ეს ასე არაა. დღეს ქუჩაში უამრავი ბავშვის უფლებები ირღვევა, მათი ღირსებები ყოველ წუთს უფასურდება. მათთვის ეს სამყარო სულაც არაა სამართლიანი, რადგან მათ, უბრალოდ, ხშირად იმდენი საკვებიც კი არ აქვთ, რომ იცოცხლონ.

წელიწადში რამდენჯერმე სხვადასხვა კომპანიები და ორგანიზაციები თავშესაფრების მობინადრეების გულს საჩუქრებით იგებენ, ცხადია, ერთჯერადი დახმარებები მიუსაფარი ბავშვების სრულფასოვანი მოვლა-პატრონობის პირობებს ვერ შექმნის, მაგრამ სხვადასხვა დაწესებულების მიერ ორგანიზებული საქველმოქმედო ღონისძიება იმის ნიშანია, რომ ქველმოქმედებას არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული და ამ საქმის კეთება ყველას შეუძლია, ვისაც მოწყალების გამოჩენის სურვილი გაუჩნდება. აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს, არსებობს ბავშვთა სახლები, რომლებშიც ასეთი ათასობით ბავშვი ცხოვრობს, თუმცა ათასობით ბავშვი ისევ ქუჩაში დადის და ხურდას ითხოვს... ქუჩის ბავშვების ყოველდღიურობა მძიმე და სევდიანი ისტორიებითაა გაჟღენთილი. მათთვის მომავლის რწმენის დაბრუნებას და ცხოვრების სწორ გზაზე დაყენებას მხოლოდ ჩვენი თანადგომა უზრუნველყოფს, მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი ელემენტარული ადამიანური ქცევებით მათ საზოგადოების სრულფასოვან წევრებად ვაგრძნობინოთ თავი. გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელმა საქართველოში, საშა გრაუმანმა ჩვენს ქვეყანასთან დაკავშირებით განაცხადა:



„ქუჩაში მყოფ ბავშვებს არ მიუწვდებათ ხელი განათლებასა და ჯანდაცვის სათანადო მომსახურებაზე. ისინი ხშირად რეგისტრირებულიც არ არიან და, შესაძლოა, სხვადასხვა სახის ძალადობის მსხვერპლნიც გახდნენ. ეს ნიშნავს, რომ მათ ნაკლები შანსი აქვთ, გახდნენ აქტიური და განათლებული მოქალაქეები და მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის განვითარებაში. ამიტომაც, აუცილებელია ისეთი პროგრამების ამოქმედება, რომლებიც ამ ბავშვების უფლებებს დაიცავს“.




იმას ვინლა ჩივის, თუ რა სიტუაციაა თავშესაფრებში, ყველაფრის მიუხედავად, როცა უპატრონო ბავშვებს არჩევანის საშუალება აქვთ, მაინც აქ ყოფნა ურჩევნიათ. კვების სრულყოფილი რაციონი აქვთ და ქუჩასთან შედარებით, პირობებიც.

ბავშვები სპექტაკლებს დგამენ, გამოფენებში მონაწილეობენ. ურთიერთობა აქვთ ფსიქოლოგებთან, თუმცა მიუსაფარი ბავშვების მთავარი მიზანი მაინც საზოგადოებასთან ინტეგრირებაა. სამწუხაროდ, საზოგადოება ნაკლებად არის მზად მათ მისაღებად. განსხვავებით თავშესაფრებისა, დღეს საქართველოში ქუჩის ბავშვების პრობლემა მოუგვარებელია, თითქმის არავინ ფიქრობს და ზრუნავს მათზე, უფრო მეტიც, მათი რაოდენობაც კი არავინ იცის. დიდი ძიების შედეგად აღმოვაჩინე, რომ სტატისტიკური მონაცემები თითქმის არ არსებობს, არც მათი არსებობის რაიმე დამადასტურებელი საბუთი მოიპოვება. მაგრამ ფაქტია, საქართველოში უპატრონო ბავშვთა რიცხვი დღითიდღე იზრდება. ალბათ, ყველას გვსმენია, რომ მაწანწალა ბავშვები უხეშები და უზრდელები არიან. ეს მედლის ერთი მხარეა, მეორე მხარეს კი ჩვენ ვდგავართ. ჩვენ კი თითქმის არასდროს გვიფიქრია იმაზე, თუ რამდენჯერ უხეშად მიგვიმართავს მათთვის. ხშირად კი ყურადღების ღირსადაც არ ჩაგვითვლია ისინი. უმოქმედობა კი დანაშაულის ტოლფასია. მათი ცხოვრება ჩვენზე, ნებისმიერ გამვლელზეა დამოკიდებული. ისინი საჭმლის ფულს ქუჩაში შოულობენ. ალტერნატივა კი ჯერჯერობით, ალბათ, მხოლოდ თავშესაფრების პირობების გაუმჯობესებაში, გაფართოებასა და ახალი ბავშვთა სახლების აშენებაში მდგომარეობს. იქ ხომ ქუჩას, მაინც სითბო, სიყვარული, სწავლა და ნორმალური პირობები ენაცვლება. შესაბამისად, ბავშვების ინტელექტიც მატულობს და მათ შანსი ეძლევათ ცხოვრება ნორმალურად განაგრძონ და თავი საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად იგრძნონ. საზოგადოებამ კი, თავის მხრივ, გარიყვის ნაცვლად ეს ბავშვები უნდა მიიღოს, მოეფეროს, გაიცნოს და გააცნობიეროს, რომ ისინიც ჩვენნაირები არიან.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ფრიდონ ინჯია ლევან ყიფიანს უპირისპირდება - პასუხისმ

მაგდა კლდიაშვილი

**საქართველოს მთავრობა ფეხბურთის განვითარების პროექტზე იწყებს მუშაობას. პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა კომისიის წევრები უკვე დაასახელა. როდის დაიწყებს პროექტზე მუშაობას დასახელებული გუნდი, ჯერჯერობით უცნობია. ამ ეტაპზე კი საინტერესო ის არის, რატომ დარჩნენ სამუშაო ჯგუფს მიღმა ის ადამიანები, რომლებიც წლების განმავლობაში საკუთარ ფულს დებდნენ ქართულ ფეხბურთში. ვინ რა დამსახურებით მოხვდა სახელმწიფო კომისიაში და გადაარჩენს თუ არა ეს სამუშაო ჯგუფი ქართულ ფეხბურთს - „პრაიმტაიმი" კომისიის წევრების დოსიეთი და მის მიღმა დარჩენილი ადამიანების კომენტარებით.**

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა ფეხბურთის განვითარების სპეციალური კომისია შექმნა და მისი ხელმძღვანელობაც თავად ითავა.

კომისიის შემადგენლობაში ენერგეტიკის მინისტრი, კახი კალაძე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, გიორგი კვირიკაშვილი, ფინანსთა მინისტრი, ნოდარ ხადური, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრი, ლევან ყიფიანი და მისი მოადგილე აკაკი ლოდია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ზვიად სიჭინავა, გენერალური მდივანი, რევაზ არველაძე, სფფ-ს აღმასკომის წევრი და ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ალექსანდრე ჩივაძე, სფფ-ს საპატიო ვიცე-პრეზიდენტი, მურთაზ ხურცილავა შედიან.

პროექტის ფარგლებში, კომისიის წევრებად თბილისის „დინამოს" მფლობელი რომან ფიფია, ზესტაფონის „ზესტაფონის" პრეზიდენტი, ილია კოკაია, რომელსაც პოსტი, მისივე განცხადებით, დატოვებული აქვს, მაგრამ გუნდის 100%-იანი წილი, საჯარო რეესტრში კვლავ მის სახელზეა გაფორმებული და „იბერია ბიზნეს ჯგუფის" პრეზიდენტი, ტარიელ ხეჩიკაშვილი იმუშავებენ.

ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, კომისიაში სხვადასხვა დაწესებულებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებიც იმუშავებენ.

**„კომისიის ძირითადი ამოცანებია** - ფეხბურთის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შემუშავება, კერძო ინვესტორების მოზიდვის ხელშეწყობა საფეხბურთო კლუბების დაფინანსების გაზრდის მიზნით. ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიების დაგეგმვა, მასობრივი ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა, კომპეტენციის ფარგლებში ღონისძიებების დაგეგმვა ფეხბურთის მოყვარულთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის. უეფას სუპერთასი 2015-ის მოსამზადებელი სამუშაოების კოორდინაცია და 2017 წელს, საქართველოში გასამართი უეფას 19-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის გამართვის ხელშეწყობა და კოორდინაცია", - ნათქვამია პრემიერ-მინისტრის აპარატის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ეს ყველაფერი ერთობ მიმზიდველია, მაგრამ საინტერესოა, ვინ რა დამსახურებით მოხვდა ამ სიაში.

### კახა კალაძე

ის, რომ კომისიაში აუცილებლად იქნებოდა კახა კალაძე, არავის უკვირს. ის დღემდე საქართველოს ყველაზე ტიტულოვან ფეხბურთელად რჩება.

დაიბადა სამტრედიაში, პირველი საფეხბურთო ნაბიჯებიც იქვე გადადგა, შემდეგ იყო თბილისის „დინამო", კიევის „დინამო", „მილანი" და „ჯენუა" - ეროვნული ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა დიდი გზა გაიარა და მისი ტრანსფერი რჩება ქართული ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებულად (მისი გადასვლა კიევის „დინამოდან" იტალიურ „მილანში"). მასში იტალიელებმა 16 მილიონი ევრო გადაიხადეს. კალაძის ამ კომისიაში ყოფნა კითხვის ნიშნებს არ აჩენს. მას დიდი გავლენა აქვს საფეხბურთო სფეროში და კარგად იცის, რა პრობლემები არსებობს ქართულ ფეხბურთში.

### გიორგი კვირიკაშვილი, ნოდარ ხადური

ეკონომიკისა და ფინანსების გარეშე, რასაკვირველია, პროექტის განხორციელება ვერ შედგება, რადგან ფეხბურთის განვითარების გეგმა, ინფრასტრუქტურის გაძლიერებას და კლუბების ფინანსურად წახალისებასაც ითვალისწინებს. თუ იმას გავიხსენებთ, რომ კვირიკაშვილის მინისტრობის პერიოდში ქართულ ეკონომიკას ყველაზე დიდი ვარდნა აქვს, ხოლო ხადურის უწყებამ ბიუჯეტის ზრდა ვერ უზრუნველჰყო, პირიქით, 80-მილიონიანი გარღვევაც ჰქონდა, საინტერესოა, რამდენად დიდი იქნება მათი მარგი ქმედების კოეფიციენტი იმ საქმეში, სადაც მათ არც კომპეტენცია და არც გამოცდილება აქვთ. ხადურს თუ ქართულ ფეხბურთთან რამე აკავშირებს, ეს გორის „დილაში" გადარიცხული ფულია, რომელიც სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრის, ლევან ყიფიანის თხოვნით გააკეთა. სწორედ ამ ამბის შემდეგ, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე კლუბებმა, ჩემპიონატისადმი ბოიკოტის გამოცხადება სცადეს და ყველა კლუბმა მოითხოვა თანაბარ პირობებში ჩაყენება. ასე რომ, საფეხბურთო წრეებში ნოდარ ხადურისადმი დიდი სიმპათიით ბევრი არ უნდა იყოს განწყობილი.

### ლევან ყიფიანი

ის ლეგენდარული ფეხბურთელის, დავით ყიფიანის ვაჟია. სანამ მინისტრი გახდებოდა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, ზვიად სიჭინავას კრიტიკით იყო დაკავებული და ეს გამინისტრების შემდეგაც გააგრძელა. მისი დაარსებულია კავშირი - „ჩვენი ფეხბურთი". ყიფიანმა სასურველ მიზანს - სიჭინავას გადადგომას, ამ დრომდე ვერ მიაღწია.

მისი სპორტული კარიერა არც ისეთი დიდი და შთამბეჭდავია. თბილისის „დინამოში" დაიწყო და იქვე დაასრულა. შუალედში თამაშობდა „შევარდენი 1906"-სა და გერმანულ გუნდში, „ვორმაციაში. თბილისის „დინამოს" მაისურით ქვეყნის ჩემპიონი და თასის მფლობელი გახდა.

პროფესიით იურისტი, ლევან ყიფიანი, იყო ფეხბურთის ფედერაციის გამგეობის წევრიც, აქვს მწვრთნელის ლიცენზიაც, ფუტსალის ასოციაციის დამფუძნებელი და ფუტსალის ეროვნული ნაკრების მწვრთნელიც. მის კარიერაში სამუშაო გამოცდილება საკმაოდ სოლიდურად გამოიყურება. მიუხედავად ამისა, მინისტრის პოსტის დაკავების შემდეგ, ფეხბურთი ყველაზე მეტად „შემოეჩაგრა". იმის თქმაც შეიძლება, რომ სიჭინავასთან პირადმა დამოკიდებულებამ ბევრი საქმე გააფუჭა. საბოლოოდ, მაინც ისე მოხდა, რომ სწორედ სფფ-ს ამჟამინდელი პრეზიდენტის მიერ შემუშავებული პროექტის განხორციელება მოხდება, რომლის წარდგენაც არაერთხელ უთხოვია ყიფიანს და არასდროს უნახავს, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, პროექტი არსებობდა და ღარიბაშვილი სწორედ ამ პროექტის განხორციელებას აპირებს.

**„უნდა გამოგიტყდეთ, რომ მე არ მახსოვს და არ დავსწრებივარ რაიმე სახის თათბირს ამის შესახებ და აქედან გამომდინარე, ეს პასუხისმგებლობაც მინისტრს აკისრია"**

### აკაკი ლოდია

40 წლის აკაკი ლოდია პროფესიით ფინანსისტია და მისი კარიერის მნიშვნელოვანი ნაწილი ენერგეტიკის სამინისტროს უკავშირდება. შემდეგ იყო „საქნავთობი" და სპორტისა და ახალგაზრდულ სამინისტროში მისვლამდე, 2009-2012 წლებში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის ფინანსური მრჩეველი იყო. ამის შემდეგ კი სპორტის სამინისტროში აგრძელებს მუშაობას. სავარაუდოდ, სწორედ იმის გამო, რომ მას ფინანსური მხარე ებარა ფედერაციაში, კომისიის წევრადაც აირჩიეს. თუმცა ამავე კომისიაში უკვე იმყოფება ფინანსთა მინისტრი, ნოდარ ხადური და გაუგებარია, ლოდიას აქ ყოფნის მოტივიც.



**„ამ კომისიაში სპორტის სამინისტროს ნება რომ ყოფილიყო, ფედერაციის წარმომადგენლები საერთოდ არ იქნებოდნენ"**

### ზვიად სიჭინავა

მისი საფეხბურთო წარსული ათვლას 2006 წლიდან იწყებს, საფეხბურთო კლუბის ზუგდიდის „ბაიას" დაარსებიდან. ვერავინ იტყვის, რომ ზუგდიდელებს ცუდი პირობები ჰქონდათ. უფრო მეტიც, „ბაიადან" ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი წამოვიდა. მას შემდეგ, რაც სიჭინავა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს, კლუბის მიტოვება მოუხდა, რადგან ფიფა-უეფას რეგულაციები ერთდროულად კლუბის ყოლასა და საფეხბურთო ჩინოვნიკობას კრძალავს. სიჭინავამ შეიძლება ქართული ცუდად იცოდა და ახლაც ვერ დაიკვეხნის ამით, მაგრამ მას მძიმე მემკვიდრეობა დახვდა, ბანკში დაგირავებული ფედერაციის შენობიდან დაწყებული, მილიონიანი ვალებითა და უცხოელი მწვრთნელების გასასტუმრებელი ხელფასებით. ის კარგი მენეჯერია და შედეგი სახეზეა, ფეხბურთის ფედერაცია ახლა 107 მილიონი ლარის ქონებას ფლობს და სფფ-შიც სისტემა კარგად მუშაობს. რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, ამ მხრივაც პროგრესია, ახლა უკვე საქართველოში არის იმდენი კარგი სტადიონი, რომ ასაკობრივ ნაკრებებში მაინც გამოვთქვათ პრეტენზია, მასპინძლობაზე.

ის პროექტიც, რომლის განხორციელებაც პრემიერმა ითავა, სწორედ სიჭინავას გუნდის შემუშავებულია და სიჭინავას კომისიაში ყოფნა აუცილებელია. ფედერაციის მოქმედ პრეზიდენტს პოსტზე ყოფნის ვადა 2015 წლის იანვარში ეწურება, მანამდე დაიწყებს თუ არა განხორციელებას პროექტი დროულად, ეს ჯერ კიდევ უცნობია, ამიტომ ვივარაუდოთ, რომ სიჭინავა ბოლომდე იქნება ჩართული მის განხორციელებაში.



### რეზი არველაძე

მისი საფეხბურთო კარიერა ისეთი შთამბეჭდავი არ არის, როგორიც მისი ტყუპი ძმების, შოთი და არჩილ არველაძეებისა. კარიერას რუსთავის „მეტალურგიდან" ითვლის, შემდეგ იყო „დინამო თბილისი", გერმანიის მეორე ლიგის რამდენიმე გუნდი, ბელგია და ისევ „დინამო თბილისი", ნაკრებში მისი თამაშების რიცხვი 11-ს აღწევს, გარკვეულ პერიოდში მწვრთნელადაც მუშაობდა, თუმცა 2005 წელს სამწვრთნელო კარიერასაც შეეშვა და ფეხბურთის ფედერაციაში გადმობარგდა, სადაც ვიცე-პრეზიდენტის პოსტი დაიკავა. მაშინ ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია იყო. ჟორდანიას შემდეგ უმცროსი ნოდარ ახალკაცი იყო. ახალკაცის პრეზიდენტობის მიწურულს, 2008 წელს, არველაძე სფფ-ს გენერალური მდივანი გახდა და ამ დრომდე, სიჭინავას გუნდშიც, გენერალური მდივნის პოსტზე რჩება, ასე ვთქვათ, რიგით მეორე კაცია, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში. რეზი არველაძემ ყველა ხელმძღვანელის დროს წამყვან თანამდებობებზე იმუშავა და მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მაქინაციებში ამხილეს, ზოგიერთმა - ათეულობით მილიონი ლარი დაუტოვა სფფ-ს მემკვიდრეობას და რიგი დოკუმენტებიც არველაძის გვერდის ავლის გარეშე ვერ გაფორმდებოდა, მისი პასუხისმგებლობის საკითხი დღემდე არავის დაუყენებია. მისი მუშაობისა და მარგი ქმედების კოეფიციენტზე, თუნდაც ამ კომისიაში, თავად მკითხველმა იმსჯელოს.

### ალექსანდრე ჩივაძე, მურთაზ ხურცილავა

ისინი ლეგენდარული ფეხბურთელები არიან. მათ ბიოგრაფიაზე ბევრი ლაპარაკი არ ღირს. მართალია, ჩივაძის, როგორც მწვრთნელის კარიერა, არც თუ ისე მომხიბლავად გამოიყურება, მაგრამ, ისინი იყვნენ ძალიან კარგი ფეხბურთელები და მათი დამსახურება დიდია ქართულ ფეხბურთში.

### რომან ფიფია

რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი თბილისის „დინამოს" 2011 წელს ყიდულობს და მას შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე ტიტულოვანი გუნდი დღემდე მოდერნიზაციას განიცდის. ქვეყნის მოქმედ ჩემპიონს ევროპული სტანდარტების ბაზა და აკადემია აქვს, ნებისმიერი ევროპული კლუბი „ხელს მოაწერდა" ასეთი პირობების ქონაზე. მანამდე ფიფია, რუსეთში, კერძოდ კი სარატოვში, საფეხბურთო კლუბის, „სოკოლის" მფლობელიც იყო. ის „დინამოს" პრეზიდენტია და სწორედ ამიტომ, ამ კომისიაში იმუშავებს. პირდაპირ, რომ ვთქვათ, ფიფიას მოხვედრა ამ კომისიაში, სწორედ ქვეყნის ფლაგმანის პრეზიდენტობის გამო მოხდა.

### ილია კოკაია

ილია კოკაია საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონს" 2004 წელს აარსებს. ზესტაფონელებმა უმაღლეს ლიგაში, „სამგურალი" ჩაანაცვლეს, რომელსაც უსახსრობის გამო არსებობა აღარ შეეძლო. კოკაიამ საკმაოდ სიმპათიური გუნდი დააარსა და ერთ-ერთი პირველი იყო საქართველოში, რომელმაც გაუბედურებული ინფრასტრუქტურის ფონზე, ძალიან მაღალი დონის სტადიონი (ასეთივე საფარით) ააშენა. „ზესტაფონი" ბოლო წლების განმავლობაში იყო ერთ-ერთი პროგრესული და იმედისმომცემი გუნდი საქართველოში, მაგრამ კოკაიას არასტაბილურობა სჩვევია და მისმა ხშირმა განცხადებებმა, კლუბის მიტოვება-არმიტოვებაზე, უმაღლესი ლიგიდან გასვლაზე, მწვრთნელების ხშირ ცვლაზე, ადეკვატური გავლენა იქონია და გუნდმა კარგი შანსი გაუშვა ხელიდან. ზესტაფონში დღემდე შენდება ბაზა, სადაც ასევე ორი მაღალი დონის ბუნებრივსაფარიანი მინდორია სავარჯიშოდ, პრობლემების გამო კი ვერ დასრულდა საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა. მიუხედავად ამისა, ორი მაღალი დონის სავარჯიშო მოედანი საქართველოში ფუფუნებად ითვლება. ცალკე თემაა, კოკაიასა და ფეხბურთელების კონფლიქტი. ამ მომენტისთვის, კოკაიას კლუბის პრეზიდენტის პოსტი დატოვებული აქვს, მაგრამ ქუთაისის საჯარო რეესტრში, საფეხბურთო კლუბი „ზესტაფონის" ერთადერთ მფლობელად, 100%-იანი წილით, ისევ ილია კოკაია რჩება. მას ბევრი აქვს გაკეთებული, ბევრიც დახარჯული და ბევრიც გაფუჭებული, თუმცა მისი ყოფნა ამ კომისიაში, ლოგიკური გადაწყვეტილება იყო.

### ტარიელ ხეჩიკაშვილი

მისი სპორტული კარიერა 1987 წელს თბილისის „დინამოს" დუბლებში დაიწყო და სხვაგან არც უთამაშია. მოგვიანებით, ბიზნესში გადაინაცვლა და რამდენიმე კომპანიაც დააარსა. ახლა ტარიელ ხეჩიკაშვილი „იბერია ბიზნეს ჯგუფის" პრეზიდენტია, რომელიც საქართველოში სხვადასხვა ცნობილი კომპანიების („კია", „მიცუბიში", „აუდი", „პეჟო" „სალერი"), ოფიციალური წარმომადგენელია. 2005 წელს, საფეხბურთო სკოლა, „საბურთალო" შეიძინა და ამ სკოლას დღემდე პატრონობს. „საბურთალოს" გუნდი წელს პირველად, პირველ ლიგაში გამოდის.

უცნობი არავისთვის არის, რომ ხეჩიკაშვილი ქვემო ქართლის ყოფილი გუბერნატორის, დავით კირკიტაძის ახლო მეგობარი იყო და კოდუებთანაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა. ბოლო პერიოდში ბიზნესმენი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, ზვიად სიჭინავას მწვავედ აკრიტიკებს. თუმცა ხეჩიკაშვილს, ალბათ, ის დაავიწყდა, რომ სწორედ ზვიად სიჭინავას უშუალო დამსახურება იყო, პირველი ლიგის „სალერით" შემოსვა და სრული ეკიპირების ყიდვა ხეჩიკაშვილის კომპანიისგან, ხოლო რა ხარისხით გამოირჩევა ეს სპორტული ტანსაცმელი, უცნობი არავისთვის არის. თუ იმ ტენდენციას გავითვალისწინებთ, რომ ვინც სიჭინავას კრიტიკით დაკავდა უკანასკნელ ხანებში, ლევან ყიფიანთან კარგი ურთიერთობით შეიმჩნევა, არც ხეჩიკაშვილის განცხადებები უნდა ყოფილიყო მოულოდნელი და არც ის, თუ რა „დამსახურებით" მოხვდა ბიზნესმენი ამ კომისიაში, მაშინ, როდესაც „ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტი, გურამ რუხაძე, მარტვილის „მერანის" პრეზიდენტი, ფრიდონ ინჯია და სხვები, მის მიღმა დარჩნენ.

„პრაიმტაიმი" იმ კლუბების მფლობელებს დაუკავშირდა, რომლებიც სახელმწიფო კომისიის მიღმა დარჩნენ. როგორც საფეხბურთო კლუბ „ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტი, გურამ რუხაძე მიიჩნევს, რომ რადგან კომისიაში კერძო კლუბები არიან წარმოდგენილი, საუბარი იმაზე, ვინ დარჩა მის გარეთ, აღარ ღირს. „ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტის თქმით, ამ პროექტის გარეშე წარმოუდგენელია ქართული ფეხბურთის შემდგომი განვითრება და თუკი ის უმოკლეს ვადაში არ დაიწყებს მუშაობას, ისედაც რთულ მდგომარეობაში მყოფი ქართული ფეხბურთი კიდევ უფრო მძიმე ვითარებაში ჩავარდება.

„გვქონდა პრემიერ-მინისტრთან შეხვედრა, სადაც წარმოდგენილი ვიყავით კლუბის წარმომადგენლები და ინვესტორები. მაშინ დაიგეგმა ამ კომისიის შექმნა და დადგა დღის წესრიგში. შემდგომ უკვე გადაწყდა მისი შემადგენლობა. მასში პრემიერი, მთავრობის წევრები, მათ შორის სპორტის მინისტრი და კერძო კლუბების წარმომადგენლები შედიან, „დინამო", „ზესტაფონი" და პირველი ლიგის გუნდი. ვფიქრობ, რომ ოპტიმალურად არის დაკომპლექტებული და რომ არ ყოფილიყვნენ კერძო კლუბები, მერე შეიძლებოდა გვესაუბრა ამაზე", - აცხადებს გურამ რუხაძე.



**„სამართლიანობაზე, ალბათ, იმან უნდა ილაპარაკოს, ვინც სახელმწიფო კომისიის შემადგენლობის პროექტი მოუმზადა პრემიერ-მინისტრს, ალბათ, ეს სპორტის მინისტრი იყო. და შესაბამისად, ის იღებს პასუხისმგებლობას ამ კომისიის წევრების სამართლიანად შერჩევაზე"**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# გებლობა კომისიის წევრების შერჩევაზე მინისტრს აკისრია

„მინდა, აღვნიშნო, რომ მთავრობის თავმჯდომარის სურვილი - ის, რომ თვითონ უნდა გაუძღვეს ამ სახელმწიფო კომისიის მუშაობას, ეს უპრეცედენტო შემთხვევაა, ჩვენ ეს გვახარებს, იმედი გაგვიჩნდა. ასეთი რამ არ მახსენდება“




გაცილებით უფრო კრიტიკულია მარტვილის „მერანის“ პრეზიდენტი, ბიზნესმენი ფრიდონ ინჯია, რომელიც აცხადებს, რომ ის ადამიანები, რომლებიც ახლა კომისიაში იმყოფებიან, საკუთარ ფულს არ ხარჯავენ ფეხბურთში და გულიც არ შესტკივათ ამ საქმეზე.

**- სახელმწიფო კომისიის მიღმა აღმოჩნდით თქვენ, სამართლიანია ეს გადაწყვეტილება?**

- სამართლიანობაზე, ალბათ, იმან უნდა ილაპარაკოს, ვინც სახელმწიფო კომისიის შემადგენლობის პროექტი მოუმზადა პრემიერ-მინისტრს, ალბათ, ეს სპორტის მინისტრი იყო. და შესაბამისად, ის იღებს პასუხისმგებლობას ამ კომისიის წევრების სამართლიანად შერჩევაზე, ის იღებს პასუხისმგებლობას იმაზე, რომ კომისიის წევრები არიან სწორედ ის პიროვნებები, რომლებიც გამოხატავენ უმაღლესი და პირველი ლიგის საფეხბურთო, როგორც კერძო, ასევე მუნიციპალური გუნდების ინტერესებს. თუმცა უნდა გამოგიტყდეთ, რომ მე არ მახსოვს და არ დავსწრებივარ რაიმე სახის თათბირს ამის შესახებ და აქედან გამომდინარე, ეს პასუხისმგებლობაც მინისტრს აკისრია. ასევე მინისტრი, თუ ეს კომისიის შემადგენლობა მან შეადგინა, პასუხს აგებს პერსონალურად კომისიის ყველა წევრის მიუკერძოებლობაზე, ინტერესთა კონფლიქტებიდან გამომდინარე. ამასთანავე, მინდა, აღვნიშნო, რომ მთავრობის თავმჯდომარის სურვილი - ის, რომ თვითონ უნდა გაუძღვეს ამ სახელმწიფო კომისიის მუშაობას, ეს უპრეცედენტო შემთხვევაა, ჩვენ ეს გვახარებს, იმედი გაგვიჩნდა. ასეთი რამ არ მახსენდება.

„შენც უნდა დაიხარჯო ფეხბურთის მიმართ სიყვარულით, შენი ცხოვრებით ფეხბურთის სამყაროში, თუ ეს ღმერთმა შენ გარგუნა, მხედველობაში მყავს ჩვენი ვეტერანი ფეხბურთელები, დაიხარჯო ფინანსურად“

**- მინისტრი როგორც თვლის, გასაგებია, თქვენ როგორ მიგაჩნიათ?**

- პირადად მე, კომისიას სხვანაირად შევარჩევდი. მაგალითისთვის, გამოვიყენებდი იმას, რომ სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე პრემიერ-მინისტრია და კომისიას ისეთი შემადგენლობითა და გეგმით წარვუდგენდი პრემიერს, რომ ეს და ამ კომისიის მუშაობას გამოეწვია საქართველოსა და საქართველოს ფარგლებს გარეთ მოღვაწე ქართველი ბიზნესმენების დიდი დაინტერესება. როგორ? ამას ცოდნა უნდა და ალბათ, სპორტის მინისტრი ამაზეც იღებს პასუხისმგებლობას და იცის ეს. გავწერდი გეგმას, დღეებში, პასუხისმგებელი პირების მითითებით. იმისთვის, რომ მოიპოვო უფლება სხვისი სახელით ილაპარაკო და განსაჯო, ამ შემთხვევაში, მაქვს მხედველობაში ფეხბურთი, პირველ რიგში, შენც უნდა დაიხარჯო ფეხბურთის მიმართ სიყვარულით, შენი ცხოვრებით ფეხბურთის სამყაროში, თუ ეს ღმერთმა შენ გარგუნა, მხედველობაში მყავს ჩვენი ვეტერანი ფეხბურთელები, დაიხარჯო ფინანსურად (აქ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ ფინანსების წარმომავლობას). ვინც თავისი ნებით, თავის ფულს ხარჯავს ამ კეთილშობილ საქმეში მას განსაკუთრებული ადგილი უნდა ეკავოს და სამაგალითო უნდა იყოს სხვებისთვის. მანამ სანამ ამას ვერ გაიგებს ის, ვინც უნდა გაიგოს, ჩვენ სულ ასეთ მდგომარეობაში ვიქნებით. ჩვენ რომელიმე საწარმოს ფულს კი არ ვხარჯავთ, საკუთარით გვაქვს გაკეთებული.

**- ილია კოკაიას და რომან ფიფიას გულისხმობთ?**

- არ ვიცი. ვიცი ჩემი ამბავი და ვიცი გურამ რუხაძის პოზიცია და მდგომარეობა, თუ როგორ აფინანსებს გუნდს.

**- რამდენად გეიმედებათ, რომ ეს პროექტი გაკეთდება, ამუშავდება და შედეგი ექნება?**

- წინასწარ ვერ გეტყვით, ძნელია ამაზე საუბარი, მაგრამ მე ეჭვი მეპარება რაღაცებში, ვნახოთ. ჯერ გეტყვით იმას, რომ მალე ერთი თვე იქნება მას შემდეგ, რაც პრემიერ-მინისტრმა ბრძანა სახელმწიფო კომისიის შექმნა. ერთ თვეში რამე გაკეთდა? რამეში წინ წავიწიეთ? ირაკლი ღარიბაშვილთან შეხვედრის შემდეგ ერთხელ მაინც შევიკრიბეთ? ვინმეს შეეკითხენ რამე? ვინ როგორ ფიქრობს, ვის რა წინადადებები მიაჩნია პრიორიტეტულად? როგორი უნდა იყოს ჩემპიონატი მომავალ წელს? რა უნდა გააკეთოს ფეხბურთის ფედერაციამ იმისათვის, რომ სახელმწიფო კომისიის მუშაობა და შედეგები უფრო ეფექტური იყოს? ვეხმარებით თუ არა ფეხბურთის ფედერაციას პროექტების განხორციელებაში, შეიძლება ეს არ ევალება სამინისტროს და ამიტომ შეიქმნა სახელმწიფო კომისია, თუ ეს ასეა, ძალიან კარგი, კომისია შეასრულებს სამინისტროს ფუნქციას.

**- საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან წარმოდგენილ შემადგენლობაზე რას იტყვით?**

- ფეხბურთის ფედერაციიდან უნდა იყვნენ და თუ ვინმეს იქ რამე ეკითხება და იცის დღეს, სიჭინავა და არველაძე არიან. მიუხედავად ზოგიერთების სხვადასხვა შეხედულებებისა, დღეს ისინი არიან ყველაზე კომპეტენტურები და შეუძლიათ საკმაოდ არგუმენტირებულად დაიცვან თავიანთი შეხედულებები და პოზიციები ფეხბურთთან მიმართებაში. ამ კომისიაში სპორტის სამინისტროს ნება რომ ყოფილიყო, ფედერაციის წარმომადგენლები საერთოდ არ იქნებოდნენ,



მე ამას ვასკვნი მათი ურთიერთობებიდან გამომდინარე. სამწუხაროდ, ამაში ჩვენ ვიჭყლიტებით. რა დავაშავეთ? რაც შეეხება ხურცილავას, ჩივაძეს, მათ უდიდეს პატივს ვცემ, როგორც უდიდეს ფეხბურთელებს. ეს ის ჩვენი ფეხბურთელებია რომლებისადმი დიდმა სიყვარულმა, ბევრს და მათ შორის მე, გადაგვადგმევინა ის ნაბიჯები, რასაც ჩვენ დღეს ვაკეთებთ.

**- მაინც თვლით, რომ კომისიის შემადგენლობა მისაღებია?**

- დრო გვიჩვენებს. ჯერჯერობით ათვლა დავიწყეთ - ერთი თვე გავიდა.

ის, რომ სახელმწიფო კომისია არაოპტიმალურია, სპორტული ჟურნალისტებიც ეთანხმებიან. როგორც გაზეთ „ლელოს“ ჟურნალისტი, მერაბ მამულაშვილი ამბობს, გარდა სპორტული კუთხისა, კომისიაში, აუცილებლად უნდა იმუშაოს მედიაჯგუფმაც, რადგან გაშუქების გარეშე, ეს პროექტი ჩავარდება და ეროვნულ საფეხბურთო ჩემპიონატსაც არაფერი ეშველება.

„ეს სახელმწიფო კომისიაა და ცხადია, რომ ყველა ვერ შევიდოდა, მაგრამ ვისურვებდი რამდენიმე ადამიანის ნახვას. დარწმუნებული ვარ, რომ ამ კომისიის შემადგენლობა საბოლოო არაა და იქ აუცილებლად უნდა იყვნენ გურამ რუხაძე, ლექსო თოფურია („ლოკომოტივის“ პრეზიდენტი), ვახო წერეთელი („იბერია სტარის“ ყოფილი პრეზიდენტი, ფუტსალის ასოციაციის მოქმედი პრეზიდენტი), ფრიდონ ინჯია. ესენი არიან ადამიანები, რომლებმაც წლების განმავლობაში გადაიტანეს პრობლემები და იციან ის სირთულეები, რაც აწუხებს ქართულ ფეხბურთს. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა ამ კომისიაში მედიაჯგუფის ჩართვა, როგორც სატელევიზიო, ასევე ბეჭდური და ელექტრონული მედიის წარმომადგენლების. მედიის გარეშე, ეროვნული ჩემპიონატის ფეხზე დაყენება წარმოუდგენელია, იმ ხალხის ვინც, თავის დროზე, მედიაკომპანია „კოლხიდაში“ ამ საკითხზე მუშაობდა. საჭიროა კანონმდებლობის შეცვლა, კლუბების დაფინანსება, ბავშვთა ფეხბურთისა და ინფრასტრუქტურის განვითარება. მედიაგაშუქების გარეშე ეს წყალში ჩაიყრება. ამ მხრივ, ლექსო თოფურიასა და მის გუნდს ძალიან კარგი და საინტერესო გამოცდილება ჰქონდა, რომელიც წარუმატებლად დასრულდა, მაგრამ ამის მიზეზი ომი და ეკონომიკური კრიზისი იყო, რომელიც მსოფლიოსაც აწუხებდა. კომისიაში მუშაობას შევთავაზებდი დავით ებრალიძეს, „ზესტაფონის“ ფინანსურ მენეჯერს, რომელიც მოგვიანებით ხადურის მოადგილედ დაინიშნა, რომელმაც ქართულ საფეხბურთო სამყაროს სხვა კუთხიდან დაანახა არსებული პრობლემების ხარჯების ოპტიმიზაციის შესაძლებლობა. ასეთი ადამიანები კომისიის მუშაობის ეფექტურობას გააუმჯობესებენ. რატომ არის ასეთი შემადგენლობა და არა - უფრო მეტი, არ ვიცი. რაც მთავარია, საქმე დაიწყო და ეს ძალიან კარგია“, - ამბობს მერაბ მამულაშვილი.



**ფრიდონ ინჯია: „ლევან ყიფიანის ნება რომ იყოს, კომისიაში ფეხბურთის ფედერაციიდან არავინ იქნებოდა“**

„მსოფლიო სპორტის“ ჟურნალისტი, ილია ნანობაშვილი თვლის, რომ კომისიაში აუცილებელია დაბალი ლიგის წარმომადგენლის ყოფნაც. ტარიელ ხეჩიკაშვილთან დაკავშირებით მას თავისი მოსაზრება აქვს და ამბობს, რომ ის ქართულ ფეხბურთში „სუფთად“ მუშაობს.

„ვფიქრობ, ძალიან კარგი ნაბიჯია ამ კომისიის შექმნა, რადგან ფეხბურთს სახელმწიფოს დახმარება და ძირეული პროექტები სჭირდება და არა ისეთი პროგრამა, რომელიც ექვს თვეზე და ერთ წელიწადზე იქნება გათვლილი. მთავარია, ამ სამი წლის შემდეგაც არ დადგეს საკითხი „რა გვეშველება“, ანუ ფული სწორად უნდა დაიხარჯოს და გეგმაზომიერად, რასაც გაკონტროლება დასჭირდება. რაც შეეხება კომისიას, ვფიქრობ, დაახლოებით ოპტიმალურია. ასევე, სიაში შევიყვანდი გურამ რუხაძეს, ლექსო თოფურიასა და ფრიდონ ინჯიას, რომლებიც წლების განმავლობაში ინახავენ კლუბებს. ეს კერძო კლუბებია და მათი მფლობელების აზრი გათვალისწინებული უნდა იყოს. რაც შეეხება ტარიელ ხეჩიკაშვილს, ის აუცილებლად უნდა ყოფილიყო ამ კომისიაში. მერე რა, რომ „საბურთალო“ პირველი ლიგის კლუბია. ერთ-ერთი საუკეთესო ბავშვთა სკოლა აქვს და დიდი რაოდენობით ჰყავს ფეხბურთელები ასაკობრივ ნაკრებებში. თანაც, კლუბი აშკარად პროგრესირებს ინფრასტრუქტურის კუთხით და რაც მთავარია, სუფთად მუშაობს“, - აცხადებს ჟურნალისტი.

შემადგენლობა დასახელებულია და ჯერი პრემიერზეა. მან დროულად უნდა დაიწყოს კომისიის მუშაობა, რადგან ამ საფეხბურთო სეზონის დასრულების შემდეგ, თუკი ფეხბურთის განვითარების ახალი პროგრამა ამუშავებული არ იქნება, სავალალო შედეგებს მივიღებთ. ის ადამიანები, რომლებიც საკუთარ ფულს ხარჯავდნენ წლების განმავლობაში, მომავალ წელს, დიდი ალბათობით, გუნდების შენახვას ველარ შეძლებენ და ეს, პირველ რიგში, „ვიტ ჯორჯიასა“ და „მერანს“ დაეტყობა. იმედი დავიტოვოთ, რომ ქართული ფეხბურთის „გაზაფხულიც მალე მოვა“.

„ძალიან მნიშვნელოვანი იქნებოდა ამ კომისიაში მედიაჯგუფის ჩართვა, როგორც სატელევიზიო, ასევე ბეჭდური და ელექტრონული მედიის წარმომადგენლების. მედიის გარეშე, ეროვნული ჩემპიონატის ფეხზე დაყენება წარმოუდგენელია“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ხუდონჰესის მშენებლობაზე მსჯელობა უფრო საქმიანი და შედეგიანი უნდა გახდეს

თეა ხომერიკი



**სახალხო დამცველის ოფისმა, რამდენიმე დღის წინ, პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ხუდონჰესის თემაზე საჯარო დებატები მოაწყო. შეხვედრის მოდერატორმა უჩა ნანუაშვილმა თავიდანვე განმარტა, რომ აზრის გამოთქმის საშუალება ორივე მხარეს მიეცემოდა, თუმცა რეალურად ასე არ მოხდა. ჰესის მშენებლობის მომხრეთა გამოსვლას სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების მათ შორის „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენლები ხმაურითა და შეურაცხმყოფელი შეძახილებით ახშობდნენ. ენერგეტიკის სამინისტროს მინისტრის მოადგილე ილია ელოშვილი წარმოადგენდა. ის ამაოდ ცდილობდა დამსწრე საზოგადოების დარწმუნებას იმაში, რომ უწყებას ადგილობრივ მოსახლეობასთან კომუნიკაციის პრობლემა არასოდეს ჰქონია.**

„პირველად რომ ჩამოვედი, შემოგთავაზეთ, შეგექმნათ 10-კაციანი ჯგუფი, შემოგთავაზეთ სატრანსპორტო საშუალებაც, რომ ჩამოსულიყავით და ერთად განგვეხილა ეს საკითხები. ჩემი მეორე ჩამოსვლაც კარგად გახსოვთ. ჩემი შემოთავაზება ძალაშია, შეადგინეთ ჯგუფი, შევხვდეთ და დავგეგმოთ, მხოლოდ ასეთ ფორმატში შეიძლება საკითხის განხილვა და არა ისეთში, სადაც ემოციები ჭარბობს“.

- ვის რაში აინტერესებს თქვენი მოგზაურობის ისტორია, რამდენ ხანს ლაპარაკობთ, დროს ტყუილად ნუ გვაკარგვინებთ - სიტყვის დასრულების საშუალება არ მისცეს ელოშვილს. იგივე ბედი ეწია ენერგეტიკის ფაკულტეტის სტუდენტს, რომელსაც ერთ-ერთი ხაიშელი მხარში სწვდა და ნჯღრევა დაუწყო.

რას ემსახურებოდა მსგავსი ფორმატის შეხვედრა, თანაბრად იყო თუ არა დაცული მხარეთა გამოხატვის უფლება, წინასწარ დაანონსებული ადამიანის უფლებების გარდა რატომ გაიმართა დისკუსია ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ხუდონჰესის ეკონომიკური სარგებლიანობა, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ბედი, გარემოზე ზემოქმედება და ა.შ. ხუდონჰესის თემის ე.წ. ადამიანის უფლებების ჭრილში განხილვა ხომ არ არის ერთგვარი შირმა, რომელიც რეალურად პროექტის გარშემო საზოგადოების მკვეთრად უარყოფითი განწყობის ფორმირებას ემსახურება?

აღნიშნული კითხვები ჩვენ სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელ მაია ლიპარტელიანს დავუსვით, რომელმაც შეხვედრაზე ხუდონჰესის მშენებლობის კანონიერებასა და ადამიანის უფლებების შესახებ ვრცელი დასკვნა წარმოადგინა. ლიპარტელიანი ამბობს, რომ შეხვედრის მიზანი დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და საკითხის განხილვაში მონაწილეობა იყო.

„ამ საჯარო დებატების მიზანი ის იყო, რომ ყველა დაინტერესებულ მხარეს მიეღო მონაწილეობა საკითხის განხილვაში და თავისი მოსაზრებები გამოეთქვა. მონაწილეობა და ჩართულობა იყო, შეხვედრაზე წარმოდგენილი გახლდათ ყველა დაინტერესებული მხარე და აქედან გამომდინარე შეიძლება ჩავთვალოთ, რომ მიზანი მიღწეულია. თუ თქვენ გულისხმობთ, რომ საჯარო დებატებზე რაიმე შეთანხმება მოხდებოდა, ამის მოლოდინი ნაკლებად გვქონდა. ეს პროცესია და ერთი შეხვედრის დროს, რა თქმა უნდა, მსგავსი სახის შეთანხმება შეუძლებელია“,-**ამბობს ლიპარტელიანი.**

**- ხუდონის მომხრეებს აზრის გამოთქმის საშუალება თითქმის არ მიეცათ, შესაბამისად, ძნელია იმის თქმა, რომ მხარეების ჩართულობა თანაბარი იყო. თქვენ, როგორც უფლებადამცველმა, უზრუნველყავით მათი გამოხატვის უფლება?**

- აზრის გამოხატვის თავისუფლება, რა თქმა უნდა, კონსტიტუციით აღიარებული უფლებაა, მაგრამ ის ფორმატი რის საშუალებასაც იძლეოდა, ვეცადეთ, რომ ყველა ადამიანს ჰქონოდა ამის საშუალება. თუ ესწრებოდით, ხედავდით, რომ ვინც ხელი აიწია, ყველას მიეცა სიტყვა. ბუნებრივია, რომ ისეთ მტკივნეულ საკითხზე, როგორიც ხუდონჰესია და თქვენ ნახეთ აქტიურობა და დასწრება როგორი იყო, ერთი შეხვედრა ნამდვილად არ ეყოფოდა იმას, რომ ყველა ადამიანის აზრი მოგვესმინა ამ საკითხზე, ამიტომ გაგრძელდება ასეთი შეხვედრები.

**- თქვენს მოხსენებაში ადამიანის უფლებების გარდა საკმაოდ დიდი ადგილი დაუთმეთ პროექტის ეკონომიკურ და ფინანსურ მხარეს, განსახლებას, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს. ხომ არ სცილდება ეს თქვენი კომპეტენციის ფარგლებს?**

- ჩემს მოხსენებაში, რა თქმა უნდა, ადამიანის უფლებებზე იყო საუბარი. ეს, უპირველესად, გახლავთ ადამიანის სიცოცხლის და ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში სიცოცხლის უფლება და ამ კუთხით გავაკეთეთ დასკვნა, რომ დაცული უნდა იქნეს საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობა, რომ აუცილებლად უნდა იყოს, გადაწყვეტილების მიღების ყველა ეტაპზე, დაინტერესებული საზოგადოების ინფორმირება და მათი ჩართულობა უზრუნველყოფილი. შემდეგი უფლება გახლავთ საკუთრების უფლება, ამასთან დაკავშირებით აღვნიშნეთ, რომ ჯერჯერობით არ არის დამტკიცებული განსახლების გეგმა და შესაბამისი რეკომენდაციები აქვს სახალხო დამცველს, რომ აუცილებლად იქნეს დაცული მათი საკუთრების უფლება. დიახ, ჩემს მოხსენებაში ადგილი დაეთმო პროექტის ეკონომიკურ ანალიზს, რადგან სახელმწიფოსათვის ხელსაყრელი უნდა იყოს განხორციელებული პროექტი და აუცილებელია, რომ მოსახლეობა დარწმუნდეს მის საჭიროებაში. ასევე საუბარი იყო კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე, რადგან ადამიანის ძირითადი უფლებაა კულტურული მემკვიდრეობის განვითარება-შენარჩუნება. ასევე საუბარი შეეხო უსაფრთხოებას, ქვეყნის უსაფრთხოების თვალსაზრისით უნდა იქნეს ეს პროექტი შესწავლილი, რაც ასევე ადამიანის უფლებას ეხება და ამიტომ გავაგრძელებთ აღნიშნულ პროცესებზე დაკვირვებას.

**- საიას განცხადებაში აღნიშნულია, რომ „ხუდონჰესის“ პროექტის განხორციელების მიზანშეწონილობის და აუცილებლობის საკითხის განხილვა და გადაწყვეტა სცილდება სახალხო დამცველის უფლებამოსილების და კომპეტენციის ფარგლებს“. არ ეთანხმებით ამ შეფასებას?**

- საიას რეკომენდაცია პირიქით იყო, თუ თქვენ გაეცანით დასკვნაში და განცხადებაში მითითებული იყო, რომ სახალხო დამცველი ვალდებულია თვალყური ადევნოს ადამიანის უფლებების დაცვას და შეისწავლოს აღნიშნული პროცესი. სახალხო დამცველი ვერ შეაფასებს პროექტის ტექნიკურ პარამეტრებს, მაგრამ ამ პროცესში ადამიანის უფლებების დაცვაზე სახალხო დამცველია უფლებამოსილი.

**- რით არის გამოწვეული ხუდონჰესის საკითხებში სახალხო დამცველის ასეთი პროაქტიული ჩართვა. ხაიშში ადამიანის უფლებების დარღვევის მასშტაბები გაიზარდა? არის დარღვევის კონკრეტული შემთხვევები?**

- იქედან გამომდინარე, რომ ჯერჯერობით ამ პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით კონკრეტული გადაწყვეტილებები არ არის მიღებული, შეიძლება ისეთი ხელშესახები კონკრეტული უფლების დარღვევის ფაქტი ამ ეტაპზე არ გვქონდეს, თუმცა სახალხო დამცველი ვალდებულია, რომ პრევენციისთვისაც მიმართოს შესაბამის უწყებებს, რომ არ მოხდეს ამ უფლებების დარღვევა. თუმცა ჩვენს დასკვნაშიც აღვნიშნე, რომ ინფორმაციის საჯაროობა, რაც ეხება ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლებას და ყველა ეტაპზე ჩართულობას, ვფიქრობ, რომ დარღვეულია, რადგან გადაწყვეტილების მიღების საწყისი ეტაპიდან არ იყო შესაბამისად უზრუნველყოფილი დაინტერესებული საზოგადოება და იყო ინფორმაციის ნაკლებობა.

**- ანუ ადამიანის უფლებების დარღვევის კონკრეტული ფაქტები უკვე არის?**

- იქიდან გამომდინარე, რომ პროექტის განხორციელება ჯერ არ დაწყებულა, ადამიანის უფლების დარღვევის დამდგარი ფაქტი ჯერ არ არის. თუმცა ჩვენ ვალდებული ვართ, რომ ხელისუფლებას მივმართოთ შესაძლო დარღვევებზეც.

შეხვედრა, რომელსაც სახალხო დამცველთან ერთად ენერგეტიკისა და გარემოს დაცვის სამინისტროების წარმომადგენლები და არასამთავრობო ორგანიზაციები დაესწრნენ, დაახლოებით სამ საათს გაგრძელდა. შეთანხმება არ შედგა, წასვლამდე ხაიშელებმა კიდევ ერთხელ განაცხადეს, რომ ჰესის მშენებლობას არ დაუშვებენ, არ შეხვდებიან კახი კალაძეს და მის წარმომადგენლებს და დიდი იმედი აქვთ საქართველოს პრემიერ-მინისტრის, რომელიც ხუდონის საკითხზე „ძალიან ბრძნული საუბრით“ გამოირჩევა. სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლის მაია ლიპარტელიანის თქმით, სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხებზე მსგავსი შეხვედრები ყოველთვიურად ჩატარდება და არ არის გამორიცხული, თემა კვლავ ხუდონჰესი იყოს.

**ექსპერტები:** ლევან კალანდაძე, ირაკლი ლექვინაძე, ლევან ალაფიშვილი და გიორგი აბაშიშვილი მიიჩნევენ, რომ ხუდონჰესის თემა პროფესიულ განხილვას საჭიროებს და პრემიერ-მინისტრს სპეციალური სამთავრობო კომისიის შექმნის ინიციატივით მიმართავენ. ექსპერტების განცხადებით სამთავრობო კომისიის ძირითადი ფუნქცია მთელი სვანეთის, რეგიონის მოსახლეობასთან კომუნიკაციის წარმოება უნდა იყოს და ასევე ყველა იმ საკითხის ოპერატიული გადაწყვეტა, რომელიც ხუდონჰესის პროექტის განვითარებასთან დაკავშირებით წარმოიქმნება.

„ხუდონჰესი“-ს პროექტი მთავრობის პირველი სერიოზული გამოწვევაა, როგორც საინვესტიციო, ფინანსური და ეკონომიკური კუთხით, ასევე კანონის უზენაესობის, კანონის წინაშე თანასწორობისა და ადამიანის უფლებების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. მიგვაჩნია, რომ დღევანდელობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი ხუდონჰესის მშენებლობის აქტუალური მიმართულებების პროფესიული განხილვაა და მთელი სვანეთის, რეგიონის მოსახლეობასთან კომუნიკაციის წარმოების დაწყებაა ამ კომისიის ფორმატში“, - ნათქვამია ექსპერტების მიერ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის სახელზე გაგზავნილ წერილში.

# სურსათის უვნებლობის სააგენტო ბაღებში შესატან პროდუქტებს წელიწადში ერთხელ ამოწმებს

სალომე გოგოხია




**თუ აქამდე სურსათის უვნებლობის სააგენტო ბაღებში შესატან პროდუქტებს წელიწადში მხოლოდ ერთხელ ამოწმებდა, კანონში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, ვადები გაიზრდება. თუმცა, მანამდე ეს პროცესი ძველებურად გაგრძელდება. სიახლეა ისიც, რომ სააგენტო რეგიონების ბაგა-ბაღებსა და სკოლებში შესატან პროდუქტებსაც შეამოწმებს. აქამდე რატომ არ ხორციელდებოდა კონტროლი, ამაზე კონკრეტული პასუხი ვერ მივიღეთ.**

თბილისში არსებულ ბაგა-ბაღებში ჰიგიენურ-სანიტარული ნორმები გაცილებით უკეთ არის დაცული, ვიდრე რეგიონებში. თუმცა, თბილისის ბაღებში ბავშვების ჯგუფურმა მოწამვლებმა საზოგადოება არაერთხელ აალაპარაკა. მაგალითისთვის ახლო წარსულში მომხდარ შემთხვევას მოვიყვანთ, როცა ხორცის ფარშისგან მომზადებული „კატლეტით“ მოწამლული ათეულობით ბავშვი ხილიანზე მდებარე ინფექციურ კლინიკაში აღმოჩნდა. მაშინ ფაქტმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია.

ითქვა ისიც, რომ ბაღები საზღვარგარეთიდან შემოტანილი გაყინული ხორცით მარაგდება. თუმცა, სურსათის უვნებლობის სააგენტოში ამ ფაქტს უარყოფენ და აცხადებენ, რომ ბაღები ადგილობრივი წარმოების ხორცით მარაგდება.

სურსათის უვნებლობის სააგენტოში განაცხადეს, რომ ბაღებში შესატან პროდუქტებს სააგენტო ამოწმებს. უბრალოდ, ახლა ეს პროცესი მასშტაბურ სახეს მიიღებს.

„შარშან, ჩემი შვილის ჯგუფში ბავშვები მოიწამლნენ. ხილიანზე რიგები იდგა. მაშინ თქვეს, რომ ბავშვები „კატლეტით“ მოიწამლნენ. ისიც საკითხავია, ჩვენს შვილებს გაყინული ხორცით მომზადებულ კერძებს აჭმევენ თუ არა. სანამ ბაღის გადასახადი არსებობდა, პრეტენზიას უფრო თამამად გამოვხატავდით, რადგან ფულს ვიხდიდით და ბაღებს სააგენტოს შიშიც ჰქონდათ. მას შედეგ, რაც ბაღები უფასო გახდა, ბევრ რამეზე პრეტენზიას ველარ ვაცხადებ, რადგან პასუხი მარტივია, არ მოგწონს, წაიყვანე კერძოში. თუმცა, როცა ბავშვის ჯანმრთელობას და მის უსაფრთხოებას ეხება საქმე, იქ ნამდვილად ვერ გავჩერდები“, - გვითხრა 5 წლის ნინოს დედამ.

ყვარლის ერთ-ერთი საბავშვო ბაღის აღსაზრდელის დედა გვიამბობს, რომ უწყლობის გამო მშობლებს ჯგუფში სველი ხელსაწმენდები მიაქვთ.

„ზოგადად, ჩვენს რაიონში წყლის პრობლემაა. ბაღში სველი ხელსაწმენდები მიგვაქვს. ჩემმა შვილმა მითხრა, რომ მასწავლებელი ერთი ხელსაწენდით გვწმენდს ხელებს ყველა ბავშვსო. როცა ასეთი სიტუაციაა, თავისთავად გიჩნდება იმის შიში, რამდენად სუფთად ამზადებენ საკვებს. საბედნიეროდ, ჩვენთან მოწამვლის შემთხვევა არ ყოფილა“, - გვითხრა 5 წლის გიორგის დედამ.

ბაგა-ბაღების სააგენტოში განაცხადეს, რომ სურსათის უვნებლობის სააგენტოს გარდა, ბაღებში შესატან პროდუქტებს პერიოდულად თავადაც ამოწმებენ.

რაც შეეხება რეგიონების ბაღებს, იქ შესატანი პროდუქტების შემოწმებას სურსათის სააგენტო ახლო მომავალში დაიწყებს.

რის საფუძველზე ითვლება პროდუქტი ვარგისად? ამის გასარკვევად ბაგა-ბაღების სააგენტოს მივმართეთ. როგორც სააგენტოს პრესცენტრის წარმომადგენელმა სოფო ხოშტარიამ გვითხრა, ბაღში შესატან პროდუქტს სერტიფიკატი მოჰყვება, რაც მის ვარგისიანობას ადასტურებს.

„დისტრიბუტორ კომპანიას ბაგა-ბაღები დამოუკიდებლად ირჩევენ, ისინი პასუხისმგებელნი არიან, როგორც მომარაგებაზე, ასევე, მის ხარისხზე. თბილისში არსებულ 157 ბაგა-ბაღს სხვადასხვა კომპანია ამარაგებს. ახლახან ბაგა-ბაღების მზარეულებს სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ჩაუტარა ტრენინგი თემაზე „ხუთი გასაღების პრინციპი უვნებელი სურსათისთვის“, რაც აუცილებელია უვნებელი და ჯანსაღი საკვების მომზადებისათვის“, - განაცხადეს ბაგა-ბაღების სააგენტოში.

სანამ სააგენტო ბაღების მზარეულებს დაატრენინგებს, მანამდე პარლამენტი კანონში შესატან ცვლილებას დაამტკიცებს, რაც ინსპექტირების (შემოწების) ხანგრძლივობის შეცვლას გულისხმობს.

მოქმედი კანონმდებლობით სურსათის ინსპექტირება წელიწადში ერთხელ ხდება. არაგეგმიური კი საჭიროებიდან გამომდინარე. თუმცა, სხვადასხვა დროს ბაღებში მომხდარი ჯგუფური მოწამვლების შემთხვევებმა ინსპექტირების გაზრდის აუცილებლობა მოიტანა, აცხადებს „პრაიმტაიმთან“ საუბარში სურსათის უვნებლობის სააგენტოს სურსათის დეპარტამენტის ხელმძღვანელი **კახა სოხაძე.**



„რა თქმა უნდა, სურსათის შემოწმებას ჩვენი სააგენტო ახორციელებს. მალე ეს შემოწმება მასშტაბური გახდება. ბაღებს სკოლებიც დაემატა და წელს 600-ზე მეტ სკოლაში შემოწმდება სურსათი. კანონმდებლობაში მომზადებულია ცვლილება, რომლის შესაბამისად დადგინდება გეგმიური ინსპექტირება რამდენჯერ უნდა განხორციელდეს. ეს არის სახელმწიფო კონტროლის ერთ-ერთი მექანიზმი. ასევე, ხდება მონიტორინგი, ნიმუშის აღება. ინსპექტირება ანუ სრული საწარმოს ტიპის შემოწმება საბოლოო პროდუქტამდე. ყველა მოთხოვნა მოწმდება. ნედლეულის მოწოდებიდან დაწყებული სანიტარული, ჰიგიენური, პერსონალის ჰიგიენის ჯანმრთელობის შემოწმებით დამთავრებული. ძალიან მალე ცვლილებები დამტიცდება პარლამენტის მიერ, ინსპექტირება წლის განმავლობაში გაიზრდება და სხვა ფორმით იქნება“. - ამბობს სოხაძე.

მისივე თქმით, ბოლო ჯგუფური მოწამვლა 2012 წელს მოხდა. სხვადასხვა მონაცემებით თბილისში 200-ზე მეტი ბავშვი იყო ინფიცირებული. ლაბორატორიული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ მოწამვლა კონკრეტული კომპანიის მიერ შემოტანილმა ყველმა გამოიწვია. კომპანია დაჯარიმდა და წარმოება შეუჩერდა.

„ღვთის წყალობით, ეს ფაქტები შემცირდა. როგორც ვიცი, ბაღებს ქართული წარმოების ხორცი მიეწოდებათ. სავალდებულო მოთხოვნაა, რომ ყველა ხორცი, რომელიც სამომხმარებლო ბაზარზე მოხვდება, შესაბამისი ნორმების დაცვით სასაკლაოზე იყოს დაკლული. ეს ჩვენს მიერ კონტროლდება,“, - აღნიშნა სოხაძემ.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რესტორნებში ხმამაღალი მუსიკა სმენის დაქვეითებას იწვევს



## EXCLUSIVE

## შოთა ჯაფარიძე: „მაღალი დეციბალები აკუსტიკურ ტრავმას იწვევს. მერე მოდიან ჩივილებით ყურში სტვენის ხმა მესმისო“

სალომე გოგოხია

**რესტორნებსა თუ ღამის კლუბებში გართობა, მოლხენა, კარგია. თუმცა, რამდენად უსაფრთხოა ჯანმრთელობისთვის ხმამაღალი მუსიკის ფონზე გატარებული რამდენიმე საათი, ზოგჯერ კი დილამდე გაგრძელებული დროსტარება? მედიკოსების თქმით, მაღალი ხმის სიხშირე სმენის დაქვეითებას და ნერვული სისტემის დაზიანებას იწვევს. ზოგიერთი ექიმი უფრო შორს მიდის და ამბობს, რომ ასეთმა ხმაურმა შესაძლოა გულის ანევრიზმა გამოიწვიოს.**

სამწუხაროდ, საქართველოში არ არსებობს შესაბამისი კანონი, რეგულაციები, რომელიც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში დეციბალების სიხშირეს გააკონტროლებს.

რესტორანში სასურველ, ახლობელ ადამიანებთან ერთად ყოფნას და დროის სასიამოვნოდ გატარებას რა სჯობს. თუმცა, ამ სიამოვნებას წერტილს უსვამს რესტორანში აჟღერებული ხმამაღალი მელოდია, რომელიც თანამოსაუბრესთან საუბარში ხელს გვიშლის. საქმე იქამდე მიდის, რომ ხშირად, თანამოსაუბრეს სათქმელს ყვირილით ვაგებინებთ. მუსიკა იმდენად მაღალია, რომ გულის ფიცარზე ვიბრაციას ვგრძნობთ. ამ ყველაფერს დასასრული არ უჩანს, სანამ რესტორანს არ დავტოვებთ.

ანალოგიური სიტუაციაა თინეიჯერების საყვარელ ღამის კლუბებში. თავშეყრის ადგილებში გართობა დილამდე გრძელდება. მომდევნო დღეს კი იგივე მეორდება.

ასაკთან ერთად სმენის დაქვეითება გარდაუვალია, მიიჩნევენ სპეციალისტები. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ პრობლემის პროვოცირება ხელოვნურად არ მოხდეს.

რა შედეგები მოჰყვება ხმაურს, ხმამაღალ ხმაზე მუსიკის მოსმენას და რომელი პროფესიის ადამიანები მიმართავენ ყველაზე ხშირად ჩივილებით, ამის შესახებ „პრაიმტაიმი“ ოტორინოლარინგოლოგ, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორ, **შოთა ჯაფარიძეს** ესაუბრა.



პროფესორის თქმით, მაღალი დეციბალები ადამიანის ნერვული სისტემისთვის, სმენისთვის ზიანის მომტანია.

„მაღალი ხმაური, დეციბალები აკუსტიკურ ტრავმას იწვევს. ყველა ვერ უძლებს ხმაურს. განსაკუთრებით პატარა ბავშვები და 50 წელს გადაცილებულები, ამ ხმაურის მიმართ ისინი ძალიან მგრძნობიარენი არიან. ჩვენთან მოდიან პაციენტები, რომლებსაც ყურში ხმაური უკვე დაწყებული აქვთ. სმენის დაქვეითებას სწორედ ძალიან მაღალი ხმაური იწვევს. როგორც წყალი წვეთავს საწვეთურში და დროთა განმავლობაში ღრმული ჩნდება, მაგალითად ქვაზე, ასევეა, სმენის შემთხვევაშიც. მუდმივი ხმაური მოკლე დროში სმენის დაქვეითებას იწვევს. ბევრჯერ მოსულა ისეთი პაციენტი, რომელსაც სმენა ნულზე აქვს, 90%-ში ვერაფერს უშველი. მიზეზი ის იყო, რომ მუდმივად დინამიკთან იჯდა. საქართველოს რესტორნებს დამაყრუებელ დაწესებულებებს ვეძახი. ახალგაზრდების, თინეიჯერების ყური ამას უძლებს, მაგრამ 50 წლის ადამიანი ვერა. თუ გინდათ შეამოწმეთ, ჩვენს რესტორნებსა და დისკოთეკებს შორის სხვაობა ათი დეციბალი შეიძლება იყოს. იქ მყოფთ აყრუებენ. ამიტომ, უცხოელი სტუმრებისთვის ორი რესტორანი მაქვს შერჩეული, სადაც მსგავსი ხმაური არ არის. ასეთი ხმაური ცუდად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე. განსაკუთრებით ნეიროსენსორულ სისტემაზე. ჯერ არის გარე სასმენი მილი, შემდეგ დაფის ღრუ და შიგნითა ყური, რასაც ლოკოკინას ვეძახით, სადაც ბგერები გადადის სითხეში, სითხე არხევს ძირითად მემბრანას. მისი დიამეტრი ორი მილიმეტრია, ხოლო სიგრძე ერთი სანტიმეტრი. მექანიკური რხევა ელექტროსტიმულში გარდაიქმნება და თავის ტვინს გადაეცემა. ამას კლავს ხმაური“.

მისივე თქმით, სმენის დაქვეითებას იწვევს ყურსასმენებით მუსიკის მაღალ ხმაზე მოსმენაც.

„ხშირად მოდიან პაციენტები, რომლებსაც სმენის პრობლემა სწორედ ე.წ. „ნაუშნიკების“ გამოყენებით შეექმნათ. ასევე, მოდიან პროფესიონალები, რომლებიც ცხელ ხაზზე მუშაობენ და ტელეფონის ყურსასმენები უკეთიათ, ფოსტის თანამშრომლები, მათ სმენის დაქვეითება აქვთ დაწყებული. ეს საკითხი საქართველოში მიშვებულია. ქვეყანაში დეციბალების კონტროლი უნდა არსებობდეს. ამას სჭირდება სპეციალური სამსახური და აპარატურა. ეს საკითხი ჯანდაცვის პრეროგატივაა. ადრე ამას პრევენციული სამსახური არეგულირებდა. რეალური სურათი აჩვენებს, ამ მხრივ ყველაფერი ნულზეა. კარგ საქმეს მოჰკიდეთ ხელი. იქნებ, ამ ბავშვებს უშველონ, დისკოთეკებზე, რომ დადიან. ჯერჯერობით უძლებენ, მაგრამ დროთა განმავლობაში სმენის პრობლემა აუცილებლად შეექმნებათ. მუსიკის მოსმენა ღია ეთერში სჯობს, ვიდრე დახურულ სივრცეში ან გამუდმებით „ნაუშნიკებით“. მერე მოდიან ჩივილებით, რომ ყურში სტვენის ხმა ჩაესმით. ეს იმას ნიშნავს, რომ სმენის დაქვეითება მაღალ სიხშირეზე დაიწყო. ამას ვერ ვუშველით. ეს არის მსოფლიო პრობლემა. მედიცინამ ჯერ არ იცის ამას როგორ უმკურნალოს. როცა სმენა ნულზეა და დაყრუებულია, მათ კოხლეალურ იმპლანტანციას ვუკეთებთ. შიგნითა ყურში იმპლანტს ვუნერგავთ, რომ მკვდარი ლოკოკინის ფუნქცია აიღოს, გარედან სმენის აპარატს. ეს იმპლანტი 18 ათასი დოლარი ღირს“. - ამბობს ბატონი ჯაფარიძე.

**პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის წევრი გედევან ფოფხაძე „პრაიმტაიმთან“ საუბარში აცხადებს, რომ ხმაურის რეგულაცია ჯანდაცვის სამინისტროს პრეროგატივაა.**



თუმცა, ჯანდაცვის სამინისტროში გვითხრეს, რომ ამის შესახებ დებულება არ გააჩნიათ.

სანამ სახელმწიფო მოქალაქეების ჯანმრთელობაზე ზრუნვას გადაწყვეტს და ზღვარგადასულ ხმაურთან დაკავშირებით შესაბამის რეგულაციებს მიიღებს, მათ, ვისაც არ სურს, რომ რესტორნებსა და კლუბებში გართობა ძვირად დაუჯდეს, შოთა ჯაფარიძე ყურის დამცველების გამოყენებას ურჩევს.

„ყველას ვეუბნები, როცა რესტორანში წახვალთ და აუტანელი მუსიკა დაიწყება, ყურის დამცველები გაიკეთეთ. თან, დინამიკთან ახლოს ნუ დაჯდებით. კარგია ეს დამცველები საქართველოში რომ შემოვიდა. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში ხმაურის კონტროლი განხორციელდეს“. -დასძენს ჯაფარიძე.

# „ვისოლ ჯგუფმა“ მანდილოსნებისთვის სადღესასწაულო კვირა მოაწყო

**ცნობილმა ქალბატონებმა რვა მარტი ყველაზე ექსტრემალურად აღნიშნეს. კონპანია „ვისოლისა“ და „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომის“ ერთობლივი პროექტის ფარგლებში, რუსთავის ავტოდრომმა, წარმატებულ ქალბატობენს უმასპინძლა და ფიგურულ სლალომში, სამოყვარულო ტურნირი გამართა. ამას გარდა, რვა მარტის აღსანიშნავად „ვისოლის“ ქსელში მისულ ყველა ქალბატონს, სიმბოლურ საჩუქრებთან ერთად, ყვავილები გადასცეს. „ვიანორის“ მთელ ქსელში კი ქალბატონებს, სრულიად უფასოდ ემსახურებოდნენ და საავტომობილო ზეთებსა და სხვა პროდუქტებზე 30%-მდე ფასდაკლებას სთავაზობდნენ.**

როგორც „ვისოლ ჯგუფის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მმართველმა, რუსუდან კბილაშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, „ვისოლ ჯგუფი“, თავის ერთგულ მომხარებელს მომავალშიც არა ერთ სიურპრიზს შესთავაზებს.

„ვისოლ ჯგუფის“ სახელით გვინდა ყველა ქალბატონს მივულოცოთ „ქალთა საერთაშორისო დღე“ და დღესასწაულად ვუქციოთ მათ ურთიერთობა ავტოგასამართი სადგურების ქსელ „ვისოლთან“, ავტომომსახურების ქსელ „ვიანორთან“ და სხვა შვილობილ კომპანიებთან, რადგან დღეს მათთვის უამრავი საჩუქარი და სპეციალური შეთავაზება გვაქვს. ავტოშეჯიბრებით კი გვსურს საზოგადოებას პროფესიონალი ქალი მძღოლების ტურნირი ვაჩვენოთ“.




„ჩქაროსნული სლალომის ერთ-ერთი ნაწილი ითვალისწინებდა ყვავილის ფორმის ფიგურის გავლას, თან ისე, რომ მონაწილეს პომადის წასმა მოეხერხებინა. მართალია, საჭესთან მაკიაჟის კეთება კანონით არ ისჯება, მაგრამ გვინდოდა ქალბატონებს სცოდნოდათ, რამდენად უშლის ეს ქმედება ხელს მძღოლს თუ მოულოდნელად ექსტრემალურ სიტუაციაში აღმოჩნდებიან, გარდა ამისა, შეჯიბრით გვსურდა მამაკაცებისთვის კიდევ ერთხელ გვეთქვა, რომ ქალები ძალიან კარგი მძღოლები არიან და როგორც ყველაფერში, არც სპორტის ამ სახეობაში გვიდებენ ტოლს“,- აცხადებს „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომის“ დირექტორი მევლუდ მელაძე.

წვიმიანი ამინდის მიუხედავათ, სუსტი სქესის წარმომადგენლებმა, ყველა დავალებას წარმატებით გაართვეს თავი.

**ლიზა ვადაჭკორია:** „ამინდის მიუხედავათ, მგონი ყველა მონაწილემ კარგად გავართვით დავალებას თავი. დღევანდელი დღეც გავიხალისეთ. აქ ბევრი ჩემი მეგობარი და კოლეგა ვნახე, რაც მთავარია, ძალიან დიდი ადრენალინი და პოზიტივი მივიღე, რისთვისაც დიდი მადლობა „ვისოლს“ და „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომს“.

ტურნირის ყველა მონაწილეს „ვისოლ ჯგუფისა“ და „რუსთავის საერთაშორისო ავტოდრომისგან“ სიმბოლური პრიზები გადაეცათ. ესთეტიკურ მედცენტრ „შაინის“ სასაჩუქრე ვაუჩერთან ერთად, გამარჯვებულებს აჩუქეს „ეკო სუპერის“, „ეკო პრემიუმისა“ და „ეკო დიზელის“ უმაღლესი ხარისხის საწვავი.

3 მარტი „ვისოლ ჯგუფმა“, ფონდ „იავნანასთან“ერთად საქველმოქმედო აქციით აღნიშნა და შვილობილი კომპანიების - „ვისოლი“, სუპერმარკეტების ქსელში „სმარტი“ და ამერიკული რესტორნის ქსელ „ვენდის“ მთელი დღის შემოსავლით, მრავალშვილიან დედებს დაეხმარა. დღესასწაული ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში „ფონდ იავნანას“ საიუბილეო საქველმოქმედო კონცერტით დასრულდა, სადაც „ვისოლ ჯგუფმა“ ერთ-ერთ მრავალშვილიან ოჯახს საცხოვრებელი სახლის გასაღები გადასცა.

„ვისოლ ჯგუფის“ ვიცე-პრეზიდენტმა ვასილ ფხაკაძემ, ყველა დედას დედის დღე მიულოცა და საზოგადოებას მოუწოდა, მრავალშვილიანი დედების მიმართ სოლიდარობის გამოხატვის მიზნით, ეაქტიურათ და რაც შეიძლება მეტი პროდუქცია შეეძინათ, მათ შვილობილ კომპანიებში.

**ვასილ ფხაკაძე:** „ვისოლ ჯგუფის“ სახელით, კიდევ ერთხელ გვინდა ყველა დედას მივულოცოთ დედის დღე. გვინდოდა დღესასწაულად გვექცია მათთვის 3 მარტი, ვინც ჩვენს ქვეყანას მრავალი შვილი აჩუქა და წვლილი შეაქვს ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების საქმეში. ჩვენ ერთად ვქმნით უკეთეს მომავალს და დიდი მადლობა მინდა გადავუხადო „ვისოლის“, „სმარტის“ და „ვენდის“ ერთგულ მომხმარებელს, ვისთან ერთადაც ჩვენ მრავალშვილიან დედებს ფონდ „იავნანასთან“ ერთად დავეხმარეთ.

მინდა ამავდროულად, ფონდ „იავნანას“ მივულოცო 10 წლის იუბილე. მათ ვუსურვო უზარმაზარი სიკეთე, რომელიც მათ მთელი ამ წლების განმავლობაში გააკეთეს, კიდევ დიდხანს ეკეთებინოთ ქართველი დედებისთვის და მრავალშვილიანი ოჯახებისთვის. ამ ფონდის დაარსების დღიდან, ფონდთან ერთად ძალიან სერიოზული აქციები გავაკეთეთ. 3 მარტი, ვფიქრობ, თავისი შინაარსით გამორჩეული იყო. დილით ვეწვიე „ვისოლის“ ერთ-ერთ ბენზინგასამართ სადგურს, შევიძინე საწვავი, შემდეგ ჩემს ოჯახთან ერთად ვიყავი „სმარტის“ სუპერმარკეტების ერთ-ერთ მაღაზიაში და ასევე ვეწვიე ამერიკული რესტორნების ქსელ „ვენდის“ და იქაც გავუმასპინძლდი ჩემს ოჯახს და ჩემს მეგობრებს. თითქოს, ამაში უჩვეულო არაფერი იყო, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ იმ დღეს გაათმაგებული სიხარულით ვაკეთებდი ამ ყველაფერს, რადგან 3 მარტს „ვისოლ ჯგუფის“ ქსელის თითოეულ ობიექტში შემოსული თანხა მთლიანად გადაირიცხება ფონდ „იავნანაში“ და ჩვენ დავეხმარეთ მრავალშვილიან დედებს“.

სუპერმარკეტების ქსელ „სმარტში“ და ამერიკული რესტორნების ქსელ „ვენდი“-ში, მრავალშვილიანი დედების დასახმარებლად გაყიდვების წახალისებაზე, საზოგადოებისთვის ცნობილი მამაკაცები ზრუნავდნენ. „სმარტში“ კი, ყველა ქალბატონს სიურპრიზი და დედის დღესთან დაკავშირებული განსაკუთრებული შეთავაზებები დახვდათ.

Ⓐ



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ჭოლას“ „რომეო და ჯულიეტა“ ძველი ბიჭებით



**ლაშა ჩხარტიშვილი:** „ლევან წულაძე ამჯერადაც გამომგონებელ, ფანტაზიით მდიდარ და მოაზროვნე რეჟისორად გვევლინება, მაგრამ მოზარდმაყურებელთა თეატრის დასის ნაწილი, როგორც ჩანს, მზად არ აღმოჩნდა რეჟისორის კონცეფციის მაღალ მხატვრულ ხარისხში გადმოსაცემად“

## „არაფერი შეცვლილა, ყველაფერი ტრიალებს. როგორც იყო 400-500 წლის წინ, ისეა ახლაც“







**ლევან წულაძე: „რომეოსა და ჯულიეტას როლები თეატრალური თვალსაზრისით გაურყვნელ ახალგაზრდებს უნდა ეთამაშათ“**

### my View

**თამარ გონგაძე**

**„არაფერი არ იცვლება, ყველაფერი მეორდება, ყველაფერი წრეზე ბრუნავს“ - „რომეო და ჯულიეტაში“ წამყვანი ძველ ეგვიპტური, ჰაფესის პოეზიიდან კითხულობს ფრაზებს. ლევან წულაძეც მეოცე საუკუნის 20-იან წლებში გადმოტანილი შექსპირითა და ამ თავგანწირული მარადიული სიყვარულის თემით გვახსენებს, რომ სიყვარულს კონკრეტული ეპოქა და ეროვნება არ გააჩნია. მარადიულია შუღლიც, მტრობაც, ღვარძლიცა და სიკვდილიც, რომელიც ყველაფერს ჩამოწერს... ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდმაყურებელთა სახელმწიფო თეატრში 4 მარტს პრემიერა შედგა. ლევან წულაძემ „რომეო და ჯულიეტა“ ორ თვეში დადგა. მარადიული თემების ვიზუალური შეფუთვა ძალზედ ეფექტური და შთამბეჭდავია. მინდა სადადგმო ხელოვნება და სცენოგრაფია გამოვყო. სპეციალურად სპექტაკლისთვის შექმნილი მინის დეკორაცია თითქოს ცალკე პერსონაჟია, თამაშობს, ფუნქციებს იცვლის, ყველა სცენაში საჭიროა... ის სახლის, აივნის, ტაძრის, საწოლის, სადგურის ფუნქციასაც ითავსებს და თან ძალზედ შთამბეჭდავად. მეორე, რაც თვალში გხვდებათ, მონტეკების ტემპერამენტი და ერთგვარი ქუჩის ბიჭობაა. რეჟისორი გვიჩვენებს ჩვენთვის ძალზედ ნაცნობ და ახლობელ ქუჩას თავისი გარჩევებით, ჩხუბით, სამეგობრო ბირჟით... მონტეკებისა და კაპულეტების ქუჩური ჩხუბი და გარჩევა თავისუფლად მოგაგონებთ თბილისური ჩხუბების, თუნდაც ნახალოვკური გარჩევების სცენას. „საინტერესო ხედვაა. მომეწონა ის, რომ ტიბალტი, ბენვოლიო და მერკუციო ნამდვილი ძველი ბიჭები არიან. ამ ბიჭებს ვერონელებთან საერთო არ აქვთ. მათი ურთიერთობები ქართულია და საინტერესოდ გაკეთებული“, - თავის შთაბეჭდილებას გვიზიარებს ლანა ღოღობერიძე.**

რეჟისორს საინტერესო აქცენტები აქვს გაკეთებული. მაგალითად, სასულიერო პირის ფარული ცუღლუტობა - მონაზონთან სარეცელის გაყოფა. ლორენცოს გმირიც ემოციური, ტემპერამენტიანი და საინტერესოა. „მე კი არა, შექსპირს აქვს სასულიერო პირზე ამგვარი აქცენტი“, - გვეუბნება რეჟისორი. სახასიათოა კოტე თოლორდავას კაპულეტი. გარეგნული იმიჯის მიღმა ძარღვიანი სიცილიელი მაფიოზი იმზირება.

**კოტე თოლორდავა:** - ჩემი მიზანი იყო მთლიანად შეცვლა. თუ გარდავისახე, მიზნისთვის მიმიღწევია. კაპულეტის გახსნა მისი ხასიათის გახსნით დავიწყე. ლევანთან ჩემი გადაკვეთა პირველად მოხდა. ცუდი ის იყო, რომ პარალელურად სხვა რამესაც ვაკეთებდი. ეს ისეთი პიესაა, რომელსაც მთლიანად უნდა დაუთმო დრო. სამწუხაროდ, ამის ფუფუნება არ იყო.

ყველა ერთხმად გამოყოფდა ჯულიეტას და ძიძის როლის შემსრულებელ მსახიობებს. ჯულიეტას როლის შემსრულებელი 24 წლის თეკლა ჯავახაძეა. მოზარდმაყურებელთა თეატრში ქასთინგით მოხვდა. პირველი როლი ჯულიეტა აღმოჩნდა. ძალიან ემოციურად ითამაშა, გააზრებული აქვს როლი. ისე მიჰყვები მის ყველა ემოციას და ნაბიჯს, რომ არც ერთ მომენტში არ გინდება მიატოვო. რაც შეეხება ძიძას - ნათია კუპატაძემ სექსუალური, სისხლსავსე, ექსცენტრიკული სახე შექმნა. ერთ მომენტში ძეფირელის ეკრანიზაციის ძიძა გამახსენდა, იდუმალი და სახასიათო გარეგნობის. კუპატაძის ძიძა ყველა სცენაში დადებითად განგაწყობს მისადმი და მისგან აქტიურ, გადამწყვეტ ქმედებას ელოდები. ემოციურია და ბოლომდე იხარჯება მერკუციოს როლის შემსრულებელი დავით ხახიძე, ვანო დუგლაძის ტიბალტს კი ზუსტი საშემსრულებლო ტექნიკით გამოვარჩევდი.

**ლაშა ჩხარტიშვილი (თეატრის კრიტიკოსი):** სპექტაკლის დაწყებამდე იმაზე ვფიქრობდი, რას შემოგვთავაზებდა რეჟისორი ახალს, განსხვავებულს, ორიგინალურს და შევცდი. დამხვდა სრულიად განსხვავებული, არაორდინარული, ყველა ეპოქისთვის დამახასიათებელი მწვავე პრობლემების თანამედროვე აქცენტებით გაჯერებული სპექტაკლი, უცნაური, მომგებიანი, კრეატიულად გადაწყვეტილი სცენოგრაფიით (დამდგმელი მხატვარი ნინო სურგულაძე), რომელიც ცალკე პერსონაჟია. რადიკალურად ორიგინალური და განსხვავებული გადაწყვეტაა. ეს არ არის ჩვენი დღევანდელობა, მაგრამ ის აქცენტები, რომელსაც რეჟისორი სვამს, ძალიან აქტუალურია და თანამედროვედ ჟღერს. ვფიქრობ, მსახიობებს მეტი მუშაობა სჭირდებათ, რომ თავიანთი პერსონაჟები ნათლად წარმოადგინონ. გააზრება სჭირდებათ. ჯულიეტას და ძიძას როლების შესრულების გამოყოფა შემიძლია. წარმოდგენაში რამდენიმე მსახიობის (მათ შორის მთავარი გმირების) სქემატურ, უემოციო და გაუაზრებელ მხატვრულ სახეებს ვხვდებით. თვით რომეო (ნიკა ფაიქრიძე) ნოდარ დუმბაძის ზურიკელას პერსონაჟთან აღძრავს ასოციაციას. მსახიობს თითქოს არც აქვს გააზრებული ტრაგედიის არსი და პრობლემათა სიღრმე.

**- რატომ მაინცდამაინც ეს უკვდავი და მარადიული სიყვარულის ამბავი?**

**ლევან წულაძე:** - როდესაც ვფიქრობდით, რა სპექტაკლი უნდა დაგვედგა ახალგაზრდა თეატრში, მაშინვე „რომეო და ჯულიეტა“ ვიფიქრეთ. ეს ის თემა, რომელიც ამ თეატრში მაყურებელს აინტერესებს. ახალგაზრდული თემა და სპექტაკლია. შექსპირი იმდენჯერ იდგმება თანამედროვე დროში, რომ არაფერია ამაში სიახლე. ძველი ხერხია, პირიქით, შეიძლებოდა უფრო მეტი ნოვაცია ყოფილიყო. თვითონ შექსპირისთვისაც არ იყო მნიშვნელოვანი ეპოქის სიზუსტეები.

**- მთავარი გმირების შემსრულებლები როგორ შეარჩიეთ?**

- რომეოსა და ჯულიეტას როლები თეატრალური თვალსაზრისით გაურყვნელ ახალგაზრდებს უნდა ეთამაშათ. ამის მიუხედავად, მე მგონია ისინი არც ისე გამოუცდელები არიან. მგონი კარგად ითამაშეს.

**- თქვენი მთავარი სათქმელი მაინც ის არის, რომ საუკუნეების მანძილზე დედამიწაზე არაფერი შეცვლილა?**

- არაფერი შეცვლილა, ყველაფერი ტრიალებს. როგორც იყო 400-500 წლის წინ, ისეა ახლაც. პროლოგში მსახიობი 4 ათასი წლის წინ დაწერილ პოეტურ ნაწარმოებს კითხულობს, რომელიც დღესაც აქტუალურია. არაფერი შეცვლილა.

მსახიობების ემოციებით თუ ვიმსჯელებთ ახალი სპექტაკლით კმაყოფილები დარჩნენ.

**მანანა ბერიკაშვილი:** - საინტერესო დადგმაა. ძალიან მომწონს არტისტები, განსაკუთრებით ჯულიეტას და ძიძას როლების შემსრულებლები. შექსპირი ყველა საუკუნეში არაჩვეულებრივია. ჭოლასეულიც ძალიან საინტერესოა. მე კმაყოფილი ვარ.

**გიზო ჟორდანია:** - მიხარია მოზარდმაყურებელთა თეატრის ასეთი გამოცოცხლება. ჩემმა საყვარელმა რეჟისორმა ლევან წულაძემ „რომეო და ჯულიეტა“ ძალიან საინტერესოდ და თავისებურად დადგა. ეს სპექტაკლი მიდგომით არის ახალი. კონსტრუქცია, ფორმა, მიზანსცენირება ისეთია, რაც ლევანს ახასიათებს.

**მარინა კახიანი**: - მსახიობების თამაშით ვარ აღფრთოვანებული. მინდა მათ მივულოცო. „რომეო და ჯულიეტას“ უამრავი ვერსია გვაქვს ნანახი, მაგრამ ბატონმა ლევანმა საინტერესო ვერსია შემოგვთავაზა. ისედაც გაცოცხლდა მოზარდმაყურებელთა თეატრი.

**ქეთი ცხაკაია:** - თითქოს სიყვარულის თემა მოცვეთილია, მაგრამ - არა. სიყვარული სულ იქნება და მართლა წრეზე ბრუნავს ყველაფერი. ამოუწურავია. შთაბეჭდილების ქვეშ ვარ. სპექტაკლი არაჩვეულებრივი აქცენტებით არის გაკეთებული.

**კახი კავსაძე:** - ძალიან ნიჭიერად არის გაკეთებული. კარგი მოფიქრებული და გაკეთებულია, ნიჭიერობა ზეობს. ლანა ღოღობერიძეს ვეუბნებოდი, შექსპირი რომ ითამაშო, ძალიან დიდი გამოცდილება გინდა. რეჟისურაც თავდადებულია და მონაწილეებიც ბოლომდე დებენ თავიანთ თავს. სპექტაკლი იუმორშია, ცოცხალია, გმირები ჯანმრთელები არიან. რასაც ვხედავ, კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. ძალიან მომწონს.

ჯულიეტასგან კომენტარის აღება ძლივს მოვახერხე. სპექტაკლის შემდეგ მისგან ემოციურად დამუხტული კოლეგები ახალბედა მსახიობს კოცნიდნენ, ემოციებს უზიარებდნენ - შეუდარებელი იყავიო.

**თეკლა ჯავახაძე:** - რომ მითხრეს - თქვენ ხართ ჯულიეტას როლზე დამტკიცებულიო, ორსაათიანი პაუზა მქონდა. მეგონა, მეხუმრებოდნენ. ბატონ ლევანთან მუშაობა ძალიან მინდოდა. საოცარი სამუშაო პროცესი გვქონდა. როგორ აღმოვჩნდით ფინალამდე, დეტალებს ახლა ვიხსენებ. სპექტაკლი ახალი დაბადებულია, დღეს გავიარეთ ყველაფერი პირველად. კიდევ უფრო გავაუმჯობესებ.

**- მაინც, შენთვის რისი სიმბოლოა ჯულიეტა?**

- ჯულიეტა სიყვარულის, თავგანწირვის, სითამამის, თავდადების სიმბოლოა.

**ნათია კუპატაძე:** - გენიალური დრამატურგის უზრწყინვალეს პიესაში ყველა მსახიობი ქალის სანატრელ როლს - გადიას ვთამაშობ, თანაც უნიჭიერესი ლევან წულაძის რეჟისურით დადგმულ სპექტაკლში. ძალიან ბედნიერი ვარ. მე პირადად ასეთი შეგრძნება მგონი პირველად მაქვს ამდენი ხნის განმავლობაში. „რომეო და ჯულიეტას“ დადგმა რომ გადაწყდა, ლევანს მაშინვე უთქვამს, კუპატაძე ძიძას შეასრულებსო. მუშაობის დროს „მტარვალია“ ლევან წულაძე, ყოფა მიტირა. ხომ ეტყობა სპექტაკლს? მადლობა, რომ ეს როლი მათამაშა.

**ლევან წულაძე:** - ამან ჩემი სისხლი დალია. მეც დავლიე მისი სისხლი, სხვათა შორის. ნათია, ვთქვა? მისი დეკოლტე გაცილებით ღია იყო, მაგრამ მისი დონე ზევით ასწია, რითიც ძიძის ნახევარი ეფექტი მოკლა.

**- ბატონო ლევან, წონაში მოგიმატიათ. რისი ბრალია?**

- ამ თეატრში ძალიან პატივისცემაში ვიყავი. მოჰქონდათ საკონდიტრო ნაწარმი, ცომეული, ტკბილეული. თეატრში არაჩვეულებრივი ბუფეტია და ჩემი გასუქება ამის დამსახურებაა. უნდა გავხდე.

**- ახალ თეატრში?**

- ის საერთოდ ასკეტური თეატრია. ახლა ლაშა ბუღაძის „ნავიგატორის“ დადგმას ვიწყებ. უფრო სწორად, უნდა გავაგრძელო. დაწყებული მქონდა და „რომეო და ჯულიეტას“ გამო გავაჩერე. არაჩვეულებრივი თანამედროვე ქართული პიესაა. როლები უკვე განაწილებულია.











ლევან წულაძე ამჯერადაც გამომგონებელ, ფანტაზიით მდიდარ და მოაზროვნე რეჟისორად გვევლინება, მაგრამ მოზარდმაყურებელთა თეატრის დასის ნაწილი, როგორც ჩანს, მზად არ აღმოჩნდა რეჟისორის კონცეფციის მაღალ მხატვრულ ხარისხში გადმოსაცემად. მომეჩვენა, რომ არტისტული ანსამბლის სისუსტემ საგრძნობლად ავნო სპექტაკლის კონცეფცი-



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ქეთი მელუა ქმარს არ გაყრია

**my View**
თამარ გონგაძე













## მელუა მოსკოვში კონცერტს მართავს

**ქეთი მელუა თბილისში ერთი დღით იყო ჩამოსული. ორ მარტს ტვიტერში დაპოსტა - სახლში ვარ, აღელვებული! თბილისოოო! და ყვითელი სამარშრუტო ტაქსის ფოტო ატვირთა. ქეთი ტვიტერის აქტიური მომხმარებელია. ამ სოციალურ ქსელში თავის სამეგობროს ყველაფერს ცხლად უზიარებს. 3 მარტს ფონდ „ივანნას“ გამართულ საქველმოქმედო საიუბილეო კონცერტზე მესამედ მონაწილეობდა. პირველად 2005 წელს, ბერლინში, მეორედ 2008 წელს - თბილისში. ოთხი სიმღერა შეასრულა, თავისი განუყრელი გიტარით, მათ შორის ყველასთვის საყვარელი „Nine Million Bicycles“ და „I Cried For You“. ანსამბლ „შვიდკაცასთან“ ერთად ქეთიმ თავისი სიმღერები პირველად, შვიდი თვის წინ, ლონდონში, თავის კონცერტზე შეასრულა. 3 მარტს ფილარმონიის კონცერტზე 35-ე ნომრად გამოვიდა. დარწმუნებული ვარ, ყველა მის გამოსვლას ელოდა. თბილი, მშვიდი, ტკბილი ტემბრის გამო უყვართოო, მეგობარმა გადმომიჩურჩულა. ბრიტანეთის დედოფლის ფავორიტიც ამიტომ იქნებაო... სამი სიმღერის შესრულების შემდეგ პაატა ბურჭულაძემ კულისებისკენ მიმავალი მელუა სცენაზე მიაბრუნა და მეოთხე სიმღერა ამღერა. მერე კულისებში ვნახე. საფინალო სიმღერას ვიმღერებ და მერე ჩამწერეო, შემითანხმდა. ძალიან უშუალო, გახსნილი და თავისუფალია. ფოტოებს იღებდა და ყველას ულიმოდა. პირობა უსიტყვოდ და შეხსენების გარეშე შეასრულა - დედას უთხრა, ინტერვიუ დავპირდი და ცოტა ხანში წამოვალო.**

**- ქეთი, ბოლოს როდის იყავი სამშობლოში?**

- მე საქართველოში დასასვენებლად ყოველთვის ჩამოვდივარ. ნათესავები მყავს თბილისში, ბათუმში... ძალიან მიყვარს საქართველო. რამდენიმე თვის წინ ჩამოვედი, ვარძიაში ვიყავით. უძველესი ფრესკების გადარჩენის პროექტს მხარს ვუჭერ და ბრიტანეთში საქველმოქმედო კონცერტი ჩავატარე. ძალიან ვისიამოვნე და საერთოდ ვარძიის პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია. იციით, რა არის ყველაზე საინტერესო - „არტის გალერეა“ ეძებს ქართველ სტუდენტებს, რათა მათ ფრესკების დიაგნოსტირება და კონსერვაცია ასწავლონ. უნდათ მომავალმა თაობამ ეს საქმე იცოდეს.

**- ქეთი ტურნედან ჩამოხვედი?**

- ტურნეს, სამ კვირაში, მოსკოვიდან ვიწყებ. მერე მივდივარ ესპანეთში, გერმანიაში, საფრანგეთში...

**- მოსკოვში კრემლში ხომ არ იმღერებ?**

- არა, კრემლში არ ვმღერი, 23 მარტს „კროკუს სითი ჰოლში“ მაქვს კონცერტი.

**- როგორია შენი დამოკიდებულება იმ დაძაბულ სიტუაციასთან დაკავშირებით, რაც ახლა რუსეთსა და უკრაინას შორის არსებობს?**

- ძალიან ძნელია, არც ვიცი, რა ვთქვა. მაგრამ მე მუსიკოსი ვარ და ვცდილობ პოლიტიკაში არასდროს ჩავერიო.

**- ბოლოს რა სიმღერა დაწერე?**

- ჩემს ბოლო ალბომს ჰქვია „ქეთევანი“. მასში შესული სიმღერა „I Never Fall“ ჩემი ბოლო სიმღერაა. ქართული კონტექსტით ცუდად ითარგმნება - არასდროს ვვარდები. ინგლისურში არის გამოთქმა „Falling in Love“, შეყვარება და სიმღერაში მეც ამ პატარა ფრაზით ვთამაშობ, რატომ ვარდება ადამიანი სიყვარულში, რატომ უყვარდება.

**- შენც ხომ ძალიან შეყვარებული ხარ.**

- რა თქმა უნდა, ორი წლის წინ გავთხოვდი და ძალიან შეყვარებული ვარ.





## „ორი წლის წინ გავთხოვდი და ძალიან შეყვარებული ვარ“

თბილისში ჭორები გავრცელდა - ქეთი მელუა ქმარს გაეყარაო. თუმცა ქეთის ბოლო პასუხმა ეს ჭორი უარყო. მას ქმრის ხსენებისას თვალები გაუბრწყინდა. მომღერალი ტვიტერზე ქმარზეც ხშირად წერს. იმ დროს როცა თბილისში მათ გაყრაზე ჭორაობდნენ, წყვილი ახალ წელს ტაილანდში იმყოფებოდა. ბანკოკის ფოტოები უდევს. ნამდვილი სამოთხეაო, წერს. ერთ-ერთი ბოლო პოსტი ბოქსში თავისი პირველი გაკვეთილის შესახებ უდევს და ფოტო აქვს დართული, როგორ ავარჯიშებს ტრენერი. იქვე ჯეიმს ტოსლენდი კომენტარს დებს: „მე კუთხეში ვიდექი პირსახოცითა და წყლით“. საშობაოდ მომღერალს ასეთი რამ უწერია: „ეს რა კვირაა. ჯერ საფრანგეთში წავედით ჯეიმსის მაჯის ოპერაციის გასაკეთებლად, მადლობა ღმერთს, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. მაგრამ ჩამოვედით და მანქანა გატეხილი დაგვხვდა. რა ცუდი შობაა...“ „ჩემმა მეუღლემ ქარტინგზე წამიყვანა. ჩემი შედეგით მთლად კმაყოფილი ვერ დარჩა.“ „ძალიან ძალიან ბედნიერი! ტოსლენდის პირველი სინგლი „Crash Landing“-ი გამოვიდა!“ „დაბადების დღე და ალბომი, რა მაგარი დღეა დღეს! - Mac Ruby Woo“-ს პომადა და ქლაჩი მეგობრისგან“. „დღეს ტოსლენდთან ერთად ვიცეკვებ და ვიხტუნავებ“. „ჯეიმს, მზად ხარ ხვალ ჩვენი პირველი გადმოხტომისთვის?“ „დაბადებიდან მზად ვარ“, - პასუხობს ჯეიმსი. „ჯეიმსი ლონდონის მარათონში მონაწილეობს. წარმატებები. მე სადილს ვუმზადებ. იტალიიდან ზეითუნის ზეთი უნდა ჩამოვიტანო“. „საყვარელო, სამი საათი და სამი წუთი! წარმოუდგენელი შრომა მარათონზე“. „ამაყი ცოლი ვარ, ჯეიმსის პირველი ვიდეოკლიპი გამოვიდა და მის ოფიციალურ გვერდზე დევს“. ჯეიმსი ცნობილია თავისი საქველმოქმედო კონცერტებით. მას ტვიტერზე ცოლი მხარს უჭერს და პიარში ეხმარება. „ხვალ გულის ამაჩუყებელი საქველმოქმედო საღამო ტარდება შეფილდის საბავშვო საავადმყოფოში. დაესწარით“. „ბუკინგემის სასახლეში ორი სიმღერა უნდა ვიმღერო“. „დედასთან ერთად ძველი, დავიწყებული ფოტოები ვნახე. სამხრეთ ამერიკის აკვარიუმში დაივინგისას გადაღებული მე და კუ“. „ერიკ კლეპტონის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ კორნელ ემპის უპირატესობას ვანიჭებ“. „ამაღამ ბარბარა სტრეიზანდის კონცერტზე მივდივარ“. „გლობუსში“ მარჯანიშვილის თეატრის დადგმული შექსპირი ვნახე. მომინდა შემდეგი ბილეთი საქართველოსკენ მიმავალი იყოს. მენატრები თბილისო...“

ქეთის და ჯეიმსის სიყვარულის ისტორიასა და ქორწინებაზე ქართულმა საზოგადოებამ „პრაიმტაიმიდან“ შეიტყო. ჯეიმსმა ორჯერ მოგვცა ექსკლუზიური ინტერვიუ. მას ძალიან აინტერესებს საქართველო, ის დაუსწრებლად უყვარს და ჩამოსვლა სურს. „ქეთი ძალიან გემრიელ ხაჭაპურს აცხობს. დედამისი უგემრიელეს ქართულ კერძებს გვიმზადებს. ვიცი ტრადიციების ქვეყანა ხართ. მეც ტრადიციული ოჯახიდან ვარ. მინდა თქვენთან ჩამოსვლა“, - ადრე გვითხრა ჯეიმსმა. ქეთისთან ამჯერად ამ მოკლე ინტერვიუს საშუალება მომეცა და ვერ მოვასწარი იმის კითხვა, თუ როდის გვასტუმრებდა ბრიტანელ სიძეს.



„ამაყი ცოლი ვარ, ჯეიმსის პირველი ვიდეოკლიპი გამოვიდა და მის ოფიციალურ გვერდზე დევს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ახალი ბენდი „ბრავო რექორდსისგან“ - „THE GROOVE“

**my View**
თამარ გონგაძე




**„THE GROOVE“ ასე ჰქვია ინგლისურენოვან ბენდს, რომელიც მედიას „ბრავო რექორდსმა“ გასულ კვირას წარგვიდგინა. ჯგუფის ხელმძღვანელი და ნათლია გიორგი ვახტანგიშვილია, რომლის სიმღერებსაც ბენდი მღერის. ის „THE GROOVE“-ის რითმგიტარისტია. ჯგუფის ვოკალისტები ჯეოსტარელი - ანი კეკუა და გიორგი მეფისაშვილი არიან. „ბენდში სხვადასხვა პროფესიის უცნაური ხალხია შეკრებილი (მხატვარი, აუდიტორი, ფინანსისტი, მშენებელი), რაც მათ მუსიკაზე აისახება“ - აცხადებს ზაზა შენგელია, „ბრავო რექორდსის“ დამფუძნებელი.**

ალბომში შესული 12 კომპოზიციიდან თქვენ მოისმენთ როკსაც, ჯაზსაც, ფანკსაც, ჩილაუთსაც... ბენდმა ჟურნალისტებისთვის ორი სიმღერა შეასრულა. მინდა გითხრათ, რომ არაქართული ინგლისურით ნამღერი კომპოზიციები მოვისმინეთ. მე პირადად სიმღერებმა ამერიკული ფილმების საუნდთრეკების შთაბეჭდილება დამიტოვა. განსხვავებულ სურნელს ატრიალებს და კარგ განწყობაზე გაყენებს. ჯგუფის სიმღერების ავტორის მიზანიც ეგ არის.

**გიორგი ვახტანგიშვილი:** „ალბომს „მედიტაცია“ ჰქვია. ჩვენი სიმღერები ცხოვრების ხალისს მატებს. THE GROOVE-ის მსმენელი ის ადამიანია, ვისაც მობეზრებული აქვს ძველი მელოდიები და დაღლილია ქავერებისგან. ტექსტი მელოდიასთან ჰარმონიაშია. ვფიქრობ, უნდა მოეწონოთ.

**- რაზე მღერით?**

- სიმღერები უბრალოდ სიმღერის შექმნისთვის არ დამიწერია. ყველა მათგანი ემოციური მდგომარეობის დროს დაიწერა, კონკრეტულ ამბებს უკავშირდება. ვმღერით დაწყებული „ფორესტგამპიდან“ „მედიტაციით“ დამთავრებული - ასეთ თემებზე. 5 წლის წინ ვნახე ფილმი „Forrest Gump“-ი. ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა გმირმა. და მაშინ დავწერე ეს სიმღერა, რომელიც ერთ-ერთი პირველია. იმ დროს ვერ ვხვდებოდი, რომ სიმღერის წერა გამომდის. ამაში გიორგი მეფისაშვილთან შეხვედრის მერე დავრწმუნდი.

შეხვედრა კი კურიოზული აღმოჩნდა.

**გიორგი მეფისაშვილი:** - მე აუდიტორი გახლავართ. არც ერთ კომპანიაში არ ვარ სასურველი სტუმარი. ერთხელაც შემოწმებაზე მოვხვდი გიორგი ვახტანგიშვილის კაბინეტში. მე სიმღერებს ვწერო, მითხრა. ეჭვი გამიჩნდა, ეს, ალბათ, ქრთამის ახალი სახეობაა-მეთქი:) აღმოჩნდა, რომ გიორგი მხოლოდ ფინანსისტი არ არის...

გიორგი მეფისაშვილისა და ანი კეკუას მეგობრობა კი სათავეს „ჯეოსტარიდან“ იღებს. რამდენიმე თვეა მეგობრობამ ერთ ბენდში შეყარა მომღერლები.

ანი სამი წლით შვედეთში, ქალაქ Jankaping-ში საერთაშორისო მენეჯმენტზე სწავლობდა. სამშობლოში შარშან ზაფხულში დაბრუნდა. მას ვახტანგიშვილის სიმღერებს მეფისაშვილი ინტერნეტით უგზავნიდა და ასმენინებდა.

**ანი კეკუა:** „ვიცოდი, რომ ჯგუფის ჩამოყალიბების პროცესში იყვნენ. მინდოდა, რომ განსხვავებული მეკეთებინა. ეს სიმღერები მართლა მაძლევს თავის რეალიზების საშუალებას. დიდი შრომა ჩავდეთ პროგრამაში. რომ ჩამოვედი, სტუდიაში ბიჭებს ბექების ჩაწერაში მივეხმარე. აღმოჩნდა, რომ გიორგი ვახტანგიშვილს მოვეწონე.

ის სამი წელი სიმღერა ძალიან მენატრებოდა, დეპრესია მქონდა. იქ დრო უფრო დავაფასე, რასაც აქ უქმად ვხარჯავდი. მე და გიორგის ისეთი მეგობრობა გვაქვს, რომ შემიძლია შენიშვნებიც ვუთხრა, ვუყვირო კიდეც. რჩევებს ვაძლევთ და ეს არც ერთს არ გვეხამუშება“.











**გიორგი ვახტანგიშვილი: „THE GROOVE“-ის მსმენელი ის ადამიანია, ვისაც მობეზრებული აქვს ძველი მელოდიები და დაღლილია ქავერებისგან“**






**- დუეტებიც გაქვთ?**

- ხუთი დუეტი გვაქვს.

**- შენს პირადში რა ხდება?**

- მეხუთე წელია მე და გიორგი გოგბაიძე შეყვარებულები ვართ. მაგრამ ჯერ არაფერს ვაპირებთ. კავკასიის უნივერსიტეტში ბიზნეს ადმინისტრაციაზე ერთად ვსწავლობდით. მერე მე შვედეთში წავედი და წელიწადში ორჯერ ჩამოვდიოდი. გიორგიმ „ურბანში“ მოისმინა ჩვენი ბენდის სიმღერები და თანამედროვე და კარგი მოსასმენიაო, მითხრა.

**გიორგი მეფისაშვილი:** „ანი შემოვიტყუეთ ბენდში. გიორგის ისეთი სიმღერები ჰქონდა, რასაც მე ფიზიკურად ვერ ვიმღერებდი. ქალის ვოკალისთვის არის დაწერილი. ვინ შეასრულებდა თუ არა ჩემი მეგობარი ანი კეკუა. პირველ ჩაწერაზე მოვიდა, ბექების ჩაწერით დაიწყო და დღეს უკვე თანაბარი რაოდენობის სიმღერები გვაქვს პროგრამაში“.

ბენდის სადებიუტო ალმობს ჰქვია „MEDITATE“ - „მედიტაცია“. ალბომში შესულია 12 სიმღერა, მეორე სიდიზე კი მათ სიმღერა - „Run, Forest, Run“-ზე ბასა ფოცხიშვილის გადაღებული კლიპია განთავსებული.

**ზაზა შენგელია:** „ალბომი მრავალფეროვანია, ყველა მიმდინარეობის მუსიკალური ნაწარმოებია შიგნით. ეს სწორი მიდგომაა. როცა ბენდი იწყებს მოღვაწეობას, ძნელია იმ კუთხის მოძებნა, რითიც პირველად უნდა გამოვიდეს ბაზარზე. ჯგუფი განსხვავებულია სიმღერების ტექსტების თვალსაზრისითაც. სიყვარულზე გატკეპნილი ტექსტებით კი არ მღერიან, არამედ სოციალურად აქტიურ თემებზე. „ბრავოს“ არსებობის ისტორიაში ეს პირველი ჯგუფია, რომელზეც არაკომერციული მიდგომით ვიმუშავეთ“.

ალბომის გაყიდვა 8 მარტს ჯგუფის კონცერტზე დაიწყო. „THE GROOVE“-მა სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში საოცრად შთამბეჭდავი კონცერტი ჩაატარა. დადგმა, სცენოგრაფია, ვიდეორგოლები - კონცერტს ორგანულად ერწყმოდა და მას განსხვავებულ ელფერს სძენდა.

„დღეს შოუბიზნესი არ არსებობს, მაგრამ „THE GROOVE“-ის მაგალითით გვინდა, რომ ახალგაზრდებს ვაჩვენოთ - ხელები არ ჩამოყარონ. იმუშაონ. სამწუხაროდ, ყველას ვერ მივეხმარებით, მაგრამ ვაჩვენებთ, რომ ხელების ჩამოშვება სწორი არ არის“, - ამბობს ზაზა შენგელია.

გიორგი ვახტანგიშვილი უკრაინაში ცხოვრობდა. სიმღერას რომ წერდა, ამის შესახებ მხოლოდ მისმა ოჯახის წევრებმა იცოდნენ.

**გიორგი მეფისაშვილი:** „ჩვენი ტანდემი შედგა და ბენდიც შევადგინეთ. ძალიან დაგვეხმარა „ბრავოს“ სტუდია. რამდენიმე სიმღერა „სანოს“ სტუდიაში ჩაიწერა.

**- „THE GROOVE“ ითარგმნება, როგორც „მუღამში ყოფნა“. რა მუღამი აქვს ამ ალბომს?**

- მისი მუღამი მის მრავალფეროვნებაშია. 12 კომპოზიციიდან ვერ იტყვი, რომ მისი შემსრულებელი ერთი ბენდია.

**გიორგი ვახტანგიშვილი:** - რომ არა „ბრავო“, ჩვენ არც ალბომი გვექნებოდა, არც კონცერტი. ეს ალბომი ექსპერიმენტულია, რადგანაც ერთი კონკრეტული ჟანრობრივი მიმართულება არ აქვს. სხვადასხვა ჟანრის მოყვარულ მსმენელზეა გათვლილი. ჩვენ სიმღერებში ემოციური ტექსტია ჩადებული, საკმაოდ მრავალფეროვანი, რიტმული და ჟანრობრივი სექციები, რაც მსმენელს, დარწმუნებული ვარ, დიდ სიამოვნებას მიანიჭებს.

ბენდის დანარჩენი წევრები არიან: სოლო გიტარა - ირაკლი გაფრინდაშვილი, ბასი - ლევან მიქაბერიძე, დრამი - გიორგი გვანცელაძე, კლავიში - პაპუნა შარიქაძე. პაპუნა ანიმ მიიყვანა ბენდში. შარიქაძეს კონცერტ „სხვა ყანჩელის“ მაყურებელი კარგად იცნობს. ორი თვეა პაპუნა ბენდთან ერთად მუშაობს. ბენდი „ბედ ლაუნჯთან“ თანამშრომლობს.

„მომწონს ის მუსიკა, რასაც უკრავენ. ეს არის იმის მიზეზი, რომ ამ ბენდში გავჩერდი. ჩემი აზრით, გიორგი ვახტანგიშვილმა საინტერესო თანამედროვე მუსიკა შექმნა“, - ამბობს პიანისტი.

**ზაზა შენგელია:** - 8 მარტს ჩატარებული კონცერტი გასაცნობი ხასიათის იყო. „ბრავოს“ დამკვიდრებული სტანდარტებით ყველა ახალგამოშვებული ალბომის საპრეზენტაციო ნაწილი კონცერტის მეშვეობით ხორციელდება. ამ ჯგუფის ცნობადობა უნდა გავზარდოთ ხალხში. ამის მერე დაიწყება ტურნეები და ყველაფერი, რაც ჯგუფის შემდგომი მარკეტინგისთვისაა აუცილებელი.








© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ნიაზ დიასამიძე დაუთვლელი კონცერტების რეტროსპექტივით

**EXCLUSIVE**

## my View
### თამარ გონგაძე

**ძალიან ინტელექტუალური მუსიკის ავტორია. აქ მელოდიასთან ერთად სიმღერის ტექსტსაც ვგულისხმობ. მისი სიმღერა იწყება თუ არა, ხელწერაზე ცნობ - ეს ნიაზია, ფერადი, ხავერდოვანი, საქართველოს მთებივით ამაყი და დიდი ენერგეტიკის მატარებელი. მისი მოსმენისას, მე პირადად, პატრიოტიზმის განცდა მიძლიერდება, ძარღვი და მუხტი გადმოდის. განსაკუთრებით მიყვარს ფილმში რომ გაიჟღერებს ნიაზის მუსიკა. ბოლოს „მანდარინებში“ ვისიამოვნე. თურმე მას უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს კინოში მუშაობა. 8 მარტსაც მისთვის ჩვეული ძარღვიანი კონცერტი ჩაატარა. ორსაათიანი, ერთ ამოსუნთქვაში. არ ითვლის, არც კონცერტს, არც სიმღერას, არც ეტაპებს არქმევს სახელებს. ამ კონცერტს თავისთვის „რეტროსპექტივა“ უწოდა. ახლა მერვე ალბომზე მუშაობს. კონცერტზე ამ ალბომიდან ორი სიმღერა შეასრულა. ამ ალბომის პრეზენტაციას „არტ გენზე“ გეგმავს. წინა ალბომი 10 ოქტომბერს გამოუშვა, სახელად „უსახელოური“. იცვლება რაღაცები, ჯგუფის წევრები ინსტრუმენტებთან ვცვლით ადგილებს, მაგრამ არის მარცვალი, რაც არასდროს იცვლება და ეს გემოვნებააო, ამბობს.**

> „ყოველთვის იმ ხალხის გვერდში ვიქნები, რომელსაც უჭირს და აშკარად ჩაგრავენ. ვისაც ჩაგრავენ, რა ფორმითაც შეგეძლება გვერდში უნდა ედგე“

> „სახელების დარქმევა არ მიყვარს. ჩემს ჯგუფსაც ამიტომ ჰქვია მისამართი“










> „საბოლოო ჯამში დედამიწის შვილები ვართ ყველანი. დიდი მასშტაბი რომ ავიღოთ და მთვარესაც რომ გავცდეთ, ბოლოს ვერ ვიპოვით. მივხვდებით, რომ მაინც ყველაზე დიდი, რასაც შეიძლება მიაღწიო, არის ერთმანეთის პატივისცემა, სიყვარული და გვერდში დგომა“




**- ნიაზ, 8 მარტი დაემთხვა თუ გინდოდათ სუსტი სქესისთვის მიგეძღვნათ ეს კონცერტი?**

- დაემთხვა. კონცერტი ყველას მივუძღვენი, მით უმეტეს ქალბატონებს. 8 მარტი პოპულარული რიცხვი რომ არის, ყველამ ვიცით. როგორ დოკუმენტურადაც არ უნდა განიხილო - კომუნისტურია თუ კაპიტალისტურია, არ მაინტერესებს. კარგია, როცა ქალების დღე ჰქვია დღეს.

**- იმღერეთ თითქმის ყველა ჰიტი მთელი შემოქმედებიდან. რა კრიტერიუმით შეარჩიეთ ისინი?**

- ყველაფერს ვერ ვიმღერებდი. ყველა ალბომიდან რამდენიმე სიმღერა ავირჩიე, სულ 20 სიმღერა. საერთოდ, ერთია რას დაგეგმავ, მეორეა, კონცერტი რას „მოგთხოვს“. ყოველთვის ისე არ მიდის კონცერტი, როგორც დაგეგმავ.

**- ალბომიდან, რომელზეც ახლა მუშაობთ, შეასრულეთ სიმღერა „ხევსურული“. რატომ გამოარჩიეთ ეს კუთხე?**

- ჩვენი სამშობლოს მოტივები ყველა ერთადაა ჩვენში. ჩვენ მუსიკაში ასე გამოვხატავთ. სხვები სხვანაირად გამოხატავენ. კუთხეები ჩემშიც ერთად არის. ამჯერად „ხევსურული“ დავარქვი.

**- ანუ მხოლოდ აჭარელი არ ხართ.**

- მე ამ განწყობით ვცხოვრობ. ჩემთვის საქართველოა ყველგან, სადაც საქართველოა. იმერეთში ვგრძნობ, რომ იმერელი ვარ, კახეთში ვგრძნობ, რომ კახელი ვარ. რაც ჩემი გვარია, ის თავისთავად რჩება ყოველთვის. მუსიკა იმისთვის არის მუსიკა, რომ ერთიანობა გამოხატოს.

**- თქვენში ფრანგული სისხლიც არის და ფრანგი როდის ხართ?**

- იმავე მომენტში, ეგ ყველაფერი პარალელურია. მთავარია, ვიყოთ ადამიანები და გვიყვარდეს ერთმანეთი. საბოლოო ჯამში დედამიწის შვილები ვართ ყველანი. დიდი მასშტაბი რომ ავიღოთ და მთვარესაც რომ გავცდეთ, ბოლოს ვერ ვიპოვით. მივხვდებით, რომ მაინც ყველაზე დიდი, რასაც შეიძლება მიაღწიო, არის ერთმანეთის პატივისცემა, სიყვარული და გვერდში დგომა.

**- ქართველებს რომ არ გამოგვდის გვერდში დგომა?**

- მანდაც გლობალურად ვიტყოდი. ეს მარტო ქართული პრობლემა არ არის, საერთოდ ადამიანურია. ისტორია ხომ მიმდინარეობს, ისტორიის რაღაც ნაწილში ზოგ ქვეყანას ეს პრობლემა აქვს, პარალელურ რეჟიმში სხვა ქვეყანას სხვა პრობლემა აქვს. პრობლემები ცვალებადია და ალბათ, ყველას გავლილი აქვს ის ეიფორია, რაც ჩვენ დღეს გვაქვს. სიტყვა ეიფორია უხდება ჩვენს დღევანდელ სიტუაციას. მთავარი, ალბათ, მაინც საბავშვო ბაღიდან იწყება. მთავარი ღირებულებების ჩამოყალიბება იქ ხდება, რომელიც მერე გზაზე დაგროვილ ინფორმაციასთან ერთად იხვეწება. ბოლო წლებში ზუსტი მარცვალი ვერ ჩავდეთ და ამიტომაც გაფანტული სიტუაციაა. მჯერა ამ ყველაფერს მოვერევით და გავძლიერდებით იმისთვის, რომ ერთად ვიყოთ და სხვა ქვეყნებს უყვარდეთ ჩვენთან მოსვლა. ამ ყველაფერთან ერთად მთავარი თავისუფლებაა. ყველა ერი თავისი პრობლემის წინაშე დგას. ჩვენი ერის პრობლემა თავისუფლების წყურვილია, რომელშიც ხელს კონკრეტული მტერი გვიშლის. ამის წინაშე ვდგავართ. სიყვარულში სოლიდარობას ვგულისხმობ. სიყვარულს თავისი შინაარსი სჭირდება. მთავარია, ერთმანეთის სოლიდარობა და ყველა იმ ადამიანის, ვინც ჩვენდაგვარ პრობლემებშია.

**- „იავნანას“ საქველმოქმედო კონცერტზე სიმღერა უკრაინელებს მიუძღვენით...**

- თავისთავად. ეს რომ არ გაწუხებდეს, ვერც წარმომიდგენია. ბუნებრივი მგონია. ყოველთვის იმ ხალხის გვერდში ვიქნები, რომელსაც უჭირს და აშკარად ჩაგრავენ. კაპრიზის გამო კი არ „უჭირს“, ჩაგრავენ და ამიტომ უჭირს. ვისაც ჩაგრავენ, რა ფორმითაც შეგეძლება გვერდში უნდა ედგე.

**- ფილმი „მანდარინები“ გამახსენდა (რომელშიც თქვენი მუსიკა ჟღერს) - ომზე, კონფლიქტზე, ადამიანურ ღირებულებებზე. ფილმებზე მუშაობაზე რას იტყვით?**

- ფილმებზე მუშაობა ჩემთვის ერთ-ერთი საყვარელი მუსიკალური განხრაა. კონცერტი სხვაა, სტუდია სხვა, კინომუსიკაზე მუშაობა მაგრად მიყვარს. მუსიკას რამდენიმე ტიპთან ერთად აკეთებ, კინოში გემატება რეჟისორი, რომელიც თავისი ხედვით მოდის და ვიზუალური მასალა მოაქვს, სადაც პრობლემები გამოხატა. მაგარი რამეა რეჟისორის და კომპოზიტორის ხედვის და განცდის გაერთიანება. სამუშაოდ ძალიან კარგია. „მანდარინების“ შემდეგ მხატვრულ-დოკუმენტურ ფილმზე ვიმუშავე - „ვინ მოკლა ილია“. ალბათ, პრემიერა მალე იქნება. ფილმის რეჟისორი და სცენარის ავტორი შსს-ს არქივის თანამშრომელი მიხეილ ბერინაშვილია. შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივმა უწყების სხვა სტრუქტურული დანაყოფების დახმარებით გადაიღო ფილმი. სადღაც ორსაათიანი ფილმია. ორი კვირაა რაც დავამთავრეთ მასზე მუშაობა. დოკუმენტური ფილმი კიდევ უფრო განსხვავებული სამუშაოა. კიდევ ახალი ეტაპია. სხვა რიტმია, სხვა ფორმაა. ალბათ, თორმეტამდე მხატვრული ფილმი მაქვს მუსიკალურად გაფორმებული. იმედია, კიდევ ბევრ ფილმზე ვიმუშავებ.

**- ახალი ალბომი როგორი სიმღერებით იქნება სავსე?**

- წინა ალბომისგან განსხვავებით ოდნავ მეტი მაჟორული ნოტი იქნება, მაგრამ მინორთან შეზავებულად. მინორი მოწყენილობას არ ნიშნავს. მინორს თავისი განწყობა აქვს, მაჟორს - თავისი. სინამდვილეში ამათი ტანდემია მუსიკა.

**- რას დააქრმევთ ამ ეტაპს თქვენს შემოქმედებაში?**

- სახელების დარქმევა არ მიყვარს. ჩემს ჯგუფსაც ამიტომ ჰქვია მისამართი, სიმღერებსაც მარტივად ვარქმევ სახელს. სიმღერაზე და მის ტექსტზე ფიქრი მიყვარს, სახელზე ფიქრი - არა. ეტაპები ცხოვრებასთან არის დაკავშირებული და საინტერესოა როგორც ცხოვრება. მუსიკას ჩემს ძმაკაცებთან ერთად ვაკეთებ და მაგრად გვიყვარს. ვცდილობთ იმ მომენტში რა განწყობაზეც ვართ, როგორც ვაფასებთ და ვფიქრობთ, ის გამოვხატოთ ჩვენ მუსიკაში. გვერდიდან რომ შეხედო, ეს ტექნიკურად ბევრი ძიებაა.

**- სიმღერა „მაია“, რომელიც მეუღლეზეა არ შეგისრულებიათ დიდი ხანია. რატომ?**

- ეგ სიმღერა მაგრად მიყვარს. პირადი რამეა და ჩემი ინიციატივით იშვიათად მიმღერია. „არტ გენზე“ მეგობრული კონცერტები ტარდება და როცა იქ გთხოვენ, შეიძლება იმღერო. ეს სიმღერა „ზუმბალენდისაა“. მათი დაწერილია. ჩემს სტუდიაში წერდნენ და რომ მოვისმინე, უცებ მომინდა მაიასთვის მემღერა და ტექსტი შევცვალე. ბაია მაიათი შევცვალე. მე თუ მინდა ჩემს საყვარელ ადამიანს ვუმღერო, აუცილებელი არ არის ერთი კონკრეტული სიმღერით შემოვიფარგლო.

**- შვილებს გამოჰყვათ თქვენი მუსიკალური ნიჭი?**

- ჩემგან რა გამოჰყვათ?! ყველა ადამიანს თავისი ნიჭი აქვს. ჩვენ რომ ვერ შევედრებით ისეთი გენიოსების შვილებს საერთოდაც არ დაუკრავთ. ადამიანს თუ აქვს, თავისი მუსიკა აქვს, ეს გამოყოლა არ არის. ხელს თუ შეუწყობ, უკეთესია. ჩემს 6 წლის ანდრიას უყვარს კლავიშებთან „თამაში“, დაკვრა. 13 წლის თემურიკოს დასარტყამი ინსტრუმენტები უყვარს. სახლში ერთად ვუკრავთ, ვერთობით. კიდევ ერთი ახალგაზრდული ჯგუფი გვყავს. ნელ-ნელა ვავითარებთ მაგ მიმართულებას. „33 ა“-ც ჩემი ოჯახია. მე რომ მუსიკის დაკვრა დავიწყე, კაკი და შოთა - დასარტყამის მუსიკოსები 12 წლისანი იყვნენ. შოთა ჩემი ბიძაშვილია, ანუ „33 ა“-შიც, რომ გადახედოთ, ოჯახური სიტუაციაა. ერთად გავიზარდეთ. მერე ასაკი ქრება და შრომა მიდის...

> „ჩემს 6 წლის ანდრიას უყვარს კლავიშებთან „თამაში“, დაკვრა. 13 წლის თემურიკოს დასარტყამი ინსტრუმენტები უყვარს. სახლში ერთად ვუკრავთ, ვერთობით“








მუსიკოსს სახლშიც ჯგუფი ჰყავს

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება





თამარ გონგაძე

# „ტრუსები“ - სკანდალური სპექტაკლი ახმეტელის თეატრში

**ახმეტელის თეატრმა, ერთი კვირის წინ, ევროპაში ცნობილი სკანდალური დრამატურგის - პაველ პრიაჟკოს პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლის - „ტრუსების“ პრემიერა წარმოადგინა. სპექტაკლი ესტონელმა რეჟისორმა კალევ კუდუმ, ქართველ მსახიობებთან ერთად, ორ კვირაში დადგა. „ტრუსებს“ ისეთი რეკლამა გაუკეთდა, მეგონა, სცენაზე რაღაც საოცრება მოხდებოდა. 18 წლამდე მოზარდები არ დაიშვებიანო, გაგვაფრთხილეს. ბელორუსიაში სპექტაკლი თეატრებში არ აჩვენებინეს და ბოლოს სტრიპტიზბარში ითამაშეს. რეჟისორმა ჩვენთან ინტერვიუში აღნიშნა, რომ სპექტაკლი წელიწად-ნახევრის წინ დადგა. „ვფიქრობდით, რომ საქართველოში მსგავსი სპექტაკლი არ დაედგათ და ამიტომაც გადავწყვიტეთ მისი აქ დადგმა. მინსკში სკანდალი მოჰყვა. ნინას გმირი სულ შიშველი თამაშობს. სკანდალიც ამის გამო იყო. ამ დროს ეს გმირი ტრაგიკული პერსონაჟია. გვინდა ესტონეთშიც ვაჩვენოთ“,- გვითხრა კალევ კუდუმ.**

ქართულ თეატრალურ სივრცეში ნინას როლის შესასრულებლად მხოლოდ სოფია სებისკვერაძე დაიყოლიეს. ეს გმირი პროვინციულ რუსულ სოფელში უდედმამოდ გაზრდილი გოგონაა. თავისი შეხედულებების და ცხოვრებისადმი მიდგომის გამო თანასოფლელებთან ურთიერთობა ძალიან უჭირს. აქვს ჩვევა - აგროვებს ტრუსებს. ამის გამო ის სოფელმა გარიყა. ნინა ტრუსებთან საუბრობს, ტრუსი ბევრ ადამიანთან ასოცირდება მისთვის. ჰყავს ვირტუალური მეგობარი სენეკა, რომელიც მისთვის მნიშვნელოვანია. ის ბიჭი კიდევ ატყუებს. სპექტაკლი სიმბოლოებით არის დატვირთული. ტრუსები, კოცონზე დაწვა...

მთავარი მორალი კი არის შემდეგი - ადამიანების დამოკიდებულება ერთმანეთთან არის გულგრილი. გაუცხოება, გათიშვა, უინტერესო რეალობა, უფერული ცხოვრება, რასაც ხელს უწყობს სერიალები და ინტერნეტი კარგად არის ნაჩვენები. გოგონა მოკლეს და სერიალის სანახავად წავიდნენ. ანუ განსხვავებული ხედვის ადამიანი მასისგან ყოველთვის იჩაგრება.

პიესა დავით ბუხრიკიძემ თარგმნა. როგორც მსახიობებმა მითხრეს, იქ იმდენი უცენზურო სიტყვაა, რომ შერბილების გარეშე ვერ ითამაშებდნენ.

**მამუკა მაზავრიშვილი:** -ბილწსიტყვაობა გალაითებულად ვითამაშეთ. პირველი ვარიანტი უნდა გენახათ. რუსულ ენაში გინება სულ სხვანაირადაა, ჩვენთან შეიძლება მოკლან დედის გინების გამო. პიესაში ყველა სიტყვაში „სამ ასოზე“ გაგზავნა ჰქონდათ. ბევრი მუშაობა დაგვჭირდა, რომ აზრიც არ დაკარგულიყო და თან შერბილებულიყო. რეჟისორს არ ესმოდა ქართულად რას ვამბობდით და რომ კითხულობდა ეს ტექსტი არისო - ვატყუებდით. ერთ ინტერვიუში თქვა, დიდ დათმობაზე წავედიო. ჩემი ასაკის მსახიობისთვის თეატრი უფრო სხვაა - ქართული სიტყვის აკვანია. დედის გინების გაგონება თუ გინდა, ქუჩაში გაიგებ. თეატრი ამაღლებული ადგილია.

**მზია ტალიაშვილი:** - სხვა ესთეტიკაა, მე არ მომწონს ასეთი ლიტერატურა. ჩვენი მენტალობისთვის ამ ღირებულებებს არ ჰქვია ღირებულებები. ნამდვილად არ მსიამოვნებდა სპექტაკლში „დედის ტყვნის“ ძახება.

**თამარ ბეჟუაშვილი:** - მშრალი და უაზრო ქალები აბანოში ატარებენ დროს და სერიალს უყურებენ. ეს ჩვენ ყოფასაც უკაკუნებს - გადართავ - ის მოკვდა, თავს გავაქნევთ და ისევ გადმოვრთავთ სერიალზე. ინტერნეტის ეპოქამ ურთიერთობები შეჭამა.

**გიორგი გასვიანი:** - სკანდალი სკანდალისთვის არ ყოფილა. ბილწსიტყვაობაც იყო, სიშიშვლეც, ბევრი ტრუსიც ეკიდა, მაგრამ სათქმელს გამოხატავდა. ავტორის ტექსტია - რაღაც ხომ უნდა დარჩეს. გრჩება რაღაც, საფიქრალი...

**სოფია სებისკვერაძე:** - ჩემი აზრით, სკანდალი იყო არა ჩემი გმირის სიშიშვლეში, არამედ ტექსტში. რაღაცები ამოვიღეთ და შევცვალეთ. სკანდალია ის, რომ ნინა ღმერთსა და თავის ტრუსებს ერთნაირად ელაპარაკება. მისთვის ღმერთი არ არის განზოგადებული, თითქოს მისი მეგობარია.









ფსიქოლოგიურად გაუწონასწორებელი გოგონაა. ნინა მაინც გამარჯვებულია, მან თავის პრინციპებს არ უღალატა. არავის აქვს უფლება სხვის ცხოვრებაში უხეშად ჩაერიოს თუ თვითონ ეს ადამიანი არ ითხოვს დახმარებას. ნინა დახმარებას ითხოვდა, მაგრამ არავინ დაეხმარა. ის გაწირეს. გარიყეს.

**- რეჟისორმა თქვა, რომ ესტონეთში ნინას გმირს ტრუსიც არ ეცვა სცენაზე. იყო მისი სურვილი, რომ აქაც არ სცმოდა ნინას ტრუსი?**

- პიესაში არის სცენა, სადაც ის სულ იხდის ტანსაცმელს და იცვამს წითელ ტრუსს. მაგრამ არ იყო ამის აუცილებლობა. ამით ძალიან გაღიზიანდებოდა მაყურებელიც. არც მე მქონდა ამის გაკეთების სურვილი. ის ისედაც ნახევრად გახდილი შემოდის სცენაზე.

**- რატომ არ დათანხმდნენ მსახიობები ამ როლზე? „ულიფოდ“ გამოსვლის გამო?**

- შეიძლება ცოტა დროც იყო დასადგმელად. სამუშაო დრო ორი კვირა მქონდა. რაღაცებში ჩვენც ვეწინააღმდეგებოდით რეჟისორს და თვითონაც გვეწინააღმდეგებოდა.

**- ელოდები გაკიცხვას?**

- არაფერი ისეთი არ გამიკეთებია, რაც სხვა ქართველ მსახიობს სცენაზე არ გაუკეთებია. თან ჩვენთან ბევრი ფესტივალი ტარდება და სცენაზე ბევრად თამამ სცენებს უჩვენებენ. შეიძლება უფრო ის თქვან, რატომ დაიდგა, რა საჭირო იყოო? გვინდოდა მთავარი თემა, რაც პიესაში იყო, სწორად გაეგო მაყურებელს. ზედმეტი სიშიშვლე მას გააღიზიანებდა.





**სოფიო სებისკვერაძე:**
**„პიესაში არის სცენა, სადაც ის სულ იხდის ტანსაცმელს და იცვამს წითელ ტრუსს. მაგრამ არ იყო ამის აუცილებლობა. ამით ძალიან გაღიზიანდებოდა მაყურებელიც. არც მე მქონდა ამის გაკეთების სურვილი. ის ისედაც ნახევრად გახდილი შემოდის სცენაზე“**





# „კორკოტა“ ამერიკაში „Maroon 5“-ის გიტარისტის რჩევით გაემგზავრა

**სალომე კორკოტაშვილი 1 მარტს სასწავლებლად ამერიკაში გაემგზავრა. განხრა - ელექტრონული მუსიკა და პროდიუსინგი. სალომე ჯგუფთან ერთად წავიდა. მალე მათ მენეჯერი ბექა ჯაფარიძე შეუერთდებათ. ჯგუფ „სალიოს“ ფაბებთან თანამშრომლობა სურს. ჯგუფი სალომემ ორი წლის წინ შექმნა. მერე ჯაზფესტივალზე ქევინ დევისი გაიცნო, რომლის დაარსებულია ნიუ ორლეანის ჯაზფესტივალი. „მაისში ნიუ ორლეანში დავუკარით ძალიან მაგარ მუსიკოსებთან ერთად. მაშინ გავიცანი „Maroon 5“-ის გიტარისტი. ამერიკაში წამოდით, იქ უკეთ ააწყობთ თქვენს კარიერასო, გვითხრა“, - ამბობს სალომე. უკვე მუსიკალურ ლეიბლებში თავიანთ პორთფოლიოებს ტოვებენ. კონცერტის ცოცხალი ჩანაწერიც აქვთ, რათა ადვილად შეაფასონ „სალიოს“ შემოქმედება და შესაძლებლობა. სამთვიანი კურსის გავლის შემდეგ „კორკოტას“ ელექტრონული მუსიკის დაწერა შეეძლება. ჯგუფს კონკრეტული ჟანრი არ აქვს. ძირითადად კი უკრავენ ელექტრო პოპს ჯაზის ელემენტებით. „კორკოტა“ ექვსი თვით მიდის. „სექტემბერში მინდა ჩამოსვლა, ჩემს 4 წლის შვილს, ზუკა კალანდაძეს დაბადების დღე აქვს. მიჭირს მასთან განშორება, მაგრამ ღირს ამ ნაბიჯის გადადგმა, როგორც ჩემი წარმატებისთვის, ისე - ზუკასთვისაც“.**

**- შეყვარებულიაო, შენზე თქვეს.**

- ტყუილია. ახლა მართლა არავინ მომწონს, თორემ დიდი სიამოვნებით ვეტყოდი ამის შესახებ ყველას. ახლა მხოლოდ საქმეში ვარ ჩართული.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ოპერა შვილობილ სტუდია-სახელოსნოს ხსნის

my View
თამარ გონგაძე

**თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის წამყვანი სოლისტის - ირინა რატიანის ინიციატივითა და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, თეატრის ბაზაზე, დაფუძნდა და მალე ფუნქციონირებას დაიწყებს ვოკალისტთა სტუდია-სახელოსნო, სადაც ახალგაზრდა, დამწყებ მომღერლებს საშემსრულებლო-არტისტული შესაძლებლობების დახვეწისა და კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობა მიეცემათ. სოპრანოს თქმით, სახელოსნო**



**ფუნქციონირებას სექტემბრის ბოლოს ოპერის თეატრში შესვლისთანავე დაიწყებს. სახელოსნოს ოპერის შვილობილად თვლიან.**




## ირინა რატიანი: „ჩვენი მიზანია გავაკეთოთ შუამავალი რგოლი კონსერვატორიასა და თეატრს შორის. იმედი გვაქვს სახელოსნო პრესტიჟული გახდება და დროთა განმავლობაში შეიძლება საერთაშორისო სახეც მიიღოს“

**ირინა რატიანი:** - სახელოსნო პირობითად ჰქვია, ჯერ სახელი არ მოგვიფიქრებია. დიდი ხანია მინდოდა ამ პროექტის განხორციელება. ასეთი ტიპის სახელოსნოს მაგალითი ძალიან ბევრია საზღვარგარეთ. თერთმეტი წელი ვცხოვრობდი იტალიაში და იმ მაგალითის გადმოტანა საქართველოში ყოველთვის მინდოდა. მე პირადად, ჯერ ოზიმოს აკადემია დავამთავრე, მერე სპონტინის აკადემია. ვცხოვრობდი ბოლონიაში. საოპერო ხელოვნება და ვოკალი ჩვენთან კონსერვატორიის დონეზე მთავრდება. ბავშვებს აქ ალტერნატივის საშუალება არ აქვთ. ბევრი ვერ ახერხებს საზღვარგარეთ წასვლას. ხდება ისე, რომ კონსერვატორიის დასრულების შემდეგ უნდათ თეატრში მოსვლა, მაგრამ მათი უმეტესობა სოლისტის თანამდებობის დასაკავებლად და სახელმწიფო თეატრში შემოსასვლელად მზად არ არის. თეატრი და სპექტაკლი კიდევ უფრო სხვა რამაა, ვიდრე კონსერვატორიაში სწავლა. ჩვენი მიზანია გავაკეთოთ შუამავალი რგოლი კონსერვატორიასა და თეატრს შორის. იმედი გვაქვს სახელოსნო პრესტიჟული გახდება და დროთა განმავლობაში შეიძლება საერთაშორისო სახეც მიიღოს. იქნებ შევძლოთ სხვადასხვა ქვეყნებიდან კონსულტანტების მოწვევა. ყოველწლიურად სხვადასხვა და მაღალკვალიფიციური პედაგოგები გვეყოლება. ამ ეტაპზე ვოკალზე მე და სულხან გველესიანი ვიქნებით, ჩვენი თეატრის წამყვანი სოლისტი.

**- როგორ მოხვდებიან სტუდენტები ამ სახელოსნოში?**

- შესარჩევი მოსმენის საფუძველზე, რომელიც მაისის ბოლოს მოეწყობა. ავიყვანთ რვა სტუდენტს, ოღონდ საუკეთესოს. სწავლება ორწლიანია. ისწავლება ვოკალი, საოპერო ხელოვნება, იტალიური ენა, რომლის ცოდნა 21-ე საუკუნეში ნებისმიერი საოპერო მომღერლისთვის აუცილებელია. საუკეთესოებს საორკესტრო რეპეტიციებზე მივაღებინებთ მონაწილეობას. შეიძლება სპექტაკლებში პატარა პარტიებზე დაკავდნენ. წლის ბოლოს ოპერას დავდგამთ ამ სტუდენტების შესაძლებლობების შესაფერისს. სახელოსნოს დამთავრების შემდეგ წარვუდგენთ სამხატვრო საბჭოსა და სამხატვრო ხელმძღვანელს და თუკი საჭიროდ ჩათვლიან სტუდენტები სპექტაკლში დაკავდებიან. თუ გაამართლეს მერე უკვე თეატრი აიყვანს შტატში. ამ პროექტის განხორციელებაში დიდი დახმარება გაგვიწია ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკიმ. დიდი მადლობა მას და მადლობა ჩვენს ხელმძღვანელობას, მაესტრო მარჩიანოს და ბატონ რეზო ჭეიშვილს, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართული ამ საქმეში.

# „მარგარიტა და არმანი“-ში ნინო ანანიაშვილთან ერთად იგორ არტამონოვი იცეკვებს

my View
თამარ გონგაძე

**თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა წელს მუშაობა საკმაოდ დატვირთული გრაფიკით დაიწყო. 31 იანვარს და 2 თებერვალს პრემიერა გამართა - კონსერვატორიის დიდ დარბაზში საკონცერტო ვერსიით შესრულდა ჯუზეპე ვერდის ოპერა „ბედის ძალა“ (დირიჟორი - ჯანლუკა მარჩიანო), ეს იყო ამ ოპერის პრაქტიკულად პირველი საჯარო შესრულება საქართველოში. 7 და 8 თებერვალს თეატრის სოლისტთა ანსამბლმა „სულიკომ“ (ხელმძღვანელი - ვანო გალუაშვილი) საგასტროლო კონცერტები გამართა ქალაქ ლიონის (საფრანგეთი) საოპერო თეატრში. 15, 16 და 28 თებერვალს გრიბოედოვის სახელობის თეატრში საბალეტო დასმა ჩაიკოვსკის „მაკნატუნა“ წარმოადგინა. თეატრის ორკესტრმა ბეირუთში (ლიბანი) ალ ბუსტანის 21-ე საერთაშორისო ფესტივალში მიიღო მონაწილეობა. ჯანლუკა მარჩიანოს დირიჟორობით გამართა 20-28 თებერვალს 5 კონცერტი, დამოუკიდებელი სიმფონიური რეპერტუარის შესრულების გარდა ორკესტრმა პარტნიორობა გაუწია სოლისტებს - ბანდონეონისტ მარიო სტეფანო პიეტრო დარკის, მევიოლინეებს ალექსანდრა სუმს და სერგეი კრილოვს, სოპრანო ჯოჰანი ფონ ოოსტრუმს. პროგრამაში იყო ჯოაკინო როსინის, კარლ მარია ვებერის, ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის, ფელიქს მენდელსონის, პეტრე ჩაიკოვსკის, ანტონინ დვორჟაკის, რიხარდ შტრაუსის, ნინო როტას, რობერტო მოლინელის ნაწარმოებები (საგულისხმოა, რომ ეს ურთულესი პროგრამა უმოკლეს დროში მომზადდა, რადგან გასტროლში თეატრის მონაწილეობა გამგზავრებამდე ოციოდე დღით ადრე გადაწყდა). თეატრთან არსებული ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „შეჯიბრი“ (ხელმძღვანელი - თამაზ გოგოტიშვილი) 17-21 თებერვალს მონაწილეობდა ბერლინში გამართულ ფესტივალში „Tanzolymp“, სადაც მთავარი პრემიაც მოიპოვა. 27 თებერვალს კონსერვატორიის დიდ დარბაზში გერმანიაში მოღვაწე ახალგაზრდა დირიჟორის დავით კინწურაშვილის ხელმძღვანელობით საკონცერტოდ შესრულდა ჯუზეპე ვერდის „ბალ-მასკარადი“. 3 მარტს თეატრის გუნდმა მონაწილეობა მიიღო პაატა ბურჭულაძის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „იავნანას“ დაარსებიდან 10 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო კონცერტ-მარათონში. 4 მარტს ასევე კონსერვატორიის დიდ დარბაზში ჯანლუკა მარჩიანოს დირიჟორობით შესრულდა ჯაკომო პუჩინის „ტოსკა“. 11 მარტს კონსერვატორიის დიდ დარბაზში ზაზა კალმახელიძის დირიჟორობით აჟღერდება ჯუზეპე ვერდის „ბალ-მასკარადი“. 11 მარტს ასევე დაგეგმილია ერთმოქმედებიანი ბალეტების საღამო. გრიბოედოვის თეატრში წარმოდგენილი იქნება „შოპენიანა“ და ირჟი კილიანის ორი ბალეტი - „ექვსი ცეკვა“ და „პატარა სიკვდილი“. 13 მარტს საბალეტო დასი ბეირუთში ალ ბუსტანის საერთაშორისო ფესტივალზე მიემგზავრება და ერთმოქმედებიან ბალეტებს წარმოადგენს. გასტროლში პრიმა-ბალერინა ნინო ანანიაშვილიც მიიღებს მონაწილეობას. ალ ბუსტანის ფესტივალზე წელს იმღერებს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი ირაკლი მურჯიკნელი - ის 19 მარტს იასკო ფუჯიისთან, კლეარ პრისლენდთან, საშა ჩანოსთან, ლიბანის კონსერვატორიისა და ანტონინის უნივერსიტეტის გუნდებთან, სომხეთის სახელმწიფო ახალგაზრდულ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად მონაწილეობას მიიღებს ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიის შესრულებაში. ამ კონცერტსაც ჯანლუკა მარჩიანო იდირიჟორებს. ფესტივალიდან დაბრუნების შემდეგ 19 მარტს რუსთაველის თეატრში საბალეტო დასი მაყურებელს კვლავ სთავაზობს ერთმოქმედებიანი ბალეტების საღამოს. ამჯერად წარმოდგენილი იქნება ფრედერიკ ეშტონის ბალეტი „მარგარიტა და არმანი“ და „შოპენიანა“. მთავარ პარტიებს ნინო ანანიაშვილთან ერთად ბელარუსის ნაციონალური სახელმწიფო აკადემიური თეატრის წამყვანი სოლისტი იგორ არტამონოვი იცეკვებს. სპექტაკლში თეატრის ორკესტრი მიიღებს მოაწილეობას დავით მუქერიას დირიჟორობით.**








დაგეგმილია ანსამბლ „სულიკოს“ საგასტროლო ტურნე საქართველოს ქალაქებში. პირველი კონცერტი 19 მარტს გაიმართება რუსთავსა და საგარეჯოში, შემდეგ 22 მარტს სიღნაღსა დედოფლისწყაროში, აპრილში ანსამბლი ეწვევა მცხეთას, დუშეთს, ჭიათურასა, საჩხერეს, მაისში კონცერტები გაიმართება ბორჯომსა და ახალციხეში. თეატრის ახალგაზრდა სოლისტი ანზორ ხიდაშელი (ტენორი) მარტის ბოლოდან 3 თვის მანძილზე სტაჟირების კურსს გაივლის ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ - პეზაროს (იტალია) საერთაშორისო საოპერო აკადემიაში.









© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time
N9 (259) ორშაბათი, 10 მარტი, 2014 წ.
ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge






„ორი წლის წინ გავთხოვდი და ძალიან შეყვარებული ვარ"

# ქეთი მელუა ქმარს არ გაყრია

## ახალი ბენდი „ბრავო რეკორდსისგან" - „THE GROOVE"




EXCLUSIVE

## „ტრუსები" - სკანდალური სპექტაკლი ახმეტელის თეატრში



EXCLUSIVE

## „მარგარიტა და არმანი"-ში ნინო ანანიაშვილთან ერთად იგორ არტამონოვი იცეკვებს




EXCLUSIVE

## „ჭოლას" „რომეო და ჯულიეტა" ძველი ბიჭებით






# ნიაზ დიასამიძე დაუთვლელი კონცერტების რეტროსპექტივით

ISSN 1987-7404

9 771987 740005



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება